

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

მარინა მუავანაძე

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური  
და კრიტიკული ანალიზი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:  
პროფესორი რამაზ ხალვაში,  
პროფესორი მანანა თანდაშვილი

ბათუმი - 2022 წ.

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

12.30.2022.

მ. მჭავანაძე

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

შესავალი .....	5
I თავი. რუსთველოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდები .....	9
II თავი. ცნობები პოემის ავტორისა და ტექსტის შესახებ .....	19
2.1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის .....	19
2.2. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ .....	29
III თავი. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები .....	33
3.1. კონსტანტინე ბალმონტის თარგმანი .....	35
3.2. შალვა ნუცუბიძის თარგმანი .....	38
3.3. არჩილ ხალვაშის თარგმანი .....	39
3.4. „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა თარგმანები .....	40
IV თავი. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობრივი წყაროები .....	46
4.1. რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური წყაროები .....	47
4.1.1. ნეოპლატონიზმი „ვეფხისტყაოსანში“ .....	51
4.1.2. არისტოტელიზმი „ვეფხისტყაოსანში“ .....	57
4.2. რუსთაველის მსოფლმხედველობის ქრისტიანული წყაროები .....	65
V თავი. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი წყაროების ტრანსფერი რუსულ თარგმანებში .....	73
5.1. „ვეფხისტყაოსნის“ ნეოპლატონური რეალიები რუსულ თარგმანებში.....	73
5.2. არისტოტელიზმის კვალი დედანსა და რუსულ თარგმანებში .....	89
5.3.„ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული რეალიები რუსულ თარგმანებში .....	98
VI თავი. ტერმინები დევი და ქაჯი/ქაჯეთი „ვეფხისტყაოსანში“ და მათი შესატყვისები რუსულ თარგმანებში .....	123
VII თავი. მიჯნურისა და მოყვასის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის რუსულ თარგმანებში .....	135
VIII თავი. „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი I და III თავების მიხედვით .....	147
დასკვნა .....	173

ბიბლიოგრაფია .....	189
დანართი .....	193

## შესავალი

საქართველოს ლიტერატურის ისტორიას განუსაზღვრელი და ამოუწურავი მასალა აქვს როგორც მოცულობითი, ასევე, იდეურ-თემატური თვალსაზრისით. მრავალპლანიანი და სხვადასხვა მხატვრული ღირებულების მქონე ტექსტები კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის საქართველოს ლიტერატურულ საგანძურს. ქართული ეროვნული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშია შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყოველთვის იყო ინტერესის, კვლევისა და პოპულარიზაციის ობიექტი. პოემა შექმნისა და გავრცელების პერიოდიდან დღემდე არ კარგავს აქტუალობას, რაც მის მაღალმხატვრულ ღირებულებასა და ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ავტორმა განუმეორებელი შემოქმედებითი გენიით უკვდავყო არა მხოლოდ თავისი სახელი და ეპოქა, არამედ მთელი ქართული ლიტერატურა, ენა, ერი და კულტურა. „ვეფხისტყაოსანი“ აღიარებულ იქნა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. 2013 წლიდან პოემის ხელნაწერების კოლექცია შეტანილია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეესტრში (<http://unesco.ge/?p=819>).

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობას პოემისადმი საყოველთაო ინტერესი, თარგმანების სიუხვე და არაერთგვაროვანი რუსული თარგმანების მნიშვნელობა განაპირობებს. გამომდინარე იქიდან, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პოემის სხვადასხვა ენაზე შესრულებულმა თარგმანებმა, რამდენადაც სწორედ თარგმანების საშუალებით ეცნობა მას მსოფლიო, მნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია პოემის თარგმანების კრიტიკული ანალიზი კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

პოემა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო რუსულენოვანი თარგმანებით, რომლებიც ხშირად წყარო-ტექსტს წარმოადგენდა პოემის სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანისათვის. „ვეფხისტყაოსნის“

გენიალურობით შთაგონებული რუსი მთარგმნელები ათწლეულების მანძილზე ცდილობდნენ, შეექმნათ დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული თარგმანი, რათა უცხოენოვანი მკითხველისთვის მიეცათ შთამბეჭდავი პოემის გაცნობის შესაძლებლობა. ჩვენი მიზანია სწორედ რუსულენოვანი სრული პოეტური თარგმანების, კერძოდ, კონსტანტინე ბალმონტისეული, შალვა ნუცუბიძისეული და არჩილ ხალვაშისეული თარგმანების, კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ ურთიერთმიმართებები და მსგავსება-განსხვავებები როგორც თარგმანსა და ორიგინალს, ასევე საკუთრივ თარგმანებს შორის. ვრცელ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვადგინოთ, ერთი მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში თარგმანებთან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებების განხილვა და პოემის თარგმანების შესწავლა კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მეორე მხრივ, ნაშრომში ავსახოთ თითოეული მთარგმნელის მთარგმნელობითი პრინციპების, სტრატეგიების ანალიზი და ეკვივალენტურობის ხარისხის შეფასება.

მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები: საკითხთან დაკავშირებული ვრცელი რუსთველოლოგიური ლიტერატურის შესწავლა, ემპირიული მასალის ელექტრონულად დამუშავება - დაპარალელება, თეგირება, ალინირება, ბოლო ეტაპზე კი წინასწარ შემუშავებული კლასიფიკატორების საშუალებით თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი.

როგორც აღვნიშნეთ, დისერტაციის კვლევის საგანია „ვეფხისტყაოსანი“ და რუსულ ენაზე შესრულებული სამი სრული პოეტური თარგმანი. ემპირიულ მასალად ავიღეთ პოემის აკადემიური რედაქცია, ა. შანიძის, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქტორობით გამოცემული 1957 წელს, კ. ბალმონტისეული თარგმანის 1988 წლის გამოცემა, შ. ნუცუბიძისეული თარგმანის 1979 წლის გამოცემა და ხალვაშისეული თარგმანის ბილინგვური გამოცემა (2015 წ).

აღნიშნული ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზის განსახორციელებლად კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე მეთოდები. კლასიკური მეთოდებიდან კვლევაში ძირითადად გამოყენებულია ტექსტის კრიტიკული ანალიზისა და შედარება-შეპირისპირების

მეთოდი, ასევე რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდები, თანამედროვე მეთოდებს შორის აქტიურად გამოვიყენეთ კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდი, რომელსაც დეტალურად განვიხილავთ ცალკე თავში, რამდენადაც ტექსტების კორპუსლინგვისტური ანალიზი ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

აღნიშნული მეთოდების გამოყენების შედეგად კვლევა განხორციელდა სისტემურად. მონაცემთა ავტომატურ რეჟიმში დამუშავებამ საგრძნობლად შეამცირა სუბიექტურობისა და შეცდომების შემთხვევები ნაშრომში. ჩვენ მიერ შემუშავებული კრიტერიუმები დაგვეხმარა თარგმანის მხატვრულობის ხარისხის დადგენაში, ხოლო ტექსტების კრიტიკული და შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა ეკვივალენტურობის ხარისხი დედანსა და თარგმანებს შორის. **კვლევის შედეგებში** ფორმულირებული დასკვნები გაკეთდა ვრცელი ემპირიული მასალის დამუშავების საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ნაშრომის ემპირიულობის ხარისხი.

სადისერტაციო თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **სიახლე** სწორედ კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდის გამოყენებაა კვლევის პროცესში. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების შესწავლა ელექტრონულად დამუშავებულ ვრცელ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია რუსთველოლოგიური კვლევის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად და სიახლედ მიგვაჩნია ხალვაშისეული თარგმანის კრიტიკული ანალიზი, რამდენადაც აქამდე აღნიშნული თარგმანის შესახებ ერთადერთი გამოკვლევაა გამოქვეყნებული, რომელიც რ. ხალვაშის მიერ განხორციელებულ აკადემიურ გამოცემაში შევიდა. სადისერტაციო ნაშრომის **მეცნიერული ღირებულება** გახლავთ ის, რომ შეიქმნა ახალი თეორიული ნაშრომი პოემის რუსულენოვანი თარგმანებით დაინტერესებული მკითხველისთვის, ხოლო ელექტრონულად დამუშავებული ემპირიული მასალის, კერძოდ, რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ციფრული ქართველოლოგიის, განსაკუთრებით, რუსთველოლოგიის განვითარებას.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, პარაგრაფებად დაყოფილ რვა თავს, დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის სიასა და დანართს.

ნაშრომის **პირველ თავში** საუბარია რუსთველოლოგიური კვლევის თანამდეროვე მეთოდებზე, კორპუსლინგვისტური კვლევის შესაძლებლობებსა და სირთულეებზე, მოცემულია ჩვენ მიერ შემუშავებული კლასიფიკატორების სქემა, რომელსაც ემპირიული მასალის დამუშავების დროს გამოვიყენებთ.

**მეორე თავი** მოიცავს ავტორის ვინაობისა და პოემის შესახებ ცნობებს, რომლებიც ვრცელი რუსთველოლოგიური ლიტერატურის დამუშავების შედეგადაა მოპოვებული და სისტემურად წარმოდგენილი.

ნაშრომის **მესამე თავში** საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებზე, კერძოდ, ოთხ ქვეთავადაა გამოყოფილი ბალმონტისეული, ნუცუბიძისეული, ხალვაშისეული რუსული თარგმანები და სხვა ენებზე შესრულებული თარგმანები.

**მეოთხე თავი** ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ და ქრისტიანულ წყაროებს. ფილოსოფიური წყაროები მოიცავს ნეოპლატონიზმს, კერძოდ, არეოპაგელისა და პლატონის მოძღვრებებს, და არისტოტელიზმს. თითოეული წყარო ქვეთავების სახითაა წარმოდგენილი და თეორიულ ინფორმაციასთან ერთად მოცემულია ემპირიული მასალები პოემიდან.

ნაშრომის **მეხუთე თავი** წარმოადგენს მეოთხე თავის ლოგიკურ გაგრძელებას. მასში მოცემულია რუსთაველის მსოფლმხედველობრივი წყაროების ტრანსფერის საკითხი რუსულ თარგმანებში. ვრცელ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გაანალიზებულია თითოეული წყაროს თარგმნის პროცესი და შედეგები, შეფასებულია ეკვივალენტურობის ხარისხი თარგმანებში.

**მექვსე და მეშვიდე თავები** მოიცავს ცალკეული კონცეპტების, კერძოდ, *დევის*, *ქაჯი/ქაჯეთის*, *მიჯნურის*, *მოყვასის* ანალიზს დედანსა და თარგმანებში, მათი შესატყვისების შესწავლას თითოეულ თარგმანში, მთარგმნელობითი სტრატეგიების შეფასებასა და ანალიზს.

**მერვე თავში** მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი I და III თავების მიხედვით.



## I თავი

### რუსთველოლოგიური კვლევის

#### თანამედროვე მეთოდები

მხატვრული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი არაერთ სირთულესთანაა დაკავშირებული და განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. საუკუნეების განმავლობაში განხორციელებულმა რუსთველოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება შექმნა. მეცნიერები კვლევისას ირჩევენ და ქმნიან მათთვის ხელსაყრელ კვლევის მეთოდს, თუმცა, როგორც ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, „სწორი მეთოდი რუსთველოლოგიურ კვლევაში არ გულისხმობს ერთ კონკრეტულ მეთოდს, რომელიც თანაბრად მიესადაგება ყველა საკითხს“ (ხინთიბიძე, 2009:72). მრავალფეროვანი პრობლემატიკა რუსთაველის პოემაში სხვადასხვაგვარ მიდგომასა და კვლევის სწორად განსაზღვრულ პოზიციას მოითხოვს. თანამედროვე მეცნიერებები კვლევის ზედმიწევნით სწორად წარმართვისათვის გვთავაზობენ ინოვაციურ მეთოდებსა და მრავალფეროვან საშუალებებს, რომლებიც დღითიდღე უფრო და უფრო მდიდრდება და იხვეწება.

რუსთველოლოგიაში კვლევის კლასიკურ მეთოდებთან ერთად, როგორებიცაა შედარება-შეპირისპირებითი, სტატისტიკური, ფენომენოლოგიური, რაოდენობრივი, თვისობრივი და სხვები, ეფექტურად გამოიყენება კვლევის თანამედროვე მეთოდები, რომლებშიც მოიაზრება კვლევის პროცესში იმ ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართვა, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნის მეცნიერებათა ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად იქცა. როგორც ყველა დარგი თუ ქვედარგი, ჰუმანიტარული მეცნიერებებიც, მათ შორის რუსთველოლოგიაც, მოიცვა კვლევის თანამედროვე მეთოდებმა, რომლებიც საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენება კვლევის პროცესში. ელექტრონულად დამუშავებული, ავთენტური, ღია და ვრცელი მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომს ხდის დაინტერესებული მკვლევარისთვის სასურველ ინფორმაციას საერთაშორისო დონეზე. ციფრული მონაცემთა ბაზები გვთავაზობს კორპუსული კვლევის შესაძლებლობას, რაც გულისხმობს როგორც კორპუსზე ორიენტირებულ, ასევე კორპუსით განპირობებულ კვლევას. პირველი მეთოდი საშუალებას გვაძლევს

კორპუსზე დაყრდნობით შევამოწმოთ ჰიპოთეზის ვალიდურობა (ვერიფიცირება-ფალსიფიცირება), ხოლო კორპუსით განპირობებული კვლევის დროს ჰიპოთეზა კორპუსის ფარგლებში გენერირდება. ცალსახაა, რომ მეცნიერებაში მომხდარი ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთ ძირითად უპირატესობას ციფრულ მონაცემთა სისტემური კვლევა წარმოადგენს (თანდაშვილი, ყამარაული, 2021:179-182).

„ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე მეთოდებით შესწავლამ განაპირობა ციფრული რუსთველოლოგიის ჩამოყალიბება, რომლის მიზანია რუსთველოლოგიური კვლევების კომპლექსური დიგიტალიზაცია. პოემისა და მისი თარგმანების გაციფრება, დაპარალელება და კორპუსლინგვისტური ანალიზი ინტერდისციპლინური კვლევის ფართო შესაძლებლობებს გვთავაზობს. ჩვენს შემთხვევაში კორპუსლინგვისტური კვლევა მოიცავს ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სინთეზურ გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მეცნიერული ანალიზისა და რუსთველოლოგიური კვლევის მასშტაბებს. მ. თანდაშვილის სახელმძღვანელოში „დიგიტალური რუსთველოლოგია“<sup>1</sup> სისტემურადაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ დიგიტალიზაციის ეტაპები. ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი ვრცელი და ავთენტური ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტური მეთოდით დამუშავების შემდეგ იქმნება „ვეფხისტყაოსნის“ პარალელური კორპუსი. პირველ ეტაპზე ხორციელდება პოემისა და თარგმანების დიგიტალიზაცია, შემდეგ თავებისა და სტროფების მიხედვით დაპარალელება და ფრაზული ალინირება. მნიშვნელოვანი სიახლე ამ შემთხვევაში არის ის, რომ კორპუსში არ ხდება ორი ტექსტის, ამ შემთხვევაში, სტროფების მხოლოდ მექანიკური დაპარალელება. კორპუსი საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ ფრაზული ან სიტყვასიტყვითი ალინირება, ალინირებული ტექსტების დაპარალელება და მიმართებების დადგენა როგორც თარგმანსა და სათარგმნ ტექსტს, ასევე თარგმანებს შორისაც.

---

<sup>1</sup>მ. თანდაშვილი, დიგიტალური რუსთველოლოგია, (პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები), გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2022 წ.

კვლევის პროცესში ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის ნაწილი („ვეფხისტყაოსნის“ პირველი და მესამე თავები) ფრაზული ალინირების გზით დავაპარალელეთ თარგმანებთან (ვ. ბალმონტისეული, შ. ნუცუბიდისეული, ა. ხალვაშისეული), რამაც ძალიან კარგად წარმოაჩინა თარგმანებსა და ორიგინალს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. ფრაზული ალინირება ამარტივებს დავაპარალელების პროცესს და თარგმანებსა და დედანს შორის კლება-მატების შემთხვევებს მეტად თვალსაჩინოს ხდის, ხელს უწყობს შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის ობიექტურად წარმართვას, ასევე ნათელს ხდის ფრაზების გადაადგილების შემთხვევებს თარგმანებში. ეს ყველაფერი კი თარგმანის სტრატეგიების შესწავლას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. დავაპარალელება ხდება თეგირების საშუალებით - სპეციალური ნიშნულებით განისაზღვრება ფრაზები, რომლებსაც მივუსადაგებთ თარგმანში იმავე პრინციპით გამოყოფილ ფრაზებს, რომლებსაც გადავნიშნავთ, რათა გამოიკვეთოს მათი პოზიციები და ნათელი სურათი მოგვცეს განაცხადებისა და შესაბამისობის თვალსაზრისით<sup>2</sup>. ვნახოთ ფრაზული ალინირების მაგალითი:

ქართ.<sup>3</sup>: <ph1>ნახეს</ph1>, <ph2>უცხო მოყმე ვინმე</ph2> <ph3>ჯდა მტირალი</ph3> <ph4>წყლისა პირსა</ph4>.

ბალმ.: <ph4> На опушке, над потоком, </ph4> <ph3> в тоскованье одиноком, </ph3>.

ნუცუბ.: <ph1> Видят: </ph1> <ph2> некий витязь дивный </ph2> <ph3> плачет сидя </ph3> <ph4> над рекой. </ph4>.

ხალვ.: Вдруг <ph1>заметили</ph1> <ph2> витязя, </ph2> <ph3> что обращен был в плач и стон </ph3>.

ფრაზული ალინირების უპირატესობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ძირითადი უპირატესობა არის ის, რომ ფრაზებად დანაწევრება ბევრად ეფექტურია

---

<sup>2</sup>იხ.მ. თანდაშვილი, დიგიტალური რუსთველოლოგია, (პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები), გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2022 წ.

<sup>3</sup> ემპირიული მასალა ნაშრომში დამოწმებულია შემოკლებული სახით (ქართ., ბალმ., ნუცუბ., ხალვ.), რაც გულისხმობს შემდეგ წყაროებს - ვეფხისტყაოსანი, ვრცელი რედაქცია, დედნის კრიტიკული ტექსტი და რუსული თარგმანი არჩილ ხალვაშისა, რედაქტ. რ. ხალვაში, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, თბილისი. 2015, გვ 288; რუსთაველი, შოთა, Витязь в тигровой шкуре, , Пер. с груз. К. Бальмонта, П. Петренко, Н. Заболоцкого, Вступ. ст., подгот. текста и примеч. А. Барамидзе, С. Цаишвили. Л.: Сов. писатель, 1988; რუსთაველი, შოთა, Витязь в тигровой шкуре, перевод Ш. Нуцубидзе, 1979; რუსთაველი, შოთა, Витязь в тигровой шкуре, перевод А. Халваши, 2015.

ორიგინალისა და თარგმანის ენათა შორის შესაბამისობის დადგენაში, ვიდრე სიტყვებად დანაწევრება სტრიქონისა, რადგანაც თავისუფალი თარგმანის შემთხვევაში შეუძლებელია სიტყვების აღინიშნების გამოყენება - თარგმანებში ხშირად ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად მონაცვლეობს ორგანული და აღწერითი ფორმები, რაც, ცხადია, კლება-მატების შემთხვევებს გაზრდის ისე, რომ ვერ მოგვცემს ტექსტის შინაარსობრივი და მხატვრული მხარის ობიექტურ ასახვას, მასალა იქნება მხოლოდ ლინგვისტური ღირებულების მქონე და ხელს შეუშლის ტექსტების კრიტიკულ ანალიზს. კერძოდ, სიტყვასიტყვითი აღინიშნების დროს პრობლემას ქმნის:

- ა) წყარო-ტექსტში ერთი სიტყვით გადმოცემული შინაარსის რამდენიმე სიტყვით გადმოცემა თარგმანში;
- ბ) წყარო-ტექსტის რამდენიმე სიტყვის ერთი სიტყვით გადმოცემა თარგმანში;
- გ) მხატვრული საშუალებებისა და ფრაზეოლოგიზმების გადატანის დროს სიტყვა-სიტყვითი დაყოფა ბუნდოვანს ხდის მწერლის სათქმელს.

გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს სტრიქონების მიხედვით აღინიშნებაც. გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაციული სტრუქტურები ხშირად მონაცვლეობს სტრიქონებს შორის, ცხადია, თარგმანებში რთულია შესაბამისი თანმიმდევრობის დაცვა, რაც აღინიშნების დროს იწვევს შეუსაბამობებს:

- ა) ერთი სტრიქონის მასალა გადატანილია მომდევნო სტრიქონში;
- ბ) ერთ სტრიქონში წარმოდგენილია წინა და მომდევნო სტრიქონების მასალები;
- გ) ერთ სტრიქონში წარმოდგენილი დედნისეული მასალა სამ (იმავე, წინა და მომდევნო) სტრიქონშია წარმოდგენილი;
- დ) კლება-მატება ხდება სიტყვების და ფრაზების დონეზე და სხვადასხვა სტრიქონში სხვადასხვაგვარად გამოიხატება.

რაც შეეხება სტროფულ დაპარალელებას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ დედანი, თუ საიდან, რომელი გამოცემის ტექსტიდან ითარგმნა პოემა. როგორც ცნობილია, ბეჭდური ტექნოლოგიების გამოგონებამდე, ლიტერატურული (და არალიტერატურული) ძეგლები ხელნაწერის სახით

ვრცელდებოდა. „ვეფხისტყაოსანმა“ ჩვენამდე მოაღწია 160-ზე მეტი ხელნაწერის სახით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც მოცულობით, ისე ენობრივ-ორთოგრაფიული თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ არც ბეჭდური გამოცემები არის ერთგვაროვანი. „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ რედაქციაში დამატებული სტროფების რიცხვი 650-ს აღემატება. პოემის ყველაზე ვრცელი ძირითადი ტექსტი კონსტანტინე ჭიჭინაძის (1934 წ.) რედაქციით არის გამოცემული, რომელიც 1745 სტროფს შეიცავს. აკადემიურ გამოცემებში კი სტროფების რიცხვი ცვალებადია: 1957 წლის გამოცემაში 1669 სტროფია, 1966 წლის გამოცემაში – 1598 სტროფი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის 1988 წლის გამოცემაში – 1666 სტროფი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის გამოცემაში – 1543 სტროფი (ხალვაში, 2015:25-33).

შედარებისთვის წარმოგიდგენთ „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემის რამდენიმე მაგალითს:<sup>4</sup>

წელი	ბეჭდური გამოცემა	სტროფები
1841	შოთა რუსთაველი, ვეფხვის-ტყაოსანი, მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვის გამოცემა, სანკტ-პეტერბურდი.	1634
1888	შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, ი. მარტიროსიანცის სტამბა, ტფილისი.	1577
1913	შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით [ნამდვილი და ჩანართი], ბ. კილაძის სტამბა, ტფილისი.	2363
1934	შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სახელგამი, თფილისი	1745
1957	შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, სარედ. კოლ.: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, სახელგამი, თბილისი.	1669
1970	შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 2 წიგნად, პავლე ინგოროყვას რედ., ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევების დართვით, გამომცემლობა მერანი, თბილისი.	1528

<sup>4</sup> იხ. მ. თანდაშვილი, დიგიტალური რუსთველოლოგია, (პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები), გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2022 წ., გვ. 56-60.

1975	შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, საბჭოთა საქართველო, თბილისი.	1587
------	--	------

ცხრილი N1

ფაქტია, რომ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრები ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით აწესებდნენ სტროფების ავტორისეულად მიჩნევის საკითხს, რაც პოემის ბეჭდური გამოცემების მოცულობაზე ახდენდა გავლენას. გამოცემათა მრავალფეროვნებამ განაპირობა სხვაობა თარგმანებშიც. ბალმონტისა და ნუცუბიძის თარგმანები შესრულებულია აკადემიური, მოკლე რედაქციის მიხედვით, ხოლო ხალვაშისეული თარგმანი ვრცელ რედაქციას ეყრდნობა. ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელები თავად გამოტოვებენ სტროფს თავიანთი შეხედულების მიხედვით, ამდენად, განსხვავებები თარგმანების ტექსტის მოცულობაში სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. თარგმანებსა და წყარო-ტექსტს შორის არსებული სხვაობების თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ექსელის ფორმატში დაპარალელებული სტროფების ამსახველ მასალას:

მას ცოცხალი წე ელევის,   რაღა პირველ მუცვარდეს. წედა ღმინა აუზავდეს,   წედა ჭირსა მუცვარდეს. მისთვის დათმოს ვედაკაი,   მისთვის ველთა გამოვარდეს. წერა გაკა, სოფელია   მისი ერთი გარდაქარდეს	0.11.	Кто, горя сердечной кровью, лелел с тобою и изголовою, Назовет ли он любовью эту легкую игру. Лелеть к одной, сменить другую, это я зову игрою. Если ж я люблю душою — целый мир скорбей беру.		0.37.	Надо, чтобы любой ценой он первую сдержал любовь Чтоб в отраде думал о ней и был даже к скорби готов, Ради нее сбегать в поле, лишиться благ, ласковых слс О потерях не горевать, что б ни было: страна, жизнь, к	
ამა სუბესა მოეწერი   ნუ უბნობს მოეწერებასა: დღეს ერთი უნდეს, ზეაღე სხვა,   სომოწერის გაყრისა თობასა: ესე მტრისა ბედისა ჰგავს   ვაჟთა ყმაწვილობასა. კარგი მოეწერი იგია,   ვინ იწმუ სოფლისა თობასა.	0.12.	Только в том любовь достойна, кто, любя тревожно, знойно, Пряча боль, проходит стройно, уходя в безлодые, в сон, Лишь с собой забыться смеет, бьется, плачет, пламенует, И царей он не робеет, но любви — робеет он.	0.24.	Заблуждается, кто скажет, будто с тем миджнуря скожи, Для кого сегодня, завтра, та иль эта - все пригожи. Развлекаться так - похоже на проказы молодежи. Тот миджнур хорош, который муки мира преодолеет.	0.38.	Пусть миджнур это миджнурством не решается назыви Сегодня с одной, а завтра с другой - подружек лишь м Это походит на игру детей, им лишь бы поиграть, — Тот миджнур лучше, который решил за любовь жизнь
არს პირველ მოეწეროსა   არ-დასუნა ჭირთა, მალეა, თავის-წინა იფრთხილეს,   მოადგინა ჰურთა ხალეა, მორით ბნელა, მორით კლდისა   მორით დაგა, მორით ალუა, დათმოს   წყობა მოეწერისაგან   მისი პირველი მისი, კრძალეა.	0.13.	Связан пламенным законом, как в лесу иди зеленом, Не предает несроковым стонам имя милой для стада, И, бежа разоблаченая, примет с радостью мучения, Всё для милой, хоть сомкненье, — в том восторг, а не беда.	0.25.	Первый долг миджнуря - тайна и в страстях души покой. Образ милой вспомни, должен он исполниться тоской, Вступленная от разлук пламенеть, гореть душой, Вынос и гнев любимой, претерпеть сердечной зной.	0.39.	Есть миджнурство отменное, тайна — главный признак Надлеж думать о ней, сторонится мира свет, Вдали скорбеть, вдали гореть, вдали пылать ради нее, Терпеть укор от любимой, бояться и беречь ее.
ნამს, თავისსა ზეაშინეს   არვისთინა აღდგანებდეს. არ ბედილთა "პა-პაი"-ს ზნობეს,   მოყვარისა ავიწმუნებდეს. არსით არნდეს მოეწეროსა,   არასადა იფრთხილეს. მისთვის ჭირი ღმინად უნდეს,   მისთვის ცეცხლს მოდებდეს.			0.26.	Долг его - не оправдаться и в страданиях никогда, Не взыкать при всех, чтоб милой не коснулась тень стыда, Не давать никак заметить чувств безумных и следа И гореть для той, с которой стала б радостью беда.	0.40.	Надо, чтобы своей тайны он никому не сообщал, Не позорил любимую, не стонал и не горевал, Не провалял, что он миджнур, другой любви не призн Ради нее чтоб шел в огонь и за радость скорби прими
მას უშეაი ვით მიწელოს,   ვინ მოეწარე გააბიჯოს? ამის ბეტი რაღა ირგი?   მას აცნოს და იფრთხი იწმოს? რათაზე-და ასახელოს,   რა სიტყვითა მოაყვინოს? რა გგავს   თუ მოეწარეს   კამბან ველი არ ატყვინოს!	0.14.	Кто тому поверить может, что любимой имя вложит В пересуды? Он тревожит — и ее, и с ней себя. Раз ославишь, нет в том славы, лишь дыхание травы. Тот, кто сердцем мелукавий, беретет любовь, любя.	0.27.	Как же верить тем, что может оглашать любви обет, Кто, вредя своей любимой, и себе приносит вред? Если тайна разгласится, - от стыда спасенья нет. Долг миджнуря в том, чтоб дая от любви не знала бед.	0.42.	Как разумный доверится, любимую кто выдает? А какая ему польза, коль обом не поведет, Чем же ее он прославит, грязью ее, коль обольет? Разве трудно, чтобы он ей не причинял болей, невзгод,
მთვრის, კაცი რად იფრთხეს   საყვარლისა სიყვარულსა: ვინა ვეჯარს, რად ავიწმუნეს   მისთვის მელ-არი მისთვის წელულსა? თუ არ ვეჯარს, რად არა სძულს?   რად ავიწმუნეს, რად არ სძულსა? ესა კაცისა ავი სიტყვა   არჩევნა სულსა, ველსა.	0.30.	Я дивлюсь, зачем, бесправно, то, что тайна, делать vano. Мысль людская своенравна, для чего любовь — стыдить? Важный срок здесь — слишком рано. День придет, не тронь тумана. О, любовь — сплошная рана. Рану — нужно ли беречьить?	0.28.	Я дивлюсь, когда влюбленный о любви кричит своей И позорит ту, в ком чувство смертоносных ран сильней. А не любовь, для чего же говорить тогда о ней? Злое слово больше жизни почитает лишь злодей.	0.43.	Удивлюсь, тот иль иной, как настает на любви к ней: Если любить, зачем тогда унижает и вредит ей? Коль не любить, пускай презрит, зачем мерзко поступа Злой человек ослонен ведь к злу: чем зла больше, тем

ცხრილი N2.

როგორც რამდენიმე მაგალითიდანაც ჩანს, თარგმანებში სტროფების რაოდენობა არაერთგვაროვანია, რაც დაპარალელების დროს გარკვეულ სირთულეებს იწვევს. ჩვენ მიერ აღებულ ქართულ ტექსტსა და თარგმანებს შორის სტროფული შეუსაბამობები შემდეგი სახით იჩენს თავს:

ა) სტროფები არ დასტურდება დედნისეულ ძირითად ტექსტში, ხოლო თარგმანში ვრცელი რედაქციის სტროფებია გადატანილი (ა. ხალვაში);

ბ) გამოტოვებულია რამდენიმე სტროფი თარგმანში (კ. ბალმონტი, შ. ნუცუბიძე).

გ) გადაადგილებულია სტროფები და არ მიჰყვება თანმიმდევრობას (კ. ბალმონტი).

დ) განსხვავებულია პოემის თავებად დაყოფის პრინციპი.

როგორც ვხედავთ, ტექსტების სტროფულმა დაპარალელებამ გამოავლინა რიგი თავისებურებები თარგმანებში, კერძოდ, სტროფების კლებისა და დამატებული სტროფების თარგმნის შემთხვევები, რამაც განაპირობა სირთულეები წყარო-ტექსტისა და მიზან ტექსტების დაპარალელებისას - პარალელების გარეშე დარჩა ძირითადი ტექსტის სტროფები, რომლებიც არ არის თარგმნილი, ასევე, ვრცელი რედაქციის სტროფები, რომლებიც თარგმნილია, მაგრამ არ შედის ძირითად ტექსტში და, შესაბამისად, ვერ დაპარალელდა ქართულ ტექსტთან (ა. ხალვაშის თარგმანი).

სტროფული დაპარალელების დროს გამოვლინდა პოემისა და თარგმანების თავებად დაყოფის პრინციპებს შორის შეუსაბამობებიც. ქართული ტექსტის მოკლე რედაქცია მოიცავს 65 თავს პროლოგისა და ეპილოგის ჩათვლით. კ. ბალმონტთან მთლიანობაში 43 თავი გვაქვს, შ. ნუცუბიძის თარგმანში ასევე 65 თავი გამოიყოფა, თუმცა სხვაობებია თავებად დაყოფის პრინციპში, კერძოდ, რამდენიმე თავი გაერთიანებულია ან პირიქით - წყარო-ტექსტის შესაბამისი ერთი თავი დაყოფილია რამდენიმე თავად. ხალვაშისეულ თარგმანში, როგორც ვრცელი რედაქციისთვისაა დამახასიათებელი, გამოიყოფა დამატებითი თავებიც, რომლებიც დაპარალელების გარეშე რჩება. ასევე გვხვდება თავების გაერთიანების შემთხვევებიც. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ცხრილის სახით წარმოგიდგენთ პოემის თავების სათაურების დაპარალელებურ ვერსიას სამივე თარგმანის შემთხვევაში<sup>5</sup>:

	ქართული		ბალმონტი		ნუცუბიძე		ხალვაში
0	დასაწყისი	0	ВСТУПЛЕНИЕ	0	Вступление	0	Введение
1.	ამბავი როსტევან არაბთა მეფისა	1.	СКАЗ О РОСТЕВАНЕ, ЦАРЕ АРАБСКОМ	1.	Сказ о Ростеване, царе арабов	1.	Сказ об арабском царе Ростеване

<sup>5</sup> ვრცლად იხილეთ დანართი N1.

2	როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა			2	Ростеван и Автандил на охоте	2	Царь Ростеван и Автандил на охоте
3	ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა	2	СКАЗ О ТОМ, КАК ЦАРЬ АРАБСКИЙ УВИДЕЛ ВИТЯЗЯ, ОДЕТОГО В ТИГРОВУЮ ШКУРУ	3	Встреча царя арабов с витязем в тигровой шкуре	3	Арабский царь встретил витязя в тигровой шкуре
4	თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის სამებრად			4	Тинатин посылает Автандила на поиски витязя в тигровой шкуре		
5	წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა	3	ГРАМОТА АВТАНДИЛА К ЕГО ПРИВЕРЖЕННЫМ	5	Письмо Автандила к его дружинникам	4	Послание Автандила к своим подданным
6	ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასლვა	4	СКАЗ О ТОМ, КАК АВТАНДИЛ ИСКАЛ ТАРИЭЛЯ	6	Отъезд Автандила на поиски витязя в тигровой шкуре	5	Автандил отправляется на поиски Тариела
7	ამბავი ავთანდილისა ასმათს რომ ეუბნების ქვაბს შიგან			7	Беседа Автандила с Асमत в пещере	6	Автандил рассказывает притчу деве Асमत
8	შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა			8	Встреча Тариэля с Автандилом	7	Встреча Тариела с Автандилом
9	ტარიელისაგან თავის ამბვის მბობა ავთანდილთანა	5	СКАЗ ТАРИЭЛЯ О СЕБЕ, КОГДА ОН ВПЕРВЫЕ СКАЗАЛ ЕГО АВТАНДИЛУ	9	Рассказ Тариэля Автандилу о своей судьбе	8	Тариел рассказывает о себе
10	ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა	6	СКАЗ ТАРИЭЛЯ О ТОМ, КАК ОН ПОЛЮБИЛ, КОГДА ВПЕРВЫЕ ОН ПОЛЮБИЛ	10	Повесть о любви Тариэля	9	Сказ о том, как Тариел влюбился впервые

### ცხრილი N3.

როგორც მოცემული ცხრილებიდან ჩანს (ცხრილი N1 და ცხრილი N2), წყარო-ტექსტსა და მიზან-ტექსტებს შორის მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება, რაც განპირობებულია როგორც მთარგმნელის თარგმნის პრინციპით, ასევე სხვადასხვა დედანზე დაყრდნობით შესრულებული თარგმანით, რამდენადაც, როგორც ცნობილია, სტროფებისა და თავების მიხედვით ერთგვაროვნება წყარო-ტექსტისთვისაც არ არის დამახასიათებელი. ამგვარი ცვლილებები ხელს უშლის




დედნისა და თარგმანების სრულყოფილად დაპარალელებას და ართულებს შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის პროცესს, ამდენად მნიშვნელოვანია დაპარალელების დროს გამოვლენილი ამგვარი სირთულეების დროული დამლევა და გადალახვა.

გარდა დაპარალელებისა, კორპუსლინგვისტური ანალიზისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ პირველადი ტექსტის ლინგვისტური დამუშავებაც, რათა ქართულენოვანი ტექსტის საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობა გვექონოდა საჭიროების შემთხვევაში.

კიდევ უფრო საინტერესო სურათს იძლევა კვლევის შემდგომი ეტაპი - კორპუსლინგვისტური ანალიზი. ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთება გარკვეული წინააღმდეგობები. უპირველესად უნდა ითქვას ის, რომ კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზისათვის პირველხარისხოვანია ერთგვაროვანი კლასიფიკატორების დადგენა სხვადასხვა თარგმანის თუ ერთ თარგმანში გამოვლენილი სხვადასხვა მოვლენის კვალიფიკაციისათვის, სხვაობები კი იმდენად თავისებური და ინდივიდუალურია, რომ ხშირ შემთხვევაში ჭირს მათი კონკრეტულ ჯგუფებში გაერთიანება და კვალიფიკაცია. თითოეულ თარგმანს კლების, ინტერპრეტაციისა და განვრცობის თავისებური პრინციპები ახასიათებს, რომელთა ერთ სისტემაში მოქცევა იქნება პირობითი და შეფარდებითი.

თარგმანებში გვხვდება როგორც სხვაობების, ასევე სრული შესატყვისობების შემთხვევები. სრული და ზედმიწევნითი შესატყვისობა ამ შემთხვევაშიც პირობითია, რამდენადაც ერთი ენიდან მეორე ენაში პოეტური ტექსტის გადატანა აბსოლუტური სიზუსტით ვერ მოხდება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მთარგმნელები ცდილობენ მინიმალური დანაკარგითა და მაქსიმალური სიზუსტით გადაიტანონ წყარო-ტექსტის ვითარება სხვა ენაზე და შეუსაბამონ სათარგმნი ენის ვითარებას. ამის საპირისპიროდ არის შემთხვევები, როდესაც გვაქვს სხვაობა როგორც მატების, ასევე კლების თვალსაზრისით. კლება, მატებასთან შედარებით, იშვიათად დასტურდება თარგმანებში. როგორც წესი, მთარგმნელები მკითხველში შთაბეჭდილებების გასაძლიერებლად განავრცობენ ტექსტს სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით ან გვთავაზობენ თავისუფალ, კონტექსტუალურ ინტერპრეტაციებს. ამ

შემთხვევათა გათვალისწინებით გამოიკვეთება გარკვეული სახის კლასიფიკატორები, რომლებსაც თვალსაჩინოებისათვის სქემის სახით წარმოვადგენთ:



მოცემული სქემა ნათელს ხდის ჩვენ მიერ შესასწავლი საკითხის სირთულესა და მრავალფეროვნებას. კლასიფიკატორების გამოყოფა ხელს უწყობს თარგმნის პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ შესწავლას, თარგმნის სტრატეგიების შეფასებასა და ურთიერთ-მიმართებების დადგენას წყარო-ტექსტსა და მიზან-ტექსტებს შორის.

## II თავი

### ცნობები პოემის ავტორისა და ტექსტის შესახებ

#### 2.1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით აზრთასხვადასხვაობაა როგორც მეცნიერებაში, ასევე ზეპირ გადმოცემებში. პოემის ავტორის შესახებ პირველადი და ყველაზე ავთენტური წყაროა თავად პოემის ტექსტი, კერძოდ, პროლოგი, რომელშიც ავტორი ორჯერ არის მოხსენიებული:

„დავჯე, *რუსთველმან*, გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარსობილი...“ (0.7.)

„მე, *რუსთველი*, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი...“ (0.8.)

მართალია, პოემა სახეცვლილია ინტერპოლატორებისა და გამგრძელებლების მიერ, თუმცა პროლოგში შედარებით უკეთესადაა დაცული ავტორისეული ვითარება, პოემის ერთიანი სახე, ამდენად, ბევრად სანდოა, ვიდრე სხვა ნაწილები, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ეპილოგს, რომელშიც ასევე ნახსენებია ავტორის წოდება - რუსთველი:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე *რუსთველისად* ამისა...“ (64.1665.)

„...ტარიელ - მისსა *რუსთველსა*, მისთვის ცრემშეუმრომელსა...“ (64.1669.)

როგორც რუსთველოლოგთა დიდი ნაწილის მიერაა მიჩნეული, ეპილოგი არ ეკუთვნის ავტორს, თუმცა ფაქტია, რომ ინტერპოლატორებიც იმავე „რუსთველს“ მიიჩნევენ პოემის ავტორად. ამდენად, ავტორისეული და დანართი ტექსტები ერთხმად ადასტურებს რუსთაველის ავტორობას (**ბარამიძე, 1966:38-39**).

მეცნიერთა შეხედულებები განსხვავებულია ტერმინების - რუსთაველისა და რუსთველის როგორც ფორმაზე, ასევე მნიშვნელობაზე. როგორც ცნობილია, ფორმები „რუსთველი“ და „რუსთაველი“ პარალელურად გამოიყენება და ორივე შემთხვევაში პოემის ავტორი მოიაზრება, თუმცა მეცნიერები დღემდე ვერ თანხმდებიან ერთ-ერთი მათგანის უპირატესობაზე. პოემიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ ავტორის წოდება „რუსთველია“, დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ამ ფორმით იცნობდა ავტორს ქართველი საზოგადოება. ამავე ფორმით მოიხსენიებენ მას სერაპიონ საბაშვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი, იოსებ თბილელი,

არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, თეიმურაზ II, ტიმოთე გაბაშვილი და სხვ. ფორმა „რუსთაველი“ პირველად გამოიყენა ანტონ კათალიკოსმა და, როგორც ჩანს, სწორედ მისი გავლენით გავრცელდა და დამკვიდრდა მშობლიურ თუ საზღვარგარეთის ლიტერატურასა და ზეპირმეტყველებაში ისე, რომ დღემდე ამ ფორმას ენიჭება უპირატესობა. ცხადია, მეცნიერები იცავენ ისტორიულად სწორ ფორმას, „რუსთველს“ და ცდილობენ მის აქტუალიზაციას (ა. შანიძე, ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, გ. წერეთელი, პ. ინგოროყვა, ა. ხალვაში, ტ. კვანჭილაშვილი, ნ. ნადირაშვილი და სხვ.), მაგრამ მეორე ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ამდენად გავრცელებული ფორმის შეცვლა დაუშვებელია, რადგანაც ფართოდაა გავრცელებული როგორც მეცნიერებაში, ასევე ქართველ და უცხოელ მკითხველში, ამასთანავე, მსოფლიო მასშტაბის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში რთულად შესაძლებელია ამგვარი ცვლილებების გატარება (**ყაუხჩიშვილი, 1961; ბუაჩიძე, 1984...**). ჩვენ ვემხრობით მეცნიერთა მეორე ნაწილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ თითქმის შეუძლებელია ფორმა „რუსთაველის“ თუნდაც უფრო მართებული ფორმით ჩანაცვლება, რამდენადაც გარდა მასშტაბური თეორიული ნაშრომებისა, „რუსთაველი“ ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა დაწესებულებებისა თუ ქუჩების სახელწოდებებში, რაც მთავარია, მყარადაა დამკვიდრებული თაობათა ცნობიერებაში და ამ დონის ცვლილების განხორციელებას ძალიან ბევრი წინააღმდეგობა უდგას წინ. ფორმა „რუსთაველის“ გავრცელებულობის საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის (<http://gnc.gov.ge>) სტატისტიკურ მონაცემებს, თუ რამდენჯერაა თითოეული მათგანი გამოყენებული კორპუსში, რომელიც მოიცავს ქართული ენის განვითარების სამივე საფეხურის (ძველი, საშუალი, ახალი), ასევე დიალექტებისა და მეგრული და სვანური ენების მასალებს:

ფორმა	რაოდენობა
რუსთაველი	22 287
რუსთველი	1 168

ცხრილი N4.

სტატისტიკიდან კარგად ჩანს, რამდენად მცირე შემთხვევა გვაქვს ფორმა „რუსთველის“ გამოყენებისა „რუსთაველთან“ შედარებით. ამ მონაცემს თუ გამოაკლდება ის შემთხვევები, როცა ფორმა „რუსთველი“ არა პოეტს, არამედ სხვა ობიექტს მიემართება, გაცილებით მცირე რაოდენობაზე დავა მართებული ფორმის გავრცელების მაჩვენებელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფორმა „რუსთაველის“ უპირატესობას გავრცელებულობის თვალსაზრისით.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წარწერები. ჯერ კიდევ 1757-58 წლებში ჯვრის მონასტერი მოინახულა და აღწერა ტიმოთე გაბაშვილმა და ნაშრომებში რამდენჯერმე მოიხსენია რუსთაველი. მისი თქმით, სვეტი გაუახლებია და მოუხატვინებია მეჭურჭლეთუხუცეს შოთა რუსთაველს, თავად რუსთაველიც იქვე ყოფილა გამოსახული. გაბაშვილის შემდეგ, 1845 წელს მონასტერში ჩავიდა და რუსთაველის პორტრეტი გადმოხატა ნ. ჩუბინაშვილმა. 1883 წელს წმ. ჯვრის მონასტერს ეწვია ალექსანდრე ცაგარელი და შეადგინა ქართულ ხელნაწერთა კატალოგი. მასვე შეუსრულებია პორტრეტის ნახატი ნატურალური ზომით, რომელიც დაკარგულად ითვლება. სამწუხაროდ, შემდეგი ექსპედიციების დროს რუსთაველის ფრესკა უკვე ქრება, რასაც მოწმობს 1899 წელს პეტრე კონჭოშვილის იერუსალიმში ექსპედიციიდან შემონახული ცნობა ფრესკის გაქრობასთან დაკავშირებით. 1966 წელს განხორციელდა მასშტაბური სამეცნიერო ექსპედიცია იერუსალიმში. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ა. შანიძე, გ. წერეთელი და ი. აბაშიძე. ქართველ მეცნიერთა დიდი ძალისხმევით შედეგად მათ აღადგინეს რუსთაველის პორტრეტი და ტექსტი მის გარშემო (ბარამიძე, 1966:45-46). იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შემონახულ ფრესკას მეცნიერთა ნაწილი პოეტის თანამედროვედ მიიჩნევს, ნაწილი კი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მონასტრის მეორე რესტავრირების შემდეგი პერიოდებით ათარილებს (ხინთიბიძე, 2009:65).

რუსთაველის პორტრეტები, გარდა იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრისა, გამოსახულია ქვაბისხევის ფრესკაზე, აგრეთვე, გვხვდება კიდევ ორ წყაროში, ესენია: „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. ზაზასეულ ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია იოსებ

ტფილელის (სააკაძის) მიერ მე-17 საუკუნის 60-იან წლებში და 1646 წელს გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხაში, რომლის ავტორადაც ტექსტის გამამწერი, მამუკა თავაქალაშვილი, მიიჩნევა. სამივე მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიისათვის (ბარამიძე, 1966:64).

იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის წარწერებში ნახსენებია სახელი შოთა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად მოიაზრებენ. ასევე მნიშვნელოვანია ნ. მარის მიერ ჯვრის მონასტრის ალაპთა კრებულში (ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი V-1095 - „ალაპები“) აღმოჩენილი ცნობა შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ, რომელიც გაიგივებულ იქნა შოთა რუსთაველთან. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახის) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სახელი შოთა ნახსენებია თეიმურაზ პირველის (1589-1663 წწ.) ნაშრომებში, რამაც განაპირობა სახელის გავრცელება როგორც თანამედროვე, ასევე მომდევნო პერიოდის მოღვაწეებში და დღემდე ერთადერთ ფორმად რჩება პოემის ავტორის იდენტიფიცირებისათვის (ბარამიძე, 1966:39-46).

სწორედ ჯვრის მონასტრის პორტრეტმა, წარწერებმა და ალაპებში დაცულმა ცნობებმა შექმნა ვარაუდის საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, შოთა რუსთაველის, იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში მოღვაწეობის შესახებ. მიჩნეულია, რომ რუსთაველს შეუკეთებია ჯვრის მონასტერი და მოუხატვინებია სვეტები, ამ დამსახურებისთვის იგი მოუხსენიებიათ ალაპებში და მისი ფრესკა წარწერებით გამოუსახავთ სვეტზე. მეცნიერები ამავე სვეტის ძირას რუსთაველის საფლავის არსებობასაც ვარაუდობენ, თუმცა პოეტის გარდაცვალებისა და დასაფლავების შესახებ საფუძვლიანი ცნობები დღემდე არ მოგვეპოვება.

მეცნიერთა შორის სადავოდ რჩება წოდება „რუსთაველის“ მნიშვნელობის საკითხიც, კერძოდ, ის, თუ რომელი რუსთავი იგულისხმება - ჰერეთის თუ მესხეთის. თითოეული პოზიციის დასასაბუთებლად მეცნიერები ხშირად პოემაში დიალექტიზმების დაძებნით ცდილობენ. ალ. ბარამიძე ნაშრომში „შოთა რუსთაველი“ ამ საკითხთან დაკავშირებით ასკვნის, რომ შოთა შესაძლოა ყოფილიყო როგორც მესხეთის, ასევე ჰერეთის რუსთავიდან. მტკიცე საბუთი რომელიმე მათგანის

უპირატესობის მისანიჭებლად არ გვაქვს. მესხიზმებისა თუ ჰერეთიზმების ძებნა არაეფექტური ცდაა მისი ზუსტი წარმომავლობის დასადგენად, რამდენადაც რუსთაველი საერთო ქართული სალიტერატურო ენით წერს და სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ დიალექტიზმებს იყენებს (ზარამიძე, 1966:42-43).

ძალიან ხშირად რუსთაველოლოგები რუსთაველს აიგივებენ XII-XIII საუკუნეების სხვადასხვა ისტორიულ მოღვაწესთან (შოთა კუპრი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, შოთა ართავაჩოსძე, დემნა ბაგრატიონი, გუზან აბულასანიძე და სხვ.). ამგვარ აზრთა სხვადასხვაობას ავტორის ვინაობის ბუნდოვანება განაპირობებს, რაც არა თუ ანელებს, პირიქით, აღვივებს ინტერესსა და კვლევა-ძიების სურვილს პოემის ავტორის შესახებ ცნობების მოსაპოვებლად და შესასწავლად.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ისიც, თუ რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი შეიძლება იყო ამ წოდების მატარებელი. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რუსთაველი სასულიერო პირი იყო, ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი, და დროებით რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობა ეჭირა, რის გამოც მიენიჭა წოდება „რუსთაველი“, რამდენადაც ამგვარი ზეწოდება იმ ეპოქაში მხოლოდ სასულიერო პირებს მიემართებოდათ, საერო პირების შემთხვევაში ამგვარი რამ გამორიცხული იყო. ასევე, პოემაში ნახსენები სიტყვა „ხელობაც“ სასულიერო პირის თანამდებობას გულისხმობს („მე, რუსთაველი ხელობითა...“ - თანამდებობით რუსთაველი ანუ რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავარი ვარ...), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსთაველის სოციალურ სტატუსს (რატიანი, 1982:3).

დღეისათვის მეცნიერთა შორის მიღებულია მოსაზრება, რომ რუსთაველი რუსთავის პატრონს, მფლობელს უნდა ნიშნავდეს. სწორედ რუსთავში მოღვაწეობის დროს შეუქმნია პოეტს ძირითადი ნაწილი პოემისა. შ. ნუცუბიძის თვალსაზრისით, არსებობდა ”ვეფხისტყაოსნის” ორი ავტორისეული ვერსია. ამ ვარაუდის თანახმად, რუსთაველის პოემის ძირითადი (პირველადი) ტექსტი გამსჭვალულია პანთეისტური მატერიალიზმის სულისკვეთებით და დაიწერა საქართველოში. ამის გამო პოეტი დასაჯეს და იძულებული გახადეს, სამშობლო დაეტოვებინა. რუსთაველმა თავი შეაფარა იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს, სადაც მან თავის ნაშრომს დაურთო

ქრისტიანული რელიგიის განწყობილების გამომხატველი სტროფები. აქვე დაწერა პოემის ბოლო თავები: ინდო-ხვარაზმელთა, გმირთა ანდერძების, გმირთა გარდაცვალების ამბები (ხალვაში, 2015:9).

მეცნიერთა შორის აზრთასხვადასხვაობას იწვევს შოთა რუსთაველის მოღვაწეობის დათარიღების საკითხიც. მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პოემის ავტორი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. განსხვავებულია შეხედულებები თარიღის დაკონკრეტებისას, რამდენადაც განსხვავებულია დათარიღების კრიტერიუმები. ტექსტის პროლოგიდან ირკვევა, რომ რუსთაველი აქებს თამარსა და დავით სოსლანს, რაც იმის ვარაუდის საფუძველს ქმნის, რომ სწორედ მათი მოღვაწეობის პერიოდშია შექმნილი პოემა. ალ. ბარამიძე ნაშრომში „შოთა რუსთაველი“ ვრცლად საუბრობს პოეტის ვინაობისა და შემოქმედების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოემა შექმნილი უნდა იყოს დავითისა და თამარის ზეობისას - 1189-1207 წლებში, „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“, „დილარგეთიანის“ შექმნის შემდეგ, ხოლო „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“ დაახლოებით „ვეფხისტყაოსნის“ თანადროული პოემებია (ბარამიძე, 1975:31).

დავით სოსლანისა და თამარის ქორწინების პერიოდს უკავშირებს ჯ. ამირანაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის თარიღს და ასახელებს კონკრეტულ წლებს - 1189-1207, რაც ქორწინებისა და დავითის გარდაცვალების წლებს გულისხმობს. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ პოემაში არ არის მოხსენიებული ლაშა-გიორგი, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პოემის წერა ავტორს მის დაბადებამდე, 1193 წლამდე უნდა დაესრულებინა. მეცნიერის მოსაზრებით, რუსთაველს შეეძლო, ასე მოკლე დროში (1189-1193 წწ.) შეესრულებინა პოემა (ამირანაშვილი, 1960).

ნ. მარი და ს. კაკაბაძე პოემას თავდაპირველად მე-14 საუკუნით ათარიღებდნენ, შემდეგ კი აზრი შეიცვალეს და საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებას დაეთანხმნენ. კ. კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში წერს, რომ პოემაში აქა-იქ გამოხატული სევდიანი განწყობა არ შეეფერება თამარის „ლალ და ცხოველმყოფელ ეპოქას“, ამდენად პოემა თამარის შემდეგ, მე-13 საუკუნის მესამე ათეული წლის გასვლის შემდეგაა დაწერილი. ავტორიც თამარს აქებს სწორედ მისი გარდაცვალების



გამო „ცრემლდათხეული“ (კეკელიძე, 1952). ალ. ბარამიძის მოსაზრებით კი, “რუსთაველის ცრემლები არა სიკვდილის, არამედ სიყვარულის, კერძოდ საყვარელთან განშორების ცრემლებია” (ბარამიძე, 1975:32).

ავტორის მოღვაწეობისა და ტექსტის შექმნის თარიღების დადგენისას მეცნიერები ძირითადად ტექსტს ეყრდნობიან და გამოთქვამენ ვარაუდებს, რომელთა დასაბუთება დოკუმენტურად ვერ ხერხდება. პოემაზე დაყრდნობით არის გამოთქმული ასევე მოსაზრება პოემის ავტობიოგრაფიულობასთან დაკავშირებით. ამგვარი მსჯელობის საფუძველზე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ რუსთაველი ტარიელში თავის თავს, ხოლო ნესტან-დარეჯანში - თამარ მეფეს მოიაზრებს. პოემაში ნათქვამია, რომ, როცა ნესტან-დარეჯანი დაიბადა, ტარიელი 5 წლისა იყო. აქედან გამომდინარე, მკვლევრები ასკვნიან, რომ რუსთაველი თამარის დაბადებამდე 5 წლით ადრე, 1160-1165 წლებში, ყოფილა დაბადებული (ვ. კუპრავა, ლ. ვარდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. ცაიშვილი...).

ამგვარი მსჯელობა, მართალია, საფუძველსმოკლებული არ არის, თუმცა ნაკლებად სანდოა და მეტ მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საქმე გვაქვს მხატვრულ ლიტერატურასთან, ამდენად სახე-სიმბოლოებისა და ალეგორიების დოკუმენტურ ცნობად გამოყენება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული.

ამრიგად, პოემისა და ჯვრის მონასტრის ცნობების საფუძველზე დგინდება, რომ შოთა რუსთაველი მოღვაწეობდა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე და იყო სამეფო კართან დაახლოებული პირი, თამარისა და დავითის ზეობისას ეკავა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. რაც შეეხება რუსთაველის წასვლას იერუსალიმში, მეცნიერები სხვადასხვა გარემოებებს ასახელებენ, ზოგჯერ კი საერთოდ გამორიცხავენ მის გამგზავრებას და მიიჩნევენ, რომ რუსთაველმა შესაძლოა საქართველოდანვე მოახატვინა მონასტერი (ლ. მენაბდე, ა. ბარამიძე...). რუსთაველის ჯვრის მონასტერში გამგზავრება დაკავშირებულია იძულებასთან, რომ თითქოს პოემის დაწერის შემდეგ განდევნეს იგი ქვეყნიდან. ასევე, მის გამგზავრებას აკავშირებენ ბრძანებასთან - სამეფო კარმა გაუშვა იერუსალიმში ჯვრის მონასტრის რესტავრაციის მიზნით.

განსხვავებულია იერუსალიმში მოღვაწეობის დროს მის სოციალურ სტატუსთან დაკავშირებული შეხედულებებიც. არსებობს ვარაუდი, რომ რუსთაველი ბერად აღიკვეცა. ამის საპირისპიროდ მეცნიერთა ნაწილი მის ერისკაცობას ასაბუთებს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ვერსიებთან, რომელთა დასაბუთება პირველხარისხოვან აუცილებლობას წარმოადგენს.

ა. ხალვაში მიიჩნევდა, რომ პოემის ავტორის ჯვრის მონასტერთან დაკავშირება არის მითი, რომელიც სასულიერო პირებმა შექმნეს და ხალხში გაავრცელეს. აღაპებში შოთა მეჭურჭლეთუხუცესი არა მე-13, არამედ მე-17 საუკუნეში შეუტანიათ. მეცნიერის მოსაზრებით, ჯვრის მონასტრის პორტრეტი არ ეკუთვნის პოემის ავტორს, რამდენადაც ჯერ კიდევ უცნობია მისი ნამდვილი სახელი. ამდენად მნიშვნელოვანია ავტორი იწოდებოდეს რუსთველად, როგორც ეს ტექსტშია მოცემული (**ხალვაში, 1991:188-90**).

მეცნიერთა განხილვის საგანია რუსთაველის რელიგიური აღმსარებლობის საკითხიც. ბიოგრაფიული მასალების სიმწირიდან გამომდინარე ავტორზე მსჯელობა მხოლოდ მისი შემოქმედებითაა შესაძლებელი. მკვლევართა დიდი ნაწილი მწერლის რელიგიურ მრწამსზე ტექსტის მიხედვით მსჯელობს, რაც არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს რუსთაველის ქრისტიანობის თეორია და თანდათან უფრო ვითარდება და მყარდება სხვადასხვა არგუმენტებით (კ. კეკელიძე, პ. იოსელიანი, ვ. ეკაშვილი, ვ. ნოზამე...). მეოცე საუკუნიდან ფეხს იკიდებს რუსთაველის ანტიქრისტიანულობის თეორია, რომლის ყველაზე გავრცელებული სახეა ნიკო მარის მიერ შემოთავაზებული მაჰმადიანურობის თეორია. ნ. მარი რუსთაველის პოემას სპარსულიდან თარგმნილად მიიჩნევდა, თუმცა მოგვიანებით უარყო თავისი მოსაზრება და რუსთაველი ორიგინალური პოემის ქრისტიან მწერლად მიიჩნია (**ტატიშვილი, 2000:15**).

არსებობს პოეტის ათეისტურობის თეორიაც, რომელსაც ვხვდებით აკაკი გოგუას შრომებში. მეცნიერის მოსაზრებით, რუსთაველის გმირები არარელიგიური ადამიანები არიან, არ აღიარებენ საიქიოს, აქტიურად იბრძვიან ამქვეყნიური ბედნიერებისთვის, პოემაში არ ხდება სასწაულები, ავთანდილის ლოცვას მხატვრული

დატვირთვა აქვს და არა რელიგიური, ხოლო პოემის დასაწყისში ნახსენები ღმერთი ერთგვარი ხარკი იყო შუასაუკუნეობრივი აზროვნებისთვის (გოგუა, 1965).

რელიგიურ მიმდინარეობებზე ვრცლად საუბრობს ე. ხინთიბიძე „ვეფხისტყაოსნის“ განხილვისას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი მე-12 საუკუნის ქრისტიანული საქართველოს მკვიდრია, მისი აღმსარებლობა ქრისტიანულია, აქვს ქრისტიანული, ბიბლიური ცოდნა, მრწამსი და ირონიით უმზერს მაჰმადიანურ რელიგიას (ხინთიბიძე, 2009:21). აქვე დავსძენთ იმასაც, რომ რუსთაველის აქტიური მოღვაწეობა ჯვრის მონასტერში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის რელიგიურ მრწამსს და თუკი ჩვენ ავთენტურად მივიჩნევთ მის ბიოგრაფიულ ცნობებს ჯვრის მონასტერში მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ცხადია, რელიგიურ მრწამსზე საუბრისას ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელი იქნება.

ბევრად მრავალფეროვან სურათს ქმნის რუსთაველის მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიური შეხედულებების ანალიზი. ე. ხინთიბიძის ნაშრომზე „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო“ დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობა უკიდეგანოა და მისი სიღრმისეული და ამომწურავად შესწავლა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მეცნიერის მოსაზრებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორ მეთოდოლოგიურ კვლევას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოდ მწერალი თავის შემოქმედებაში ძირითადად საკუთარ შეხედულებებს ავითარებს, ეს არ გვიქმნის საფუძველს, ნაწარმოებში გამოვლენილი რელიგიურ-ფილოსოფიური ნიუანსები ცალსახად ავტორისეულად მივიჩნოთ. პერსონაჟებისა და მწერლის აზროვნებათა იდენტურობა მცდარი აპრიორია კვლევის პროცესში, რაც, ცხადია, არასწორი დასკვნების გაკეთების საფრთხეს ქმნის. მნიშვნელოვანია, კვლევის დასაწყისშივე განისაზღვროს, კვლევის ობიექტი მწერალი იქნება თუ პოემა. ამ გზით ბევრად გამარტივდება და ნაყოფიერი გახდება მკვლევართა მიერ გაწეული სამუშაო. გამომდინარე იქიდან, რომ მეცნიერთა კვლევის საგანი ძირითადად „ვეფხისტყაოსანია“, ცალსახად უნდა აღინიშნოს სამეცნიერო ნაშრომში, რომ მწერლის შემოქმედებაში წარმოდგენილი იდეურ-ფილოსოფიური შეხედულებები პოემისეულია და არა რუსთაველისეული (ხინთიბიძე, 2009:21-22).

ამავე ნაშრომში ე. ხინთიბიძის მიერ სამართლიანადაა აღნიშნული, რომ მნიშვნელოვანია, მეცნიერი არ შემოიფარგლოს ოდენ ერთი კონკრეტული მსოფლმხედველობით, თავი არ უნდა ავარიდოთ რამდენიმე შეხედულების ერთდროულად გამოვლენას პოემაში, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, რუსთაველის შემოქმედება მეტად მრავალპლანიანია, რაც საშუალებას გვაძლევს, რამდენიმე ფილოსოფიური მიმდინარეობის ნიშნები ერთდროულად, ერთი ტექსტის ფარგლებში, გამოვაკლინოთ **(ხინთიბიძე, 2009:25-26)**. სწორედ ამგვარი მიდგომის არარსებობამ განაპირობა ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებების ჩამოყალიბება რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. რუსთაველი დღემდე არაერთი ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლად იქნა დასახელებული, ჩვენ კი ვემხრობით ე. ხინთიბიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ბაზისს შეადგენს სამი მიმართულების აზროვნება: ქრისტიანული თეოლოგია, რომელიც მოიცავდა შუასაუკუნეების ბერძნულენოვან ქრისტიანულ ლიტერატურას და მათ თარგმანებს, გადამუშავებულს ქართული თვალთახედვით; პლატონური და ნეოპლატონური ფილოსოფიიდან მომდინარე ფსევდო დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობა; არისტოტელეს ფილოსოფია, რომელიც ავტორით არ სახელდება, მაგრამ გამოვლენილია არისტოტელიზმის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც მოქმედებენ პერსონაჟები, ასახულია არისტოტელეს მოძღვრებები სულის თაობაზე, მეტაფიზიკური აზროვნების სხვადასხვა დეტალები, ეთიკის ძირითადი პრობლემები და ა.შ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული ფილოსოფიური იდეების გამოვლენა არ ნიშნავს იმას, რომ რუსთაველი ნეოპლატონიკოსი ან არისტოტელიანელია. პოემაში გამოხატული თითოეული იდეოლოგია შემოქმედებითად ერწყმის ერთმანეთს და ქმნის ორიგინალურ მხატვრულ ტექსტს, რომელსაც მშობლიური ლიტერატურა უქმნის საფუძველს, ქართული ფესვები აქვს **(ხინთიბიძე, 2009:41-49)**.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მწერლის შეხედულებების ფორმირებაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოთხმა ძირითადმა წყარომ: XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე, ქართული

ეროვნული ტრადიციები, ქრისტიანული მორალი და არისტოტელეს ეთიკური შეხედულებები (ხინთიბიძე, 2009:428-29). თითოეული მათგანის როლი მკვეთრად დაასახული პოემაში და მათი უგულვებელყოფა ან გამორჩევა შეუძლებელია.

რუსთაველმა სიღრმისეულად შეისწავლა მისი წინამორბედი თუ თანამედროვე მსოფლმხედველობრივი საკითხები და ზედმიწევნით ზუსტად განჭვრიტა თავისი დროის სოციალ-პოლიტიკური, კულტურული ვითარება, თამამად შეძლო რენესანსული, ჰუმანისტური იდეების გატარება თავის პოემაში ისე, რომ მაქსიმალურად შთამბეჭდავად ეჩვენებინა მკითხველისთვის ადამიანის ღირებულება, მნიშვნელობა ამ სამყაროში და გამოეხატა უსაზღვრო პათოსი მის მიმართ. სწორედ ამან განაპირობა მშობლიური და უცხო ერის მარადიული სიყვარული პოემის მიმართ.

## 2.2. პოემა „ვეფხისტყაოსანი“

რუსთაველის შემოქმედებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი პრობლემური საკითხია წამოჭრილი, რომელთა შესახებ მსჯელობა უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იღებს, იზრდება რუსთველოლოგიური ლიტერატურა და მასთან ერთად შეხედულებები პოემის ძირითად და მეორეულ საკითხებზე. მკვლევართა შესასწავლ მასალას ემატება ე.წ. „გაგრძელებათა ციკლები“ თავიანთი შინაარსობრივი და იდეური მრავალფეროვნებით.

ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებიდან იწყება „ვეფხისტყაოსანში“ გაგრძელებათა ციკლების ჩართვა და ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდება. მეტიც, სწორედ XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე იქმნება ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის „ომინიანი“ - დამოუკუდებელი თხზულება, რომელიც პოემის გაგრძელებათა ციკლების გაგრძელებაა. „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ადრეული ინტერპოლაციები სარგის თმოგველსა და ვინმე მესხ მელექსეს ეკუთვნით. შემდგომი დროის ინტერპოლატორები იყვნენ ნანუჩა (იგივე მანუჩარ ციციშვილი), თბილისის მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე და გასპარ ბაღდასარაშვილი – XVII საუკუნის

მოღვაწეები. პოემის ბოლო ინტერპოლატორი გიორგი თუმანიშვილი კი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა (ხალვაში, 2015:25-27).

მიჩნეულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ რედაქციაში დამატებული სტროფების რიცხვი 650-ს აღემატება. მათი ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ოთხტომეულში, რომელსაც საფუძვლად დაედო ს. ყუბანეიშვილის გამოცემა: „ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით“ (1956 წ.). პოემის ყველაზე ვრცელი ძირითადი ტექსტი, რომელიც 1745 სტროფს შეიცავს, კონსტანტინე ჭიჭინაძის (1934 წ.) რედაქციით არის გამოცემული. აკადემიურ გამოცემებში კი სტროფების რიცხვი ცვალებადია: 1957 წლის გამოცემაში 1669 სტროფია, 1966 წლის გამოცემაში – 1598 სტროფი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის 1988 წლის გამოცემაში – 1666 სტროფი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის გამოცემაში – 1543 სტროფი. ფაქტობრივად, კ. ჭიჭინაძისეული გამოცემა შეიცავს ყველა იმ სტროფს (გარდა 1866-ე სტროფისა), რომლებიც ერთხელ მაინც იყო შეტანილი ამა თუ იმ ბეჭდურ, მათ შორის, აკადემიურ გამოცემაში (ხალვაში, 2015:25-33). ე. წ. „მოკლე რედაქცია“, შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ზაზასეული Q-1082 ხელნაწერის (გადამწერ-ინტერპოლატორი - იოსებ სააკაძე) საფუძველზე, ვახტანგ VI-მ გამოქვეყნა და თარიღდება 1712 წლით. ვახტანგისეულ რედაქცია პირველი ბეჭდური გამოცემაა და შეიცავს 1587 სტროფს<sup>6</sup>.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულად აღებულია თამარის გამეფება, ავტორს კი ალეგორიულად, „შეფარვით“ და მხატვრულად აღუწერია თამარის სამეფო კარის ისტორია, რათა შეენიღბა მისი თანამედროვე რეალობა და დაეცვა პოემა განადგურებისგან. სწორედ ამას ემსახურება „სპარსული“ ამბის „გარდათქმა“:

„ესე ამბავი **სპარსული**, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,  
ვპოვე და ლექსად **გარდავთქვი**, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,  
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები (0.9).

<sup>6</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტფილისი, 1712.

დღეისათვის მეცნიერთა უმრავლესობისთვის სადავო აღარ არის ის ფაქტი, რომ ნესტან-დარეჯანისა და თინათინის მხატვრული სახეები თამარ მეფის ორმხრივ ცხოვრებას - ბედნიერსა და ტრაგიკულს - განასახიერებს.

მიუხედავად ქართული ისტორიული რეალიების გამოვლენისა პოემაში, მეცნიერებს მაინც უწევთ იმის დასაბუთება, რომ პოემა ნამდვილად ქართულია. მართალია, პოემაში სამოქმედო ასპარეზი უცხო სივრცეა, ასევე უცხოურია პერსონაჟთა სახელები, გარდა თინათინისა, თუმცა ტექსტის წაკითხვისთანავე ნათელი ხდება ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი მკაფიო ნიშან-თვისებები, ეროვნული მახასიათებლები, რომელთა გამოვლენა უცხო ერის სინამდვილეში რთულად წარმოსადგენია. ვ. ნოზაძის მოსაზრებით, „უეჭველია, ქართული პატრონჟიმობა არის მხოლოდ ქართული და ეს ქართული ფეოდალიზმი აღმოცენებულია ქართულ ნიადაგზე და მას არა აქვს კავშირი არც მხოლოდ სპარსულ, არც არაბულ, არც ბიზანტიურ და არც სომხურ წესწყობილებასთან, იგი ენათესავება ევროპულს და მისგან დამოუკიდებლად არის განვითარებული. ეს ქართული ფეოდალიზმი, რომელსაც ჩვენი ისტორიული მასალებით ვიცნობთ, წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსანში“. ამგვარად, ეს შესანიშნავი რომანი ქართული ცხოვრების შუა საუკუნეთა ადრე ხანის სახეობრივ აღწერას, თუმცა ძალიან ძუნწს, წარმოადგენს წყობილი სიტყვითა და ნაირი ფერებით. ამიტომ სრულებით ბუნებრივია ის შეხედულება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული ცხოვრების რომანი და მას არც შინაარსობრივ და არც მსოფლმხედველობით არავითარი კავშირი არა აქვს „არც სპარსულ, არც ინდურ, არც არაბულ და არც სხვა რომელიმე ერის ცხოვრებასთან“ (ნოზაძე, 1958:28).

„ვეფხისტყაოსანი“, პირდაპირ თუ ირიბად, ასახავს ქართველი ერის კულტურას, სახელმწიფოებრიობას, ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XII-XIII საუკუნეების საქართველოზე. ავტორი ყველა თვალსაზრისით, ფორმისა და შინაარსის სრული ჰარმონიულობით, მშობლიური „ტკბილ-ქართულით“, ღრმა პატრიოტიზმით ქმნის ყველა დროისა და სივრცის

უკვდავ, უბადლო პოემას, რომელიც მტკიცედ უკვალავს გზას ეროვნულ კულტურას მსოფლიო ასპარეზზე.

გარდა მომხრეებისა, რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ შექმნისთანავე გამოუჩნდა არაერთი მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით საეკლესიო წრიდან, რომლებიც გამოხდნენ პოემის შინაარსობრივ და იდეოლოგიურ მხარეებს, განსაკუთრებით უწუნებდნენ ავტორს ქრისტიანული დოგმების გამოუყენებლობას, რაც, ცხადია, უაღრესად თამამი განაცხადი იყო რუსთაველის ეპოქისათვის. საერო მოტივებზე შექმნილი პოემა დაცლილია ყოველგვარი რელიგიური დოგმებისაგან და უმთავრეს ღირებულებად ადამიანს წარმოაჩენს, რაც საეკლესიო წრისთვის „მკრეხელობად“ ითვლებოდა. ავტორსა და მის მომხრეებს საუკუნეების განმავლობაში უწევდათ იმის მტკიცება, რომ პოემის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა არა თუ უპირისპირდება სულიერებას, პირიქით, ეხმიანება მას და მთავარ ძალად ღვთაებრივ სიყვარულს მიიჩნევს. სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ დაცვასა და გადარჩენას ემსახურებოდა ვახტანგ VI-ის „თარგმანები“ და ბეჭდური გამოცემა. მიუხედავად წინააღმდეგობრიობისა, რუსთაველმა მაინც შეძლო თავისი სათქმელის ჩვენამდე, თანამედროვე მსოფლიომდე, მოტანა და ღირსეულის ადგილის დაჭერა მსოფლიო ლიტერატურაში.



### III თავი

#### „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მცდელობები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით. დღეისათვის „ვეფხისტყაოსანი“ ორმოცდაათზე მეტ ენაზეა თარგმნილი, ხოლო გამოცემათა რაოდენობა სამასოთხმოდს აღემატება. თარგმანები სხვადასხვა ფორმითა და სტილითაა შესრულებული, მათი ნაწილი გალექსილია, ნაწილი კი პროზაული სახითაა გადატანილი. თარგმანთა შორის, ასევე, გვხვდება არასრული თარგმანები ნაწყვეტების სახით (ბარამიძე, 1966:359). თითოეული მცდელობა, თავის მხრივ, განაპირობებდა შემდგომ მთარგმნელობით საქმიანობას და დადებითად აისახებოდა პოემის სხვადასხვა ენებში გავრცელების განვითარებად პროცესზე.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის იდეა ჩაისახა პეტერბურგში მყოფ ქართველოლოგთა წრეში (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვ.). ლ. ანდლულაძის ცნობით, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის კერა პეტერბურგში გაძლიერდა განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც იქ ერეკლე II-ის მრავალრიცხოვანი და განათლებული შთამომავლობა ჩავიდა. მათთან ურთიერთობის შედეგად შექმნა კიევის მიტროპოლიტმა, ევგენი ბოლხოვიტინოვმა, ერთ-ერთი პირველი წიგნი საქართველოს შესახებ, რომელიც 1802 წელს გამოიცა პეტერბურგში. ეს არის პირველი არაქართულენოვანი ნაშრომი, რომელშიც რუსთაველი მოხსენიებულია გენიოს პოეტად. სწორედ ამ წიგნში გამოაქვეყნა ევგენი ბოლხოვიტინოვმა პოემის პირველი სტროფის სიტყვასიტყვითი თარგმანი და ამით ხელი შეუწყო „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ინტერესის გაჩენას ლიტერატურულ წრეებში (ანდლულაძე, 1968:104-188).

1845 წელს პოეტმა იპოლიტე ბარტდინსკიმ თეთრი ლექსის ფორმით თარგმნა რუსთაველის პოემის 142 სტროფი და გამოსცა ჟურნალ „ილუსტრაციაში“, პეტერბურგში, სათაურით: „*Тариель – Барсова Кожа*“. თარგმანი მოიცავს შესავალსა და შემდეგ თავებს: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „ნახვა არაბთა მეფისგან მის ყმისა“ „ვეფხისტყაოსნისა“ და „აქა წიგნი ავთანდილისა ყმათა მიმართ“. ეს იყო პირველი

ვრცელი თარგმანი, რომელიც გრიგოლ დადიანისა და დავით ჩუბინაშვილის მხარდაჭერით შესრულდა და ეყრდნობოდა ჩუბინაშვილისეულ პწკარედებს. მოგვიანებით გრიგოლ დადიანმა სცადა სრულყოფილად თარგმნილიყო პოემა რუსულ ენაზე და თხოვნით მიმართა საიმპერატორო კარს, გამოეყო მინიმალური სახსრები და ი. მეუნარგიას, ალ. ცაგარელის, ილ. ჭავჭავაძისა და ი. ტხორჟევსკის თანამშრომლობით შესრულებულიყო „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი, თუმცა დაგეგმილი წამოწყება ვერ განხორცილედა, რადგან რუსეთის სამეფომ დაფინანსება არ გასცა (ზარამიძე, 1966:361).

1846 წ. პოემის ერთი თავის თარგმანი გამოაქვეყნა ივ. ევლახოვმა (ევლახიშვილმა). თარგმანი საკმაოდ სუსტი იყო, რის გამოც გადაწყდა განმეორებით თარგმნილიყო პოემა. 80-იან წლებში ევლახოვი კვალავ ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას, თუმცა ნაშრომი აღარ გამოქვეყნებულა და დაკარგულად ითვლება.

პოემის რუსულად თარგმნა სცადა ევგ. სტალინსკიმ. მან 1885 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პროლოგის თარგმანი, რომელიც პროზაულად იყო შესრულებული. გ. ასატურმა პირველად თარგმნა პოეტურად ხალხური თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი - „რუსთაველის სიყვარული“. 1896 წ. თბილისში გამოიცა ა. ნარიმანოვის წიგნი „შოთა რუსთაველის პოემის შესახებ“, რომელშიც პოეტის ბიოგრაფიის გვერდით გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი პროზაულად. პოემის პირველი 12 სტროფის მაღალხარისხოვანი თარგმანი მოგვცა ახალგაზრდა პოეტმა ვ. ტერიანმა. მოგვიანო ხანებში რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ ითარგმნა ფრაგმენტულად სხვა მთარგმნელების მიერაც. პოემის თარგმნის მცდელობა ჰქონდათ ს. შარტს, ვ. დერჟავინს, პ. ანტოკოლსკის, ს. სკლიჩკოვს და სხვ.

ლ. ანდლულაძე ასახელებს ორ გამოუქვეყნებელ რუსულ თარგმანს - ნიკოლოზ მზარეულოვის (1873-1962) მიერ შესრულებული ნესტან-დარეჯანის წერილის თარგმანი, 1292-1310 სტროფები, და მათემატიკოს დიმიტრი თურგიას (1872-1947) თარგმანები, რომლებსაც, მეცნიერის მტკიცებით, აშკარად ეტყობა შ. ნუცუბიძისა და პ. პეტრენკოს გავლენის კვალი (ანდლულაძე, 1966:11). მეცნიერის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსნის“ ადრეული თარგმანები ვერ ამალდა ორიგინალამდე, თუნდაც

იმიტომ, რომ მათი ავტორები რუსთაველისა და მისი პოემისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, არ იყვნენ დაჯილდოებული მაღალი პოეტური ნიჭით. ამ საქმეს მათ მოახმარეს მთელი თავიანთი ცოდნა და უნარი, მაგრამ ამაოდ გვარწმუნებდნენ, რომ ამით ამოიწურება შესაძლებლობა, რომელიც ხელთ აქვს „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს. მათი დამარცხება, შესაძლოა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ სათარგმნი ნაწარმოები მთარგმნელის ტემპერამენტის ფოკუსში არ მოხვედრილა“ (ანდლულაძე, 1972:10).

მეოცე საუკუნეში გააქტიურდა პოემის სრულყოფილად თარგმნის სურვილი და მცდელობა. „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე შესრულდა ექვსჯერ და არაერთგზის გამოიცა, შეიქმნა მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური ლიტერატურა რუსულ ენაზე, რაც ძალიან დიდი მონაპოვარია ქართული სამეცნიერო ლიტერატურისათვის. სწორედ რუსული თარგმანებისა და ნაშრომების საფუძველზე შეიქმნა არაერთი აღმოსავლურ- თუ დასავლურენოვანი თარგმანი პოემისა და გაღვივდა ინტერესი მთარგმნელობითი და რუსთველოლოგიური საქმიანობის განსავითარებლად.

### 3.1. კონსტანტინე ბალმონტის თარგმანი

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე შექმნა კონსტანტინე ბალმონტმა. თარგმანი თავდაპირველად ნაწილობრივ გამოიცა მოსკოვში 1917 წელს, სრული თარგმანი კი 1933 წელს შესრულდა. იმავე წელს თარგმანი დავით ხელაძის მიერ დაარსებულ სტამბაში, პარიზში, 750 ეგზემპლარად დაიბეჭდა და საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. მოგვიანებით, 1935 წელს აღნიშნული თარგმანი გამოიცა თბილისში, არსებობს 1937 წლის გამოცემაც. ბალმონტისეული თარგმანი ეყრდნობა ვახტანგისეულ გამოცემას (მეგრელიძე, 1970:243). მთლიანობაში ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ სულ თერთმეტჯერ გამოიცა, რაც თარგმანის მიმართ გამოხატულ ინტერესსა და ყურადღებაზე მეტყველებს.

ბალმონტი პოემას ოლივერ უორდროპის საშუალებით გაეცნო და პოემასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები რუს მკითხველს გაუზიარა გაზეთში „რუსკოე სლოვო“. მოგვიანებით წერილი გადმობეჭდეს ქართულ გაზეთ „თემში“, სადაც პირველად გამოვლინდა ქართულ საზოგადოებაში პოემის მიმართ უცხოელთა ინტერესი (**ანდლულაძე, 1972:10-25**). ბალმონტმა სიყვარულის მეხოტბეთა ბრწყინვალე ოთხეულში იტალიელ გენიოსებთან (დანტე, პეტრარკა, მიქელანჯელო) ერთად შოთა რუსთაველიც დააყენა და, მეტიც, მათზე აღმატებულად მიიჩნია. იგი წერდა: „როგორც ჰომეროსია ელადა, დანტე - იტალია, შექსპირი - ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი - ესპანეთი, ასევე რუსთაველი საქართველოა“ (**ტატიშვილი, 2000:9**). თავისი სიტყვების დასტურად ბალმონტს მოჰყავს მის მიერვე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანის“ ფრაგმენტი და არაერთი არგუმენტით ასაბუთებს პოემის სიდიადეს.

კ. ბალმონტი შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი გახლდათ. მწერალი გატაცებით სწავლობდა უცხო ენებს, რათა ორიგინალში წაეკითხა შედეგები. სწორედ ამ მიზნით შეუდგა ქართული ენის სიღრმისეულ დაუფლებას და მალევე შეძლო ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის არამხოლოდ გაცნობა, სრული პოეტური სახით თარგმნაც (**ანდლულაძე, 1972:6**). გარდა თარგმანისა, ბალმონტი პოემის პოპულარიზაციას აქტიური რუსთველოლოგიური და პედაგოგიური მოღვაწეობითაც ცდილობდა და შესანიშნავად ახერხებდა კიდევ ამას.

რაც შეეხება თარგმანს, მეცნიერთა შორის აზრთასხვადასხვაობაა მის მხატვრულ ღირებულებასა და თარგმნის ხარისხთან დაკავშირებით. მიუხედავად ბალმონტის თარგმანის უდიდესი ლიტერატურული მნიშვნელობისა, იგი მაინც უარყოფითად შეფასდა მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ, რამდენადაც მთარგმნელმა თვითნებურად შეცვალა დედნის როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმალური მხარეც - გამოიყენა ორიგინალისათვის შეუსაბამო შინაგანი რითმები და საკუთარი ინტერპრეტაციით განავრცო ტექსტი (**ხალვაში, 2015:20**). ალ. ბარამიძის მტკიცებით, „ეს არ არის თარგმანი, ეს არის ქართული ტექსტის თავისებური რუსული გარდაქმნა, ეს არის მანევრული თარგმანი“ (**ბარამიძე, 1966:363**).

ს. იორდანაშვილი დადებით შეფასებას აძლევს ბალმონტის თარგმანს. მისი მოსაზრებით, ბალმონტი „ბგერათა ორკესტრულობით“ აახლოებს თარგმანს დედანთან, რაც რუსული ენის მხატვრულობით, ბალმონტისეული ნეოლოგიზმებით გახდა შესაძლებელი. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ საგრძნობი თავისუფლებით ეპყრობა ტექსტს, რაც გამოიხატება როგორც ფორმასა და შინაარსში, ასევე პოემის მხატვრული მახასიათებლების, ეპითეტების სახეცვლილებაში. დედანსა და თარგმანს შორის არ არის მხატვრულ-შემეცნებითი სრული შესატყვისობა:

ა) არ იცავს სტროფულ-სტრიქონულ მოცულობას, გვხვდება უთარგმნელი და ზედმეტი ელემენტები, რაც იწვევს აზრობრივ ცვლილებას.

ბ) ირღვევა მხატვრული კომპოზიცია, რაც განპირობებულია დედანისეული აზრის სტრიქონიდან სტრიქონზე თავისუფალი გადატანით.

გ) თარგმანს დედანთან ამორებს მიზანმიმართულად ან შეგნებულად არასწორად თარგმნილი სტრიქონები (**იორდანაშვილი, 1964:72**). ყოველივე ეს განაპირობებს მკვეთრ აცდენებს დედანსა და თარგმანს შორის, რასაც არასწორი გზით მიჰყავს თარგმანის მკითხველი.

ვ. გაფრინდაშვილი მიიჩნევს, რომ მიუხედავად ბალმონტისეული თარგმანის მაღალმხატვრული ღირებულებისა, პოემა დედანთან შეუსაბამოდაა თარგმნილი, „გადაქცეულია ზღაპრად“, დაკარგული აქვს ფილოსოფიური შინაარსი და მუსიკალურობა (**გაფრინდაშვილი, 1937:4**). მთარგმნელი გვთავაზობს თავისუფალ თარგმანს და ახალ ჩარჩოს ქმნის დედანის სიუჟეტისთვის.

მიუხედავად მკაფიო მთარგმნელობითი ხარვეზებისა, ბალმონტის თარგმანი არის უდიდესი მნიშვნელობის მქონე, როგორც რუსულ ენაზე შესრულებული პირველი სრული პოეტური თარგმანი. გარდა ამისა, აღნიშნულმა თარგმანმა გარკვეული ბიძგი მისცა პოემის სრულყოფილად თარგმანსა და პოპულარიზაციას. ბალმონტის თარგმანი ძალზედ აქტუალური იყო იმ ეპოქისთვის, საფუძვლად დაედო სხვა თარგმანებსა და რუსთველოლოგიურ ნაშრომებს, რაც მის მნიშვნელობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს.

### 3.2. შალვა ნუცუბიძის თარგმანი

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირში გამართულმა ღონისძიებებმა 750-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით. რუსულის გარდა, პოემა ითარგმნა უკრაინულ, ბელარუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, ყაზახურ, ოსურ, ჩეჩნურ, ებრაულ, ტაჯიკურ, ბაშკირულ, ჩუვაშურ, თათრულ, უნგრულ, რუმინულ, მოლდოვურ, პოლონურ, ჩეხურ, ესპანურ ენებზე.

რუსთაველის საიუბილეოდ შეიქმნა ერთ-ერთი სრული, პოეტური, შეუდარებელი ოსტატობით გამორჩეული თარგმანი, შესრულებული შალვა ნუცუბიძის მიერ, რომელიც საბჭოთა კავშირის მკაცრი რეჟიმის პირობებში, მეტიც, პატიმრობაში, შეუსრულებია მეცნიერს სსრკ-ს ბელადის, სტალინის განკარგულებით. 1937 წელს „ლუბიანკის“ ციხეში პატიმრობის დროს სიკვდილით დასჯას მთარგმნელი სწორედ პოემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის მეშვეობით გადაურჩა. ნუცუბიძემ პოემის თარგმანი დაასრულა 1939 წლის მაისში, მაგრამ თარგმანის პირველი ვარიანტი სტალინს დაუწუნებია და შენიშვნების გათვალისწინებით 1941 წელს გამოუციათ, რომელშიც თვით სტალინის მიერ თარგმნილი ერთადერთი (1416-ე) სტროფიც იყო შეტანილი. შემდეგ უკვე 1943 წელს ბერლინში ქართველი ტყვეებისთვის მინიატურებით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის გამოცემასაც გრიგოლ რობაქიძე ხელმძღვანელობდა<sup>7</sup>. მთლიანობაში ნუცუბიძის მიერ შესრულებული თარგმანი 14-ჯერ გამოიცა და მნიშვნელოვნად გაზარდა პოემის მიმართ რუსულენოვანი მკითხველის რაოდენობა და ინტერესი.

შალვა ნუცუბიძე უდიდესი ფილოსოფოსი და რუსული ენის შესანიშნავი მცოდნე გახლდათ. ის ხშირად თარგმნიდა მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებს, მათ შორის პოეზიას. სწორედ ამან შეუწყო ხელი მეცნიერს, მაღალმხატვრულ დონეზე შეესრულებინა თარგმანი. მიუხედავად იმისა, რომ მას არ გამოუყენებია

---

<sup>7</sup><https://for.ge/view/162987/ra-wvlili-Seitana-stalinma-qarTul-literaturaSi.html>,

<http://reportiori.ge/old/?menuid=68&id=78792>, <http://genia.ge/?p=31412>, <http://old.tsas.ge/?p=1963>.

რუსთველური რითმა - თექვსმეტმარცვლიანი შაირი, ასევე მაღალი და დაბალი შაირის ნაცვლად გამოიყენა ქალური და ვაჟური რითმა, მან მაინც შეძლო, პოემა თარგმანში წარმოედგინა იმავე ჟღერადობით, როგორც ორიგინალი იყო. როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი მახასიათებლებით მკვეთრად გამოირჩევა ნუცუბიძისეული თარგმანი სხვა რუსულ თარგმანებს შორის, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მის მთარგმნელობით შესაძლებლობებზე (ბარამიძე, 1966:370).

რუსთველოლოგთა დიდი ნაწილის შეფასებით, ნუცუბიძემ შეძლო რუსთაველის როგორც იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის, ასევე, სტილისა და მანერის, რითმის, მხატვრული მახასიათებლების გადატანა თარგმანში და მაქსიმალური სიზუსტით გამოავლინა პოემის გმირთა ხასიათები, მხატვრული სახეები, იდეები, რომლებიც ეხმიანება რენესანსულ ეპოქას.

### 3.3. არჩილ ხალვაშისეული თარგმანი

მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში იქმნება კიდევ ერთი სრული რუსულენოვანი თარგმანი, შესრულებული არჩილ ხალვაშის მიერ. თარგმანი გამოიცა 2015 წელს რამაზ ხალვაშის რედაქციით<sup>8</sup>. ხალვაშისეული თარგმანის აღნიშნული გამოცემა ორენოვანია და ახლავს რედაქტორის ვრცელი წინასიტყვაობაც, რომელშიც დეტალურადაა გადმოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა, ბეჭდურ გამოცემათა და თარგმანთა მოკლე ისტორია.

ა. ხალვაშის აღნიშნული თარგმანი, რომელზეც მთარგმნელი რვა წლის განმავლობაში მუშაობდა, საყურადღებოა სისრულის მხრივ, კერძოდ, რედაქტორის აზრით, თარგმანში მაქსიმალური სიზუსტითაა გადატანილი დედნის როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმოზრივი მხარეც, მთარგმნელს ზედმიწევნითი სიზუსტით გადააქვს პოემის მხატვრული ნიუანსები, მაქსიმალურად ინარჩუნებს მეტრულ წყობას. როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსანი“ შესრულებულია მაღალი და დაბალი შაირით. მთარგმნელი სრულ შესაბამისობას იცავს და მეტიც, ერთადერთი სტროფი,

---

<sup>8</sup> გამოცემას ხელმძღვანელობდა მთარგმნელის ვაჟი - ემზარ ხალვაში.

რომელიც არა შაირით, არამედ ოცმარცვლიანი ფისტიკაურითაა შესრულებული, ასევე იმავე სალექსო ფორმით გადააქვს თარგმანშიც, რაც უდიდეს მთარგმნელობით ნიჭსა და საოცარ შემოქმედებით შესაძლებლობებზე მეტყველებს **(ხალვაში, 2015:39)**.

გამომცემლის თვალსაზრისით, კიდევ ერთი ღირებულება და სიახლე ხალვაშისეული თარგმანისა გახლავთ ის, რომ პირველად ითარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული რედაქცია - თარგმანში ძირითად ტექსტთან ერთად შეტანილია პოემის გაგრძელებები, რომლებიც ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტებს“. 2326 სტროფისა და ფრაგმენტიდან თარგმანში შეტანილია 2230 სტროფი, ხოლო 96 სტროფი გამოტოვებულია. თარგმანში დამუშავებული და გამართულია ინტერპოლატორების მიერ შექმნილ გაგრძელებათა კრიტიკული ტექსტები, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს მთარგმნელის პროფესიონალიზმს **(ხალვაში, 2015:41)**.

### **3.4. „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა თარგმანები**

„ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე შესრულებული აქვს გიორგი ცაგარელსაც. მეცნიერთა აზრით, ცაგარელისეული თარგმანის ენა მძიმე და რთულად აღსაქმელია, ტექსტი კი - მხატვრულობას მოკლებული **(ბარამიძე, 1966:369)**. თარგმანი ძირითადად ეყრდნობა ქართულ ტექსტს, თუმცა მთარგმნელი აქტიურად იყენებს ს. იორდანაშვილისეულ თარგმანსაც **(ხალვაში, 2015:21)**. მიუხედავად უარყოფითი შეფასებებისა თარგმანის მიმართ, ის მაინც სამჯერ გამოიცა და საკმაოდ მასშტაბურად გავრცელდა რუსულენოვან მკითხველში, რამაც პოემის პოლულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

ერთ-ერთი სრული პოეტური თარგმანი, შესრულებული რუსულ ენაზე, ეკუთვნის პანტელეიმონ პეტრენკოს. შ. ქართველიშვილის ინიციატივით თავდაპირველად მან მხოლოდ რამდენიმე სტროფი თარგმნა პოემიდან, შემდეგ კი კ. ჭიჭინაძის კონსულტაციითა და რედაქტორობით სრული ტექსტი გადათარგმნა გერმანული თარგმანიდან. ალ. ბარამიძის მოსაზრებით, პეტრენკოს თარგმანს



შენარჩუნებული აქვს ეპიკური სტილი, ჟღერს სასიამოვნოდ, თუმცა თარგმანში დაკარგულია მაღალი და დაბალი შაირის მახასიათებლები, შინაარსობრივი და მხატვრული ნიუანსები, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს თარგმანს (**ბარამიძე, 1966:369**). აღნიშნულ ხარვეზებს თავად მთარგმნელიც ამჩნევდა და სწორედ ამიტომ განუზრახავს მას, გაეგრძელებინა პოემაზე მუშაობა გაუმჯობესების მიზნით, თუმცა ტრაგიკული სიკვდილის გამო მიზნის განხორციელება ვერ შეძლო (**ხალვაში, 2015:21**). პეტრენკოს გარდაცვალების შემდეგ კიდევ ექვსჯერ გამოიცა თარგმანი და გავრცელდა რუსთაველის პოემით დაინტერესებულ საზოგადოებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაზე მუშაობდა ცნობილი რუსი პოეტი და მთარგმნელი, ნ. ზაბოლოცკი. თავდაპირველად მან გადაამუშავა პოემა ახალგაზრდა მკითხველებისთვის 1937 წელს, ხოლო 20 წლის შემდეგ, 1957 წელს, გამოსცა სრული პოეტური თარგმანი პოემისა. გამოცემის რედაქტორი იყო სიმონ ჩიქოვანი. გამოცემას ერთვის ილუსტრაციები, რომლებიც მხატვარ ს. ქობულაძეს ეკუთვნის, ასევე, თარგმანს დართული აქვს სარგის ცაიშვილის მიერ შესრულებული „შენიშვნები“ და „ზოგიერთ ტერმინთა, საკუთარ სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი“. მიუხედავად იმისა, რომ ზაბოლოცკი ცდილობდა მინიმალური ცვლილებებით გადაეტანა დედანი თარგმანში, მან მაინც ვერ წარმოაჩინა სრულყოფილად ქართული პოეზიის ბუნება და მაღალმხატვრულ ღირებულებები (**ბარამიძე, 1966:372**). აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ზაბოლოცკისეული თარგმანი გამოიცა ყველაზე მეტჯერ (64-ჯერ), რაც ლიტერატურულ წრეებსა თუ მკითხველში თარგმანის მიმართ გამოხატულ განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესზე მეტყველებს.

რუსულის გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ სრული და არასრული თარგმანები შედარებით გვიან შეიქმნა სხვა ენებზე. როგორც ს. იორდანიშვილი აღნიშნავს ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ევროპულ ენებზე“, ევროპელი მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში არ გამოხატავდნენ ინტერესს პოემის მიმართ. პირველი მეცნიერი, რომელმაც რუსთაველი „კვლევის საგნად დაისახა“, იყო მარი ბროსე. მან ახალგაზრდობაშივე, 1828-31 წლებში გამოაქვეყნა წერილები ქართული

ლიტერატურის, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. წერილებში პოემის ქებასთან ერთად მოცემულია კრიტიკაც, კერძოდ, მეცნიერი პოემას უწუნებს გაზვიადებასა და „აუტანელ გაჭიანურებას“ სიყვარულის თეორიის ანალიზისას. მანვე მოგვცა დასაწყისისა და პირველი თავის სტროფების პირველი პროზაული თარგმანი და ასევე მოკლე შინაარსი დანარჩენი სტროფებისა. ბროსე ამზადებდა სრულ თარგმანსაც, თუმცა მომზადებული თარგმანის სრულყოფა და გამოცემა ვეღარ შეძლო, რადგან ძირითადად ისტორიული კვლევა-ძიებითა და გამოცემებით იყო დაკავებული (იორდანიშვილი, 1953:179-183). მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ მ. ბროსემ წინასიტყვაობად დაურთო ძალზე საყურადღებო ნარკვევი, რომელშიც მეცნიერულად განიხილა პოემის პოეტური თავისებურებანი და იდეური მხარე. გამოცემა საინტერესოა რედაქციულადაც. ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარებით დამატებულია რამდენიმე ათეული სტროფი (48 შაირი) (ტატიშვილი, 2000:34-35).

მთარგმნელები ხშირად ეყრდნობოდნენ ქართველი მოღვაწეების თარგმანებს ან მათთან თანამშრომლობით თარგმნიდნენ პოემას, რის შედეგადაც თარგმანის ლიტერატურული ღირებულება და ხარისხი უდავოდ მაღლდებოდა. ამგვარი საფუძველი მომავალი მთარგმნელებისათვის შექმნა ი. მეუნარგიამ, რომელმაც გამოსცა პოემის შინაარსის რუსულენოვანი თარგმანი ორჯერ - 1888-90 წლებში. აღნიშნული თარგმანი იყო ერთ-ერთი გზამკვლევი ბალმონტისათვის რუსული თარგმანის შესრულების დროს. ამავე თარგმანს ეყრდნობოდა მ. ბოლხოვიტინოვი (ბარამიძე, 1966:363). იონა მეუნარგიას წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საგანგებოდ შეუკვეთა ფრანგულენოვანი თარგმანის შექმნა მხატვარ-ილუსტრატორ მიხაი ზიჩისთვის, რათა მისთვის გასაგები ყოფილიყო ტექსტის შინაარსი, უკეთ ჩასწვდომოდა მის მხატვრულ სიღრმეებს და მაქსიმალური სიზუსტით შეექმნა მინიატურები პოემისათვის. ი. მეუნარგიას მიერ შესრულებულმა თარგმანმა ძალზე გაუადვილა მუშაობა მხატვარს და საშუალება მისცა, საფუძვლიანად ჩასწვდომოდა პოემის სულს. მიხაი ზიჩიმ მთელი თავისი ნიჭი და გამოცდილება ჩააქსოვა ამ საქმეში და შესანიშნავი მინიატურები შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოეთში სურათების ცინკოგრაფიული დამუშავება თავად ზიჩიმ

შეუკვეთა, ხოლო საქართველოში ბეჭდვისა და რედაქციის მძიმე ტვირთი ივანე მაჩაბელმა იკისრა. გამოცემის მთელი ხარჯები გაიღო ქართველმა მეცენატმა გიორგი ქართველიშვილმა (**ტატიშვილი, 2000:38**). ი. მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანის საშუალებით გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“ ავსტრიელმა ლიტერატორმა, ბარონ არტურ ზუტნერმა, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა პოემას. სამწუხაროდ, მეუნარგიასეული თარგმანი ვერ გამოიცა, დაიკარგა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა პოემის მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარების პროცესი (**იორდანიშვილი, 1953:183-185**).

პოემის პროზაულად თარგმნის კიდევ ერთი ცდა ეკუთვნის კაზიმირ ლაფჩინსკის, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში პოლონურ ენაზე თარგმნა პოემის სრული ტექსტი და გამოსცა 1863 წელს ვარშავაში. თარგმნაში მონაწილეობდა გიორგი ერისთავი. პროზაული თარგმანი სიტყვასიტყვით მიჰყვება დედანს, მაგრამ გამოტოვებულია სტროფები, რომელთა შინაარსსაც მოკლედ გადმოსცემს მთარგმნელი (**ზარამიძე, 1966:363**).

პირველი სრული პოეტური თარგმანი დასავლეთ ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ჩნდება. 1889 წელს იბეჭდება არტურ ლაისტის მიერ შესრულებული სრული პოეტური თარგმანი გერმანულ ენაზე, თარგმნილი ჯვარედინად გამყოლი რითმით, თერთმეტმარცვლიანი ოქტავას გამოყენებით. პოემის ნაწილი თარგმნილია თეთრი ლექსის სახით, აკლია პროლოგი და ეპილოგი. აღნიშნული თარგმანი ვერ გამოირჩევა მაღალმხატვრულობით, თუმცა ის მაინც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოემის პოპულარიზაციას დასავლეთ ევროპაში (**ზარამიძე, 1966:363-364**).

ს. იორდანიშვილი გულისტკივილით შენიშნავს, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში „რუსთაველს არ აღმოაჩნდა ისეთი შემსწავლელი, რომ აღმოსავლელ თანამოძმეებთან ერთად, მასაც ფეხი შეედგა ევროპაში“. ეს ხარვეზი მეტნაკლებად შეავსო მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1912 წელს, მარჯორი უორდროპმა. მთარგმნელი პოემაზე 1891-1909 წლებში მუშაობდა, გარდაცვალების შემდეგ კი მისი საქმე გააგრძელა მისმა ძმამ, ოლივერმა, რომელმაც დაასრულა და წინასიტყვაობის

დართვით გამოსცა თარგმანი. უორდროპების პროზაულმა თარგმანმა მნიშვნელოვანი მასალა მისცა ევროპელ ორიენტალისტებს შემდგომი რუსთველოლოგიური და მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის (იორდანიშვილი, 1953:193-196).

1917 წელს გამოვიდა ბელა ვიკარის უნგრული თარგმანი, შესრულებული თექვსმეტმარცვლიანი კატრენით, ოთხი რითმის დაცვით. დედანთან მუშაობაში ეხმარებოდა გიორგი წიკლაური. ვიკარის ამ თარგმანს დიდი გამოხმაურება და ინტერესი მოჰყვა უნგრულ მკითხველში (იორდანიშვილი, 1953:197-198).

1938 წელს პარიზში დაიბეჭდა კიდევ ერთი ფრანგულენოვანი პროზაული თარგმანი მარსელ-პაონისა და გიორგი გვაზავას მიერ შესრულებული. 1945 წელს გამოვიდა იტალიური პროზაული თარგმანი, 1955 წელს - ჰუგო ჰუპერტის გერმანული პოეტური თარგმანი. 1974 წელს ემანუელ მეტაფიდისმა პირველად თარგმნა პოემა ბერძნულად. ბერძნული თარგმანი 2016 წელს გამოსცა მთარგმნელის შვილიშვილმა, გრიგორის კირიაკოსმა.

რაც შეეხება აღმოსავლურენოვან თარგმანებს, 1930-იანი წლებიდან იწყება ჩინური თარგმანით, რომელიც ეკუთვნის ემი სიაოს (სიაო სანი). 1943 წელს გამოქვეყნდა მწერალ ლი ცი-ეს მიერ ინგლისური თარგმანიდან გაკეთებული ჩინური პროზაული თარგმანი, რომელიც შემდეგაც რამდენჯერმე დაიბეჭდა. 1955 წელს იპეი ფუკურომ გამოსცა პოემის იაპონური პროზაული თარგმანი, ხოლო 1972 წელს დაიბეჭდა მისივე პოეტური თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანები ებრაულ ენაზე 1937 წელს გამოქვეყნდა. დიდი მოწონება დაიმსახურა ბორის გაპონოვის თარგმანმა (1969 წ.), რომელსაც ახლავს ალ. ბარამიდის ნარკვევი და რედაქტორის, ა. შკლიონსკის, წინასიტყვაობა. 1965 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი მონდოლურ ენაზე. ინდოეთში „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მწერლებს - ამრიტა პრიტამსა და სუნიტ კუმარ ჩატერჯის. არაბულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა სირიელმა მწერალმა ნიზარ ხალილმა.<sup>9</sup> ნარკვევს ახლავს ვრცელი ბიბლიოგრაფია. 1998

---

<sup>9</sup>თარგმანი გამოიცა ლევან საღარაძის ფინანსური დახმარებით.

წელს ჯემშიდ გიუნაშვილის მხარდაჭერით გამოიცა სპარსული თარგმანი შესრულებული ფარშიდ დელშადის მიერ.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თარგმანები მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებშია შექმნილი. მათი ნაწილი პოემის სრულ თარგმანს გვთავაზობს, ნაწილი კი - არასრულს, ზოგიერთი მათგანი პროზაულია, ზოგიც - პოეტური. თარგმანების მრავალფეროვნება და სიხშირე განპირობებულია მთარგმნელთა სუბიექტური და ობიექტური პრინციპების, მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. თითოეული მათგანი გზას უხსნის რუსულენოვან მკითხველს პოემასთან მისასვლელად, ხელმისაწვდომს ხდის ფართო საზოგადოებისთვის, მიუხედავად ხარვეზებისა, თითოეული თარგმანი თავის მხრივ არის კიდევ ერთი ახალი შემოქმედება მიზან-ენის ენის მატარებელთათვის, ამდიდრებს მათი მხატვრული ენის საგანძურს. დღეისათვის „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა ორმოცდაათზე მეტ ენაზეა შესაძლებელი. ყოველი თარგმანი გამოირჩევა თვითმყოფადობითა და ინდივიდუალიზმით და კრიტიკულ შესწავლას, გაანალიზებას, გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას საჭიროებს, რადგანაც ჩვენი ეროვნული საგანძურის თვალსაჩინო ნიმუშის პოპულულარიზაციას ისახავს მიზნად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენი თარგმანიც არ უნდა შესრულდეს, რამდენად ზუსტიც არ უნდა იყოს ის, „ვეფხისტყაოსნის“ ძველქართულ სიტყვაკაზმულობას, იდეურ-თემატურ მრავალფეროვნებასა და მხატვრულ ნიუანსებს ვერცერთი მათგანი ვერ ასახავს სრულფასოვნად. საკუთრივ ქართულ ენაზეც კი შეუძლებელია რუსთაველის სტრიქონების პერიფრაზირება და მის სიღრმეებში წვდომა სრულად, რაც პოემის გენიალურობასა და უნიკალურობას კიდევ ერთხელ მკაფიოდ უსვამს ხაზს.

## IV თავი

### შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობრივი წყაროები

პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომიდან დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა შორის განსაკუთრებულ აზრთასხვადასხვაობას იწვევს რუსთაველის მსოფლმხედველობის განსაზღვრა. შეხედულებათა მრავალფეროვნებას მეტწილად ტექსტის მრავალპლანიანობა და ფართომასშტაბურობა განაპირობებს. მკვლევრები ხშირად მიუთითებენ ამ საკითხის სირთულეზე და გამოთქვამენ ვარაუდებს, რომლებსაც სხვადასხვა პრინციპებზე დაყრდნობით დროთა განმავლობაში ამუშავებენ და ცვლიან კიდეც. რუსთველოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებსაც ხშირად აღნიშნავენ მეცნიერები და ცდილობენ მათ გაუმჯობესებას, თუმცა დღითიდღე ცხადი ხდება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთიანად, ერთი ნაშრომის ფარგლებში შესწავლა შეუძლებელია, რადგანაც ის არის არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ნაწარმოები, არამედ „ვეფხისტყაოსანი“ კაცობრიობის ცივილიზაციის, კულტურული განვითარების არაერთი მნიშვნელოვანი ეტაპის მომცველი ტექსტია. სწორედ ამიტომაც დღემდე აქტუალური მარადიული პრობლემატიკით შემკული პოემა, რომელიც ავტორის ეპოქამდელი კულტურული პროცესების ლოგიკურ გაგრძელებას, თანამედროვეობასთან სინთეზსა და მომავლის პერსპექტივებს ერთდროულად წარმოგვიდგენს. იგი ეყრდნობა ქართულ ეროვნულ და ქრისტიანულ კულტურას, მოიცავს უცხოურს, განსხვავებულს, ახალსა თუ უძველეს ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს, ცოდნას, აზროვნებას და ამ ყველაფერს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით ამკობს, გარდაქმნის, წარმოგვიდგენს ორიგინალურ, საინტერესო და შთამბეჭდავ პოემას.

#### 4.1. რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური წყაროები

რუსთაველის ფილოსოფიურ, რელიგიურ თუ კულტურულ წყაროებთან დაკავშირებით მეცნიერები გამოთქვამენ მრავალფეროვან და არაერთგვაროვან შეხედულებებს, თუმცა ფაქტია, რომ მათი დიდი ნაწილი საერთოა, რამდენადაც დღეისათვის უკვე უდავოა, რომ პოემა ძირითადად ეყრდნობა ქართულ კულტურულ ტრადიციასა და ქრისტიანულ მოძღვრებას, ამასთანავე, იყენებს აღმოსავლური და დასავლური კულტურისათვის დამახასიათებელ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებებსა თუ თეორიებს. თითოეული მათგანი მეტ-ნაკლები სიხშირითა და სიზუსტითაა გამოვლენილი პოემის როგორც შინაარსის, ასევე, იდეის დონეზე და განსაკუთრებული სიფრთხილით დაკვირვებასა და გამოვლენას, გაანალიზებას საჭიროებს. ელგუჯა ხინთიბიძე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ სამართლიანად შენიშნავს, რომ *„მსოფლმხედველობა რუსთაველის პოეტური შემოქმედების მხოლოდ უკუპლანია... ეს მსოფლმხედველობითი სისტემა უნდა ვეძიოთ პოემაში უკანა პლანზე, არა უშუალოდ გამოსახვის საგნად, არამედ ესთეტიკურის საფუძვლად“*, ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსთაველის სააზროვნო გარემოსა და მხატვრული სტრუქტურის სრულფასოვანი შესწავლა (ხინთიბიძე, 2009:15).

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ, იმ ძირითადი წყაროების გამოკვეთა, რომლებიც რუსთაველის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს აყალიბებს და, მეორე მხრივ, მათი ტრანსფერის საკითხის შესწავლა რუსულ თარგმანებში, კერძოდ, კ. ბალმონტის, შ. ნუცუბიძისა და ა. ხალვაშის მიერ შესრულებულ თარგმანებში ძირითადი მსოფლმხედველობრივი წყაროების თარგმნის პროცესისა და შედეგის შეფასება, ეკვივალენტურობის განსაზღვრა თარგმანებში, ურთიერთმიმართებების დადგენა არა მხოლოდ დედანთან მიმართებით, არამედ საკუთრივ თარგმანებს შორის.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ მიეკუთვნება XII-XIII საუკუნეების მიჯნას, რაც საქართველოში ძველი ქართული ლიტერატურის მეორე ქვეპერიოდს - ფეოდალურ ხანას გულისხმობს. ამავე პერიოდის შესაბამისი დასავლური, ევროპული ლიტერატურის პერიოდიზაცია გვიანი შუა საუკუნეების სახელითაა ცნობილი და

მოიცავს XI-XIII საუკუნეებს, რომელსაც უკვე XIV-XVI საუკუნეებში მოსდევს რენესანსი. მეცნიერთა ძირითადი ნაწილი სწორედ ამ პერიოდიზაციაზე დაყრდნობით მიაკუთვნებს პოემას გვიან შუა საუკუნეებს, პერიოდს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში „ოქროს ხანას“ უკავშირდება. გამომდინარე იქიდან, რომ პოემა გვიანი შუა საუკუნეების მიწურულს, გარდამავალ პერიოდშია შექმნილი და ეპოქების მიჯნაზე დგას, მასში თავს იჩენს როგორც შუა საუკუნეების, ასევე, რენესანსული მახასიათებლები. ამ საკითხს საფუძვლიანად შეისწავლის რუსთველოლოგი ე. ხინთიბიძე და სამართლიანად ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ *კაცობრიობის ცივილიზაციის მრავალგვარ გასაყარზე დგას. მასში შუასაუკუნეობრივს რენესანსული აზროვნება ერწყმის; ქრისტიანულ, და საზოგადოდ რელიგიურ, მსოფლხედვას – ანტიკური ბერძნული ფილოსოფია; მითოსურ და ტრანსცენდენტულ მსოფლალქმას – ანალიტიკური აზროვნება... ეს კი მკითხველის, სუბიექტის ასოციაციებს უსასრულოდ დიდ სააზროვნო სივრცეს სთავაზობს. ამიტომაც ბუნებრივია, რომ პოემის ყველა მკითხველს, და მით უფრო ყველა მკვლევარს, თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს“ (ხინთიბიძე, 2015:20).*

რუსთაველი მოდიფიცირებულად, თავისი ინტერესებიდან, საჭიროებებიდან გამომდინარე იყენებს იმ დროისთვის არსებულ და ხელმისაწვდომ თითქმის ყველა ჟანრისა თუ ხასიათის ლიტერატურას, ისტორიულ ფაქტებს, საზოგადოებრივი აზროვნების, ცნობიერების გამოვლინებებს, ობიექტურად აფასებს ეპოქის გამოწვევებს და თამამად ამბობს სათქმელს პოემაში. მწერლის სათქმელი ხშირად შეფარვით, ალეგორიულად, მეტაფორულად არის გადმოცემული, რაც პოემის მაღალმხატვრულ ღირებულებაზე მეტყველებს. საერო ლიტერატურის მოწინავე შემოქმედი თავისუფლად წარმოაჩენს და აქტუალურს ხდის ეპოქისთვის ჯერ კიდევ ახალბედა საკითხებს, იდეებს, თემებს, როგორებიცაა ადამიანის მაღალზნეობრივი იდეალი, ჰუმანისტური სულისკვეთება, ამქვეყნიური ცხოვრების ღირებულება, მეგობრობისა და სიყვარულის იდეა, რწმენასთან ერთად ცნობიერების, გონების მნიშვნელობა, მოქმედების, „ცდის“ აუცილებლობა და მრავალი სხვა. ამ იდეათა განხორციელება და წარმოჩენა ტექსტში ხდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, იქნება ეს



ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური, ლიტერატურული თუ ყოველივე ერთად აღებული.

მეცნიერთა შორის დავას აღარ იწვევს ის საკითხი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორიულად ასახავს XII-XIII საუკუნეების საქართველოში არსებულ სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ მდგომარეობას. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ამ პერიოდში საქართველო სტრატეგიულად ძლიერი სახელმწიფო იყო. პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრესის ფონზე სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ ხელი შეუწყო ხშირ კომუნიკაციას როგორც დასავლეთთან, ასევე აღმოსავლეთთან. ეკონომიკური სიძლიერის ფონზე განვითარდა საუკუნეების წინ დაწყებული კულტურული პროცესებიც. ამ პერიოდში უკვე აქტიურად მოღვაწეობდნენ სასულიერო პირები მსოფლიოს სხვადასხვა სამონასტრო ცენტრებში, აგრძელებდნენ, ავითარებდნენ საუკუნეების წინ დაწყებულ სამწერლობო საქმიანობას. თავდაპირველად ათონის მთაზე დაარსდა ივერთა მონასტერი, სადაც ექვთიმე და იოანე ათონელებმა მთარგმნელობით საქმიანობას ჩაუყარეს საფუძველი. მოგვიანებით ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და სხვა მოღვაწეებმა განავითარეს და სრულყვეს ქართული ელინოფილიზმი, რომლის ამოცანაც იყო ქართული ლიტერატურის მაქსიმალურად დაახლოება თანამედროვე ბიზანტიურ ტენდენციებთან. უდიდესი მნიშვნელობის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ IX საუკუნეში დაიწყო, XII საუკუნეში გელათისა და იყალთოს აკადემიებით დაგვირგვინდა. გელათის აკადემია, რომელიც დაარსდა 1106 წელს, ერთ-ერთ უძლიერეს ფილოსოფიურ და თეოლოგიურ სამეცნიერო ცენტრად იქცა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. სწორედ გელათის სწავლულებმა თარგმნეს პირველად პლატონი, არისტოტელე და ნეოპლატონისტები ბერძნულიდან და თარგმანებთან ერთად საკუთარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შენიშვნებიც დაურთეს აღნიშნულ ნაშრომებს.

XII საუკუნის ქართული კულტურა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული აღმოსავლეთთან. ჯერ კიდევ VII საუკუნიდან საქართველოს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა არაბულ სამყაროსთან. შუა საუკუნეების არაბულმა ფილოსოფიამ,

განსაკუთრებით, „ისლამური რენესანსით“ ცნობილმა ფილოსოფიურ-ლიტერატურულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთლიანად დასავლურ კულტურაზე. სწორედ არაბული ფილოსოფიის, კერძოდ, არაბული არისტოტელიზმის განვითარებასთანაა დაკავშირებული ევროპული რენესანსი. არაბი ფილოსოფოსები ორიგინალიდან თარგმნიდნენ არისტოტელეს შემოქმედებას და ავითარებდნენ პროგრესულ იდეებს, რაც ქართველებისათვის მდიდარი ლიტერატურული წყარო იყო იმ პერიოდისათვის. რუსთაველს, გარდა მსოფლმხედველობრივი იდეებისა, აღმოსავლურიდან, კერძოდ, სპარსულიდან აღებული აქვს ფაბულა, გეოგრაფიული სივრცე, ტერმინოლოგია, საგმირო-სათავგადასავლო რომანების გარკვეული ნიუანსები, თუმცა როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ კულტურას, პოეტი მხოლოდ გადამუშავებული სახით, ქართულ, ქრისტიანულ საფუძვლებზე დამყარებულად წარმოგვიდგენს.

უდავოა, რომ მყარ საფუძველზე მდგარ ქართულ კულტურას თავისუფლად და თამამად შეეძლო, მიეღო უცხო, ახალი კულტურული ნაკადი, იქნებოდა ეს ირანული, სპარსული, არაბული, ბერძნული, სომხური თუ ნებისმიერი სხვა, შეეძლო გადაემუშავებინა და მოერგო საკუთარი იდენტობისათვის, გაემდიდრებინა, გაემრავალფეროვნებინა ქართული ეროვნული ტრადიციებით და საბოლოოდ დაეგვირგვინებინა ორიგინალური, მსოფლიო დონის ნაწარმოების შექმნით.

მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ძირითადად ეყრდნობა ანტიკურ ფილოსოფიასა (არისტოტელე, პლატონი, ნეოპლატონიზმი) და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას (არეოპაგეტიკა, წმ. მამათა სწავლება). ეს ყოველივე კი წარმოდგენილია მაჰმადიანური ჩარჩოს მქონე ტექსტში. ყველაზე გასაოცარი არის ის, რომ ეს ერთი შეხედვით ურთიერთსაპირისპირო წყაროები იმდენად ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, რომ პოემის მკითხველს არ უჩენს შეუსაბამობის განცდას. პირიქით, მკითხველს აოცებს სათქმელის სიზუსტე, ავტორის კანონზომიერი, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა და განვითარება სიუჟეტისა. ქრისტიანული დოგმატიკური აზროვნებისა და ანტიკური ფილოსოფიის ამგვარი სინთეზი რუსთაველს გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპულ აზროვნებასთან

ახლოებს და ამავე დროს ქმნის რენესანსული იდეების შემოტანის მყარ საფუძველს (ხინთიბიძე, 2009:674-75). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ რამდენიმე წყაროს დასახელება არ გამორიცხავს სხვა რელიგიურ-ფილოსოფიური ნიუანსების არსებობას „ვეფხისტყაოსანში“. მეცნიერები ცდილობენ, გამოავლინონ ეს ნიუანსები და დაასაბუთონ მათი არსებობა პოემაში პირდაპირი თუ ირიბი ფორმით, რაც, ცხადია, მოსალოდნელიც არის, თუმცა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დასკვნები არ იყოს ურთიერთგამომრიცხავი და არ ეწინააღმდეგებოდეს ძირითად მოცემულობას.

#### 4.1.1. ნეოპლატონიზმი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათაგან პირდაპირი დასახელება მხოლოდ არეოპაგტიკის, კერძოდ, დიონისე არეოპაგელისა და პლატონის შემთხვევაში გვხვდება, ყველა სხვა მოძღვრება კი ტექსტის მეორე პლანშია წარმოდგენილი.

რუსთაველის მსოფლმხედველობაში გამოვლენილი ნეოპლატონიზმი ფსევდო დიონისე არეოპაგელის ძირითად ნაშრომებს (საღმრთოთა სახელთათვს“, „ზეცათა მღვდელთმთავრობისათვს“, „საეკლესიო მღვდელთმთავრობისათვის“, „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვს“, ეპისტოლეები) უკავშირდება. ნეოპლატონური იდეები XI-XII საუკუნეების საქართველოში ვრცელდებოდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწეების - პეტრე იბერის, პროკლე დიადოხოსის, ნემესიოს ემესელის, გრიგოლ ნოსელის, აგრეთვე არისტოტელესა და სხვა სასულიერო თუ საერო ხასიათის ნააშრომების ქართული თარგმანების საშუალებით. დასახელებული ავტორების ტექსტები სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში. ნეოპლატონური აზროვნების განვითარებასა და გავრცელებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის პეტრე იბერს, რომელიც მთელი ქართული საზღვარგარეთული კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის წინამძღვარი იყო. სწორედ მასთან აიგივებენ დიონისეს ფსევდონიმიც ცნობილ ნეოპლატონისტს, დიონისე არეოპაგელს (შ. ნუცუბიძე, ე. ჰონიგმანი, 1942-1952).

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებათა პოემაში გამოვლენის მცდელობა ჯერ კიდევ პირველი რუსთველოლოგის, ვახტანგ მეექვსის, შრომებში გვხვდება. იგი სტრიქონში - *"ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს"* (1492.1.) - დიონისეს მოიაზრებს. დღეს უკვე რუსთველოლოგთა დიდი ნაწილისათვის უდავოა, რომ სიკეთისა და ბოროტების არეოპაგელისეულ ფილოსოფიურ მოტივებზეა აგებული პოემის სიუჟეტი. პეტრე იბერის, იგივე, დიონისე არეოპაგელის აღნიშნულ მოძღვრებასა და მის ცნობილ მეთოდს (კატაფატიკა-აპოფატიკა) იყენებს რუსთაველი უზენაეს არსზე მსჯელობისას და ხაზგასმით მიუთითებს ბოროტის არარსებობაზე. რუსთაველისათვის რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციის საფუძველია ის, რომ ბოროტება არ არსებობს, რამდენადაც ღვთაების არსი მხოლოდ სიკეთეს გულისხმობს. ბოროტი წარმავალი და ხანმოკლეა, სიკეთე კი მარადიული. ამას მოწმობს არაერთი სტრიქონი თავად პოემაში:

„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ (3.113.4).

„თქვეს: "ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი" (59.1509.4).

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (41.1361.4).

„უმსგავსო საქმე ყოველი, მოკლეა, მით ოხერია“ (44.1090.3).

„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (57.1435.4)...

რუსთაველსა და არეოპაგელს შორის ურთიერთმიმართების ყველაზე ნათელ მაგალითად შ. ნუცუბიძეს მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ცნობილი სტროფი:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს,

ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,

თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (1492).

ნუცუბიძის აღნიშვნით, ამ ოთხ ტაეჰში რუსთაველი გვაძლევს ყველაფერს, რაც ქართულმა რენესანსმა აითვისა არეოპაგიტული იდეების შესახებ პეტრიწის ნაწერებიდან. მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ მოცემული სტროფის დასაწყისში „დაფარული საქმის“ („ამ საქმესა დაფარულსა“) სათავეს არეოპაგიტულ მოძღვრებაში ხედავს. მას მიაჩნია, რომ რუსთაველმა თავისი ღრმა განსწავლულობის წყალობით

ამოხსნა პეტრე იბერის „დაფარული“ და ღმერთთან მიმართებით გამოიყენა. ეს კარგად ჩანს ავთანდილის ლოცვაში:

„ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო...“ (ნუცუბიძე, 1980:98).

შ. ხიდაშელი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებიდან ისეთ ადგილებს, რომელთა კავშირი არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ეჭვგარეშეა. ესენია:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,  
მით ვისწავლებდით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ (790.3.4.).

„არ ცოცხალ ვიყო, რას მაქმნევ, რა დავრჩე, ხელსა მხდი რასას  
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა“ (884.3.4.).

შ. ხიდაშელის აზრით, ამ სტრიქონებში კარგად ჩანს რუსთაველის შეხედულება არსის, როგორც „მწყობრთა წყობის სირას“ ნეოპლატონურ-არეოპაგიტული წარმომავლობა. სწორედ ნეოპლატონიზმში და, განსაკუთრებით არეოპაგიტიკაში, ბოროტება განისაზღვრება მხოლოდ სიკეთესთან დაპირისპირებაში და პრედიკატებით: უმიზეზობა, უმიზნობა, უარსობა, უკეთურობა და ა.შ. (ხიდაშელი, 1988:288-9).

აქვე უნდა ვახსენოთ ისიც, რომ პოემაში უარყოფითი პერსონაჟების სახით გვევლინებიან ქაჯები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ბოროტებას განასახიერებენ, თუმცა მათი რეალურობის საკითხი მალევე კითხვითი ნიშნის ქვეშ დგება, რაც, ჩვენი აზრით, ეხმიანება არეოპაგიტულ მოძღვრებას ბოროტების არარსებობის შესახებ. პოემის ამ ნაწილთან დაკავშირებით ვრცლად საუბრობს ლ. რამიშვილი ნაშრომში „დაფარული ვეფხისტყაოსანი“ და აღნიშნავს, რომ რუსთაველის სიტყვებით - „ამისთვის ქაჯად უხმობენ გარემომონი ყველანი, თუ არა იგიც კაცნია, ჩვენსავით ხორციელანი“ - ცხადი ხდება უდიდესი ჭეშმარიტება, რომ ბოროტება სინამდვილეში ილუზიაა. „პოეტი ჯერ ქმნის ბოროტების ხატს... ის არ აღწერს ქაჯების ბოროტებასა და სიცუდეს, არსად პოემაში არცერთი სიტყვა არ არის ამის შესახებ... მას უბრალოდ შემოყავს ცნება „ქაჯი“, რომელიც თავისთავად ბნელისა და ბოროტის ასოციაციას ბადებს. ერთადერთი, რითაც ის ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს, ის არის, რომ

ავთანდილის პირით მათ „უხორცობას“ მიაწერს. „უხორცო“ ასოციაციურად შორეულსა და გაუგებარს ნიშნავს, გაუგებარის კი ყველაზე მეტად ეშინია ადამიანს, რადგან იგი მოულოდნელობებით სავსე და ამდენად ყველაზე საშიშია, ხოლო ის, რაც საშიშია, ბოროტებაა. ასე მუშაობს ადამიანის ფსიქიკა და ამ მექანიზმის ინტუიციური თუ გააზრებული ცოდნით შექმნა შოთამ ქაჯეთის, როგორც ბოროტების ხატი, მისი შექმნით კი, პოემის გარეგნული გარსი, მისი ილუზორული რეალობა. შექმნა, რათა დაენგრია. სამყარო იმთავითვე გვევლინება, როგორც ილუზია - კეთილისა და ბოროტის ბრძოლა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს“ (რამიშვილი, 2013:212-16).

ამდენად, ფაქტია, რომ რუსთაველი საფუძვლიანად იცნობდა ნეოპლატონიკოსთა, მეტწილად, დიონისე არეოპაგელის, შრომებს, მათ მოძღვრებებს და თეორიული გადამუშავებით ქმნიდა თავისებურ მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, რომლებსაც საფუძვლად უდებდა პოემის სიუჟეტურ განვითარებას, პერსონაჟთა მოქმედებასა და აზროვნებას.

როგორც უკვე ვახსენეთ, რუსთაველი პოემაში სახელდებით ასახელებს კიდევ ერთ ავტორიტეტს, პლატონს, რაც დასტურდება ერთადერთ სტრიქონში:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (789.3.4.).

პირველად ამ მონაკვეთს ყურადღება მიაქცია მარჯორი უორდროპმა და აღნიშნა, რომ პლატონთან ასეთი ფრაზა არ მოიპოვებოდა. ამავეს ამჩნევენ შემდგომ სხვა მეცნიერებიც, თუმცა აღნიშნავენ, რომ რუსთაველი პლატონის სიტყვებს სიტყვასიტყვით არ იმეორებს, არამედ მის პერიფრაზირებულ ვარიანტს გვთავაზობს. ვ. ნოზაძე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ ვრცლად განიხილავს მოცემულ სტრიქონებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სიცრუე და ორპირობა არის ზნეობრივი სიავე, ბოროტების გამომჟღავნება და ეს ბოროტება პირველად სწორედ ხორცისაგან მოდის და მერმე ავნებს იგი სულს. პლატონი კი ამბობს - ბოროტება იმ ფაქტით წარმოსდგება, რომ გვამში, ხორცთა შინა ჩამდგარ სულს ხორცი დასჯაბნის, სულზე ხორცი იმარჯვებს ხოლმეო. აქედან იმ აზრის დასკვნაც შეიძლება, რომ ეს ბოროტება ვნებს პირველად ყოვლისა გვამს, ხორცს და შემდეგ კი - სულს. ამ დასკვნით

გამართლებულია ავთანდილის ნათქვამი: "სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" (ნოზაძე, 1963:277).

ე. ხინთიბიძე ემხრობა მოსაზრებას მოცემული ფრაზის პლატონისგან მომდინარეობასთან დაკავშირებით, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ არ არის სწორი ამ დებულების პლატონისეული **სულის ანთროპოლოგიის** სიბრტყეზე გადატანა, რამდენადაც დებულება აშკარად ეთიკურია, ხოლო ეთიკისა და ფსიქოლოგიის პოზიციიდან შეუძლებელია, რომ ზნეობრივი მანკი მოქმედებდეს ჯერ ხორცზე და შემდეგ სულზე. პოეტი ამ ფრაზით ამბობს იმას, რომ სიცრუე, როგორც ზნეობრივი მანკი, ჯერ ავნებს ადამიანს ხორციელ ყოფაში, ამქვეყნიურ, მიწიერ არსებობაში, შემდეგ კი ავნებს მის სხეულისაგან განშორებულ უკვდავ სულს, რომ ადამიანი ზნეობრივი მანკიერებების გამო ჯერ სააქაოში ისჯება და შემდეგ საიქიოში (ხინთიბიძე, 2009:487-488).

ამრიგად, მოცემულ სტრიქონში პლატონის ხსენება შემთხვევითი არ არის და იგი უშუალოდ რუსთაველის მსოფლმხედველობრივ მრწამსს ეხმიანება. აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე კონტექსტში ნახსენები ფრაზა - „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!“ - ასევე პლატონს მიემართება, „ფილოსოფოსებში“ სწორედ პლატონის „ბრძნობა“ იგულისხმება, რამდენადაც ავთანდილი პლატონისეული მოძღვრების, სიბრძნის გამტარებელია (ხინთიბიძე, 2009:474).

გარდა მოცემული მონაკვეთისა, პლატონისეული აზროვნების ნიშნები გამოვლენილია პოემის სხვა მონაკვეთებშიც. რ. თვარაძის აზრით, სამყაროს მთლიანობის იდეა, რომელიც პლატონის ერთ-ერთი ძირითადი მოძღვრებათაგანია, გატარებულია რუსთაველის პოემაშიც, კერძოდ, შემდეგ სტრიქონებში:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“ (1305.1.).

„ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,

იგი გაჰხდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“ (792.3.4.).

მეცნიერის მოსაზრებით, საყურადღებოა პირდაპირი თანხვედრა ღმერთის გაგებაში, როგორც ერთისა, უზენაესისა და მის გამოხატვაში „მზიანი ღამის“ მეტაფორით. რ. თვარაძის მტკიცებით, მოცემული იდეები უშუალოდ პლატონის

„კანონებიდან“ მომდინარეობს. მკვლევარს საილუსტრაციოდ მოჰყავს ციტატაც: „ღმერთს ცოდნაც ეყოფა და ძალაც საიმისოდ, რათა სიმრავლე ერთიანობად შერწყას და კვლავ სიმრავლედ განფინოს ერთიანობა“ – „ტიმეოსი“, 68, დ (თვარაძე, 1978:137-146).

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რუსთაველისეული განგების საკითხი, რომელიც ასევე პლატონთან არის დაკავშირებული. რუსთაველი იზიარებს პლატონის მსჯელობას ღმერთის განმგებლობასთან დაკავშირებით, თუმცა ამატებს იმასაც, რომ ადამიანი საკუთარი ძალებით უნდა უწყობდეს ხელს ბედისწერას და მხოლოდ ამგვარი ერთობლივი ბრძოლით მიიღწევა გამარჯვება, რასაც რუსთაველი ხატოვნად და ამომწურავად წარმოგვიდგენს ფრაზაში - „ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“.

ვ. ნოზაძე პლატონის გავლენის კვალს ხედავს რუსთაველისეულ სტრიქონში: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“. მეცნიერს მოჰყავს პლატონის შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველი სრულყოფილი არსება თავის მსგავსს წარმოქმნის. სწორედ ამ იდეის ავტორს, პლატონს, გულისხმობს რუსთაველი მოცემულ სტრიქონში ბრძენის ხსენებისას (ნოზაძე, 1963:297).

როგორც ცნობილია, XII საუკუნეში ქალის კულტის შემოტანა და პრივილეგიების აღიარება მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო პროგრესული საზოგადოებისთვის. სოციალ-პოლიტიკური განვითარების ფონზე ქალის მმართველობა თანასწორობისა და სამართლიანობის რეალურ გამოხატულებად იქცა. რუსთაველის პოემა სწორედ ქალი მეფეების ძლევამოსილებასა და ღირსეულობაზე მოგვითხრობს. მ. კარბელაშვილის მოსაზრებით, რუსთაველის მიერ მამაკაცის თანაბრად ქალის მეფედ წარმოდგენა ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის, კერძოდ, პლატონის დებულებიდან იღებს საწყისს, იმ დებულებიდან, რომ ქალს მამაკაცის თანაბრად შეუძლია სახელმწიფოს მართვა, ხოლო თვით ქალი-მმართველის ბუნებას განსაზღვრავს სახელმწიფო (კარბელაშვილი, 2017:29). რუსთაველის პოემაში გამოვლენილი ქალი მმართველი, მამაკაცის თანასწორი, პლატონის „იდეალური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. დიალოგებში ნათლად ჩანს,



რამდენად მაღალ დონეზე აჰყავს პლატონს ქალი და ხაზს უსვამს მის თანაბარუფლებიანობას კაცთან მიმართებით, რაც რუსთაველის პოემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეათაგანია.

რუსთაველის პოემის პროლოგში წარმოდგენილ მუშის, მეომრისა და მიჯნურის თანმიმდევრულ დახასიათვებას რუსთაველოლოგები უკავშირებენ პლატონის თეორიას სახელმწიფოს ფენებად დაყოფასთან დაკავშირებით („ტიმეოსი“, „ფედროსი“). პლატონი გამოყოფს შემდეგ სამ ფენას - მშრომელი ხალხი ანუ დაბალი ფენა, მეომრები და ფილოსოფოსები. რუსთაველი მესამე ფენას ცვლის და ფილოსოფოსების ნაცვლად მიჯნურს წარმოგვიდგენს, თუმცა იმავე პლატონის „ნადიმში“ მიჯნურობა („ეროსი“) ფილოსოფიის ერთ-ერთი გამოვლინებაა, ხოლო შეყვარებული გაიგივებულია ფილოსოფოსთან, რაც კიდევ უფრო აახლოებს რუსთაველს პლატონის თეორიასთან (ბ. ბრეგვაძე, რ. ხალვაში).

#### 4.1.2. არისტოტელიზმი ვეფხისტყაოსანში

მეორე მნიშვნელოვანი წყარო რუსთაველისათვის იყო ანტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, არისტოტელეს, მოძღვრებები, რომლებიც სხვადასხვა გზით იკიდებდა ფეხს მეთორმეტე საუკუნის მსოფლიოში. სწორედ არისტოტელეს ნაშრომები დაედო საფუძვლად მსოფლიო დონის მნიშვნელოვან მოვლენას, რენესანსს, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა იქონია ადამიანის აზროვნების ფორმირებაზე. *„ადამიანური არსებობის იდეალის თანდათანობით და გაუაზრებლად ზეციდან დედამიწაზე ჩამოტანაძ“* თვითრწმენა და თვითაღიარების უნარი განუმტკიცა ადამიანებს. ამგვარ პროცესებს განსაკუთრებით შეუწყო ხელი ანტიკური ფილოსოფიის გადამუშავებამ (ხინთიბიძე, 2009:580). XI-XIII საუკუნეების განათლებული ევროპისათვის, განსაკუთრებით არისტოკრატიული კლასისათვის, უპირველესი ავტორიტეტი არისტოტელე იყო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, ვიდრე ევროპაში არისტოტელეს შემოქმედებას გადამუშავებული, განმარტებული სახით ეცნობოდნენ, აღმოსავლეთში, შეიძლება ითქვას, წმინდა სახით იცნობდნენ მას. ჯერ კიდევ IX საუკუნეში არაბებმა მეორედ თარგმნეს არისტოტელე და არაბული

ფილოსოფია სწორედ არისტოტელეს გზით წაიყვანეს. არისტოტელიზმიდან არაბებმა განსაკუთრებით შეითვისეს ის ფილოსოფიური მოძღვრებები, რომლებიც თავისუფალი იყო რელიგიური დოგმებისაგან და ლოგიკურ, რაციონალურ მსჯელობას ეყრდნობოდა. სწორედ ამან განაპირობა ევროპელთა განსაკუთრებული ინტერესი არისტოტელეს მიმართ - დაიწყო არისტოტელეს თარგმნა ბერძნულიდან, რამაც კიდევ უფრო მეტად გაზარდა მისი ავტორიტეტი. ევროპაში დაიწყო მცდელობა არისტოტელესა და პლატონის მოძღვრებათა სინთეზისა, რაც კიდევ უფრო მაღალი დონე იყო რენესანსული აზროვნების განვითარებაში (**ხინთიბიძე, 2009:721**). მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნიდან მეცნიერულმა მიღწევებმა ფილოსოფიური თეორიები უკანა პლანზე გადაიტანა, არისტოტელეს ეთიკა მუდმივად ინარჩუნებს პროგრესულად მოაზროვნე თაობების ინტერესსა და ყურადღებას.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც აღმოსავლური და დასავლური კულტური პროცესების აქტიურ მონაწილეს, ცხადია, უშუალოდ თუ ირიბად, ურთიერთობა ჰქონდა ეპოქის წამყვან მოაზროვნეებთან. ევროპასთან შედარებით ბევრად ადრე, XII საუკუნის მიწურულს, ქართული ლიტერატურული აზროვნება ამჩნევს არისტოტელეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და შემოჰყავს იგი როგორც საერო, ასევე სასულიერო მწერლობაში. XII-XIII საუკუნეების საქართველოში არისტოტელეს ავტორიტეტულობაზე მეტყველებს საისტორიო, ლიტერატურული თუ სასულიერო ხასიათის წყაროები (შავთელი, ჩახრუხაძე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი).

საკითხი, თუ რომელი გზით უნდა შემოსულიყო არისტოტელე ქართულ აზროვნებაში და კერძოდ რუსთაველის მსოფლმხედველობაში, მეცნიერთა შორის აზრთასხვადასხვაობას იწვევს. არისტოტელე, როგორც ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე ფილოსოფოსი, საუკუნეების განმავლობაში მუდმივად იყო ინტერესის საგანი, ამდენად თითქმის ყველა ეპოქის მოაზროვნეები აქტიურად ამუშავებდნენ და იყენებდნენ მის მოძღვრებებს. რუსთაველი, როგორც მისი თანადროული თუ წინამორბედი მოაზროვნეების საფუძვლიანად მცოდნე, გვერდს ვერ აუვლიდა არისტოტელეს ფილოსოფიას. რუსთაველს შეეძლო გასცნობოდა არისტოტელეს როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური

კულტურიდან, კერძოდ, როგორც ბიზანტიური, ასევე არაბული ფილოსოფიიდან. ამავე დროს, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ რუსთაველი იცნობდა არისტოტელეს საკუთრივ ქართულენოვანი მწერლობიდანაც. როგორც ცნობილია, იოანე პეტრიწმა თარგმნა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, რომელშიც აქტიურად ავითარებს არისტოტელეს მოსაზრებებს სულზე (**ხინთიბიძე, 2009:334-35**). ეს ყოველივე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართველი მწიგნობრების ინტერესს არისტოტელეს ფილოსოფიის მიმართ. ხოლო რუსთაველი, როგორც პროგრესულად მოაზროვნე მწერალი, ცხადია, ნებისმიერი გზით მაგრამ უდავოდ აიღებდა არისტოტელეს მოძღვრებებს და საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოიყენებდა თავის შემოქმედებაში.

მ. გოგიბერიძე ნაშრომში „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“ ვრცლად საუბრობს არისტოტელეს მნიშვნელობაზე რუსთაველისათვის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი პოეტისათვის არისტოტელე ისეთივე მნიშვნელოვანი წყარო იყო, როგორც ევროპული რენესანსისათვის და ამდენად რუსთაველისთვის მისი ეთიკა ძირითადი საყდენი უნდა ყოფილიყო. ეს განსაკუთრებით ჩანს პროლოგში, როდესაც ხელოვნების ფილოსოფია არისტოტელეს პოეტიკას იღებს საფუძვლად (**გოგიბერიძე, 1961:58**).

მართალია, რუსთაველი პოემაში სახელდებით არ ახსენებს არისტოტელეს, მაგრამ უდავოა, რომ მწერალი საფუძვლიანად იცნობდა და აქტიურად იყენებდა არისტოტელეს ფილოსოფიას. პოემის სიუჟეტური განვითარება, მთავარ გმირთა აზროვნება და მოქმედების პრინციპები ძირითადად ეყრდნობა არისტოტელეს ეთიკურ შეხედულებებს, ცხადია, სხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებთან სინთეზურად და ჰარმონიული შერწყმით. არისტოტელეს შემოტანა პოემაში არ გამორიცხავს ნეოპლატონურ, კერძოდ არეოპაგიტულ ნაკადს პოემაში, პირიქით, ეხმიანება, ეხამება მას და ერთ მთლიანობად წარმოგვიჩენს რუსთაველის ახლებურ, ორიგინალურ მსოფლმხედველობას, რაც პოეტის განსაკუთრებულ შესაძლებლობებსა და ძალისხმევაზე მეტყველებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველი ეთიკურ-ზნეობრივი თვალსაზრისით ძირითადად ეყრდნობა არისტოტელეს, თუმცა მთავარი, რაც განასხვავებს მისგან, არის ცენტრალური, ფუნდამენტური ნაწილი რუსთაველის ეთიკისა. რუსთაველოლოგთა მიერ არაერთხელ აღნიშნულა, რომ რუსთაველისათვის უმაღლესი სიკეთე, ამქვეყნიური შემეცნებისა და ღმერთამდე ამაღლების საშუალება სიყვარულია და არა შემეცნების პროცესი, როგორც ამას ასაბუთებს არისტოტელე. პოემის მთავარი პერსონაჟები მუდმივად ესწრაფვიან ამქვეყნადვე მოიპოვონ ბედნიერება სიყვარულით, რაც მათი ცხოვრების უმთავრესი მიზანია. ისინი ამ მთავარი მიზნის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებას იყენებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით ე. ხინთიბიძე იხსენებს არისტოტელეს, რომლის თვალსაზრისითაც ადამიანს გააჩნია მიზანი, რომელიც შესაძლოა იყოს საშუალება უფრო დიდი მიზნის მისაღწევად, ეს ძირითადი, საბოლოო მიზანი კი შეიძლება იყოს ბედნიერება. მეცნიერი აღნიშნულის დასასაბუთებლად მოიხმობს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის მიერ სასიძოს, ასევე, ავთანდილისა და ფატმანის მიერ ჭაშნაგირის, მოკვლის ეპიზოდებს და ასკვნის, რომ ამგვარი გადაწყვეტა გააზრებული საშუალებაა მთავარი მიზნის მისაღწევად - სიყვარულის გამარჯვებით ბედნიერების მოსაპოვებლად. ცხადია, პოეტის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას, თუმცა აშკარად ჩანს მისი კავშირი არისტოტელესთან, რაც არცთუ იშვიათი შემთხვევეთაგანია პოემაში (ხინთიბიძე, 2009:388).

სიყვარულის თემა, როგორც რუსთაველის მსოფლმხედველობის შემადგენელი ნაწილი, მოიცავს როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ ჟანრობრივ მახასიათებლებს. პოემაში მიჯნურები არიან ისევე „ხელი“, შლეგი ბუნების, როგორც აღმოსავლეთში და ამავე დროს შუასაუკუნეების ევროპისთვის ნიშანდობლივი რაინდები. თუმცა მსგავსებებთან ერთად შესამჩნევია რუსთაველის სიყვარულის თავისუფალი, უკომპრომისო, ბუნებრივი და ცხადი გამოვლინება, აქტიური ბრძოლა გამარჯვებისათვის, რაც რუსთაველს კიდევ უფრო აახლოებს რენესანსთან (ხინთიბიძე, 2009:751).

რუსთაველი მიჯნურის დახასიათებისას ეყრდნობა არისტოტელეს ეტიკას, თუმცა ზედმიწევნით არ მიჰყვება მას. პოემის პროლოგში მიჯნურის ათ ზნეობრივ და ფიზიკურ მახასიათებელს შორის ე. ხინთიბიძე შვიდს (სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, გონება, დათმობა, „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“, მოცალეობა) უშუალოდ არისტოტელეს უკავშირებს, ხოლო „თვალად სიტურფე“ და „სიყმე“ XI-XII საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილიდან, კერძოდ, რაინდული ინსტიტუტიდან მომდინარედ მიაჩნია. მეცნიერის მოსაზრებით, სწორედ ეს ორი თვისება განასხვავებს რუსთაველის მოყმე-რაინდს არისტოტელეს დიდსულოვანი რაინდისაგან. „ენას“ ანუ მჭერმეტყველებას თავად ავტორი ამატებს მახასიათებელთა შორის (**ხინთიბიძე, 2009:428-9**).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიყვარულს, მაგრამ არა მხოლოდ მიჯნურებს შორის, არამედ საზოგადოდ ადამიანებს შორის გამოვლენილ ყოველგვარ ფორმას. პოემაში მრავალფეროვან იდეურ-თემატურ მოტივებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მიჯნურობასთან ერთად, მეგობრული სიყვარულიცაა. რუსთაველის ხედვას მეგობრობასთან დაკავშირებით ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა წყარო აყალიბებს. გარდა არისტოტელესეული მეგობრობის კონცეფციისა, რუსთაველის მეგობრობის იდეის საყრდენს ქრისტიანული მორალი ქმნის. მომღვრება „გიყვარდეს მოყვასი შენი“ თავისთავში მოიაზრებს ყოველგვარ სიყვარულს და მათ შორის მეგობრობას. ამავე დროს, რუსთაველის მეგობრობის დეფინიციის ჩამოსაყალიბებლად ქრისტიანული და არისტოტელესეული მომღვრებები თავისუფლად იგუებს ქართული ხალხური მმადნაფიცობისა და რაინდობის ინსტიტუტებს (**ხინთიბიძე, 2009:563-81**).

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა დამეგობრების პრინციპები - მსგავსება და თანასწორობა, მეგობრობის გამოვლენის ფორმები - ურთიერთპატივისცემა, ერთად ყოფნის სურვილი, ურთიერთდახმარება - დაკავშირებულია არისტოტელეს მეგობრობის თეორიასთან, რომელიც „ნიკომაქეს ეტიკაში“ გვხვდება: პირველი და უცვლელი პირობაა მეგობრის მუდმივად ახლოს ყოლა, მეორე და აუცილებელი პირობა - გულწრფელობა და ერთმანეთის მიმართ ეჭვის უქონლობა, მესამე და

მთავარი პირობა - მეგობრობა არის არა მხოლოდ პასიური სწრაფვის მსგავსი რამ, არამედ აქტიური კეთილმოსურნეობა, რომელიც მეორის მიმართ კეთილქმედებაში გადადის. სწორედ ამგვარ პრინციპებს ეყრდნობიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც, რომელთა მეგობრობა, განსხვავებით არისტოტელესეული მეგობრობისგან, არ გამოიხატება „ერთადერთობაში“. ქართული ეროვნული მოტივების გათვალისწინებით, პოემაში სამი მეგობარი (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) იყრის თავს და ერთიანდება ძირითადი მიზნის მისაღწევად (**ხინთიბიძე, 2009:574-575**).

რუსთაველის განსაკუთრებულ კავშირს არისტოტელესთან ე. ხინთიბიძე ხედავს ეთიკურ სისტემაში ერთ-ერთი ფუნდამენტური მოძღვრების, „საუკეთესო საშუალის“, რუსთაველისეულ ინტერპრეტაციებში. მართალია, რუსთაველი პოემაში სახელდებით არ ახსენებს არც ავტორს და არც თეორიებს, მაგრამ ასახავს მას პოემის მეორე პლანში, მხატვრულ სახეებში - პერსონაჟები ხშირად სწორედ ამ მოძღვრების მიხედვით მოქმედებენ, მასზე დაყრდნობით აყალიბებენ თავიანთ მორალურ, ზნეობრივ პრინციპებს, გმირების თითოეული თვისება სწორედ „საუკეთესო საშუალის“ სახით აღწევს უმაღლეს დონეს (**ხინთიბიძე, 2009:394-395**).

კონკრეტული მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული მსჯელობა ბევრად დამაჯერებელი აღმოჩნდება. გავიხსენოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზნეობრივი მახასიათებელი რუსთაველის გმირებისათვის - სიუხვე, რომელიც საუკეთესო საშუალია ორ უკიდურესობას - **მფლანგველობასა და სიძუნწეს** შორის. ასევე განიმარტება სიუხვე არისტოტელესთანაც. „საუკეთესო საშუალი“ გზა აირჩა ტარიელმა ციხის ასაღებად მეგობრებთან თათბირის დროს. ფრიდონისა და ავთანდილის გეგმები უკიდურესობებია - გმირთა სიმამაცისა და მოხერხებულობის გამომხატველი, ხოლო ტარიელის გეგმა საუკეთესო საშუალია, რამდენადაც ორივე უკიდურეს თვისებას აერთიანებს და სამოქმედო გეგმას სრულყოფილი სახით წარმოგვიდგენს. ასეთივე „საშუალი“ გზა აირჩიეს ნესტან-დარეჯანმა და ტარიელმა სასიძოს საკითხის გადაწყვეტისას. ორ უკიდურესობას შორის - უმოქმედობა, რომელიც ლაჩრობის ტოლფასი იყო და უგონო მამაცობა, რომელიც ლაშქრის დახოცვას გულისხმობდა - საუკეთესო გზა სასიძოს მოკვლა იყო. არისტოტელესეული „საუკეთესო საშუალია“

აღებული პოემის მთავარი კონცეფციის, სიყვარულის, განსაზღვრებაშიც. რუსთაველი სიყვარულის ორ უკიდურეს ფორმას შორის, ღვთაებრივ სიყვარულსა და სიძვას შორის - საუკეთესოს, ადამიანურ სიყვარულს ირჩევს, რაც განსაკუთრებულ წინდახედულებასა და შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს ავტორის მხრიდან (ხინთიბიძე, 2009:410-416). ამდენად, რუსთაველი არისტოტელეს „საშუალოს“ გადაამუშავებს და უსადაგებს თავის პოემას, რაც ეხმარება ავტორს მორალურ-ზნეობრივი საკითხების ახლებურად გააზრებასა და ინტერპრეტირებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა შორის განსაკუთრებულ აზრთასხვადასხვაობას იწვევს ფრაზა „მართალი სამართალი“. ე. ხინთიბიძის განმარტებით, ამგვარი სამართალი გულისხმობს არა კანონით გათვალისწინებულ ან რელიგიურ, არამედ სიტუაციურ, ბუნებით სამართალს, რაც კიდევ ერთხელ აკავშირებს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მოქმედების პრინციპს არისტოტელესთან. ისინი სიტუაციიდან გამომდინარე იღებენ საუკეთესო გადაწყვეტილებას და სამართალს ადასრულებენ არა მართლსაჯულების ან რელიგიური ნორმების დაცვით, არამედ სწორედ „მართალი სამართალის“ პრინციპით, რაც მათი ქმედების გამართლების მყარ საფუძველს ქმნის. გარდა სასიძოს ეპიზოდისა, იგივე ფრაზა მეორდება ნესტანის წერილში: „ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“ (1308.2.). აქაც იგივე დატვირთვა აქვს ფრაზას და სიტუაციიდან გამომდინარე მსჯელობისაკენ, თანაგრძნობისაკენ მოუწოდებს ადრესატს, მიჯნურს (ხინთიბიძე, 2009:463-467).

რაც შეეხება პოემის პროლოგში მოცემული მეორე სტროფის პირველ სტრიქონს, რომელშიც რუსთაველი მიმართავს ღმერთს - “ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა” - ე. ხინთიბიძე შემდეგნაირად განმარტავს - *ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენი ყოველი სული*. ავთანდილი მიმართავს აგრძელებს ვედრებით: „შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა; მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმე გასატანისა, ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა”(2). მეცნიერი მიიჩნევს, რომ რუსთაველი კარგად იცნობს არისტოტელეს მოძღვრებას სულის შესახებ და თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. პოეტი მთლიანად არ მიყვება არისტოტელეს კონცეფციას სულთან დაკავშირებით. პოემაში შენარჩუნებულია

ქრისტიანული წარმოდგენა ყოველი სულის ღვთისმიერობის შესახებ, თუმცა არისტოტელესეული სულის გაგება ჩანს ფრაზაში „სახე ყოვლისა ტანისა“, სადაც „ტანის სახე“ სულს უნდა ნიშნავდეს (ხინთიბიძე, 2009:326-7).

გარდა მოცემული შემთხვევებისა, მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ „ვეფხისტყაოსანში“ არისტოტელეს მეტაფიზიკური აზროვნების სხვადასხვა დეტალების გამოვლენის შემთხვევებსაც. ერთ-ერთი მათგანია მოძღვრება ბუნების საგანთა ოთხი საწყისი ელემენტის (წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა) შესახებ. პოემაში სიკვდილი გააზრებულია, როგორც სხეულის დაშლა სწორედ ამ ოთხი ელემენტისაგან, მათგან სულის გათავისუფლება და ამაღლება. ასეთივე პარალელი მოეპოვება პოემაში არისტოტელეს **არსებობის ოთხ მიზეზს** (მატერიალური, ფორმალური, მოქმედი, დასრულებადი მიზეზი ანუ მიზანი). მათგან პოემაში მოხსენიებულია **მატერიალური** მიზეზი („ნივთი“) და **დანიშნულებითი** მიზეზი („ვალი“) (ხინთიბიძე, 2009:519-530).

არისტოტელეს უკავშირებს რუსთაველისეულ ტერმინს „**კაცი ვარგი**“ მ. კარბელაშვილი ნაშრომში „ფილოსოფიური ტერმინოლოგიისთვის ვეფხისტყაოსანში, „ათენისა“ და „კაცი ვარგის“ სემანტიკისთვის“ (კარბელაშვილი, 2016:59).

ამრიგად, როგორც ვნახეთ, რუსთაველის მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არისტოტელეს თეორიებს. პოეტი საფუძვლიანად ეცნობა არისტოტელეს ფილოსოფიას და თავისებურად გადაამუშავებს მას, უსადაგებს თავის პოეტურ ქმნილებას და მხატვრულ ჭრილში ავითარებს ფილოსოფიურ იდეებს, რაც პოეტის შემოქმედებით უნარსა და შესაძლებლობებზე მეტყველებს. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ არისტოტელეს ფილოსოფიას, ისევე როგორც სხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებს, სხვადასხვა წყაროებთან მიმართებით, სინთეზურად და ჰარმონიულად წარმოგვიდგენს, რაც განსაკუთრებულ სიდიადეს სძენს პოემას.



## 4.2. რუსთაველის მსოფლმხედველობის ქრისტიანული წყაროები

XII-XIII საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლმხედველებაში მნიშვნელოვანი გარდატეხები იწყება. ახალმა აზროვნებამ უნდობლობა გამოუცხადა ქრისტიანულ დოგმებს და რწმენის სფეროში რაციონალიზმი, გონების, ინტელექტის კულტი შემოიტანა. ამგვარ პროცესებს მყარ საფუძველს უქმნიდა ანტიკური ფილოსოფია, რომელმაც რენესანსამდე მიიყვანა ევროპა. ანალიტიკური აზროვნების სწრაფი ტემპით განვითარებამ განაპირობა მეცნიერების დაწინაურება და მნიშვნელოვანი ძვრები მსოფლიო ცივილიზაციაში. ადამიანი იწყებს საკუთარი შესაძლებლობების, ღირებულებებისა და მნიშვნელობის გამოკვეთას და იმკვიდრებს სათანადო ადგილს სამყაროში, რასაც ქრისტიანობა მიუღებლად თვლიდა. ახალმა გამოწვევებმა კაცობრიობას მეტი პერსპექტივა გაუჩინა, ვიდრე შუასაუკუნეების დოგმატურმა, ორთოდოქსულმა აზროვნებამ. სწორედ ამგვარი გარდამავალი პროცესების, პროგრესული იდეებით შთაგონებული ეპოქის წარმომადგენელია რუსთაველი, რომლის უმთავრეს პრინციპს რაციონალიზმი, იგივე გონების კულტი წარმოადგენს. გონიერება, პოემის მთავარი საფუძველი, ასევე რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპია. მან დროულად შეამჩნია ქრისტიანულ მსოფლმხედველებაში დაწყებული ძვრები, სწორად შეაფასა ანალიტიკური აზროვნების პერსპექტივები და რენესანსული გზით წარმართა პოემის იდეურ-თემატური სამყარო **(ხინთიბიძე, 2009:712-715)**.

მიუხედავად ცვლილებებისა, რუსთაველის აზროვნებაში მკვეთრად შეინიშნება ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალი, მისი როლი ავტორის მსოფლმხედველობის ფორმულირებაში. რუსთაველი სწორედ ქრისტიანულ მოძღვრებებზე დაყრდნობით ავითარებს ახლებურ იდეებს, პერსპექტივებს, რომლებსაც ანტიკური ფილოსოფიის, კერძოდ არისტოტელიზმისა და ნეოპლატონიზმის მოძღვრებათა სინთეზის საფუძველზე სრულყოფს. როგორც ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, რენესანსული ნეოპლატონიზმი ანთოპოცენტრულია, ხოლო „*არეოპაგიტული მოძღვრება თავისი არსით გაქრისტიანებული ნეოპლატონიზმი*“, რამდენადაც არეოპაგელი ეყრდნობა როგორც პლატონისა და პროკლეს

ნეოპლატონიზმს, ასევე - კაპადოკიელთა ქრისტოლოგიას, რაც ფილოსოფიის ქრისტიანულ რელიგიასთან სინთეზის მყარ საფუძველს ქმნის (ხინთიბიძე, 2009:90-91, 724).

მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე მეცნიერული პოლემიკისა რუსთაველის აღმსარებლობასთან დაკავშირებით, თანდათანობით ცხადი ხდება, რომ რუსთაველის ქრისტიანული აღმსარებლობა სადავო აღარ არის. კ. კეკელიძის საფუძვლიანი მტკიცებით, რელიგიაზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რუსთაველი ეყრდნობა ბიბლიას, საღმრთო წერილს, თუმცა იგი შორს არის დოგმებისაგან (კეკელიძე, 1958:204). იმავე მოსაზრებას ავითარებს ივ. ჯავახიშვილი და ასკვნის, რომ რუსთაველი აღმსარებლობით ქრისტიანია, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ ქადაგებს ქრისტიანულ დოგმებს. ამავე აზრს იზიარებს ზ. გამსახურდია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსთაველი არა მხოლოდ „ბიბლიურ“ ქრისტიანობას ეყრდნობა, არამედ - მართლმადიდებლურს და არავითარი საფუძველი არ არსებობს რუსთაველის ქრისტიანობის უარსაყოფად (გამსახურდია, 1984:11, 24-46).

მ. გოგიბერიძის სამართლიანი შენიშვნით, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის გმირები მუსლიმანები არიან, პოემაში ქრისტიანულ-ლიტერატურული ელემენტები გაცილებით მეტია, ვიდრე მუსლიმანური, „*მუსულმანებს ქრისტიანული ლოცვა და ვედრება აკერიათ პირზე*“, რაც ერთი შეხედვითაც თვალსაჩინოა. ავტორი მოიხმობს რელიგიურ ფორმულებს, რომლებსაც იყენებენ რუსთაველის გმირები და ასკვნის, რომ „*რუსთაველის ამოსავალი ქრისტიანობაა, მაგრამ ქრისტიანობა არ არის რუსთაველის მსოფლმხედველობის ნავსაყუდელი. ქრისტიანული ღმერთი არ არის გონებისა და განგების ის სინთეზი, რომელსაც რუსთაველის შემოქმედების სიმკათია და იდეა ეკუთვნის*“ (გოგიბერიძე, 1961:32-39).

იმ ფაქტს, რომ რუსთაველი არ ახსენებს ქრისტიანულ დოგმებს, ქრისტიანულ ტერმინებს, ცნებებს, ატრიბუტიკას, რუსთველოლოგები ხშირად პოეტის ქრისტიანობისგან განსხვავებული აღმსარებლობით ხსნიან. მეოცე საუკუნიდან ფეხს იკიდებს რუსთაველის ანტიქრისტიანულობის თეორია, რომლის ყველაზე გავრცელებული სახეა ნიკო მარის მიერ შემოთავაზებული მაჰმადიანურობის თეორია

(ნ. მარი „ვეფხისტყაოსანს“ სპარსულიდან თარგმნილად მიიჩნევდა, თუმცა მოგვიანებით უარყო თავისი მოსაზრება და რუსთაველი ორიგინალური პოემის ქრისტიან მწერლად მიიჩნია, (ლ. ტატიშვილი 2000:15)). ოლივერ უორდროპის მოსაზრებით კი რუსთაველი სრულიად თავისუფალია რელიგიური დოგმებისაგან. ამგვარი მოსაზრება ამყარებს პოეტის ათეისტურობის თეორიასაც. ლ. რამიშვილი ვრცლად მიმოიხილავს რუსთაველის აღმსარებლობის საკითხს და ასკვნის, რომ „ერესად შერაცხული ფსევდო-დიონისეს დამოწმება და ერთხელ თუ ორჯერ მოციქულთა გაკვრით მოხსენიება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პოეტი ქრისტიანად გამოცხადდეს, რასაც ადგილი აქვს დღევანდელ რუსთაველოლოგიაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოეტი მაჰმადიანობის და სხვა რელიგიების ატრიბუტიკასა და სიმბოლიკასაც ეხება და თანაც ბევრად უფრო საფუძვლიანად, არსობრივად (რამიშვილი, 2013:181).

ამრიგად, რუსთაველისათვის, არა როგორც ღვთისმეტყველისთვის ან დოგმატიკოსისთვის, არამედ როგორც ქრისტიანი პოეტისათვის, მსოფლმხედველობრივი აზროვნების ფორმირებაში ქრისტიანობა ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენია, თუმცა მაჰმადიანურ სამყაროში, მუსლიმი პერსონაჟების მეტყველებაში ქრისტიანული დოგმების ძებნა, ცხადია, უსაფუძვლოა. ქრისტიანობა პოემის უკანა პლანში, იდეურ ნაწილში იჩენს თავს. რუსთაველის რწმენა-წარმოდგენები, როგორც სხვადასხვა ფილოსოფიური ნიუანსები, პოემის იდეურ-თემატურ დონეებსა და მხატვრულ სახე-სიმბოლოებშია ჩაქსოვილი.

ავტორი დასაწყისშივე აღიარებს ერთღმერთიანობასა და მის ყოვლისშემძლეობას. ეს ორი მახასიათებელი, უფრო ზუსტად, ერთღმერთიანობა და ერთი ღმერთის ყოვლისშემძლეობა დასტურდება სამ ძირითად რელიგიაში - ქრისტიანობაში, მაჰმადიანობასა და იუდაიზმში. ვ. ნოზამის მოსაზრებით, სამივე რელიგიისთვის ერთნაირად დამახასიათებელია ღმერთის არსებობა, ღმერთის ერთადერთობა, განმგებლობა, ქვეყნის შექმნა და გამოცხადება. გამომდინარე ერთგვაროვნებიდან, ამ პრინციპებზე დაყრდნობით რთულია დაადგინო, რომელ მათგანს ეყრდნობა ავტორი. ამიტომ მნიშვნელოვანია განსხვავებული მახასიათებლის

მიება და ეს არის სწორედ სამება, რომელიც განასხვავებს ქრისტიანობას იუდაიზმისა და მაჰმადიანობისაგან (ნოზამე, 1963:82-83). ვ. ნოზამეს და სხვა მეცნიერებსაც (ზ. გამსახურდია, ალ. ბარამიძე, ი. ლოლაშვილი) მიაჩნიათ, რომ პოემაში ნახსენები ცნება - „ერთარსებისა ერთისა“ ბიბლიური ტერმინია და გულისხმობს სამებას, რასაც არ ეთანხმება ე. ხინთიბიძე. მეცნიერის მოსაზრებით, ცნებები - „ერთარსება ერთი“, „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ მიემართება უზენაესს, ერთ ღმერთს და არა მაინცდამაინც ქრისტიანულ სამებას, ანდა ამ სამების რომელიმე პირს, კერძოდ ქრისტეს (ხინთიბიძე, 2009:288, ხიდაშელი 1988:289-290).

ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანში“ სამება მოიაზრება პირველივე სტროფში, როდესაც შესაქმის პროცესს სამების წევრები წარმოადგენენ, რაც რუსთაველმა ცალკეულ სტრიქონებში შემდეგი თანმიმდევრობით გადმოსცა: „რომელმან“ - მამა ღმერთია, „ძალი“ - ძე ღმერთი, „სული“ - სულიწმინდა („რომელმან შემქნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერთა“ (1)). ასევე სამება მოიაზრება სტრიქონში: „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად; ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად, ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“ (792). სადაც „დამბადებელი“ არის მამა ღმერთი, „ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად“ - არის ძე ღმერთი, ხოლო „საზღვრის დამსაზღვრებელი“ - სულიწმინდა (გამსახურდია, 1989:25-55). მეცნიერი იმავე პრინციპით გამოყოფს პოემის მესამე სტროფში „ღმერთს“ - როგორც მამა ღმერთს, სატანის დამთრგუნველ ძე ღმერთსა და მიჯნურთა სურვილის მომნიჭებელ სული წმიდას (გამსახურდია, 1991:140-141):

ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მის სატანისა,  
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,  
ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა (0.2).

ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციიდანაა აღმოცენებულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე დაყრდნობით განმარტავს ვ. ნოზამე საღვთო სახელებს: მზიან ღამეს, უჟამო ჟამს, ნათელს, უკვდავს, უცნაურს, უთქმელს, ყურთაგან მოუსმენელს, უხილავს,

მაღს, ყოფილს, მყოფს, სახიერს, ღმერთსა ცხოველსა, ტკბილად მხედს, მაღლით მაღალს, უფალს უფლებათა, სავსებას, ყოველთა მოწყალეს, მფლობელს გულისთქმათა, შემოქმედს, არსთა მხედს. მისი მოსაზრებით, თითოეული მათგანი საღვთო სახელთა რიგს განეკუთვნება (ნოზაძე, 1963:49-127).

ვ. ნოზაძის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანში“ ბიბლიურია **სამოთხე**, რაც დასტურდება სიტყვებით: **სამოთხე**, **ედემი**, **ალვა** (სამოთხის ხე, კვიპაროსი); **ბისონი** (სამოთხის მდინარე ფისონი), **ჯეონი** (სამოთხის მდინარე), **დილჯა** (ტიგრისი, სამოთხის მდინარე), **ეფრატი** (ნოზაძე, 1963:359-363). ასევე გვხვდება ბიბლიური ტერმინები - **სატანა**, **ეშმა** (ეშმაკი). **სატანა** ანუ **ეშმაკი** პოემაში მოხსენიებულია არაპირდაპირად, როდესაც თინათინი საუბრობს უცხო მოყმეზე: „ადრე სცნობ არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“. მკვლევარი მიიჩნევს, რომ „**უშობელში**“ ეშმაკი იგულისხმება, რასაც ადასტურებს როსტევეანის სიტყვები - „ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო, ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო“ (118). სწორედ ეს ზეცით „წარმოსრული“, „გარდმოჭრილი“ „მტერი“ არის ეშმაკი, „**უშობელი**“ (ნოზაძე, 1963:425-434).

რუსთაველის პოემის ანტიქრისტიანულად გაგება უმეტესწილად განაპირობა მორალურ-ზნეობრივი პრინციპების ახლებურად გააზრებამ. ქრისტიანული ეთიკიდან გამომდინარე პოემაში არაერთი ნიუანსი აღმოჩნდა მიუღებელი შუასაუკუნეობრივი აზროვნებისათვის. რუსთაველის ეთიკური პრინციპების ფორმირებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ანტიკურმა, კერძოდ, არისტოტელეს ფილოსოფიამ, რომელმაც ქართულ ეროვნულ და ქრისტიანულ მორალთან ერთად ჩამოაყალიბა რუსთაველის ეთიკური კონცეფცია, რომლის ცენტრშიც, ქრისტიანობისგან განსხვავებით, დგას არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ადამიანიც. პოემაში ქრისტიანულ ეთიკას, რწმენას ერწყმის ამქვეყნიური რეალობა, ადამიანური ღირებულებები, რაციონალიზმი. რუსთაველი აიდეალებს ისეთ პერსონაჟებს, რომლებიც ქრისტიანობის ზნეობრივი პრინციპების გათვალისწინებით არასწორია, მეტიც, ბოროტებაა, ხოლო ადამიანური, ჰუმანისტური თვალსაზრისით - სავსებით ბუნებრივი და სამართლიანი. რელიგიური კანონები გამოხენ ამქვეყნიურ,

ადამიანურ, ხორციელ მისწრაფებებს, ხოლო რუსთაველის გმირები, პირიქით, თამამად, იბრძვიან თავიანთი ამბიციების, ამქვეყნიური ინტერესებისა და მიზნების მისაღწევად. ეს აზრი დაუფარავადაა გამოხატული სტიქონებში: „მე და შენ ვისხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიმე-სძლობასა“ (537.4.). ნესტანი და ტარიელი ავლენენ ისეთ თვისებებს, რომლებიც მიუღებელია ქრისტიანული ზნეობისათვის - სიამაყე, თავმოყვარეობა, ქედმაღლობა, ამპარტავნება; არღვევენ მცნებებს: „არა კაც კლა“, „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“ და რაც მთავარია, არ ინანიებენ ჩადენილ ცოდვებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ლოგიკურია რელიგიური მოტივით პოემის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდება - „არსსა შეიქმს ხორცს, არ სულად“, „არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად“. პოემის სიუჟეტიდან, პერსონაჟების მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ავტორი არსად თვლის ხორცს და არა სულს (**ხინთიბიძე, 2009:361-375**).

„ვეფხისტყაოსანში“ ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ღვთაებრივი და ადამიანური ძალები. რუსთაველის გმირები იაზრებენ განგების მნიშვნელობას, მათ იციან, რომ ყველაფერი ღვთისმიერია („რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ (793.1.)), მაგრამ ამავე დროს იმავე მნიშვნელობას ანიჭებენ მოქმედებას, ბრძოლას, თავიანთი მიზნის მისაღწევად. ავტორი გმირთა სამოქმედო პრინციპს გამოხატავს ავთანდილის სიტყვებში: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცა-გხვდების“ (903.4.). სწორედ ღვთაებრივი და ადამიანური ძალების ერთობლიობით აღწევენ გმირები საწადელს, იმარჯვებენ, ამარცხებენ ბოროტებას ისევ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებით (**ხინთიბიძე, 2009:777-778, ნოზაძე, 1963:258**).

რუსთაველის იდეურ-თემატური საფუძველი, სიყვარული, როგორც არისტოტელესეული „საშუალი“, არ ემთხვევა ქრისტიანულ სიყვარულს, მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულის ამგვარი გააზრება ახალი აღთქმიდან იღებს სათავეს: „ღმერთი არასადა ვის უხილავს. უკუეთუ ვიყუარებოდით ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგეის და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს“ (I იოანე, 4, 12). ღვთაებრივი სიყვარულის სწორედ ამგვარი გამოვლინება - ადამიანურობა,

ამქვეყნიურობა გახდა რუსთაველის გმირების მისწრაფების საგანი. ისინი განახორციელებენ რუსთაველის პროლოგშივე ჩამოყალიბებულ კონცეფციას მიჯნურობის შესახებ და ნათლად წარმოაჩენენ უმაღლესი სათნოების, ამქვეყნიური ბედნიერების მოპოვების ერთადერთ გზას - ყოველგვარ ადამიანურ სიყვარულს, რომელიც უტოლდება ღვთაებრივს (**ხინთიბიძე, 2009:404-5**). შუა საუკუნეების მიწურულს სიყვარულის ამგვარი ინტერპრეტაცია აიძულებდა ეკლესიას რუსთაველის პოემის უარყოფას ან ქრისტიანულ მორალზე მისადაგებას. ამ ყველაფერს თუ დავუმატებთ სიყვარულის მესამე სახეს - სიძვას და მის მხატვრულ გამოხატულებას ფატმანის სახით, ცხადია, კიდევ უფრო რთული გახდება რუსთაველის შემოქმედების მიღება ქრისტიანული აზროვნებისათვის.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ქრისტიანობამ გააკრიტიკა პოემა, იყო ის, რომ რუსთაველის გმირები არ ინანიებენ იმას, რაც რელიგიური თვალსაზრისით ცოდვად იყო მიჩნეული. ეს განაპირობა იმ მსოფლმხედველობრივმა საფუძვლებმა, რაზეც უკვე გვექონდა საუბარი - ის, რაც ცოდვაა ქრისტიანობისათვის, არ ეწინააღმდეგება რუსთაველის და საზოგადოდ ადამიანის ეთიკურ ნორმებს.

ამის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთაველის გმირებს გააჩნიათ შენდობის ძალა, რასაც ღვთაებრივობამდე აჰყავს ისინი. ავთანდილი ცოდვათა შემსუბუქებას სთხოვს ღმერთს, რადგან უზენაესი გულისხმიერია და იმედოვნებს მისგან შენდობას. ის ასევე ასმათს სთხოვს პატიებას, რასაც ამყარებს რელიგიური მოძღვრებით - „ამად რომე შეცოდება **შვიდ გზის** თქმულა შესანდობლად“ (246.4.), ავთანდილის ვედრება ემყარება ლუკას სახარებას - „დაღაცათუ **შვიდ გზის** დღესა შინა შეგცოდოს და შვიდ გზის მოაქციოს და გრქვას შენ: შევინანე, მიუტევე მას (ლუკა 17,4). ამავე საფუძველზე სთხოვს ტარიელი ფარსადან მეფეს, რომ შეუნდოს რამაზ მეფეს - „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე - გაცუდებულსა“ (470.1.2.). მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოძღვრება გვხვდება სხვა რელიგიაშიც, კერძოდ ისლამში, მისი მომდინარეობა ქრისტიანული აღთქმებიდან ეჭვს აღარ აჩენს, ვინაიდან ტერმინები „ცოდვა“, „შეცოდება“, „შემცოდე“, „შეცოდებული“, „შვიდგზის“ დანამდვილებით ქრისტიანულია (**ნოზაძე, 1963:336-9**).

ცხადია, რუსთაველი ტექსტის სიუჟეტიდან, მოქმედების განვითარების არეალიდან, გმირთა რწმენა-წარმოდგენებიდან გამომდინარე თავისებური ინტერპრეტაციით გვთავაზობს რელიგიურ მოძღვრებებს, თუმცა ქრისტიანობის კვალი პოემაში უდავოდ შესამჩნევია, განსაკუთრებით მათი სიღრმისეული შესწავლისა და დაკვირვების შედეგად.



## V თავი

### „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი წყაროების ტრანსფერი რუსულ თარგმანებში

#### 5.1. „ვეფხისტყაოსნის“ ნეოპლატონური რეალიები რუსულ თარგმანებში

მსოფლმხედველობა გულისხმობს აზროვნების, შეხედულების, რწმენა-წარმოდგენების ერთობლიობას, რომლის გადმოცემა ხდება როგორც სხვადასხვა ცნება-ტერმინების საშუალებით, ასევე სიუჟეტური განვითარებით, პერსონაჟთა მოქმედებებითა და აზროვნებით. რუსთაველის მსოფლმხედველობის ფართო გაგებით კვლევა არ წარმოადგენს ჩვენს ამჟამინდელ ამოცანას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია რუსთაველის იმ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ წყაროებზე დაკვირვება, რომლებიც ფუნდამენტურ ბაზისს ქმნიან რუსთაველის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ პოემაში დასტურდება ანტიკური ფილოსოფიის კვალი როგორც პირდაპირი, ისე გადამუშავებული სახით. ამ ეტაპზე ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე - პლატონის, დიონისე არეოპაგელისა და არისტოტელეს მოძღვრებათა რუსთაველისეულ ინტერპრეტაციებზე, ასევე, ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალზე პოემაში. შევეცდებით გავანალიზოთ თითოეული მათგანის გამოვლენის შემთხვევები თარგმანებთან მიმართებით და შევაფასოთ რუსთაველის მსოფლმხედველობრივი წყაროების ეკვივალენტურობის ხარისხი კ. ბალმონტის, შ. ნუცუბიძისა და ა. ხალვაშის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანებში.

პოემაში არეოპაგიტული მოძღვრებები დაკავშირებულია დიონისე არეოპაგელთან, რაც თავს იჩენს არაერთ კონტექსტში. არეოპაგიტის ყველაზე ნათელი მაგალითია შემდეგი სტროფი, რომელშიც რეალიზდება როგორც არეოპაგიტული აზროვნება, ასევე მოძღვრების ავტორი:

59.1492. „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენ დიონოს გააცხადებს:  
ღმერთი კარგსა მოავლინებს, აწ ბოროტსა არ დაჰბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,  
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“.

მოცემული სტროფი თარგმანებში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ბალმ.:

**Мудрый Дивнос** сокровенье нам явил в словах реченья:

«В боге благо, возрожденье. Не из бога дышит зло.

Злой им в миге укорочен. Ход благого им упрочен.

В совершенстве вышний точен. Вне низин души светло» (46.1452.).

ნუცუბ.:

**Мудрый Дивнос** открывает дела скрытого исток:

Лишь добро являет миру, а не зло рождает бог,

Злу отводит Он мгновенье, а добру - пространный срок,

Ввысь подъяв его истоки, где нетленности порог (60.1494.).

ხალვ.:

Сумрак тайны, сокравенной, **Дионосом мудрым** раскрыт:

Бог являет только добро, зла Он никак не породит,

Жизнь зла кратка, как мгновенье, добру дает Он вечно жить,

Он лучшее не порочит, ему, верно, сохранит вид (60.1781.).

როგორც ვხედავთ, **ბრძენი დიონოსი**, იგივე **დიონისე არეოპაგელი**, თარგმანებში პირდაპირი ფორმით, მაგრამ გრაფიკული სახესხვაობებითაა წარმოდგენილი, რაც ბუნებრივია, რამდენადაც ქართულ ხელნაწერებშიც სხვადასხვაგვარი მოცემულობა (დიონოსი, დივნოსი) გვაქვს. ამასთანავე, განსხვავებული ინტერპრეტაციით, მაგრამ უცვლელი სემანტიკით გადადის დიონისეს საქმიანობის აღწერა. პირველივე სტრიქონში სრულად რეალიზდება დიონისეს მიერ დაფარული საქმის გაცხადება. მთარგმნელები აღნიშნავენ, რომ დაფარული საქმე (ბალ.: сокровенье; ნუცუბ.: дело скрытого; ხალვ.: Сумрак тайны, сокравенной) დიონისემ გამოავლინა, გაამხილა, გახსნა (ბალ.: явил; ნუცუბ.: открывает; ხალვ.: раскрыт).

აქვე უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი სტრიქონი, რომელშიც რუსთველოლოგთა ნაწილი დიონისე არეოპაგელს მოიაზრებს: „ამ საქმესა მემოწმების **დიონოსი ბრძენი**, ეზროს“ (177.1.). მათ საპირისპიროდ ე. ხინთიბიძეს მიაჩნია, რომ რუსთაველი იმოწმებს არა დიონისე არეოპაგელს, არამედ ბრძენ დემონს, პერსონიფიცირებულ ეროსს, რომელიც კარგად იცნობს რუსთაველის პერსონაჟებისათვის დამახასიათებელ

მტანჯველ სიყვარულს და შესაბამისად იმოწმებს მას ავტორი მოცემულ კონტექსტში (ხინთიბიძე, 2015:119). რაც შეეხება თარგმანებს, ამ მხრივ სრულ შესატყვისობასთან გვაქვს საქმე ორ თარგმანში - შ. ნუცუბიძე და ა. ხალვაში ახსენებენ მას, თუმცა განსხვავებული ინტერპრეტაციით:

6.177.2. ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს:

**ნუც.** Мудрый Эзрос в «Дионосе» сам свидетельствует мне (6.177):

**ხალვ.** Дионисий мудрый, Эзрос подтверждают мне напрямик (5.270.):

შ. ნუცუბიძე მიიჩნევს, რომ ეზროსის ნაშრომში, რომელსაც „დიონისე“ ეწოდება, დამოწმებულია კონტექსტის შესაბამისი აზრი, ხოლო ა. ხალვაში პირდაპირ ბრძენ დიონისეს, ეზროსს, ასახელებს. კ. ბალმონტის თარგმანში მთქმელის დაკონკრეტება არ ხდება. მთარგმნელი ზოგადად ახსენებს წმინდა წერილს, რომელშიც დასტურდება სარწმუნო სიტყვები:

ბალ. „Есть свидетельство Писанья, что достойно сострадания“ (4.171.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია დიონისე არეოპაგელის მოძღვრება და მისი ცნობილი მეთოდი (კატაფატიკა-აპოფატიკა), რომელსაც იყენებს რუსთაველი უზენაეს არსზე მსჯელობისას. რუსთაველისათვის ფილოსოფიური კონცეფციის საფუძველი არის ის, რომ ბოროტება არ არსებობს, რამდენადაც ღვთაების არსი მხოლოდ სიკეთეს გულისხმობს. ბოროტი წარმავალი და ხანმოკლეა, სიკეთე კი მარადიული. იგივე იდეაა გატარებული თარგმანებშიც, თუმცა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით. ბალმონტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოროტების სათავე არ არის ღმერთი (Не из бога дышит зло), რომ ღმერთი სიკეთეა (В боге благо) და განავრცობს კიდევ, რომ მასში ხელმეორედ დაბადება, აღდგენა (возрождение). ბალმონტის მიერ ასევე ინტერპრეტირებულად, მაგრამ ეკვივალენტურადაა გადმოცემული ბოროტების ხანმოკლეობისა და სიკეთის ხანგრძლივობის იდეა: „Злой им в миге укорочен. Ход благого им упрочен“. რაც შეეხება მესამე სტრიქონს, ბალმონტი სრულიად თავისუფლად, მხატვრული განვრცობით თარგმნის მას: „В совершенстве вышний точен. Вне низин души светло“, რაც თარგმანის გამრავალფეროვნებასთან ერთად იწვევს დედანში მოცემული სტრიქონით

გადმოცემული აზრის დაკარგვას („თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“).

რაც შეეხება ნუცუბიდისეულ თარგმანს, მეორე და მესამე სტრიქონის თარგმნისას სრულ შესატყვისობასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეოთხე სტრიქონი ამ შემთხვევაშიც ინტერპრეტაციითა და განვრცობით ხასიათდება. მთარგმნელი დედანში მოცემულ სტრიქონს - „თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ ინტერპრეტირებულად გადმოგვცემს (Ввысь подъяв его истоки) და განავრცობს ფრაზით - „где нетленности порог“, რაც კიდევ უფრო მხატვრულად წარმოგვიდგენს უზენაესის სახეს პოემაში.

ა. ხალვაში მთელ სტროფს მინიმალური ინტერპრეტირებით თარგმნის. თითოეული სტრიქონი სრულად შეესატყვისება დედანს როგორც ფორმალურად, ასევე კონცეპტუალურად. როგორც ჩანს, მთარგმნელებისათვის კონკრეტული, მარტივი ინფორმაციული სტრუქტურების თარგმნა (ღმერთი ქმნის სიკეთეს, არ ქმნის ბოროტებას, სიკეთე ხანგრძლივია, ბოროტება - ხანმოკლე) იძლევა ადეკვატური ტრანსფერის შესაძლებლობას, ხოლო ზოგადი, განვრცობილი სტრუქტურები, როგორებიცაა უზენაესის დახასიათება, მისი მხატვრული აღწერა, სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართებების მხატვრული ასახვა, გარკვეულ სახეცვლილებებს იწვევს თარგმანში, რაც განპირობებულია სიღრმისეული გააზრების სირთულითა და შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით თავისუფალი ინტერპრეტაციის შექმნის უპირატესობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველის მსოფლმხედველობის იდეურ საფუძველს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება წარმოადგენს. პოემის სიუჟეტური განვითარება ბოროტების არსებობის უარყოფას და სიკეთის დადასტურებას წარმოადგენს. რუსთაველის მიერ დამოწმებული არეოპაგიტული დებულებები არაერთ კონტექსტში იჩენს თავს. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს რუსულ თარგმანებთან ერთად:

3.113.4. „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!“

ბალმ.: „Бог и к мошке добр летящей. Если он раскинул чаши, разве в них он дал нам боль?“ (2.107.3.4.).

ნუცუბ.: „Зло творить зачем же будет тот, кто есть добра зиждитель?“ (3.113.).  
ხალვ.: „Кто делает добро, разве зло сотворит? – Понять нужно!“ (3.180.).

52.1361.4. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“  
ბალმ.: „Зло слабей в игре борений. Благо шествует, творя“ (41.1321.4).  
ნუცუბ.: „Зло сразив, добро пребудет в этом мире беспредельно“ (52.1363.4).  
ხალვ.: „Надо злом добро взяло верх, жизнь его прочна и долга!“ (52.1634.4).

44.1090.3. „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“.  
ბალ.: „То, что сделать непристойно, бесполезно и нестройно“ (32.1053.3.).  
ნუცუბ.: „Все уродливое бренно - в этом зла его примета“ (44.1092.3.).  
ხალვ.: „Всякое дело подлое коротко, полно зла, вреда“ (4.1335.3).

57.1435.4. „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.  
ბალმ.: „Буду я твоей слугою. Свет велит молчать тоске“ (44.1395.).  
ნუცუბ.: „Вечен свет добра, познала кратковременность я зла“ (58.1437.).  
ხალვ.: „Жизнь зла – кратка, добра – долга, это верно разумею“ (57.1717.).

59.1509.4. „თქვეს: "ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!"  
ბალმ.: „Нет у зла существованья. Для благого лишь деянья  
Есть и жизнь, и ликование. Свет в готовой ждет красе“ (46.1469.3.4.).  
ნუცუბ.: „Молвят: «Зло недолговечно, а добро живет века“ (60.1511.4.).  
ხალვ.: „Молвят ему: «Ты против зла, Ты милостив, Ты – доброхот!“ (60.1801.4.).

როგორც მასალამ გვიჩვენა, ბალმონტთან არც თუ იშვიათია კლება-მატების შემთხვევები. განსაკუთრებით თვალშისაცემია მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია და განვრცობა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით. პირველ მაგალითში რუსთაველისეული ლაკონიური სტრიქონი „*ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!*“ ბალმონტთან ორ სტრიქონშია განვრცობილი და კონტექსტუალური თარგმანის სახითაა წარმოდგენილი - „*Бог и к мошке добр летящей. Если он раскинул чаши, разве в них он дал нам боль?*“ ასევე ორ სტრიქონშია განვრცობილი პოემის ერთ სტრიქონში წარმოდგენილი ფრაზა - „*თქვეს: "ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!"*“. ბალმონტი ამ შემთხვევაშიც წყარო-ტექსტის პერიფრაზირებულ ვერსიას ქმნის და მხოლოდ იდეის დონეზე გადააქვს შინაარსი (Нет у зла существованья. Для благого лишь деянья есть и жизнь, и ликование), ამატებს მეტაფორას (Свет в готовой ждет красе).

ინტერპრეტაციის მკაფიო მაგალითია შემდეგი სტრიქონი:

57.1435.4. „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.

ბალმი.: „Буду я твоей слугою. Свет велит молчать тоске“ (44.1395.).

ბალმონტი ამ შემთხვევაშიც ცდილობს მაქსიმალურად დატვირთოს თარგმანი შთამბეჭდავი მხატვრული ელემენტებით, რაც იწვევს დედნისეული ვითარებიდან მნიშვნელოვან გადახვევას როგორც ფორმალურად, ასევე შინაარსობრივადაც.

სხვა მოცემულ შემთხვევებში რუსთაველის მსოფლმხედველობრივი დებულებების თარგმნისას ბალმონტი ცდილობს, შეუნარჩუნოს პოემას დედნისეული ვითარება.

რაც შეეხება ნუცუბიძის თარგმანს, მოცემულ მაგალითებში მთარგმნელი იჩენს ერთგულებას წყარო-ტექსტის მიმართ და მაქსიმალური სიზუსტით თარგმნის რუსთაველის მსოფლმხედველობრივ ნიუანსებს. ყველაზე დიდი სხვაობა ხუთი მაგალითიდან გვაქვს შემდეგი სტრიქონის თარგმნისას:

41.1321.4. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

ნუცუბ.: „Мло сразив, добро пребудет в этом мире беспредельно“ (51.1323.4).

(ბოროტებას წერტილი ესმება, სიკეთე რჩება ამ სამყაროში უსაზღვროდ).

როგორც ვხედავთ, თარგმანში იკარგება კონცეპტი - „სძლია კეთილმან“ და დაკონკრეტებულია სიკეთის უსაზღვროობა. დედნის ამგვარი ინტერპრეტაციით გადატანა მნიშვნელოვნად არ აზარალებს პოემას.

ასევე მინიმალური სხვაობაა შემდეგი სტრიქონის თარგმნისას:

57.1435.4. „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.

ნუცუბ.: „Вечен свет добра, познала кратковременность я зла“ (58.1437.).

(სიკეთის ნათელი მარადიულია, შევიცანი ბოროტების ხანმოკლეობა).

ამ შემთხვევაში მთარგმნელი მხოლოდ პოზიციებს, თანმიმდევრობას უცვლის ინფორმაციულ სტრუქტურებს, თარგმანი მაქსიმალურად ახლოსაა წყარო-ტექსტთან. დანარჩენი სტრიქონების შემთხვევაში ამგვარი სხვაობები აღარ შეინიშნება.

მოცემული ხუთი სტრიქონის ხალვაშისეულ თარგმანებში შეინიშნება მინიმალური ცვლილებები, კერძოდ განვრცობა და ინტერპრეტაცია. მთარგმნელი შეგონების გამომხატველ ფრაზებს უმატებს ტექსტებს:

3.113.4. „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!“

ხალვ.: „Кто делает добро, разве зло сотворит? – **Понять нужно!**“ (3.180.).

ვინც აკეთებს სიკეთეს, ნუთუ ის ქმნის ბოროტებას? - **საჭიროა გაგება.**

57.1435.4. „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.

ხალვ.: „Жизнь зла – кратка, добра – долга, **это верно разумею**“. (57.1717.).

ბოროტების სიცოცხლე ხანმოკლეა, სიკეთის - გრძელი, **ეს ნამდვილად შევიგნე.**

მთარგმნელი ცდილობს, მკვეთრად გაუსვას ხაზი რუსთაველისეულ ჭეშმარიტებას ისე, რომ მნიშვნელოვნად შეცვალოს წყარო-ტექსტი. შეგონების გამომხატველი ფრაზებით ხალვაში ცდილობს გაამძაფროს შთაბეჭდილება და სანდოობის ხარისხი თარგმნილი ტექსტის მკითხველში. ამავე მიზნით მთარგმნელი ასევე ამატებს ეპითეტებს: „არსება მისი გრძელია!“ – „жизнь его **прочна** и долга“, „მით ოხერია“ - **полно зла, вреда**“.

სრულიად ახლებურ, დედნისგან განსხვავებულ სტრიქონს ქმნის ა. ხალვაში შემდეგ მაგალითში:

59.1509.4. „თქვეს: "ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!"

ხალვ.: „Молвят ему: „Ты против зла, Ты милостив, Ты – доброхот!“ (60.1801.4.).

(ეუბნებიან მას: ბოროტების წინააღმდეგ ხარ, შენ მოწყალე ხარ, შენ კეთილისმყოფელი ხარ!)

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი ამ შემთხვევაში თავისუფლად თარგმნის სტრიქონს, რაც იწვევს ორიგინალი ტექსტიდან გადახვევას და მნიშვნელოვანი დებულების დაკარგვას თარგმანში.

რუსთველოლოგები არეოპაგიტულ მოძღვრებებს უკავშირებენ ავთანდილის სიტყვებს „ვეფხისტყაოსანში“:

32.790.3.4. „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

შ. ხიდაშელის აზრით, ამ სტრიქონებში კარგად ჩანს რუსთაველის შეხედულება არსის, როგორც „მწყობრთა წყობის სირას“ ნეოპლატონურ-არეოპაგიტული წარმომავლობა (**ხიდაშელი, 1988:288-9**). ხოლო ე. ხინთიბიძის მოსაზრებით, ფრაზა - „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!“ - მიემართება პლატონს, „ფილოსოფოსებში“ სწორედ პლატონის „ბრძნობა“ იგულისხმება, რამდენადაც ავთანდილი პლატონისეული მოძღვრების, სიბრძნის გამტარებელია პოემაში

(ხინთიბიძე, 2009:474). მოცემული სტრიქონები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი თარგმანებში:

ბალმ.: „Что мне мудрые, их знание? Друг, так к другу и в скитанье.

Этот путь для ликованья воинств света, их громад“ (21.754.3.4.).

ნუცუბ.: „Если действовать не будешь, ни к чему ума палата

Цель познания в том, чтоб влиться в стройность высшего уклада“ (32.790.3.4.).

ხალვ.: „Коль не применять, зачем же философскую мудрость знать!

Учимся, чтобы включиться в сомн высших существ и в их ряд“ (30.1015.3.4).

როგორც ვხედავთ, ბალმონტი მოცემულ შემთხვევებშიც საკუთარი ინტერპრეტაციით, მაქსიმალურად განვრცობილად წარმოგვიდგენს თარგმანს. მთარგმნელი მხოლოდ კითხვას სვამს სიბრძნესა და ცოდნაზე („Что мне мудрые, их знание?) და თხრობას ავთანდილისა და ტარიელის მეგობრობაზე საუბრით აგრძელებს (Друг, так к другу и в скитанье). მეორე სტრიქონში კი საერთოდ გამოტოვებულია ფილოსოფიური სწავლების განსაზღვრება, მისი მნიშვნელობა და ფუნქცია, რაც იწვევს მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვას წყარო-ტექსტში.

შ. ნუცუბიძე საერთოდ არ ახსენებს „ფილოსოფოსთა ბრძნობას“, თუმცა მათ იდეებს პერიფრაზირებულად გადმოგვცემს („Если действовать не будешь, ни к чему ума палата“) და გამოკვეთს ცოდნის მიზანს - *ცოდნის მიზანი არის ის, რომ შეუერთდე უმაღლესი რანგის ჰარმონიას* („Цель познания в том, чтоб влиться в стройность высшего уклада“). ამ შემთხვევაში მთარგმნელი გვთავაზობს კონტექსტუალურ თარგმანს, რაც უნარჩუნებს იდეურ შესაბამისობას დედანთან მიმართებით, თუმცა კლებისა და ინტერპრეტირების შემთხვევათა გამოვლენა აშკარაა.

განსხვავებით წინამორბედი მთარგმნელებისაგან, ა. ხალვაში მაქსიმალური სიზუსტით თარგმნის მოცემულ სტრიქონებს. იგი იცავს კონცეპტების როგორც თანმიმდევრულობას, ასევე შინაარსობრივ და იდეურ შესაბამისობას (შდრ.: *თუკი არ გამოიყენებ, რატომ უნდა იცოდე ფილოსოფიური სიბრძნე! ვსწავლობთ, რათა ჩავეერთოთ უმაღლესი არსებების კრებულში და მათ რიგებში*).



როგორც ცნობილია, რუსთაველი იშვიათად იმოწმებს რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა ავტორებს. ერთ-ერთი ასეთი იშვიათი შემთხვევათაგანია პლატონის ხსენება ერთადერთ კონტექსტში:

32.789.3.4. მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, **პლატონისგან** სწავლა-თქმულსა:  
"სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა".

მოცემულ სტრიქონში პლატონის ხსენება შემთხვევითი არ არის. იგი უშუალოდ რუსთაველის მსოფლმხედველობრივ მრწამსს ეხმიანება. ამდენად, აღნიშნული სტრიქონების მართებული გაგება და მისი ტრანსფერი თარგმანებში, ცხადია, მნიშვნელოვანია რუსთაველის მსოფლმხედველობრივი მრწამსის თარგმნისას ეკვივალენტობის ხარისხის შეფასებასა და განსაზღვრაში. ვნახოთ სტრიქონთა შესატყვისობები თარგმანებში:

ბალმ.: „Жертва другу — власть закона. Царь, вспомни мысль **Платона**:  
Ложь двуличья — порчи лоно и для тела, и души“ (21.753.3.3.).

ნუცუბ.: „Я дерзну слова **Платона** привести, как образец:

Вслед за плотью тленен духом как двуличный, так и лжец“ (32.789.3.4.).

ხალვ. „**Платонова** слово одно я твоему дерзну слуху:

Ложь с двуличьем причинят вред прежде плоти, потом духу“ (30.1014.3.4.).

როგორც ვხედავთ, სამივე თარგმანში პირდაპირაა გადატანილი დებულების ავტორი - **პლატონი**, ხოლო თავად მოძღვრება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით რეალიზდება თითოეული მთარგმნელის მიერ. კ. ბალმონტი, როგორც მოსალოდნელი იყო, განავრცობს შესავალს. სტრიქონს იწყებს ფრაზით - „Жертва другу — власть закона“ (*მეგობრისთვის თავგანწირვა - კანონის ძალა*), რაც წინა სტრიქონების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ხოლო სტრიქონის მეორე ნაწილში მოქცეულია დედანში წარმოდგენი სრული სტრიქონის შინაარსი - „Царь, вспомни мысль Платона“ (მეფეო, გაიხსენე პლატონის იდეა). ამ შემთხვევაშიც მთარგმნელი ამატებს მიმართვას (Царь - მეფეო) და ავთანდილის სიტყვებში უშუალო, ფამილარულ სტილს შეიტანს, ყოველგვარი თავაზიანობისა და მოკრძალების გარეშე მიმართავს მეფეს („გკადრებ“ სიტყვის ნაცვლად პირდაპირ ეუბნება მეფეს - вспомни - გაიხსენე). რაც შეეხება მეორე სტრიქონს, აქაც თავისუფალი თარგმანია მოცემული. კ. ბალმონტი ერთ სიბრტყეზე აყენებს სულსა და სხეულს და სიცრუეს ორივე მათგანისთვის ერთნაირად საზიანოდ

მიიჩნევს, რაც შეუსაბამოა რუსთაველის მიერ პერიფრაზირებული პლატონის მოძღვრებისათვის. ამ გზით მთარგმნელი უკარგავს პოემას მსოფლმხედველობრივი წყაროების დადგენისა და მათი რეალიზების შესაძლებლობას თარგმანებში.

კ. ბალმონტისაგან განსხვავებით მოკრძალებულად იწყებს თავის სათქმელს ავთანდილი შ. ნუცუბიძის თარგმანში - „Я дерзну слова Платона привести, как образец“ (მე ვბედავ პლატონის სიტყვები მოვიყვანო, როგორც ნიმუში). ასევე დედნის ეკვივალენტურია მეორე სტრიქონიც, რომელშიც დაცულია თანმიმდევრობა ტყუილით სხეულის შემდეგ სულის გახრწნისა - „Вслед за плотью тленен духом как двуличный, так и лжец“, შეცვლილია მხოლოდ გამოხატვის ფორმები - დედანში სიცრუე და ორპირობა აბსტრაქტული არსებითი სახელებია („სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა...“), ხოლო თარგმანში - ადამიანის მსაზღვრელები (სხეულის შემდეგ სულიც იხრწნება, როგორც ორპირი ადამიანისა, ისე მატყუარასი). მთარგმნელი ინტერპრეტაციის გარეშე, მინიმალური მოდიფიკაციით, ცდილობს შეუნარჩუნოს თარგმანს დედნისეული ვითარება, რაც ზრდის ეკვივალენტობის ხარისხს წყარო- და მიზან-ტექსტებს შორის.

კიდევ უფრო ზუსტ და ეკვივალენტურ თარგმანს გვთავაზობს ა. ხალვაში. მის თარგმანში დაცულია როგორც სტილური, ასევე შინაარსობრივი სიზუსტე. ავთანდილი მისთვის შესაფერისი მოკრძალებით შთააგონებს მეფეს პლატონის სიბრძნეს, რომ ტყუილი, ორპირობასთან ერთად, ზიანს აყენებს ჯერ ხორცს, შემდეგ სულს, თუმცა ამ შემთხვევაში ორი დამოუკიდებელი, თანაბარი ფუნქციის კონცეპტი (სიცრუე და ორპირობა) მინიმალური ცვლილებით გადააქვს მთარგმნელს - Ложь с двуличьем, რაც შინაარსის თვალსაზრისით მკვეთრ ცვლილებას არ იწვევს, მხოლოდ პოზიციებს უცვლის მათ - ორპირობა დაქვემდებარებულია, თანმხლებია სიცრუისა. დედნისეული ვითარების ამგვარი მინიმალური ცვლილებით გადატანა შესაძლებლობას უტოვებს თარგმანის მკითხველს, დაინახოს მასში პლატონისეული მოძღვრება და მისი მიმართება რუსთაველის პოემასთან.

პლატონის იდეა სამყაროს მთლიანობის შესახებ რუსთაველთან თავს იჩენს შემდეგ სტრიქონებში:

50.1305.4. „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“.  
ბალმ.: „Без тебя не будет солнца, ибо ты частица солнца“ (39.1266.1.).  
ნუცუბ.: „Без тебя не светит солнце, нераздельное с тобой“ (50.1307.1.).  
ხალვ.: „Без тебя ведь солнце ничто, в смысле, что ты есть его часть“ (50.1571.1.).

32.792.3.4. „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,  
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“.  
ბალმ.: „Закрепляющий границы, бог в мгновение зеницы  
Сто сведет до единицы, и один вдруг будет сто“ (21.756.3.4.).  
ნუცუბ.: „Кто, найдя предел пределам, обессмертил божество,  
Тот мгновенно претворяет сто в одно, одно же в сто“ (32.792.3.4.).  
ხალვ.: „Бог же ставит всему между, везде ступит Его нога,  
Он превратит один во сто, не теряя даже мига“ (30.1017.3.4.).

პირველ მაგალითში მზის მიმართება ღმერთთან სხვადასხვაგვარად გადააქვთ მთარგმნელებს. ბალმონტის თარგმანი ამ მხრივ ყველაზე ახლოსაა დედანთან, ის ღმერთს მზის ნაწილს (частица солнца) შეუსატყვისებს. შ. ნუცუბიძისეულ თარგმანში შებრუნებულია მიმართებები - მზე მიიჩნევა ღმერთისგან განუყოფლად (нераздельное с тобой) ხოლო ა. ხალვაშისეულ თარგმანში, მართალია, ღმერთი მზის ნაწილია, მაგრამ დამცირებულია მზის კონცეპტი (*უშენოდ მზე არაფერია* - Без тебя ведь солнце ничто).

მიუხედავად სხვაობებისა, სამივე თარგმანში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ღმერთის გარეშე მზე ვერ იარსებებს (Без тебя не будет солнца; Без тебя не светит солнце; Без тебя ведь солнце ничто).

მეორე მაგალითში თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი ღმერთის, როგორც საზღვრის დამდებისა (ბალმ.: Закрепляющий границы; ნუცუბ.: Кто, найдя предел пределам; ხალვ.: Бог же ставит всему между) და ყოვლისშემძლეს, ყოველივეს გამაერთიანებლის (ბალმ.: бог в мгновение зеницы сто сведет до единицы, и один вдруг будет сто; ნუცუბ.: Тот мгновенно претворяет сто в одно, одно же в сто; ხალვ.: Он превратит один во сто, не теряя даже мига) იდეა. ხოლო ღმერთის უკვდავება მხოლოდ შ. ნუცუბიძესთანაა თარგმნილი (обессмертил божество), ა. ხალვაშთან ჩანაცვლებულია ფრაზით - *везде ступит Его нога (მისი ფეხი ყველგან ხვდება)*, კ. ბალმონტთან კი მთლიანად გამოტოვებულია. ა. ხალვაში ასევე არასრულად,

ნაწილობრივ თარგმნის პროცესის შეუქცევადობას (იგი გაჰდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად), რაც ღმერთის ყოვლისშემძლეობას უსვამს ხაზს.

პლატონისეულადაა მიჩნეული „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული იდეა სრულყოფილი არსების მიერ მისივე მსგავსის წარმოშობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დებულება რეალიზდება პოემის შემდეგ კონტექსტში:

51.1323.4. „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“.

ბალმ.: „Кто с кем вместе, примет сходство. С благородным — благородство“ (40.1284.3.4.).

ნუცუბ.: „Но мудрец сказал: «Родится от подобного подобный“ (51.1325.4.).

ხალვ.: „Всяк себе сходных породит, – молвят мудрецы, что не чушь“ (51.1591.4.).

მოცემული სტრიქონი სრული შესატყვისობით გადააქვს მხოლოდ ნუცუბიძეს (*მაგრამ ბრძენმა თქვა: მსგავსი დაიბადება მსგავსისგან*). ა. ხალვაში ამატებს შეფასებით ფრაზას - что не чушь (*რაც სისულელე არ არის*), ხოლო ვ. ბალმონტი საერთოდ არ ახსენებს ბრძენებს, არღვევს რუსთაველის იდეას მემკვიდრეობითობის შესახებ, მსგავსის მიერ მსგავსის შობას ცვლის გავლენის კონცეპტით - С благородным — благородство (*დიდსულოვანთან - დიდსულოვნება*). ბალმონტი ასევე ახსენებს მსგავსთა არა წარმოშობას, არამედ დამსგავსებას თანაარსებობის პირობებში (Кто с кем вместе, примет сходство), რაც დედნის შინაარსს საგრძნობლად ცვლის და კარგავს მწერლის მთავარ სათქმელს.

პოემის პროლოგში წარმოდგენილ კლასიფიკაციას, კერძოდ, მუშის, მეომრისა და მიჯნურის თანმიმდევრულ დახასიათებას, რუსთველოლოგები უკავშირებენ პლატონის თეორიას სახელმწიფოს ფენებად დაყოფასთან დაკავშირებით. ვნახოთ აღნიშნული სტროფის ტრანსფერის შემთხვევები თარგმანებში:

0.11. რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:  
მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;  
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,  
არცა ვისგან დაიწყუნოს, არცა სხვასა უწყუნობდეს.

ბალმ.: Что судьба нам присудила, нам должно быть это мило.

Неизменно, что б ни было, любим мы родимый край.

У работника — работа, у бойца — война забота.

Если ж любишь, так без счета верь любви и в ней сторай (0.18).

ნუცუბ.: Будь судьбой доволен каждый, чем бы кто ни удостоен!  
Долг трудящихся - трудиться. Храбрецом да будет воин.  
А миджнур, призванью верный, пусть в любви пребудет зноен,  
Не судя других миджнуров, пред чужим судом спокоен (0.11.).

ხალჯ.: Каждый должен строго жить тем, чем наделен своей судьбой:  
Работнику жить работой, воину бодро войти в бой;  
А миджнuru любить и знать, что охвачен ею одной,  
Чтоб он других не осуждал, а самого – миджнур другой (0.17.).

მოცემული სტროფი მინიმალური სხვაობით გადააქვთ თარგმანში შ. ნუცუბიძესა და ა. ხალჯაშს. ბალმონტი მიჯნურის მოვალეობებს უმატებს ფრაზას - „*пусть в любви пребудет зноен*“, ხოლო მეოთხე სტრიქონს თავისებური ინტერპრეტაციით გვთავაზობს - *Не судя других миджнуров, пред чужим судом спокоен* (*სხვა მიჯნური არ განიკითხოს, სხვისი გასამართლების დროს მშვიდი იყოს*). მიუხედავად აღნიშნული სხვაობებისა, დედანსა და თარგმანს შორის შესატყვისობა არ იწვევს შეუსაბამობასა და ბუნდოვანებას, რასაც ვერ ვიტყვით ბალმონტის თარგმანზე. მთარგმნელი პირველ და მეორე სტრიქონებს მთლიანად უთმობს დედნისეული პირველი სტრიქონის აზრის გადმოცემას. პირველი სტრიქონი მეტ-ნაკლებად შეესატყვისება დედანს, ხოლო მეორე სტრიქონში მთლიანად ამატებს ფრაზას - *Неизменно, что б ни было, любим мы родимый край* (*უცვლელად, რაც არ უნდა იყოს, ჩვენ გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო*). დედანის მეორე სტრიქონში გადმოცემული აზრი ბალმონტს მესამე სტრიქონში გადააქვს, მესამესი - მეოთხეში, ხოლო მეოთხე სტრიქონი („*არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს*“) საერთოდ დაკარგულია. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს კ. ბალმონტის თავისუფალ, თვითნებურ მიდგომას წყარო-ტექსტის მიმართ, რაც მნიშვნელოვნად უცვლის სახეს ტექსტს.

რუსთაველის პოემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **განგების** საკითხს, რომელიც ასევე პლატონთან არის დაკავშირებული. „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა **განგება** სხვადასხვა ფორმით სულ 11 კონტექსტში დასტურდება. წარმოგიდგინოთ თითოეულ მათგანს თარგმანებთან ერთად:

6.190.4. „**განგებასა** ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების“.

ბალმ.: „Если он не шлет удачу — не случится никогда“ (4.185.1.2).  
ნუცუბ.: „Неизменно провиденье: что не должно, не придет“ (6.190.1).  
ხალვ.: „Воли Бога не изменить, что вне Него – тому не быть“ (5.288.1.).

8.302.4. „არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა ზენასა“.

ბალმ.: (გამოტოვებულია).

ნუცუბ.: „Все прекрасно, что дается провидением всевышним“ (8.302.1.).

ხალვ.: „В общем-то, лучше лишь то, что по своей воле Бог отдаст“ (7.432.1).

17.438.4. „განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავიმალე?!“

ბალმ.: „Если смерть приходит строго, где укрыться я могу?“ (10.427.4.).

ნუცუბ.: „Рок тебя везде прикончит, где б следов ни прятал ты“ (17.438.4.).

ხალვ.: „Воля Бога, коль погибну, как я могу пренебречь Им?!“ (17.619.4.).

30.766.3. „განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დაჰრიდებია!“

ბალმ.: (გამოტოვებულია).

ნუცუბ.: „Миновать никто не может рока грозную пучину“ (30.766.3.).

ხალვ.: „Гневу, что идет по року, нет смысла пути городить!“ (28.986.3).

32.795.4. „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

ბალმ.: „С богом разве в бой вступали те, кому чрез плоть стезя?“ (21.759.4.).

ნუცუბ.: „Не менять земным созданием бытия извечный ход“ (32.795.4.).

ხალვ.: „Человеку не миновать того, что Он послал людям“ (30.1020.4.).

36.903.2. „არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების?“

ბალმ.: „Скорбен? Всё ж тоской своею не обрежь течение дней“ (24.866.4.).

ნუცუბ.: „Ведь никто не умирает, коль того не хочет рок“ (36.905.4.).

ხალვ.: „Знаешь ли ты, что без рока ни одному не грозит смерть?“ (34.1137.4.).

41.1039.1.2. „უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მეზნენ ხმელთა სჰანი;  
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი“.

ბალმ.: „Что написано, свершится. Вся земля пусть ополчится,

Рок решит, и не случится злоключенья никогда“ (28.1002.1.2.).

ნუცუბ.: „Я без рока не погибну, пусть разят меня войска,

Не минуть копьа ударов, коль судьбина жестока“ (41.1041.1.2.).

ხალვ.: „Коль не воля Бога, меня войска суши вряд ли возьмут;

Захочет Он, я не спасусь, тогда меня меч с ножом ждут“ (40.1283.1.2.).

47.1219.2. „მონამან უთხრა: "ჰე, ძმანო, განგება რამე ზესია:“

ბალმ.: „Учит путь. Есть сказка в дали. Говорил последним раб:“ (36.1182.2.).

ნუცუბ.: „Раб сказал: «я, братья, видел отблеск высшего огня“ (47.1221.2.).

ხალვ.: „Раб сказал: «Братья, поверьте, нечто вышнее все это:“ (47.1474.2.).

58.1475.1.2. „რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი,  
 ღმერთი იწადებს, მომივლენ გულსა სახმილთა ლხენანი“.  
 ბალმ.: „Если хочет провиденье, так небесные виденья  
 Принесут мне утешенье в этой огненной печи“ (45.1435.1.2.).  
 ნუცუბ.: „Коль послать мне силу неба соизволит провиденье  
 И заменит ликованьем мне сердечное горенье“ (59.1477.1.2.).  
 ხალვ.: „Как только с неба на это разрешение низойдет,  
 Господь изволит и к сердцу моему легкость припадет“ (59.1762.2.3)..

58.1477.4. „მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა“.  
 ბალმ.: „От небес и провиденья. Да узнаю радость встреч“ (45.1437.3.4.)  
 ნუცუბ.: „Лучше ждать мне воли неба, с ней не быть в противоречьи“. (59.1479.4.)  
 ხალვ.: „Лучше мне дела ждать свыше, так приличнее и умней“ (59.1764.4.)

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს მთარგმნელების მიერ გამოყენებული განგების  
 ეკვივალენტების მრავალფეროვნება, მოცემულ მასალას წარმოვადგენთ ცხრილის  
 სახითაც:

ქართული	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
განგება	[Бог]	Провидение	Бог
განგება	0	Провидение	Бог
განგება	0	Рок	Бог
განგება	0	Рок	Рок
განგება	Бог	0	[Бог]
განგება	0	Рок	Рок
განგება	написано	Рок	Бог
განგება	Рок	Судьбина	[Бог]
განგება	0	0	0
განგება	Провидение	Провидение	0
განგება	Провидение	воли неба	0

ცხრილი N5.

როგორც მოცემული მასალიდან ჩანს, განგების კონცეპტის შესატყვისად კ.  
 ბალმონტი იყენებს ორ ფორმას - **Рок, провиденье** (ბედისწერა, განგება), რომელთაგან

პირველი მხოლოდ ერთხელ (1039.2.), ხოლო მეორე - ორჯერ (1475.1, 1477.4.) დასტურდება თერთმეტი კონტექსტიდან. მხოლოდ ამ სამ შემთხვევაშია მეტ-ნაკლებად დაცული შესაბამისობა დედანსა და თარგმანს შორის. რაც შეეხება ცვლილებებს - ხუთ შემთხვევაში გამოტოვებულია **განგება** (302, 776, 438.4, 903.2, 1219.2), ხოლო ორში **განგების** ნაცვლად დასტურდება (975.4.) ან მოიაზრება **ღმერთი - Бог** (190.4.) - 190-ე სტროფის მესამე სტრიქონში რუსთაველიცა და ბალმონტიც **ღმერთს** ახსენებენ („ღმერთოდ ვერას ვერ მოვაწევ“ - „Что без бога здесь я значу“?), ხოლო მეოთხე სტრიქონში ბალმონტი ისევ ღმერთზე საუბარს აგრძელებს და არ ახსენებს **განგებას** („Если он не шлет удачу — не случится никогда“). თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ბალმონტი **განგების** უარყოფის (უგანგებობის) თარგმნისას შემდეგ ფრაზაში: „უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი“. მთარგმნელი **განგების** გარდაუვალობაზე ამახვილებს ყურადღებას ისე, რომ არ ახსენებს მის შესატყვისს, არამედ შეუსატყვისებს კონცეპტს - написано („უგანგებოდ ვერას მიზმენ“ - „Что написано, свершится“). ხოლო მეორე შემთხვევა, რომელშიც ნახსენებია უგანგებობა, საერთოდ გამოტოვებულია ბალმონტთან.

შ. ნუცუბიძისეულ თარგმანში განგება თერთმეტიდან მხოლოდ ორ სტრიქონშია გამოტოვებული (795.4, 1219.2.), დანარჩენ ცხრა სტრიქონში კი მეტ-ნაკლები სიზუსტით დაცულია შესაბამისობა დედანსა და თარგმანს შორის. მთარგმნლისეულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე 1477-ე სტროფის თარგმნისას, როდესაც მთარგმნელი ფრაზას „**განგებისა ზენისა**“ შეუსატყვისებს „**ზეცის ნებას**“, რაც განგების რუსთაველისეულ აღქმას კარგავს და შემოაქვს ახალი კონცეპტი „**ზეციური ნება**“, რაც მნიშვნელოვნად სცილდება ავტორის სათქმელს. ასევე ერთადერთ სტრიქონში (1039.1) შეუსატყვისებს შ. ნუცუბიძე **განგებას** სიტყვას - **судьбина** (ბედი), რაც კიდევ უფრო ამორებს განვრცობილ თარგმანს დედანთან. დარჩენილი შვიდი სტრიქონიდან ნუცუბიძე სამში შეუსატყვისებს დენოტაციურ ეკვივივალენტს - провиденье (განგება), ხოლო ოთხ სტრიქონში განგების შისატყვისად სინონიმურ ეკვივივალენტს იყენებს - **Рок** (ბედისწერა).



ხალვაშის თარგმანში **განგების** შესატყვისად უპირატესობა ენიჭება **ღმერთს - Бог** (6 შემთხვევა), მხოლოდ ორ შემთხვევაშია გამოყენებული სინონიმური ეკვივალენტი **Рок**, ხოლო სამ შემთხვევაში საერთოდ გამოტოვებულია **განგება**.

ამრიგად, **განგება**, როგორც გარდაუვალი, ღვთისმიერი მოვლენა, თავისებური ინტერპრეტაციით გადააქვთ მთარგმნელებს. თითოეული მათგანი შესატყვისების შერჩევას ეკვივალენტების მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც მთარგმნელობითი პრინციპის არაერთგვაროვნებაზე მეტყველებს და ბუნდოვანებას იწვევს თარგმანში.

როგორც ჩვენ მიერ დამუშავებულმა მასალამ გვიჩვენა, მთარგმნელები ცდილობენ შეუნარჩუნონ წყარო-ტექსტს რუსთაველის მსოფლალქმის გამომხატველი მნიშვნელოვანი ნიუანსები, თუმცა არეოპაგიტული მოძღვრებები უმეტესად გადააქვთ მხოლოდ იდეის დონეზე, გამომსახველობით საშუალებებს კი სუბიექტური ინტერპრეტირებით ქმნიან, რაც ახალ მხატვრულ ჩარჩოს ქმნის პოემისათვის.

## 5.2. არისტოტელიზმის კვალი დედანსა და რუსულ თარგმანებში

მეორე მნიშვნელოვანი წყარო რუსთაველისათვის იყო ანტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, არისტოტელეს, მოძღვრებები, რომლებიც სხვადასხვა სახით რეალიზდება პოემაში. მართალია, ავტორი პირდაპირ არ ახსენებს არისტოტელეს, მაგრამ უდავოა, რომ მწერალი საფუძვლიანად იცნობდა და აქტიურად იყენებდა მის ფილოსოფიას. პოემის სიუჟეტური განვითარება, მთავარ გმირთა აზროვნება და მოქმედების პრინციპები ძირითადად ეყრდნობა არისტოტელეს ეთიკურ-ზნეობრივ შეხედულებებს, ცხადია, სხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებთან სინთეზით.

პოემის პროლოგში რუსთაველი მიჯნურის ათ ზნეობრივ და ფიზიკურ მახასიათებელს ასახელებს, რომელთაგან შვიდი - სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, გონება, დათმობა, „მძლეთა მეზრძოლთა მძლეობა“, მოცალეობა - არისტოტელეს სახელთანაა დაკავშირებული. ვნახოთ როგორაა წარმოდგენილი აღნიშნული მახასიათებლები თარგმანებში, დავიწყოთ ბალმონტის თარგმანით:

0.23. „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,  
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალობა,  
ენა, გონება, დათმობა, მძლეობა მებრძოლთა მძლეობა“.  
ბალმ.: „Тот, кто любит, кто влюбленный, должен быть весь озаренный,  
Юный, быстрый, умудренный, должен зорко видеть сон,  
Быть победным над врагами, знать, что выразить словами“ (0.8.).

ბალმონტი სიტყვა მიჯნურს შეუსატყვისებს влюбленный (შეყვარებული) ფორმას, ხოლო პირველი მახასიათებელი - სიტურფე, მზესთან შედარებასთან ერთად, გადმოცემულია ერთი სიტყვით - озаренный (განათებული), რაც მინიმალური ასახვაა დედნისეული ვითარებისა, თუმცა დასაფასებელია მისი შენარჩუნება თარგმანში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც უკვე ვთქვით, „თვალად სიტურფე“ და მასთან ერთად „სიყმე“, რომელსაც ბალმონტის თარგმანში Юный (ახალგაზრდა) შეესაბამება, არისტოტელეს ეთიკას არ უკავშირდება. სწორედ ეს ორი თვისება, განასხვავებს რუსთაველის მოყმე-რაინდს არისტოტელეს დიდსულოვანი რაინდისაგან, რომელიც XI-XII საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილიდან, კერძოდ, რაინდული ინსტიტუტიდან მომდინარედ არის მიჩნეული.

მეორე სტრიქონში მოცემულ, არისტოტელედან მომდინარე, ოთხ თვისებათაგან (სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, მოცალობა) ბალმონტი დენოტაციური ეკვივალენტით თარგმნის მხოლოდ ბრძენს (умудренный), ხოლო სიუხვე, სიმდიდრე და მოცალობა გამოტოვებული აქვს, მათ საკომპენსაციოდ ამატებს მახასიათებელს - სწრაფი (быстрый) და მეტაფორას - должен зорко видеть сон, რაც სრულიად განსხვავებულ სურათს გვაძლევს თარგმანში, ცვლის მიჯნურის იდეურ და მხატვრულ სახეს და კარგავს არისტოტელეს ეთიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

რაც შეეხება მესამე სტრიქონში მოცემულ სამ მახასიათებელს - გონება, დათმობა, „მძლეობა მებრძოლთა მძლეობა“ - ბალმონტის თარგმანში გამოტოვებულია გონება და დათმობა, ხოლო „მძლეობა მებრძოლთა მძლეობა“ თარგმნილია ფრაზით - Быть победным над врагами (მტერზე გაიმარჯვოს). ამავე სტრიქონში მოცემული რუსთაველისეული მახასიათებელი - „ენა“ - მთარგმნელმა, სავარაუდოდ, გააერთიანა გონებასთან და სინთეზურად გადმოსცა შემდეგი წინადადებით - знать, что выразить словами (იცოდეს რა გამოხატოს სიტყვებით). ამ შემთხვევაშიც თავისუფალი

ინტერპრეტაციით თარგმნის კ. ბალმონტი პოემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტროფს, არღვევს მახასიათებლების როგორც ლოგიკურ თანმიმდევრობასა და სტრუქტურას, ასევე მათ იდეურ-თემატურ მხარეს, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისია პოემისათვის.

ვნახოთ მოცემული სტრიქონების შ. ნუცუბიძისეული თარგმანი:

ნუცუბ.: „Но лишь тот миджнур, кто с виду блещет солнечной красой,  
Чей удел довольства жизни, **мудрость, щедрость и покой,**  
Одарен **умом** и словом, мощных мощно кличет в бой“ (0.21.).

მთარგმნელს პირველივე სტრიქონში პირდაპირ, ზუსტად, გადააქვს სიტყვა მიჯნური და მისი გარეგნული მახასიათებელი შედარებასთან ერთად - „миджнур, кто с виду блещет солнечной красой“ (*მიჯნური, რომელიც გარეგნულად ანათებს მზიანი სილამაზით*), რაც მნიშვნელოვნად აახლოებს თარგმანს დედანთან და ადეკვატურ წარმოდგენას გვიქმნის რუსთაველის მიჯნურზე. მეორე სტრიქონი განსხვავებულად გადააქვს შ. ნუცუბიძესაც. მთარგმნელს **სიბრძნე (мудрость)** და **სიუხვე (щедрость)** გადააქვს დენოტაციური ეკვივალენტით, ხოლო სიმდიდრეს მეტაფორულად გადმოსცემს ფრაზით - Чей удел довольства жизни (*ვისი ხვედრია ცხოვრებით კმაყოფილება*). მოცალეობის გამოსახატავად შ. ნუცუბიძე იყენებს ფორმას **покой** (სიმშვიდე). რუსულში მოცალეობასა (თავისუფალ დროს) და სიმშვიდეს ერთდროულად გამოხატავს სიტყვა **Досуг**, რომელიც ა. ხალვაშის თარგმანში დასტურდება იმავე სიტყვა **მოცალეობის** გამოსახატავად, თუმცა შ. ნუცუბიძე არჩევანს მოცემულ ფორმაზე აჩერებს, რაც, სავარაუდოდ, რითმის შენარჩუნებასთანაა დაკავშირებული.

შედარებით უკეთესი ვითარებაა მესამე სტრიქონის თარგმნისას. შ. ნუცუბიძე **ენასა და გონებას** ერთ კონტექსტში ასახელებს - „Одарен умом и словом“, ასევე მხატვრულად გადმოსცემს ფრაზას - „мдлетა მეზრძოლთა მძლეობა“ - „мощных мощно кличет в бой“ (*ძლევამოსილებს მოუწოდებს ძლიერად ბრძოლისაკენ*), ხოლო არისტოტელესგან მომდინარე თვისება - **დათმობა** - საერთოდ გამოტოვებული აქვს მთარგმნელს. ამგვარი მრავალფეროვანი, სახეცვლილი თარგმანი სტროფისა არღვევს

პოემაში მიჯნურის მახასიათებლების ჩამოთვლის პრინციპსა და მნიშვნელობას, შეუსაბამოს ხდის თარგმანს დედანთან მიმართებით.

ა. ხალვაშისეული თარგმანი:

0.23. „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეოთა მეზრძოლთა მძლეობა“.

ხალვ.: „Миджнур должен быть красивым, чтоб горел солнцем, чтоб не тух, Чтоб имел **мудрость**, мужество, **богатство**, **щедрость**, здравый дух, Веру в победу, терпенье, досуг, ум, скромность, язык, слух (0.33.).

ა. ხალვაში მხატვრულად განავრცობს მიჯნურის პირველ მახასიათებელს - „თვალად სიტურფეს“ და მზესთან შედარებასაც ინტერპრეტირებულად გადმოგვცემს - „чтоб горел солнцем, чтоб не тух“ (რომ მზესავით ანათებდეს, რომ არ ჩაქრეს). შედარებით უფრო სრული შესატყვისობაა მეორე სტრიქონში, რომელშიც არათანმიმდევრულად, მაგრამ ზუსტად თარგმნის ა. ხალვაში **სიბრძნეს** (мудрость), **სიმდიდრეს** (богатство), **სიყმეს** (здравый дух), **სიუხვეს** (щедрость), ხოლო **მოცალეობა** გადააქვს მესამე სტრიქონში და თარგმნის სიტყვით - **Досуг**, რაც გულისხმობს როგორც მოცლილობას, ასევე სიმშვიდეს. მეორე სტრიქონში მთარგმნელი ამატებს **სიმამაცეს** - (мужество), რაც, სავარაუდოდ, „**მძლეოთა მეზრძოლთა მძლეობას**“ უნდა შეესატყვისებოდეს, რამდენადაც მესამე სტრიქონში ამაზე საუბარი აღარ არის, თუმცა ნახსენებია „**გამარჯვების რწმენა**“ (Веру в победу), რაც ამავე მახასიათებელს მიემართება.

ხალვაშისეული თარგმანის სასიკეთოდ უნდას ითქვას, რომ მხოლოდ აქ დასტურდება **დათმობის** თარგმნა სრულად, ზუსტი ეკვივალენტით - **терпенье** (მოთმინება), რომელიც მესამე სტრიქონშია წარმოდგენილი. ამავე სტრიქონში გადმოცემული **ენა** და **გონებაც** დენოტაციური ეკვივალენტებითაა თარგმნილი (язык, ум), დამატებულია თავმდაბლობა (скромность) და სმენა (слух).

თვალსაჩინოებისათვის ვნახოთ ეკვივალენტების ამსახველი ცხრილი:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
სიბრძნე	умудренный	Мудрость	мудрость
სიუხვე		Щедрость	щедрость

სიმდიდრე			богатство
მოცალეობა		Покой	досуг
გონება	знать	Ум	ум
დათმობა			терпенье
მძლეთა მებრძოლთა მძლეობა	Быть победным над врагами	мощных мощно кличет в бой	Веру в победу

ცხრილი N6

როგორც ვხედავთ, მიჯნურის ყველა მახასიათებელს მათგანს სრულად თარგმნის მხოლოდ ხალვაში (სიბრძნე – мудрость, სიმდიდრე – богатство, სიყმე – здравый дух, სიუხვე – щедрость, მოცალეობა – Досуг, გონება – ум, დათმობა – терпенье, „მძლეთა მებრძოლთა მძლეობას“ -Веру в победу). ნუცუბიძეს მხოლოდ სიბრძნე (мудрость), სიუხვე (щедрость), მოცალეობა (покой) და გონება – (ум) გადააქვს თარგმანში, ხოლო სიმდიდრესა და ფრაზას „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“ გადმოსცემს მეტაფორებით (Чей удел довольства жизни, мощных мощно кличет в бой). ბალმონტი თარგმნის მხოლოდ ბრძენს (умудренный), გონებას შეუსატყვისებს სიტყვას **знать**, ხოლო „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“ თარგმნილია ფრაზით – „Быть победным над врагами“, სხვა მახასიათებლები გამოტოვებული აქვს. როგორც ვხედავთ, მთარგმნელები არაერთგვაროვანი პრინციპით თარგმნიან არისტოტელესგან მომდინარე კონცეპტებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთველოლოგებს სხვადასხვაგვარად ესმით ზოგიერთი თვისების გამომხატველი ტერმინი, რაც თარგმანებშიც აისახება. სიტყვა **სიყმე** ასოცირდება როგორც სიყრმესთან ანუ ახალგაზრდობასთან, ასევე მოყმეობასთანაც. ვ. ბალმონტი და შ. ნუცუბიძე საერთოდ არ თარგმნიან მას, ხოლო ა. ხალვაში ჯანსაღ სულს უკავშირებს მას (здравый дух). ასევე სხვადასხვაგვარადაა გაგებული ტერმინი **მოცალეობა**. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცალეობა გააზრებულია, როგორც მოცლილობა (ვ. ნოზაძე), ასევე, როგორც შესაფერისობა (ნ. ნათაძე) მიჯნურებს შორის. რუსთველოლოგიაში გავრცელებულია მოცალეობის, როგორც სიმშვიდის, სიდინჯის გამომხატველ ტერმინად გააზრება (ვ. დანელია). სწორედ ამ გაგებით თარგმნიან მას შ. ნუცუბიძე და ა. ხალვაში მოცემულ

კონტექსტში, კ. ბალმონტს კი საერთოდ გამოტოვებული აქვს. ე. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ მოცალეობა შემეცნებითი პროცესია, მისთვის განკუთვნილი დრო, როგორც ესმით ეს არისტოტელესაც და რუსთაველსაც (ხინთიბიძე, 2015:73-74). ამ მნიშვნელობით მოცალეობა არცერთ თარგმანში არ დასტურდება. ამგვარი აზრთასხვადასხვაობა გაუგებრობასა და ბუნდოვანებას თარგმანებში იწვევს და ქმნის ეკვივალენტურ მრავალფეროვნებას.

არისტოტელეს მოძღვრებებთანაა დაკავშირებული პოემაში ორგზის დადასტურებული ფრაზა „მართალი სამართალი“, რომელიც გულისხმობს არა კანონით გათვალისწინებულ ან რელიგიურ სამართალს, არამედ სიტუაციურს. მართლმსაჯულების ეს თავისებულებული სახეობა ანტიკური ფილოსოფიიდან, კერძოდ, არისტოტელედან მომდინარეობს და ქართული მართლმსაჯულებისთვისაც არ არის უცხო. აქედან გამომდინარე მოცემული ფრაზის სრული შესატყვისობით თარგმნა მნიშვნელოვანია რუსთაველის მსოფლმხედველობრივი მრწამსის წყაროების გასააზრებლად და სრულყოფილად შესაცნობად.

გავეცნოთ თარგმანებში კონკრეტულ კონტექსტებს:

23.542.4. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“.  
ბალმ.: „Правосудью сделать вольно, чтоб и ствол сухой зацвел“ (13.529.4.)  
ნუცუბ.: „Правдой жизнь сухому дереву может быть возвращена“ (23.542.4.)  
ხალვ.: „Праведный суд сухой тополь озеленит, тут мысль ясна“ (21.730.4.)..

50.1308.2. „ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“.  
ბალმ.: „Сердце с сердцем — как звено“ (39.1269.2.)  
ნუცუბ.: „Ты пойми, как правда сердца путь находит к сердцу ближних“ (50.1310.2.).  
ხალვ.: „Замысел сердца одного совпал с тем другим, тебе знать!“ (50.1574.2.).

ბალმონტი პირველ სტრიქონში „მართალი სამართალის“ ნაცვლად „თავისუფალ სამართალს“ თარგმნის და „გამხმარი ხის ასაყვავებლად“ მოუწოდებს ადრესატს, რომ „თავისუფლად აღასრულოს სამართალი“ (Правосудью сделать вольно), რაც სრულიად არ შეესაბამება დედანს. მთარგმნელი მეორე ფრაზაში საერთოდ არ ახსენებს სამართალს და მხოლოდ ნესტანისა და ტარიელის გულთა სიახლოვის მეტაფორას თარგმნის - „Сердце с сердцем — как звено“. მთარგმნელი ამ შემთხვევაშიც უკიდურესი

თავისუფლებით ეპყრობა სათარგმნ ტექსტს და თვითნებურად აკლებს მას ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორც მოცემული შემთხვევებია.

ასევე თავისუფალ თარგმანთან გვაქვს საქმე შ. ნუცუბიძის შემთხვევაშიც. მთარგმნელი *სამართლის* ნაცვლად *სიცოცხლეს* ახსენებს და *მართალ სიცოცხლეს* (Праведный жизнь) მიიჩნევს გამხმარი ხის აღდგენის შესაძლებლობად. მეორე მაგალითი კი ამ შემთხვევაშიც დაკარგულია, საერთოდ არაა ნახსენები *სამართალი* და ამჯერადაც მხოლოდ პერსონაჟების გულთა ურთიერთმისწრაფებაა გამოხატული, რაც თარგმანის ეკვივალენტობის ხარისხს ადაბლებს.

რაც შეეხება ა. ხალვაშის თარგმანს, პირველ სტრიქონში *სამართლის* შესატყვისად გამოყენებულია *суд* (სასამართლო) და დენოტაციური ეკვივალენტი *მართალი* - Праведный. თარგმანის მიხედვით, სწორედ ამგვარი „*მართალი* სასამართლო“ ამწვანებს გამხმარ ალვის ხეს (*сухой тополь*). მთარგმნელი იქვე ამატებს მტკიცებით ფრაზას - *тут мысль ясна*“ (*აქ აზრი ნათელია*). როგორც აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში ზუსტი შესატყვისობით გადადის დედნისეული ვითარება თარგმანში, თუმცა მეორე სტრიქონი ა. ხალვაშთანაც მხოლოდ მეტაფორის დონეზეა თარგმნილი („Замысел сердца одного совпал с тем другим“), გამოტოვებულია „*მართალი სამართალი*“ და დამატებულია მთარგმნელისეული შენიშვნა - *тебе знать!*

რუსთველოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეორე სტროფის პირველ სტრიქონში ფრაზა „*სახე ყოვლისა ტანისა*“ დაკავშირებულია არისტოტელეს მოძღვრებასთან სულის შესახებ. ა. ხალვაშის თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია მოცემული ფრაზა, ხოლო ბალმონტი მხოლოდ „*სახეს*“ თარგმნის, „*ტანი*“ გამოტოვებული აქვს (*От тебя здесь облик каждый*). მხოლოდ შ. ნუცუბიძე თარგმნის სრულყოფილად მთელ სტრიქონს (*Образ тел во всей вселенной создал ты, единый бог*). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კ. ბალმონტი და შ. ნუცუბიძე „*სახის*“ გამოსახატავად განსხვავებულ ფორმებს ირჩევენ. რუსული ენის ბუნებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ნუცუბიძის მიერ აღებული ვერსია - **Образ** - ბევრად ახლოსაა არისტოტელესეულ, ამ შემთხვევაში კი, რუსთაველისეულ, „*სახესთან*“, ვიდრე ბალმონტის მიერ აღებული ფორმა - **облик**, რაც

პირდაპირი თარგმანი უფროა, ვიდრე კონტექსტით გათვალისწინებული შესატყვისი.  
ვნახოთ კონტექსტები:

0.2.1. „ჰე ღმერთო ერთო, შენ შექქმენ **სახე ყოვლისა ტანისა**“.

ბალმ.: „Бог, создавший мир однажды! От тебя здесь **облик** каждый“ (0.2.1.).

ნუცუბ.: „**Образ** тел во всей вселенной создал ты, единый бог“ (0.2.1.).

ხალვ.: „Боже единый, Ты создал все, что водится вокруг нас“ (0.3.1.).

არისტოტელესთანაა დაკავშირებული ტერმინი „**კაცი ვარგი**“, რომელიც საერთოდ არ გადადის თარგმანებში. მთარგმნელთაგან მხოლოდ შ. ნუცუბიძე ცდილობს პერიფრაზირებულად გადაიტანოს მთელი სტრიქონის იდეა, რაც ახლებურ ინტერპრეტაციას განაპირობებს. „**კაცი ვარგის**“ ნაცვლად ის ახსენებს კარგი სმენის უნარის მქონეს (способный слушать), ვინც შეისმენს ავტორის შეგონებებს:

0.12.3. „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს **კაცი ვარგი**“.

ბალმ.: „Дух свой с слушателем свяжет“ (0.19.3).

ნუცუბ.: „Но и здесь способный слушать насладится им сполна“ (0.12.3).

ხალვ.: „Будет мило, коль устремишь к стихам свои: чутье и взор“ (0.19.3).

რუსთველოლოგები ხშირად აღნიშნავენ „ვეფხისტყაოსანში“ არისტოტელეს მეტაფიზიკური აზროვნების სხვადასხვა დეტალების გამოვლენის შემთხვევებსაც. ერთ-ერთი მათგანია მოძღვრება **ბუნების საგანთა ოთხი საწყისი ელემენტის** (წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა) შესახებ. პოემაში სიკვდილი გააზრებულია, როგორც სხეულის **დაშლა** სწორედ ამ ოთხი ელემენტისაგან, მათგან სულის გათავისუფლება და ამადლება. ასეთი სულ ორი შემთხვევაა პოემაში. ვნახოთ მათი გადატანის შემთხვევები თარგმანებში:

36.884.4. „**დამშლიან ჩემნი კავშირნი**, შევჰრთვივარ სულთა სირასა“.

ბალმ.: „Птицы к душам вверх стремятся — так и тело ждет конца“ (24.847.4.).

ნუცუბ.: „**Врозь пошли мои стихии**, возношусь в духовный ряд“ (36.886.4).

ხალვ.: „Уж **разложилась моя плоть**, на усопшего похожу“ (34.1118.4).

50.1304.1.2. „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,  
**ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა**“.

ბალმ.: „За меня моли ты бога, чтоб смягчился он немного,

И откроется дорога до желанья моего“ (39.1265.1.2.).

ნუცუბ.: „Умоляй творца, чтоб выход дал из тленной мне темницы,

Где **огонь, вода, и воздух, и земля** кладут границы“ (50.1306.1.2.).

ხალვ.: „Помолись Богу, может быть, снимет с меня труд жизни сей,



Прекращу лазить по стезям **земли, воздуха, вод, огней**“ (50.1570.1.2)..

კ. ბალმონტი პირველი სტრიქონის თარგმნისას საერთოდ არ ახსენებს „კავშირსა“ და „სულთა სირას“, მთელი სტრიქონი სიკვდილის მოლოდინის გამომხატველი მეტაფორაა (Птицы к душам вверх стремятся — так и тело ждет конца“). ასევეა მეორე შემთხვევაშიც. ბალმონტის თარგმანში მოცემული კონტექსტები სრულიად თავისუფალი ინტერპრეტაციით, მხატვრული განვრცობით არის თარგმნილი.

რაც შეეხება შ. ნუცუბიძის თარგმანს, ამ შემთხვევაში სიკვდილის გამოსახატავად ნახსენებია **ელემენტთა დაშლა** (пошли мои стихии) და **სულთა რიგში ასვლა** (возношусь в духовный ряд), რაც ზუსტ შესატყვისობაზე მეტყველებს დედანსა და თარგმანს შორის. ასევეა მეორე შემთხვევაშიც - მთარგმნელი დენოტაციური ეკვივალენტების საშუალებით გადმოგვცემს ოთხ ელემენტს (огонь, вода, и воздух, и земля), რომლებთან განშორებაც უტოლდება სიკვდილს.

ა. ხალვაში ახსენებს მხოლოდ სხეულის დაშლას (разложилась моя плоть) და გარდაცვლილზე დამსგავსებას (на усопшего похожу), არ არის დაკონკრეტებული „კავშირნი“ და შერთვა „სულთა სირასა“, რაც უშუალოდ არისტოტელესგან მომდინარედაა მიჩნეული. მეორე კონტექსტში მთარგმნელი ჩამოთვლის ოთხივე ელემენტს (земли, воздуха, вод, огней) და მათთან განშორებას სიკვდილად წარმოგვიდგენს.

ასევე პარალელი მოეპოვება პოემაში არისტოტელეს არსებობის ოთხ მიზეზს (მატერიალური, ფორმალური, მოქმედი, დასრულებადი მიზეზი ანუ მიზანი). მათგან პოემაში მოხსენიებულია მატერიალური მიზეზი - „**ნივთი**“ და დანიშნულებითი მიზეზი „**ვალი**“. აღნიშნული ცნებების ყველაზე ზუსტ ეკვივალენტებს მხოლოდ ა. ხალვაში გვთავაზობს. „**ვალის**“ შესატყვისად თარგმანში დასტურდება. **Долг** (ვალი, მოვალეობა), ხოლო „**ნივთის**“ შესატყვისად - **сокровище** (განძი). ასევე განძი აქვს გამოყენებული მოცემულ კონტექსტში კ. ბალმონტს - клад сокровищ сокровенный, ხოლო „**ვალი**“ გამოტოვებულია. სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციითა გადმოცემული მთელი სტრიქონი შ. ნუცუბიძის თარგმანში (Высших заповедей сердца

мир раскрыл ему скрижали). ამ შემთხვევაში მთარგმნელი თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რაც ცვლის წყარო-ტექსტის ვითარებას. ვნახოთ თითოეული მათგანი კონტექსტებთან ერთად:

4.147.3. იგია ლხინი სოფლისა, იგია **ნივთი** და **ვალი**,

ბალმ.: В ней, златой, восторг вселенной, **клад сокровищ сокровенный** (2.142.3.).

ნუცუბ.: Высших заповедей сердца мир раскрыл ему скрижали (4.147.3.).

ხალვ.: Он – радость мира, он **долг** и он **сокровище** страны всей (3.230.3.).

დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რუსთაველი არისტოტელეს მოძღვრებებს იყენებს პოემის სიუჟეტური განვითარების საფუძვლად, პერსონაჟთა მოქმედების მთავარ პრინციპებად, რაც გამოვლენილია ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორებიცაა მეგობრობის იდეა, „საუკეთესო საშუალის“ პრინციპით მოქმედება, მცირე მიზნების მთავარი მიზნის მისაღწევ საშუალებად გამოყენება და სხვ. ფილოსოფიურ მოძღვრებათა ამგვარი არაპირდაპირი გამოყენება ტექსტში ართულებს მათ გამოვლენას, თარგმანებში კი მათი კვლევა-ძიება შინაარსობრივი პლანის სიღრმისეული და სრულყოფილი ანალიზის შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ჩვენს მთავარ ამოცანას. ამჯერად შევეცადეთ რუსთაველის მსოფლმხედველობრივი წყაროების მხოლოდ ის შემთხვევები განგვეხილა, რომლებიც ამკარად დასტურდება წყარო-ტექსტში და შესაძლებლობას იძლევა მათი თარგმნის პროცესებზე დაკვირვებას კონკრეტულ თარგმანებში.

### 5.3. „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული რეალიები რუსულ თარგმანებში

„ვეფხისტყაოსანში“ ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ღვთაებრივი და ადამიანური შესაძლებლობები. რუსთაველის გმირები იაზრებენ განგების მნიშვნელობას, იციან, რომ ყველაფერი ღვთისმიერია („რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“), მაგრამ ამავე დროს არანაკლებ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ შესაძლებლობებს, მოქმედებას სასურველი მიზნის მისაღწევად, რაც გამოხატულია ავთანდილის სიტყვებში: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-

ცა-გხვდების“ (903.4.). სწორედ ღვთაებრივი და ადამიანური ძალების ერთობლიობით იმარჯვებენ გმირები და ამარცხებენ ბოროტებას. იდეურ-თემატური მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნით მოცემული სტრიქონების გაანალიზება თარგმანებთან ერთად. ვნახოთ დაპარალელებული მასალა:

32.793.1. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“.

ბალმ.: „Бог позволит — солнце глянет, лишь уверуй и посмей“ (21.757.1.).

ნუცუბ.: „Не бывает то, что воле всеблагого неуютно“ (32.793.1.).

ხალვ.: „Если Господь не захочет, вряд ли пойдет дело на лад“ (30.1018.1.).

36.903.4. „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“.

ბალმ.: „Что без божьего хотенья может видеть совершенье?“ (24.866.4.)

ნუცუბ.: „Рок борьба, и с ней победа, коль того желает бог“ (36.905.4.)

ხალვ.: „Судьба – рвенье, а победа придет, коль Бог не скажет „Нет“ (34.1137.4.).

პირველი სტრიქონი სამივე მთარგმნელთან განსხვავებული ინტერპრეტაციებითაა წარმოდგენილი. ღმერთის შესატყვისად ბალმონტი იყენებს დენოტაციურ ეკვივალენტს - **Бог**, შ. ნუცუბიძე ექსპრესიულ ეკვივალენტს შეუსატყვისებს - **воле всеблагого** (ყოვლისშემძლეს ნება), ხოლო ა. ხალვაში კონოტაციურ ეკვივალენტს - **Господь** ფორმას იყენებს. სამივე მათგანში უზენაესი არსება მოიაზრება, რომელიც განსაზღვრავს ყოველივეს სამყაროში. ეს იდეა სამივე თარგმანში სრულყოფილადაა გადატანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ნუცუბიძე პირველ სტრიქონში ცვლის ინფორმაციულ სტრუქტურებს, რაც განაპირობებს ფოკუსის გადანაცვლებას - ფოკუსში ექცევა პირველი ინფორმაციული სტრუქტურა - არ არსებობს ის (Не бывает то).

მეორე სტრიქონს სრული შესატყვისობით თარგმნიან შ. ნუცუბიძე და ა. ხალვაში. ისინი თანმიმდევრულად ასახელებენ **ბედს** (Рок, Судьба), ცდას (Борьба, рвенье), გამარჯვებას (Победа) და ღმერთის ნებას (Желает бог, Бог не скажет „Нет“). ხოლო ბალმონტი მხოლოდ ღვთის ნების ძლევამოსილებაზე საუბრობს მთელი კონტექსტის ფარგლებში, რაც იწვევს წყარო-ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების კლებას.

რუსთაველი გმობს ქრისტიანულ დოგმებს. მისთვის უცხოა მონანიებაც, თუმცა პოემის პერსონაჟები რამდენიმე შემთხვევაში თავად ინანიებენ და შეცდომების

შენდობას, ცოდვათა შემსუბუქებას ითხოვენ ღვთისგან. ავთანდილი სთხოვს ღმერთს, შეუმსუბუქოს ცოდვები, ხოლო ასმათს სთხოვს პატიებას, რასაც ამყარებს სახარებისეული მოძღვრებით - „ამად რომე შეცოდება **შვიდ გზის** თქმულა შესანდობლად“ (246.4.) (შდრ.: „დაღაცათუ **შვიდ გზის** დღესა შინა შეგცოდოს და შვიდ გზის მოაქციოს და გრქვას შენ: შევინანე, მიუტევე მას (ლუკა 17,4)). ამავე საფუძველზე სთხოვს ტარიელი ფარსადან მეფეს, რომ შეუნდოს შეცოდება რამაზ მეფეს - „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე - გაცუდებულსა“ (470.1.2.). ვნახოთ როგორ გადადის მოცემული სტრიქონები თარგმანებში:

7.246.4. „ამად რომე შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესანდობლად“.

ბალმ.: „Мы должны давать прощенье, и не раз, а до **семи**“ (4.239.4.).

ნუცუბ.: „Как ни тяжело прегрешенье, все ж прощенье **семикратно**“ (7.246.4.).

ხალვ.: „Ведь простили **семь раз** за день, говорится в книге святой“ (6.363.4.).

18.470.1.2. „მე ვჰკადრე: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა“.

ბალმ.: „Я дерзнул сказать: «От бога милосердья к грешным много.

Так и ты суди нестрога пораженного его“ (11.459.1.2.).

ნუცუბ.: „Я сказал: «Коль бог прощает, не считаясь с прегрешеньем,

„Вы бессильному простите вашим царственным решением“ (18.470.1.2.).

ხალვ.: „Я дерзнул: «Так как грешнику прощает грехи Господь Бог, –

И вы сделайте доброе тому, кто ослаб, сбился с ног!“ (16.653.1.2.).

ავთანდილის სიტყვებს სამივე მთარგმნელი სრული შესატყვისობით თარგმნის, გადააქვს ჩვენთვის საინტერესო ცნება „შვიდგზის“ და ცოდვების მიტევების აუცილებლობას ხაზგასმით გამოკვეთს; მეტიც, ა. ხალვაში წმინდა წიგნსაც ამატებს ნათქვამის დასადასტურებლად და ექსპლიკაციურად მიუთითებს მასზე (говорится в книге святой). მეორე შემთხვევაშიც ასეთივე ერთგულება შეინიშნება დედნის მიმართ. სამივე მთარგმნელი შეახსენებს მეფეს შეწყალების ღვთისმიერობას და მოუწოდებს, „ჰკადრებს“, უძღურის შენდობას.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი მკაცრად არ მიჰყვება რელიგიურ დოგმებს, არ ჯდება მის ჩარჩოებში, პოეტის აზროვნებაში მაინც შეინიშნება ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალი, მისი როლი ავტორის

მსოფლმხედველობის ფორმულირებაში. რუსთაველის რწმენა-წარმოდგენები, როგორც სხვადასხვა ფილოსოფიური ნიუანსები, პოემის იდეურ-თემატურ დონეებსა და მხატვრულ სახე-სიმბოლოებშია ჩაქსოვილი. მიუხედავად ამისა, რუსთველოლოგები მაინც გამოყოფენ ისეთ ცნება-ტერმინებს, რომელთა წარმომავლობა, ხშირ შემთხვევაში, აშკარაა და წმინდა წიგნებს უკავშირდება.

რუსთაველი დასაწყისშივე აღიარებს ერთღმერთიანობასა და მის ყოვლისშემძლეობას. რუსთველოლოგთა დიდი ნაწილი (ვ.ნოზაძე, ზ. გამსახურდია, ალ. ბარამიძე, ი. ლოლაშვილი) მიიჩნევს, რომ სამება, რომელიც განასხვავებს ქრისტიანობას სხვა რელიგიებისგან, მოიაზრება პოემაში ნახსენებ ცნებაში - „ერთარსებისა ერთისა“. ე. ხინთიბიძის მოსაზრებით კი, ცნებები - „ერთარსება ერთი“, „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ მიემართება უზენაესს, ერთ ღმერთს და არა მაინცდამაინც ქრისტიანულ სამებას, ანდა ამ სამების რომელიმე პირს, კერძოდ ქრისტეს (ხინთიბიძე, 2009:288). საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნული ცნებების ქრისტიანულ ჭრილში განხილვა და მათი ტრანსფერის საკითხის შესწავლა რუსულ თარგმანებში. ვნახოთ შესაბამისი მაგალითები:

35.836.1.2. „იტყვის: "ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს **მზიანისა ღამისად,**  
**ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად**“

ბალმ.: „Молвит: «Солнце! Нежа очи, образ солнечной ты ночи

Перед тем, кто средоточий есть единство, в бурях тишь“ (24.799.1.2.).

ბუცუბ.: „Молвит: «Солнце - в изреченьях образ солнечной ты ночи,

Ты вне времени причастно одного единой мощи“ (35.838.1.2.).

ხალჯ.: „Молвит: «Эй, солнце, ты хранишь образ солнечно-ночного,

Верно Единосущего, Единого, и Вечного“ (33.1066.1.2.).

კ. ბალმონტს დენოტაციური ეკვივალენტის მეშვეობით გადააქვს პირველი ცნება კონტექსტთან ერთად „ხატად გთქვეს **მზიანისა ღამისად** - образ солнечной ты ночи (მზიანი ღამის ხატი ხარ შენ), ხოლო მეორე სტრიქონში მოცემული ცნებები - „ერთ-არსებისა ერთისა“, „უჟამოსა ჟამისად“ - თავისებური ინტერპრეტაციით გადააქვს. „ერთარსებისა ერთისა“ ნაცვლად იყენებს კონოტაციურ ეკვივალენტს - кто средоточий есть единство ( ვინც მთლიანობის ცენტრია), „უჟამო ჟამს“ კი ექსპრესიული ეკვივალენტით თარგმნის და შეუსატყვისებს სრულიად განსხვავებულ მეტაფორას - в бурях тишь (სიჩუმე ჭექა-ქუხილში). ამ შემთხვევაშიც ბალმონტი ვერ არიდებს თავს

თავისუფალ თარგმანს და თავისებური ინტერპრეტაციებით გადააქვს დედნისეული ვითარება თარგმანში.

შ. ნუცუბიძეც განხილულ სამ ცნებათაგან ზუსტი შესატყვისობით თარგმნის „**მზიან ღამეს**“ (солнечной ты ночи), „**ერთ-არსება ერთის**“ შესატყვისად იყენებს ფრაზას - „одного единой мощи“ (ოდენ ერთადერთი ძალა), ხოლო „**უჟამო ჟამს**“, ბალმონტის მსგავსად, ექსპრესიული ეკვივალენტით თარგმნის - „დროის მიღმა მოქცეული“ (Ты вне времени причастно).

ვერც ა. ხალვაში ასახავს სრულად თარგმანში რუსთაველის განხილულ ცნებებს. „**მზიანი ღამის**“ შესატყვისად დენოტაციური ეკვივალენტი - солнечно-ночного გამოიყენება, ხოლო „**ერთარსებისა ერთისა**“ და „**უჟამო ჟამის**“ შესატყვისია „ერთი და მარადიული“ (Единого, и Вечного), დამატებულია მათი თანაარსებობის სიცხადე (Верно Единосущего).

როგორც ჩანს დინამიკური, აქტიური სიუჟეტების თარგმნა ბევრად უმარტივდებათ მთარგმნელებს, ვიდრე სტატიკური, ოდენ აღწერითი მომენტებისა, რომლებიც ზღუდავს მათ თავისუფლებას და ბოჭავთ თარგმნის ისედაც რთულ პროცესში.

ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანში“ სამება მოიაზრება პოემის პირველივე სტროფში, რომელშიც „**რომელმან**“ - მამა ღმერთია, „**ძალი**“ - ძე ღმერთი, „**სული**“ - სული წმიდა. ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ თარგმანებში:

0.1.1.2. „**რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა**

ზეგარდმო არსნი **სულითა** ყვნა ზეცით მონაბერითა“.

ბალმ.: „Он, что **создал** свод небесный, он, что **властию чудесной**

Людям **дух** дал **бестелесный**,—этот мир нам дал в удел“ (0.1.1.2.).

ნუცუბ.: „Кто **создателем** вселенной был **всесильно-всемогущим**

И с небес **дыханье** жизни даровал всем тварям сущим“ (0.1.1.2.).

ხალვ. „Который **силой могучей** **создал** мир, все, что видим здесь,

Тот и дал жизнь всем существам, вдунув в каждого **Дух** с небес“ (0.2.1.2.).

ბალმონტი **მამა ღმერთის** გამომხატველ ფრაზას სრული შესატყვისობით თარგმნის, **ძე ღმერთი**, იგივე, **ძალი**, ასევე დენოტაციური ეკვივალენტითაა თარგმნილი, თუმცა შეცვლილია განსაზღვრება - „ძლიერის“ ნაცვლად „სასწაულებრივია“ გამოყენებული (чудесная власть), მთარგმნელი ასევე **სულიწმიდას**

უმატებს მსაზღვრელს - бестелесный дух (უსხეულო სული). ეკვივალენტურობის დაახლოებით იმავე ხარისხითაა თარგმნილი მოცემული სტრიქონები ნუცუბიდის მიერაც. **მამა ღმერთის**, სამყაროს შემოქმედის, შესატყვისია კონოტაციური ეკვივალენტი **создатель**, ძე ღმერთისა, ძალისა - **всесильно-всемогущи**, ხოლო **სულიწმიდისა - дыхание**. კიდევ უფრო ზუსტი შესატყვისობაა ხალვაშის თარგმანში. მთარგმნელი თანმიმდევრულად და ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნის ორივე სტრიქონს, თითოეულ ცნებას: **создал мир** (შექმნა სამყარო) **силой могучей** (ძლევამოსილი ძალით), **სულიწმიდა - Дух**.

ზ. გამსახურდია იმავე პრინციპით გამოყოფს სამებას პოემის მეორე სტროფში - „ღმერთი“, როგორც მამა ღმერთი, „სატანის დამთრგუნველი“ ძე ღმერთი და „მიჯნურთა სურვილის მომნიჭებელი“ სულიწმიდა (გამსახურდია, 1991:140-141). ვნახოთ შესაბამისი კონტექსტები თარგმანებთან ერთად:

**0.2 „ჰე ღმერთო ერთო, შენ შექქე მენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მის სატანისა, მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა, ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.**

ბალმ.: „**Бог**, создавший мир однажды! От тебя здесь облик каждый. Дай мне жить любовной жаждой, ей упиться глубоко. Дай мне, страстным устремленьем, вплоть до смерти жить томленьем. Время сердца, с светлым пеньем, в мир иной снести легко.“ (0.2.)

ნუცუბ.: „Образ тел во всей вселенной создал ты, **единый бог**, Будь защитой мне, чтоб **мощью сатану попрасть я мог!** Дай мне **миджнура**, чтобы он меня до смерти жег, Облегчи грехи, что к небу мы уносим в твой чертог!“ (0.2.)

ხალვ.: „**Боже единый**, Ты создал все, что водится вокруг нас, Возьми под покров, дай мне **мощь попрасть сатану**, сечь зараз, **Дай жить желаньем миджнуров**, пока свет льется с моих глаз, Облегчи грехи, какие придется нести в смертный час“ (0.3.).

ბალმონტის თარგმანში დენოტაციური ეკვივალენტით თარგმნილია მხოლოდ ღმერთი (Бог), რომელსაც აკლია მსაზღვრელი „ერთი“, „სატანის დამთრგუნველი“ ძე ღმერთი გამოტოვებულია, ხოლო „მიჯნურთა სურვილის მომნიჭებელი“ სულიწმიდა

სამ სტრიქონშია განვრცობილი და აქცენტი გაკეთებულია სიყვარულზე. ნუცუბიძე და ხალვაში სამივე შემთხვევაში სრულ შესატყვისობას გვთავაზობენ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ ეკვივალენტებს იყენებენ (ნუცუბ.: **единый бог, мощью сатану попруть я мог, Дай мне миджнура.** ხალვ.: **Боже единый, мощь попруть сатану, Дай жить желаньем миджнуров**).

ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, სამება იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთ სტროფში, რომელშიც ასევე თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი სამების ყველა წევრი: „**დამზადებელი**“ მამა ღმერთი, „**ძალი უხილავი**“ - ძე ღმერთი, „**საზღვრის დამსაზღვრებელი**“ სულიწმიდა (გამსახურდია, 1989:49-55). ვნახოთ აღნიშნული სტროფის შესატყვისები თარგმანებში:

32.792. „**ვინ დამზადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,**  
**ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,**  
**ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,**  
**იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“.**

ბალმ.: „**Он, творец мой, он, который мною вражеские хоры**  
**Поразит, подмогой спорой явит малое ничто,**  
**Закрепляющий границы, бог в мгновение зеницы**  
**Сто сведет до единицы, и один вдруг будет сто“ (21.756.) .**

ნუცუბ.: „**Кто родил меня и дал мне над врагами торжество,**  
**Кто незримой силой дарит все земное естество,**  
**Кто, найдя предел пределам, обессмертил божество,**  
**Тот мгновенно претворяет сто в одно, одно же в сто“ (32.792.).**

ხალვ.: **Кем я создан, пусть Тот и даст мочь, чтоб разить, громить врага;**  
**Кто стал силой невидимой в помощь земным, наверняка,**  
**Бог же ставит всему между, везде ступит Его нога,**  
**Он превратит один во сто, не теряя даже мига (30.1017.).**

ამ შემთხვევაში ბალმონტი თარგმნის მხოლოდ პირველ და მესამე წევრს (დამზადა – **творец**, საზღვარსა დაუსაზღვრებს – **Закрепляющий границы**), მეორე წევრის, **ძე ღმერთის** გამომხატველი ფრაზა (**ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად**) საერთოდ გამოტოვებული აქვს, რის საკომპენსაციოდაც იყენებს მხატვრულად განვრცობილ ფრაზას (**подмогой спорой явит малое ничто**). ნუცუბიძე და



ხალვაში ამ შემთხვევაშიც კონოტაციური ეკვივალენტებით თარგმნიან სამივე წევრს, მაგრამ იცავენ ეკვივალენტურობის მაღალ ხარისხს (ნუცუბ.: **родил, незримой силой, найдя предел пределам.** ხალვ.: **создан, силой невидимой, ставит всему между**).

ბიბლიიდან აღმოცენებულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე დაყრდნობით განმარტავს ვ. ნოზაძე საღვთო სახელებს: **უკვდავს, უცნაურს, უთქმელს, ყურთაგან მოუსმენელს, უხილავ ძალს, ყოფილს, მყოფს, სახიერს, მაღლით მაღალს, უფალს უფლებათა, სავსებას, მოწყალეს, მფლობელს გულისთქმათა, შემოქმედს, არსთა მხედს (ნოზაძე, 1963:49-127).** მეცნიერის მოსაზრებით, უზენაესი პოემაში, ტრადიციულ ფორმასთან ერთად (ღმერთი), სხვადასხვა სახელით, ატრიბუტიტაა მოხსენიებული და თითოეული მათგანი ქრისტიანულ ლიტერატურაში დასტურდება. შევეცდებით განვიხილოთ რამდენიმე მათგანი თარგმანებში:

32.792.3. „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის **უკვდავი** ღმერთი ღმერთად“.  
ბალმ.: „Закрепляющий границы, бог в мгновение зеницы“ (21.756.3.)  
ნუცუბ.: „Кто, найдя предел пределам, **обессмертил** божество“. (32.792.3.).  
ხალვ.: „Бог же ставит всему между, везде ступит Его нога“. (30.1017.).

33.809.3. „**უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო**“.  
ბალმ.: „Царь ты царств неизреченный, непонятный, неизменный“ (22.773.3).  
ნუცუბ.: „Непостижный, несказанный, права правого зиждитель“ (33.811.3.).  
ხალვ.: „Непознаваем Твой образ, Господин Властей, Начала“ (31.1037.3.).

47.1250.4. **ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,**  
ბალმ.: „Ты, смягчая наши муки, в этот час Нас извел из скорби пленной. Ты, творец **неизреченный**“ (36.1213.2.3.).  
ნუცუბ.: „Бывший, сущий, **несказанный**, непостижный в высшей дали“ (47.1252.3).  
ხალვ.: „Твои щедрые милости, неслыханные, я вкусил“ (47.1505.3.).

32.792.2. „ვინ არს ძალი **უხილავი** შემწედ ყოვლთა მიწიერთად“.  
ბალმ.: „Поразит, подмогой спорой явит малое ничто“ (21.756.2.).  
ნუცუბ.: „Кто **незримой силой** дарит все земное естество“ (32.792.2.).  
ხალვ.: „Кто стал **силой невидимой** в помощь земным, наверняка“. (30.1017.2.)

25.576.3. „მან ეგრე თქვა: "უბრალო ვარ, იცის ღმერთმან **სახიერმან!**"  
ბალმ.: „Эта гневность беспричинна. Знает бог, что я невинна“. (14.544.2.3.)  
ნუცუბ.: „Та в ответ: «Ведь я невинна, видит это **божий взгляд**“ (25.576.3.).  
ხალვ.: „Сказала: «Я не повинна, что **Бог благой** верно поймет!“ (23.768.3)

62.1620.3. „ჩვენ მოგვცა მალღით მალღმან წყალობა მისი ზენიო“.

ბალმ.: გამოტოვებულია

ნუცუბ.: „Озарятся светом вышним все от мала до велика“ (63.1622.3.).

ხალვ.: „Нам послал свыше Всевышний милость, благодать, как дар свой“ (63.1939.3).

35.861.1. „იტყვის: "ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა“.

ბალმ.: „И вздыхает он всё чаще: «Бог всесильный, бог всезрящий! В чем же грех, меня чернящий?“ (24.824.1.).

ნუცუბ.: „Чем я грешен пред тобою, бог, объемлющий весь свет?“ (35.863.1.).

ხალვ.: „Молвит: «Боже, в чем виновен я пред Тобой – зрящим любых“ (33.1093.1.).

8.305.1.2. მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთით მზითა ორი მისი მოწყალეა დღესცა მომცა ამა გზითა“.

ბალმ.: გამოტოვებულია

ნუცუბ.: „Бог благой, сияя миру солнца образом одним,

Мне двукратное даянье ниспошлет путем таким“ . (8.305.1.2.)

ხალვ.: „Но Бог-Творец за один день божественным своим умом

Две милости предоставил, преподнес в дар таким путем“ (7.435.1.2.).

33.809.4...„მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!“

ბალმ.: „Дай быть твердым в муке пленной, вождь сердечных всех речей“ (22.773.4).

ნუცუბ.: „Дай мне силы над страстями, вожделий повелитель!“ (33.811.4.)

ხალვ.: „Ты есть владелец страстей, чувств, дай мне мочь, чтоб их стерпел я“ (31.1037.4.).

მასალიდან ირკვევა, რომ „უკვდავს“ მხოლოდ ნუცუბიძის თარგმანში მოეპოვება შესატყვისი (ობესმერტილ), კ. ბალმონტსა და ა. ხალვაშს გამოტოვებული აქვთ. უცნაური სამივე თარგმანში დასტურდება, თუმცა სხვადასხვა შესატყვისობით (ბალმ.:Непонятный, ნუცუბ.:Непостижный, ხალვ.:Непознаваем Твой образ). უთქმელი პირველ მაგალითში (809.3.) მხოლოდ ბალმონტმა (неизреченный) და ნუცუბიძემ (несказанный) თარგმნეს, ხალვაშს გამოტოვებული აქვს. მეორე მაგალითშიც (1250.4.) უთქმელს კ. ბალმონტმა შეუსატყვისა неизреченный (გამოუთქმელი), ხოლო შ. ნუცუბიძემ - несказанный. ა. ხალვაშს გამოტოვებული აქვს. ამავე მაგალითში ბალმონტმა გამოტოვა ყველა სხვა ატრიბუტი (ყოფილი, მყოფი, ყურთაგან მოუსმენელი). სამივე მათგანს მცირედი სხვაობით თარგმნის შ. ნუცუბიძე (Бывший, сущий, непостижный) – „ყურთაგან შეუსმენელის“ ნაცვლად შეუსმენელს თარგმნის. ა.

ხალვაში მხოლოდ „ყურთაგან შეუსმენელს“ თარგმნის ზოგადი რეფერენციით **неслыханные** (გაუგონარი), დაკარგული აქვს „ყოფილი“ და **ყოფი**“, მათ ნაცვლად დამატებული აქვს **უხვი წყალობა** (**щедрые милости**) და ფრაზა - я **вкусил** (მე ვიგემე).

სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციითაა თარგმნილი ღმერთის ატრიბუტი **უფალი უფლებათა**. მის შესატყვისად ბალმონტი იყენებს ფრაზას - **Царь ты царств** (**სამეფოთა მეფე**), შ. ნუცუბიძე - **права правого зиждитель** (უფლების უფლებათა აღმშენებელი), ა. ხალვაში - **Господин Властей** (ძალაუფლების, „უფლებათა“ უფალი (ანგელოზთა დასისა)). **ძალი უხილავი** გამოტოვებული აქვს კ. ბალმონტს, შ. ნუცუბიძე და ა. ხალვაში კი კონოტაციური ეკვივალენტებით თარგმნიან მას (ნუცუბ.: **незримой силой**, ხალვ.: **силой невидимой**). **სახიერის** შესატყვისად სამივე თარგმანში ნეიტრალური ფორმა - **ღმერთი** გამოიყენება, თუმცა განსხვავებას ქმნის მსაზღვრელები. ბალმონტი მხოლოდ **ღმერთს** ახსენებს (**Бог**), ნუცუბიძე **ღმერთის მზერას** შეუსატყვისებს (**божий взгляд**), ხოლო ხალვაში უმატებს მსაზღვრელს - **კეთილი** (**Бог благой**). სტროფი, რომელშიც **მალლით მაღალი** დასტურდება, საერთოდ გამოტოვებულია კ. ბალმონტთან, ხოლო შ. ნუცუბიძის და ა. ხალვაშის თარგმანებში წარმოდგენილია განსხვავებული შესატყვისობები. შ. ნუცუბიძე მხოლოდ **მაღალს** ახსენებს (**вышний**), ხოლო ხალვაში - **მაღალიდან მოსულ უზენაეს წყალობას** (**свыше Всевышний милость**), რაც უფრო ახლოსაა დედანთან, ვიდრე შ. ნუცუბიძისეული შესატყვისი. **არსთა მხედს** ბალმონტი შეუსატყვისებს **ყოვლისმხილველს** (**всезрящий**), შ. ნუცუბიძე - **სამყაროს მომცველს** (**объемлющий весь свет**), ხოლო ა. ხალვაში - **ნებისმიერის დამნახავს** (**зрящим любых**). **მოწყალე** თარგმნილია ნუცუბიძესთან სიტყვით **благой** (**კეთილი**), ხოლო **წყალობა**, როგორც **ძღვენი** (**даянье**) ა. ხალვაში **მოწყალეს** შესატყვისად შემოქმედს (**Творец**) იყენებს, **მოწყალე** კი გადააქვს ზუსტი შესატყვისით (**милости**). კ.ბალმონტთან შესაბამისი სტროფი საერთოდ არ არის თარგმნილი. **გულისთქმათა მფლობელი** სამივე თარგმანში განსხვავებული ინტერპრეტაციით გვხვდება. კ. ბალმონტი მის შესატყვისად იყენებს ფრაზას **вождь сердечных всех речей** (**ყველა გულითადი სიტყვის წინამძღოლი**), შ. ნუცუბიძე - **вожделий повелитель**

(გულისთქმათა მბრძანებელი), ა. ხალვაში - **владелец страстей, чувств** (ვნებების, გრძნობების მფლობელი).

როგორც აღმოჩნდა, მთარგმნელები უზენაესის სახელთა თარგმნისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ და ცდილობენ მაქსიმალური სიზუსტით გადაიტანონ თარგმანში პირველწყაროს ვითარება. ამგვარი სიფრთხილე გასაგებიცაა და სასურველია, მთელი ტექსტის ფარგლებში ასეთივე სიფრთხილითა და მოკრძალებით წარიმართოს თარგმნის პროცესი, სათარგმნი ტექსტი განიხილებოდეს, როგორც წმინდა, ხელშეუხებელი და უცვლელი მოცემულობა, რათა დაზღვეული, დაცული იყოს ორიგინალის პირველსახე ინტერპეტირებისა და დანაკარგისგან.

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ბიბლიური ტერმინები - **სატანა, ეშმა (ეშმაკი)**. სატანა ანუ ეშმაკი პოემაში მოხსენიებულია არაპირდაპირაც, როდესაც თინათინი საუბრობს უცხო მოყმეზე: „ადრე სცნობ არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“ (114.4.). მეცნიერთა მიერ მიჩნეულია, რომ **„უშობელში“** ეშმაკი იგულისხმება, რასაც ადასტურებს როსტევიანის სიტყვები - „ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო, ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო“ (118.3.4.). სწორედ ეს „ზეცით წარმოსრული“, „გარდმოჭრილი“ „მტერი“ არის ეშმაკი, „უშობელი“. ვნახოთ როგორ გადააქვთ მოცემული ტერმინების შესაბამისი სტრიქონები მთარგმნელებს:

0.2.2. „შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მის **სატანისა**“.

ბალმ.: „Дай мне жить любовной жаждой, ей упиться глубоко“ (0.2.2.).

ნუცუბ.: „Будь защитой мне, чтоб мощью **сатану** попать я мог!“ (0.2.2.).

ხალვ.: „Возьми под покров, дай мне мощь попать **сатану**, сечь зараз“ (0.3.2.).

31.787.3. „მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, **სატანისგან** ნუ იქმ ემნილსა“.

ბალმ.: „Коль умру, черта предела. Не убей себя: то дело **Сатаны**“ (20.751.3.).

ნუცუბ.: „Коль умру - живи, не следуй ты по **дьявольским** следам“ (31.787.3.).

ხალვ.: „Если умру, не бей себя, не походи на **сатану**“ (29.1011.3.).

36.874.4. „რად **სატანას** წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?“ (24.837.4.)

ბალმ.: „Мысля самоубиенье, взят ты, что ли, **сатаной**?“ (36.876.4)

ნუცუბ.: „**Сатанинское** внушение - добровольной смерти мгла“ (36.876.4).

ხალვ.: „Зачем себя убиваешь, зачем сдался ты **сатане**?“ (34.1108.4.)

47.1213.1. „ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი **სატანას** ადარე!“

ბალმ.: „О судьба, ты вечно злою ложью схожа с **сатаной**“ (36.1176.1).

ნუცუბ.: „Мир мгновенный, с **сатаной** зло твое одно и то же!“ (47.1215.1).

ხალვ.: „Ой, мир временный, в ложности ты весь подобен **сатане!**“ (47.1468.1.).

სატანა პოემაში სულ ოთხჯერ დასტურდება. პირველ შემთხვევაში ბალმონტს გამოტოვებული აქვს ცნება **სატანა**, ხოლო ნუცუბიძე და ხალვაში პირდაპირ თარგმნიან მას (**Сатана**). მეორე შემთხვევაში ნუცუბიძე სატანის შესატყვისად იყენებს **ემშაკს** (**Дьявол**) მესამე და მეოთხე მაგალითებში კი სამივე მთარგმნელი პირდაპირ თარგმნის მას, შეუსატყვისებს შესაბამის ფორმას (**Сатана**). თვალსაჩინოებისთვის აღნიშნულს გავეცნოთ ცხრილის სახით:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
0.2.2. სატანა		Сатана	Сатана
31.787.3. სატანა	Сатана	Дьявол	Сатана
36.874.4. სატანა	Сатана	Сатана	Сатана
47.1213.1. სატანა	Сатана	Сатана	Сатана

ცხრილი N7.

როგორც აღმოჩნდა, მთარგმნელები **სატანას** თარგმნისას პირდაპირ თარგმანს ანიჭებენ უპირატესობას. გამოტოვების შემთხვევა კი მხოლოდ ბალმონტის თარგმანში გვაქვს.

ბევრად რთული და მრავალფეროვანი სურათი გვაქვს **ემშაკის** თარგმნის შემთხვევაში. პოემაში **ემშაკი** სულ ათ კონტექსტშია მოხსენიებული სხვადასხვა ფორმით. სიტყვა გავრცობილი ფორმით (**ემშაკი**) სულ ექვსჯერ დასტურდება, ხოლო მოკლე ფორმით (**ემშა**) - სამჯერ. ამას ემატება **ემშაკის** ატრიბუტი, **უშობელი**, რომელიც ერთხელ გვხვდება პოემაში. სამივე ფორმას რუსულ თარგმანებში ყველაზე ხშირად კონოტაციური ეკვივალენტი **Дьявол** შეესატყვისება, თუმცა არის განსხვავებული შემთხვევებიც. ვნახოთ ემშაკის შესატყვისები თარგმანებში კონტექსტებთან ერთად:

3.110.3. „ვითა **ემშა** დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა“.

ბალმ.: „Кто он? **Дьявол?** Лиходей он? Я без слова был осмеян. Вдруг исчез, как вдруг возник“ (2.105.3.4.).

ნუცუბ.: „После этой странной встречи сгинул **дьявольским** виденьем“ (3.110.3.).

ხალვ.: „Исчез, как **черт**, надо мною издевался. Какой позор!“ (3.177.3.).

3.118.2. „ვნახე რამე **ემშაკისა** სიცუდე და სიბილწეო“.

ბალმ.: „Здесь змея являла жало — это был **нечистый дух**“ (2.113.2.).

ბუცუბ.: „Видел я, в том нет сомненья, ложь и **дьявола** притворство“ (3.118.2).  
ხალვ.: „На **дерзкого, нечистого, злого духа** наткнулся я“ (3.191.2.) .

4.131.2. „რომე დამსხნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე“.

ბალმ.: Злого **демона** укроешь“ (2.126.2.).

ბუცუბ.: „Отрешы меня от скорби и на **зло** направь свой гнев“ (4.131.2.).

ხალვ.: „Избавь меня от печали и **сатану** дави крепче“ (3.210.2.).

25.574.2. „მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!“

ბალმ.: „Был о бже мой приказ“(14.542.2.).

ბუცუბ.: „Я добро велел ей сеять, а не **дьявольские** чары“ (25.574.2.).

ხალვ.: „Я сказал растить божески, та вырастила **ведьмой злой!**“ (23.766.2.)

32.805.3. „არას არგებს, ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევის“.

ბალმ.: „**Дьявол** тут, своею властью, не придет ко мне за частью“ (21.769.3.).

ბუცუბ.: „Лесть бесплодна; в добром деле делу **дьявола** конец“ (32.807.3.).

ხალვ.: „Она – ложь мне не по душе – укрепит и озлит **чертей**“ (30.1032.3.).

36.879.3. „უბოროტო ვის ასმია რაცა საქმე საეშმაკო“

ბალმ.: „Жатву радости без горя, в мире с **дьяволом** не споря“ (24.842.3.).

ბუცუბ.: Кто от **дьявола** спасется, если зло его бесплотно?“ (36.881.3.).

ხალვ.: „Есть дела, что не касалась, их **чертова** рука злая?“ (34.1113.3.).

39.965.2. „რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გემობია“.

ბალმ.: „В кручине не убью себя я ныне. Ясно, с **дьяволом** в пустыне побратался.“  
(26.928.2.)

ბუცუბ.: „Жизнь сгубив, со **злом** сдружиться разве так неотвратимо?“ (39.967.2.)

ხალვ.: „Самоубийство поможет? Ты, видно, дружишь с **сатаной**“. (37.1202.2.)

40.996.1. „ვეძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავსწამეთ ეშმაურობა.“

ბალმ.: „Мы искали, мы глядели. Это **дьявол**, в самом деле?“ (27.959.1.)

ბუცუბ.: Не найдя его, решили: это было **наваждение**“ (40.998.1.).

ხალვ.: „Мы поискали, не нашли, как **черт**, испарил он свой след“ (39.1233.1.).

46.1196.4. „ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“

ბალმ.: „Злато —корень, цвет — забвенный, ветка — **дьявольский** крючок“  
(35.1159.4.).

ბუცუბ.: „Вот, смотрите, сила злата - корень **дьявольского** жезла!“ (46.1198.4.)

ხალვ.: „Золото есть жезл из ствола, из-под ног **черта** что всходил!“ (46.1450.4.)

3.114.4. „ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“.

ბალმ.: „Уж они ответ отыщут, смертный это или нет“ (2.109.4.).

ნუცუბ.: „Из живых людей тот витязь иль **низвергнут небесами**“ (3.114.4).

ხალვ.: „Скоро будешь знать, смертный тот, или к нам **дьявол** залетел“ (3.184.4.).

როგორც მასალიდან ჩანს, ბალმონტი ექვს შემთხვევაში **ეშმაკის** შესატყვისად იყენებს დენოტაციურ ეკვივალენტს **Дьявол**, ორ შემთხვევაში გამოტოვებული აქვს, ერთ შემთხვევაში კი კონოტაციურ ეკვივალენტს – დემონს (**Демон**) შეუსატყვისებს. ნუცუბიძის თარგმანში ექვსჯერ დასტურდება **ეშმაკის** შესატყვისად **Дьявол** ფორმა, ორ შემთხვევაში ზოგადი რეფერენციის გამომხატველი სიტყვა, თვისობრივი ეკვივალენტი - **ბოროტება (зло)** გამოიყენება, ასევე ხდება კიდევ ერთ შემთხვევაში – **наваждение (აკვიატება, ბოდვა)**, რასაც კონტექსტი განაპირობებს („ვძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავსწამეთ ეშმაურობა“). ხალვაში მოცემულ კონტექსტებში **ეშმაკის** შესატყვისად საერთოდ არ იყენებს **Дьявол** ფორმას. მთარგმნელი ხუთ შემთხვევაში კონოტაციურ ეკვივალენტს. **Черт** ფორმას ანიჭებს უპირატესობას. სიზუსტის მხრივ **Дьявол** უფრო ახლოს არის **ეშმაკთან**, ვიდრე **черт**, რამდენადაც **черт** ბევრ სხვა მნიშვნელობასაც შეიცავს (ეშმაკი, დემონი, ავი სული, ჭინკა, ჯოჯობეთი, ჯანდაბა) და ბუნდოვანს, არაზუსტს ხდის სათარგმნი ტერმინის მნიშვნელობას. ხალვაში ორ შემთხვევაში ეშმაკს შეუსატყვისებს კონოტაციურ ეკვივალენტს **Сатана**, ერთ შემთხვევაში კი გამოტოვებულია **ეშმაკი** და მხოლოდ მისი მსაზღვრელება („სიცუდე და სიბილწე“) თარგმნილი – **дерзкого, нечистого, злого духа** (თავხედი, უწმინდური, ბოროტი სული). კონტექსტში, როდესაც დავარზე განრისხებული როსტევანი **ეშმაკს** ახსენებს („მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას **ეშმაკისა** ბადესა“ 574.2), მთარგმნელი იყენებს ფრაზას – **Злая ведьма**, რაც **ბოროტ ჯადოქარს** გულისხმობს, რამდენადაც ის მიემართება ნესტან-დარეჯანს, რომელმაც შესცოდა მამის წინაშე.

რაც შეეხება ეშმაკის ატრიბუტს **უშობელი**, ბალმონტი მას არ ახსენებს, თუმცა მომაკვდავის საპირისპიროდ წარმოგვიდგენს ოპოზიციურ წყვილში (**смертный это или нет**), რაც მის უკვდავობას გულისხმობს. ცხადია, ამგვარი შესატყვისობა ვერ ასახავს სრულად ორიგინალი ტექსტის ვითარებას. შ. ნუცუბიძე **ზეციდან ჩამოვარდნილს (низвергнут небесами)** უწოდებს მას, რაც ისევე მიემართება **ეშმაკს**, როგორც **უშობელი**, თუმცა ამ შემთხვევაშიც არაზუსტია თარგმანი. ა. ხალვაში მხოლოდ მოცემულ კონტექსტში იყენებს **Дьявол** ფორმას **ეშმაკთან** მიმართებით, თუმცა ამჯერად არა

პირდაპირ ეშმაკის, არამედ ატრიბუტის თარგმნა იყო საჭირო, რაც არცერთი თარგმანის შემთხვევაში არ არის ზუსტი. განხილულ მასალას ცხრილის სახით წარმოვადგენთ, რათა ნათლად აღსაქმელი იყოს თითოეული მთარგმნელის მიერ გამოყენებული ეკვივალენტები:

	ბალმონტი	ნუცუბიე	ხალვაში
3.110.3. ეშმა	Дьявол	Дьявол	Черт
4.131.2. ეშმა	Дьявол	Зло	Сатана
39.965.2. ეშმა	Демон	Зло	Сатана
3.114.4. ეშმაურობა	Дьявол	Наваждение	Черт
3.118.2. ეშმაკი		Дьявол	ведьмой злой
25.574.2. ეშმაკი	Дьявол	Дьявол	Черт
32.805.3. ეშმაკი	нечистый дух	Дьявол	
46.1196.4. ეშმაკი	Дьявол	Дьявол	Черт
40.996.1. საეშმაკო	Дьявол	Дьявол	Черт
36.879.3. უშობელი	Дьявол	низвергнут небесами	

#### ცხრილი N8.

როგორც ვხედავთ, მთარგნელები ეშმაკის თარგმნისას განსხვავებულ პრინციპებს იყენებენ. მრავალფეროვნება გვაქვს არა მხოლოდ დედანთან და თარგმანებთან მიმართებით, არამედ ერთი თარგმანის ფარგლებშიც, რაც არაერთგვაროვან სურთს ქმნის და აზუნდოვანებს წყარო-ტექსტის ვითარებას.

ვ. ნოზაძის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანში“ ბიბლიურია სამოთხე, რაც დასტურდება სიტყვებით: **სამოთხე, ედემი, ალვა** (სამოთხის ხე, კვიპაროსი); **ბისონი** (სამოთხის მდინარე ფისონი), **ჯეონი** (სამოთხის მდინარე), **ევფრატი (ნოზაძე, 1963:425-434)**. ვნახოთ სამოთხესთან დაკავშირებული ტერმინების თარგმნის შემთხვევები მაგალითების მიხედვით:

**სამოთხე** ერთადერთხელ დასტურდება პოემაში და მის შესატყვისად სამივე თარგმანში გამოყენებულია დენოტაციური ეკვივალენტი **Рая**.

4.133.3. „სრულად მოვსწყდე **სამოთხესა**, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი“.

ბალმ.: „Преисподняя пусть злая отсечет меня от **рая**“ (2.128.3.).

ნუცუბ.: „Пусть низвергнусь я из **рая** в бездну адской темноты“ (4.133.3.).

ხალვ.: „То пусть лишат сразу **рая**, бросят в бездну с того же дня“ (3.212.3.).

სამოთხის მდინარეები - ბისონი, ჯეონი, ევფრატი - როგორც შედარების ობიექტი, სხვადასხვა ფორმით გადადის ან საერთოდ არ გადადის თარგმანებში. ვნახოთ კონტექსტები:



29.719.4. „პირი დასდვა და აკოცა, ცრემლი სდის, ვითა **ბისონი**“.  
 ბალმ.: „Слезы льет он до жемчужин, током светлым, как **Евфрат**“ (18.685.4.).  
 ნუცუბ.: „На лицо кладет, целует, и слеза их осветила“ (29.719.4.).  
 ხალვ.: „Поцеловав их, начал лить слезы обильно, как **Фисон**“ (27.937.4.).

30.749.3. „ვერ გარდვიხდი ცრემლთა მისთა, **ჯეონიცა** თვალთა მდინდეს“.  
 ბალმ.: „Умягчились бы утесы. Не помогут глаз здесь росы“ (19.715.3.).  
 ნუცუბ.: „Слез героя я не смою даже **райскою рекой**“ (30.749.3.).  
 ხალვ.: „Я его слез не покрою, хоть и мне их **Джеоном** лить“ (28.968.3.).

29.694.2. „წყლად **ევფრატსა** უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მქვერი“.  
 ბალმ.: „Цвет алоэ в нежной доле. Юный стебель в райской воле. Окропил его **Евфрат**“ (18.660.2.).

ნუცუბ.: „Стан-чинару орошает волн **Эвфратовых** напор“ (29.694.2.).  
 ხალვ.: „ам, в Эдеме поил **Евфрат** самый стройный из тополей“ (27.905.2.).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ბალმონტი ერთ შემთხვევაში არ თარგმნის მდინარეს, ხოლო მეორე შემთხვევაში **ბისონის** ნაცვლად იყენებს ევფრატს (**Евфрат**). შ. ნუცუბიძე პირველ მაგალითში საერთოდ არ ახსენებს მდინარეს, ხოლო მეორეში - მხოლოდ ზოგადი რეფერენციით მოიხსენიებს მას (ჯეონს), როგორც **სამოთხის მდინარეს (Райская Река)**. ხოლო ა. ხალვაში ზედმიწევნით ზუსტად, პირდაპირ თარგმნის ორივე მდინარეს - **ბისონსა და ჯეონს (Фисон, Джеон)**. საკუთრივ ევფრატი კი სამივე მთარგმნელს დენოტაციური ეკვივალენტით აქვს თარგმნილი (**Евфрат**). ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსგავსი ტერმინების ზედმიწევნით ზუსტად თარგმნა, რათა შესაძლებელი იყოს თარგმნილ ტექსტში გეოგრაფიული არეალის ადეკვატური გააზრება და შესწავლა. აღნიშნულს გავეცნოთ ცხრილის სახითაც:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
4.133.3. სამოთხე	Рай	Рай	Рай
29.719.4. ბისონი	Евфрат		Фисон
30.749.3. ჯეონი		Райскою рекой	Джеон
29.694.2. ევფრატი	Евфрат	Евфрат	Евфрат

ცხრილი N9.

სამოთხესთან დაკავშირებულ ტერმინებს შორის სიხშირითა და ეკვივალენტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა სამოთხის ბალი - **ედემი** და ედემის ხე - **ალვა**. როგორც ცნობილია, პოემაში აღნიშნული ტერმინები ხშირად ხდება

პერსონაჟთა მშვენიერი გარეგნობის შესაძარებელი ობიექტი. სტატისტიკურად ედემი პოემაში სულ 9-ჯერ გვხვდება, ხოლო ალვა 37-ჯერ, რაც არცთუ ისე მცირე რაოდენობაა ერთი ტექსტის ფარგლებში. ვნახოთ მაგალითები, რომლებშიც ორივე ცნება (ალვა, ედემი) ერთდროულად გამოიყენება. ასეთი სულ ხუთი სტრიქონია პოემაში:

1.50.1. „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია“.

ბალმ.: „Расточая вдвое, втрое, расцветешь ты, как **алоэ**, Это дерево вековое, чье в **Эдеме** бытие“ (1.50.1.).

ნუცუბ.: „Государей украшает щедрость, как **эдем - алоэ**“ (1.50.1.).

ხალვ.: „Щедрость свойственна всем царям, как **раю – милый вид и цвет**“ (1.77.1.).

2.77.4. „ავთანდილის შემხედველთა: "ჰგავსო ალვას, ედემის ხეს".

ბალმ.: „Он прекрасен, как **алоэ**, что в **Эдеме** возросло“ (1.71.4.)

ნუცუბ.: „Автандил, - кричат в восторге, - быть в **раю чинарой** мог!“ (2.77.4.)..

ხალვ.: „Автандила восхваляли: «**Тополь эдемского сада**“ (2.120.4.).

23.522.2. „არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული“.

ბალმ.: „вот не солнце уж она. Не луна и не **алоэ**“ (13.510.3.).

ნუცუბ.: „Не сравнятся с ней **чинара**, ясный месяц и денница“ (23.522.2.).

ხალვ.: „Солнце, луна, ствол **Эдема** с нею сравниться, не могли“ (21.710.2.).

29.694.2. „წყლად ევფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მჭევრი“.

ბალმ.: „Цвет **алоэ** в нежной доле. Юный стебель в **райской** воле. Окропил его Евфрат“ (18.660.1.2.).

ნუცუბ.: „Стан-**чинару** орошает волн Эвфратовых напор“ (29.694.2.).

ხალვ.: „ამ, в **Эдеме** поил Евфрат самый стройный из **тополей**“ (27.905.2.).

29.715.1. „ვინ გუმინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია“.

ბალმ.: „**Райским** быть вчера лишь **древом**, быть овяну напевом“ (18.681.1.).

ნუცუბ.: „Кто досель меня в **эдеме** возносил **чинара древом**“ (29.715.1.).

ხალვ.: „Кто вчера в саду **Эдема** посадил меня, чтобы рос“ (27.931.1.).

მოცემული მაგალითებიდან ჩანს, რომ მთარგმნელების დამოკიდებულება ტერმინების თარგმნის პროცესში არაერთგვაროვანია. კ. ბალმონტი ედემის შესატყვისად იმავე ფორმას **Эдем** მხოლოდ ორჯერ იყენებს, ასევე ორჯერ იყენებს ზოგადი რეფერენციის გამომხატველ სიტყვას **Рай**, ხოლო ერთ შემთხვევაში გამოტოვებული აქვს. შ. ნუცუბიძე ხუთიდან ორ შემთხვევაში იყენებს ფორმას **Эдем**, ერთხელ - **Рай**, ხოლო ორჯერ გამოტოვებული აქვს. ა. ხალვაშის თარგმანში

გამოტოვების არცერთი შემთხვევა არ გვაქვს. მთარგმნელი ედემს ოთხჯერ შეუსატყვისებს ფორმას **Эдем**, ხოლო ერთხელ - **Рай**.

მოცემულ ხუთ კონტექსტში **ალვა** უმეტესად **ალოეთი (Алоэ)** გადააქვთ მთარგმნელებს. კ. ბალმონტი ოთხ შემთხვევაში **ალვას** სწორედ **ალოეს** შეუსატყვისებს, ხოლო მეხუთე შემთხვევაში - ზოგადი რეფერენციის გამომხატველ ფორმას - **სამოთხის ხე (Райское Дерево)**. შ. ნუცუბიძე ოთხ შემთხვევაში **ალოეს** შეუსატყვისებს კონოტაციურ ეკვივალენტს **чинаრა (ჭადარი)**, ხოლო ერთ შემთხვევაში დენოტაციურს - **Алоэ**. ხალვაში **ალვას** შეუსატყვისებს ასევე კონოტაციურ ეკვივალენტს **Тополь**, რაც რუსულში გულისხმობს როგორც **ალვის ხეს**, ასევე **ვერხვსა და ჭადარს**. სამ შემთხვევაში საერთოდ გამოტოვებული აქვს მთარგმნელს **ალვა**.

ვნახოთ **ალვის** ცალკეული გამოყენების შემთხვევებიც:

4.120.4. „მოახსენა: "გიბრმანებსო ტანი **ალვა**, პირი მანგი".

ბალმ.: „Шлет веление такое: к ней иди, о господин“ (2.115.3.4.).

ნუცუბ.: „Молвит чинно: «Приглашает вас **чинара** и луна“ (4.120.4.).

ხალვ.: „Зовет, явись к луноликой, избавляйся от других дел!“ (3.195.4.).

2.157.3. „მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, **ალვა** ჩემი არ დაჰნა ხე“.

ბალმ.: „Может быть, мое **алоэ** будет цвезть себе в покое“ (2.151.3.).

ნუცუბ.: „Может быть, вернусь, **чинары** не засохнет стройный всход“ (4.157.3.).

ხალვ.: „Быть может, я вернусь, значит, **тополь** мой жив, еще не сух“ (4.244.3.).

6.227.3. „ეყნოსა სული **ალვისა**, ქართაგან მონატაცისა“.

ბალმ.: „Дух красавца—дух **алоэ**. В нем бесстрашно ретивое“ (4.220.3.).

ნუცუბ.: „Молвит витязь, упиваясь пролетевшим ароматом“ (6.227.3.).

ხალვ.: „Почуял запах тополя от ветвей, листьев и ствола“ (5.339.3.).

8.281.3. „რომე მათ თანა **ალვისა** ხეცა ვარგ იყო ხედ არად“.

ბალმ.: „Пред ними и **алоэ** — точно дерево любое“ (4.274.3.).

ნუცუბ.: „С ними станом не сравнится из деревьев и **чинара**“ (8.281.3.).

ხალვ.: „По изяществу против них тополь браковке подлежит“ (7.410.3.).

9.330.1. „დღე და ღამე მუჯამრიოთა ეკმეოდის **ალვა** თლილი“.

ბალმ.: „Днем и ночью, в пряном зное, из кадилъниц в том покое Дымы синие **алоэ**“ (5.321.1.2.).

ნუცუბ.: „Денно, ночью из кадила ей курился фимиам“ (9.330.1.).

ხალვ.: „Учредили курение из курильниц, и день, и ночь“ (8.476.1.).

19.491.4. „ვკვითხე, თუ: "ნეტარ, მისრულა მორჩი ალვისა ხე მისად?"  
ბალმ.: „Ты как **тополь**, — возглашаю. — Он красивым сотворен (11.479.4).  
ნუცუბ.: „И спросил: «Давно ль вернулась та, по ком лью слезы градом? (19.491.4).  
ხალვ.: „спросил: «Пришла ли мирно в жилище, та, свое?» (17.674.4).

23.517.3. „წიგნი მომართვა, ეწერა: "ვინ სჩან ალვისა ტანისად“  
ბალმ.: „Та, чей стройный стан — **алоэ**, шлет веление такое“ (13.505.3).  
ნუცუბ.: „Получил письмо, читаю: «Ты, чей стан так схож с **чинаром**“ (23.517.3).  
ხალვ.: „Дал письмо, прочел я: «Та, кто через **тополя** ввысь пророс“ (21.705.3).

24.553.4. „ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა“.  
ბალმ.: „Та, чей стан — прямой и четкий, говорит: приди скорей“ (13.540.4).  
ნუცუბ.: „Приходи!» - велит **чинара**, устремленная в высоты“ (24.553.4).  
ხალვ.: „Приходи скорей!“ Велит та, чей стан с **тополем** и сравни“ (22.743.4).

27.616.4. „იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია“.  
ბალმ.: „Он сражался, **тополь** стройный, весь красиво-разъярен“ (16.583.4).  
ნუცუბ.: „В битве лев, он ликом - солнце, станом строен, как, **чинара**“ (27.616.4).  
ხალვ.: „Он строен как ствол **тополя**, прекрасен, бился как лев злой“ (25.812.4).

27.619.4. „ჩემი თქვეს, თუ: "ღმერთსა მადლი, ვინ ალვისა ხენი ასხნა!"  
ბალმ.: „Обо мне как песня хора: «Божий **тополь**, свет лесов“. (16.586.4).  
ნუცუბ.: „Мне сказал: «Твой стан - **чинара**, за тебя творцу поклон!“ (27.619.4).  
ხალვ.: „Народ молвил: «Славим Бога, кто решил сей **тополь** сажать!“ (25.815.4).

28.655.3. „მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო შეირხეოდა“.  
ბალმ.: „гамотოვებულია“.  
ნუცუბ.: „Омрачалось солнце пылью, ветвь трясло от непогоды“ (28.655.3).  
ხალვ.: „Пыль туманила солнышко, раскачиваться **тополь** стал“ (26.859.3).

28.666.4. „ღმერთმან ქმნას და კვლაცა გნახო ალვა მორჩი, განაზარდი“.  
ბალმ.: „Бог дозволит, снова буду с юной прелестью твоей“ (17.632.4).  
ნუცუბ.: „Бог поможет вновь увидеть стан-**чинар**, красу твою“ (28.666.4).  
ხალვ.: „Со стройным станом видеться мне, дай бог, чтоб снова пришлось“ (26.873.4).

29.696.3. „ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა“.  
ბალმ.: „Мною найден **тополь** дальный, что омыт рекой кристальной“ (18.662.3).  
ნუცუბ.: „Видел я, как на **чинаре** слезы жгучие кипели“ (29.696.3).  
ხალვ.: „Я **тополевый** нашел ствол, орошал его весь наш свет“ (27.907.3).

29.711.2. „ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს“.

ბალმ.: „И богаты От **алоэ** ароматы. Строен возле — кипарис“ (18.677.2.).

ნუცუბ.: „Иль в саду с **чинарой** тополь рядом в зелень разодеты?“ (29.711.2.).

ხალვ.: „Иль в саду **тополь** посадит, близ кипариса, чтоб с ним рос“ (27.926.2.).

30.738.3. „მაგრამან ყმაჲან ცეცხლითა დამწვა, **ალვისა** სახეჲან“.

ბალმ.: „Немое горе — вот. Но он **алоэ**, Витязь, кем сожжен я в зное“ (19.704.3.).

ნუცუბ.: „Сам горю и друга зижу я в страданьи огнеликом“ (30.738.3.).

ხალვ.: „Стройный, как **тополь**, юноша обжег же мой стан весь вокруг“ (28.957.3.).

30.760.3. „ვით მიაგმე წასლვა მისი, ვინ **ალვისა** მორჩი ხე წნა!“

ბალმ.: „Как ты мог, хоть бы в намеке, боль мою ускорить в сроке?“ (19.726.3.).

ნუცუბ.: „Как ты смел сказать: уехал тот, кто в древо сплел ростки?“ (30.760.3.).

ხალვ.: „Как ты посмел сообщить мне об уезде молодца в даль!“ (28.980.3.)

35.841.1. „მარტო მოსთქმიდის, ტიროდის ტანად **ალვისა** ხიანი“.

ბალმ.: „В одиночестве так вдвое плачет тот, чей стан — **алоэ**“ (24.804.1.).

ნუცუბ.: „Вознесясь **чинаром** стана, разрыдался одиноко“ (35.843.1.).

ხალვ.: „Стройный юноша один лил слезы, ныл, плакал и стонал“ (33.1071.1.).

39.954.1. „ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, **ალვისა** შტო ირხეოდა“.

ბალმ.: „Роза вянет и темнеет“ (26.917.1.).

ნუცუბ.: „Отцвела, завянув, роза, **тополь**-стан поник от бури“ (39.956.1.).

ხალვ.: „Ланиты вянуть начали, **тополь** шататься уже стал“ (37.1189.1.).

46.1144.1. „მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით **ალვით**“.

ბალმ.: „Солнцеликое **алоэ** в тайном скрыла я покое“ (35.1107.1.).

ნუცუბ.: „Привела к себе светило, станом **тополь**, луч лицом“ (46.1146.1.).

ხალვ.: „Я то солнце с статным станом взяла к себе в собственный дом“ (46.1398.1.).

46.1147.3. „მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის **ალვისა** ხისაგან“.

ბალმ.: „кровь струится из **алоэ**“ (35.1110.3.).

ნუცუბ.: „Кровь бурлящею рекою стан-**чинару** оросила“ (46.1149.3.).

ხალვ.: „Все бежал ручей слез с той, кто **тополя** краше и статней“ (46.1401.3.).

47.1260.2. „იტყოდა: "მომკლავს უცილოდ ტანი **ალვისა**, მო-, ხისა!"

ბალმ.: „Слышит витязь: «Тем **алоэ** я убита в неге грез“ (36.1223.2.).

ნუცუბ.: „Ах, могучий ствол **чинара** раздерет меня на крохи!“ (47.1262.2.).

ხალვ.: „Молвит: «**Тополевидный** стан меня верно в смерть обратит!“ (47.1515.2.).

50.1302.2. „ჩემი სთქვა: სხვათა მიჰხვდების იგი **ალვისა** ტანითა“.

ბალმ.: გამოტოვებულია

ნუცუბ.: „Будто я **чинарой**-станом пью с другим любви похмелье“ (50.1304.2.).

ხალვ.: „Не думай, другим отдала **тополевидный** корпус свой“ (50.1568.2.).

50.1310.4. „**ალვისაგან** სული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი“.

ბალმ.: „Волос к волосу так тесно веял воронову тьму“ (39.1271.4.).

ნუცუბ.: „И летит благоуханье от **чинары** и от кос“ (50.1312.4.).

ხალვ.: „С нее несся запах волос воронова крыльев цвета“ (50.1576.4.).

52.1336.3. „**ალვასა** წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები“.

ბალმ.: „Возвещает **тополь** стройный (41.1297.3.).

ნუცუბ.: „Стан-**чинару** орошает слезных стоков многоречье“ (52.1338.3.).

ხალვ.: „Слезный сток полил его стан, который, словно **тополь**, рос“ (52.1605.3.).

52.1358.2. „მან მიჰყო ხელი **ალვასა**, შტო მოჰყვა მოსარხვევლად“.

ბალმ.: „С гибкой веткой веткой слился. Обнял он ее рукой“ (41.1318.2.)

ნუცუბ.: „Потянулась та к **чинаре**, потрясла ее с ветвями“ (52.1360.2.).

ხალვ.: „Протянул руку **тополю**, застал лишь ветку, стал шатать“ (52.1631.2.).

52.1359.2. „**ალვისა** შტო-დამქნარისა, მთვარისა ფერ-მიხდილისა“.

ბალმ.: „Словно в них луна сиянье бледно льет, увидев день“ (41.1319.2.).

ნუცუბ.: „Увядающей **чинары** и луны в бесцветном бденьи“ (52.1361.2.).

ხალვ.: „От вялой ветви **тополя**, от луны ставшей все бледней“ (52.1632.2.).

53.1387.4. „მას ადრე ვჰპოვებთ, ვისიცა მოგვკლავს **ალვისა**, მო-, ტანი“.

ბალმ.: „Ту найдем, чьи очи сладки превратят нас в мертвецов“ (42.1347.4.).

ნუცუბ.: „Обречем мы стан-**чинару**, чья печаль - как смерти жало“ (53.1389.4.).

ხალვ.: „Быстро найдем ту, чья статность прельщает и нас и других“ (53.1661.4.).

56.1424.1. „ტარიელსცა უსალამეს, მას **ალვისა** მორჩსა ვით ხეს“.

ბალმ.: „Тариэля восхваляют. Как победный бился, знают“ (43.1384.1.).

ნუცუბ.: „Поклонились Тариэлю, - стан **чинарой** он вознес“ (57.1426.1.).

ხალვ.: „И Тарии поклонились, он статен как **тополя** ствол“ (56.1706.1.).

59.1512.4. „ვეჭვ, ღმრთითა ადრე შეგყარო მზესა მას, ტანად **ალვასა**“.

ბალმ.: „Солнце с обликом **алоз** я с тобой соединю“ (46.1472.4.).

ნუცუბ.: „Верю я, твоею будет - солнце ликом, **тополь** станом“ (60.1514.4.).

ხალვ.: „С помощью Бога, сведу с вас девицей, своей, подожди“ (60.1804.4.).

61.1583.4. „კბილ-მარგალიტი, ტან-**ალვა**, ღაწვ-ბადახმ, ყორან-თმიანი“.

ბალმ.: გამოტოვებულია

ნუცუბ.: „Зубы-жемчуг, **тополь**-станом, лал-ланиты, волос-ворон“ (62.1585.4.).

ხალვ.: „У белозубой и стройной, как ворон, пряди кос черны“ (62.1890.4.).

61.1585.4. „იგი ქალი დაიკარგა, ალვა მორჩი სხვაგან დარგა“.

ბალმ.: გამოტოვებულია

ნუცუბ.: „Солнце-дева на чужбине, там же сень ее ветвей“ (62.1587.4.).

ხალვ.: „Та девица отдалилась, **тополя** стать где-то одна“ (61.1892.4.).

62.1629.2. „ვარდსა დაუტყლეს ბაგითა, გახდა ალვისა მთხელები“.

ბალმ.: გამოტოვებულია

ნუცუბ.: „И губами смяты розы, и тончает лист **алоэ**“ (63.1631.2.).

ხალვ.: „Сдавила розы, прижала **тополевою** ее стать“ (63.1948.2.).

როგორც მასალიდან ჩანს, ალვის შესატყვისად გამოიყენება სინონიმური ეკვივალენტები - **Алоэ, Чинара, Тополь**. მათი მონაცვლეობა ხშირია არა მხოლოდ მთარგმნელებს შორის, არამედ ერთი მთარგმანის ფარგლებშიც. კ. ბალმონტი 32-დან 12 შემთხვევაში ალვას შეუსატყვისებს ფორმას - **Алоэ**, 5 შემთხვევაში - **Тополь**, ხოლო დანარჩენ 15 შემთხვევაში გამოტოვებულია. კლების შემთხვევათაგან ოთხ შემთხვევაში მთლიანად სტროფია გამოტოვებული, ხოლო 11 შემთხვევაში ალვას შესატყვისი არ აქვს სტრიქონში. შ. ნუცუბიძეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს გამოყენებული ალვის შესატყვისად **Алоэ**, ოთხ შემთხვევაში დასტურდება **Тополь**, ხოლო 20 შემთხვევაში **Чинара** ფორმა გამოიყენება, რვა სტრიქონში კი საერთოდ გამოტოვებულია ალვა. ა. ხალვაში 32 სტრიქონიდან 23 შემთხვევაში ალვას შესატყვისად იყენებს ფორმას **Тополь**, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება - **Чинара**, რვა სტრიქონში კი გამოტოვებულია შესატყვისი.

როგორც აღმოჩნდა, კ. ბალმონტი ალვას შესატყვისად უპირატესობას ანიჭებს სიტყვას **Алоэ**, შ. ნუცუბიძე - **Чинара**, ხოლო ა. ხალვაში - **Тополь**. გამოტოვების შემთხვევები ყველაზე ხშირად კ. ბალმონტთან გვაქვს, რასაც ისიც განაპირობებს, რომ მთარგმნელი ტოვებს არა სიტყვას, არამედ მთლიან სტროფსა თუ ეპიზოდს.

ვნახოთ ედემის ცალკეული გამოყენების შემთხვევებიც:

8.309.3. „ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო!“

ბალმ.: „С дерева жизни ветвь живая! Чьей ты срезана рукой?“ (4.299.3.).

ნუცუბ.: „Кто ж тебя, **эдема** древо, на корню подсечь был рад?“ (8.309.3.).

ხალვ.: „Кто же тебя срубил, древо, растущее **в саду садов!**“ (7.440.3.).

9.321.3. „იტყოდეს ჩემნი მნახავნი: "მსგავსია ედემს ზრდილისა".

ბალმ.: „Хороша краса младая. Говорили: «Он из **рая**“ (5.312.3.).

ნუცუბ.: „Злак **эдема!**“ - все кричали, красоте хвалою вторя“ (9.321.3).  
 ხალვ.: „Кто меня видел, говорил: „С жильцом **Эдема** сходен он“ (8.467.3.).

9.332.3. „ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი **ედემს** ზრდილსა“.  
 ბალმ.: „Силой лев и солнце взглядом, как взлелеян **райским садом**“ (5.324.3.).  
 ნუცუბ.: „Силой - лев, сияньем - солнце, станом - **злак эдема** я“ (9.332.3.).  
 ხალვ.: „Силой на льва, лицом, станом с жильцом **рая** сходен был я“ (8.478.3.).

18.476.3. „ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა დღე, **ედემს** ხლებული“.  
 ბალმ.: „Пусть же тот, чей стан — алоэ, кто как солнце скрыл в лице“ (11.465.2.).  
 ნუცუბ.: „Пусть весь мир ее увидит, кто для нас, как дар **эдема**“ (18.476.3.).  
 ხალვ.: „Уж пора видеть, кто хочет древо **Эдема**, вот оно“ (16.659.3.).

29.725.2. „მოგმორდი, **ედემს** ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო“.  
 ბალმ.: „Я в печали разлученья. Ты в далекой стороне. **Райский** стебель, цвет  
 достойный“ (18.691.2.3.).

ნუცუბ.: „Я с тобой, тростник, расстался, я покинул **злак эдема**“ (29.725.2.).  
 ხალვ.: „Расстался с тобой я, тростник – сада **Эдема** стройный стан“ (27.944.2.).

როგორც აღმოჩნდა, **ედემი** მხოლოდ ხუთ სტრიქონში დასტურდება ცალკე, მთლიანობაში - ათში. ცალკე **ედემი** ამ შემთხვევაშიც ითარგმნება როგორც **Эдем**, ან ზოგადი რეფერენციით - **სამოთხის ბაღი (Райский сад)**. ამ ფორმით **ედემს** თარგმნის ბალმონტი ხუთიდან ორ შემთხვევაში, ერთ შემთხვევაში მხოლოდ **სამოთხეს (Рай)** შეუსატყვისებს, ხოლო ორ შემთხვევაში საერთოდ არ თარგმნის მას. ა. ხალვაში **ედემის** შესატყვისად იყენებს ფორმას - **Сад садов (ბაღთა ბაღი)**, ასევე იყენებს **სამოთხეს (Рай)**, იმავე **ედემს (Эдем)** და ნულოვან ეკვივალენტს ორ შემთხვევაში. ნუცუბიძე კი ამ შემთხვევაშიც სიზუსტეს იცავს - **ედემს** ხუთივე შემთხვევაში შეუსატყვისებს დენოტაციურ ეკვივალენტს **Эдем**, რაც მთარგმნელობითი პრინციპის ერთგვაროვნებასა და ერთგულებას უსვამს ხაზს. წარმოგიდგინთ **ედემისა და ალვას** ეკვივალენტებს ცხრილის სახით, რომელიც სისტემურად და მკაფიოდ ასახავს აღნიშნული კონცეპტების ტრანსფერის საკითხს თარგმანებში:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
8.309.3. <b>ედემი</b>		Эдем	Сад садов
9.321.3. <b>ედემი</b>	Рай	Эдем	Эдем
9.332.3. <b>ედემი</b>	Райский сад	Эдем	Рай
18.476.3. <b>ედემი</b>		Эдем	Эдем
29.725.2. <b>ედემი</b>	Рай	Эдем	Эдем
1.50.1. <b>ედემი, ალვა</b>	Эдем, Алоэ	Эдем, Алоэ	Рай



2.77.4. ედემი, ალვა	Эдем, Алоэ	Рай, Чинара	Эдем, Тополь
23.522.2. ედემი, ალვა	Алоэ	Чинара	Эдем
29.694.2. ედემი, ალვა	Рай	Чинара	Эдем, Тополь
29.715.1. ედემი, ალვა	Райское Древо	Эдем, Чинара	Эдем
4.120.4. ალვა		Чинара	
2.157.3. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
6.227.3. ალვა	Алоэ		
8.281.3. ალვა	Алоэ	Чинара	
9.330.1. ალვა	Алоэ		
19.491.4. ალვა	тополь		
23.517.3. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
24.553.4. ალვა		Чинара	тополь
27.616.4. ალვა	тополь	Чинара	тополь
27.619.4. ალვა	тополь	Чинара	тополь
28.655.3. ალვა			тополь
28.666.4. ალვა		Чинара	
29.696.3. ალვა	тополь	Чинара	тополь
29.711.2. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
30.738.3. ალვა	Алоэ		тополь
30.760.3. ალვა		Древо	
35.841.1. ალვა	Алоэ	Чинара	
39.954.1. ალვა		Тополь	тополь
46.1144.1. ალვა	Алоэ	Тополь	
46.1147.3. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
47.1260.2. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
50.1302.2. ალვა		Чинара	тополь
50.1310.4. ალვა		Чинара	
52.1336.3. ალვა	тополь	Чинара	тополь
52.1358.2. ალვა		Чинара	тополь
52.1359.2. ალვა		Чинара	тополь
53.1387.4. ალვა		Чинара	
56.1424.1. ალვა		Чинара	тополь
59.1512.4. ალვა	Алоэ	Тополь	
61.1583.4. ალვა		Тополь	
61.1585.4. ალვა			тополь
62.1629.2. ალვა		Алоэ	тополь

ცხრილი N10.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ პირველწყაროში გამოყენებული სიტყვები - ედემი და ალვა - სინონიმური მრავალფეროვნების მიუხედავად მაინც მიჰყვებიან გარკვეულ კანონზომიერებას, მთარგმნელები უპირატესობას ერთ კონკრეტულ ფორმას ანიჭებენ, თუმცა გვხვდება მონაცვლეობის შემთხვევები, რაც სხვადასხვა ფაქტორებით შეიძლება იყოს განპირობებული, რაც ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის ამოცანას არ წარმოადგენს.

ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა როგორ გადადის ქრისტიანული ფრაზები, ცნებები, ატრიბუტები რუსულ თარგმანებში და რამდენად შეესაბამება ისინი დედანს. ვფიქრობთ, ქრისტიანული ლიტერატურის პოემაში გამოვლენა და მათი თარგმნის პროცესები მრავალმხრივი შესწავლის საგანია და სხვადასხვაგვარ სირთულესთანაა დაკავშირებული. თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კი კვლევის პროცესი წინ მიიწევეს და უმჯობესდება, რაც კიდევ უფრო ამარტივებს რთულ, მაგრამ მნიშვნელოვან სამუშაოს.

## VI თავი. ტერმინები დევი და ქაჯი/ქაჯეთი „ვეფხისტყაოსანში“ და მათი შესატყვისები რუსულ თარგმანებში

საუკუნეების წინ დაწყებული რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება. მეცნიერთა კვლევის მიზანია პოემის როგორც იდეურ-თემატური, ასევე ტექსტუალური და ტერმინოლოგიური შესწავლა და ანალიზი. მკვლევართათვის დღითიდღე უფრო ნათელი ხდება, რომ რუსთაველის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსის, მისი აზროვნების, არსის შეცნობა მხოლოდ პოემაში გამოვლენილი თითოეული სიტყვის სრულფასოვანი გააზრებითაა შესაძლებელი. „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ტერმინების უმრავლესობა სიღრმისეულადაა შესწავლილი და განმარტებული სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ლექსიკონებში, ნაწილი კი რუსთველოლოგთა მსჯელობისა და დავის ობიექტია დღემდე.

კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, განსაკუთრებით კორპუსლინგვისტური კვლევა, საკითხის სიღრმისეული შესწავლის გამარტივება-გაუმჯობესების საშუალებას იძლევა და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ემპირიული მასალის სისტემურ დამუშავებას. ამჯერად შევეცდებით, წარმოვადგინოთ პოემაში გამოვლენილი რამდენიმე კონცეპტის კორპუსლინგვისტური ანალიზი ქართული ტექსტის რუსულ თარგმანებთან დაპარალელების საფუძველზე და დავაკვირდეთ მათი ტრანსლაციის პროცესს, შევაფასოთ თარგმანთა ეკვივალენტურობა ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით.

„ვეფხისტყაოსნის“ მდიდარ და მრავალფეროვან ლექსიკურ მარაგში გვხვდება ისეთი კონცეპტები, რომლებიც უპირატესად ქართული კულტურისთვის არის დამახასიათებელი, რაც განსაკუთრებით რთულსა და საინტერესოს ხდის მათი თარგმანებში გადატანის პროცესს. მთარგმნელები ცდილობენ, შეძლონ სათარგმნი ტექსტის როგორც ენობრივ-ლიტერატურული, ასევე კულტუროლოგიური ადაპტაცია თარგმანებში და მაქსიმალური სიზუსტით ასახონ მასში თითოეული სპეციფიკური ნიუანსი. როგორც ცნობილია, მთარგმნელი მედიატორის როლს ასრულებს ორ ენობრივ და კულტურულ გარემოს შორის, ამდენად კულტურათაშორისი სხვაობების

შემჩნევა და წარმოქმნილ ბარიერთა გადალახვა მთარგმნელის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

რუსთაველი პოემაში იყენებს ქართული მითოლოგიისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს - **დევი** და **ქაჯი**. მათი განმარტება უმეტესად ფოლკლორულ-მითოლოგიურ გაგებას უკავშირდება. „ვეფხისტყაოსანში“ საგმირო ინიციაციის სიმბოლური სიუჟეტი გადმოცემულია ქართული მითოლოგიისათვის დამახასიათებელი სახეების გამოყენებით. პოემაში მითოლოგიურ ქვესკნელს - ქაჯეთს, რაინდები ამარცხებენ და დედოფალს ათავისუფლებენ. აპოლონ ცანავას მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ბრძოლა დევებთან და ქაჯებთან მეტაფორიზებული ასახვაა ქართული კოსმოგონიური მითების პერსონაჟების მიერ დევების დამარცხებისა და განდევნისა ხმელეთიდან, რის შემდეგაც ისინი თვალით უხილავ არსებებად გადაიქცნენ (ცანავა, 1981). რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ მითოსური სამყარო გარდაქმნა ახალი ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად და წინ წამოსწია რენესანსული იდეა - ჰუმანიზმი.

მითოსური პერსონაჟი - **დევი** ენციკლოპედიურ ლექსიკონში<sup>10</sup> განიმარტება, როგორც უზარმაზარი ზღაპრული არსება, რქიანი და ბანჯგვლიანი, ხშირად რამდენიმე თავის მქონე. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში<sup>11</sup> აღნიშნულია ისიც, რომ **დევი** კაცის მსგავსი არსებაა. „ლექსიკონი ქართული“<sup>12</sup> შემდეგნაირად განმარტავს მას - „სომხურად ეშმაკსა ჰქვია, ხოლო ქართულად რომელთამე წერილთა შინა დევი გველ-ვეშაპის ადგილს აღუწერიათ და გარეშეთა წერილთა, რომელი ავ-სახე კაცის მსგავსი, რქიანი; იგი მოგონებული ტყუ(ვ)ილია“. ფაქტია, რომ **დევი** უარყოფითი კონოტაციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულია და ბოროტებასთან ასოცირდება, რაც ცალკე განხილვის საგანია, რამდენადაც ქართულ ფოლკლორულ ნიმუშებში

---

<sup>10</sup>ენციკლოპედიური ლექსიკონი, სამტომეული, შეადგინა ალ. ელერდაშვილმა, გამომცემლობა „ფანტაზია“, თბილისი, 2006 (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=14>)

<sup>11</sup>განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, მთავარი რედაქტორები - არნოლდ ჩიქობავა, ავთანდილ არაბული, თბილისი, 1950-1964 (<http://www.ena.ge/explanatory-online>).

<sup>12</sup>ლექსიკონი ქართული, შეადგინა სულხან-საბა ორბელიანმა, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991 (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>).

„კეთილი დევების“ არსებობაც ივარაუდება, თუმცა ამ ეტაპზე ეს საკითხი ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

უარყოფითი სემანტიკის შემცველია **დევი** „ვეფხისტყაოსანშიც“, სადაც იგი სულ შვიდჯერ დასტურდება. **დევის** შესატყვისად რუსულ თარგმანებში გამოყენებულია სიტყვები - **Дэв** (დევი), **Гигант** (გიგანტი), **Призрак** (მოჩვენება), **Демон** (დემონი). მთარგმნელები უმეტეს შემთხვევაში **Дэв** ფორმას იყენებენ, სინონიმური ფორმები მხოლოდ თითოჯერაა გამოყენებული. არის შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე კონტექსტში **დევს** სამივე მთარგმნელი განსხვავებულად თარგმნის. ვნახოთ მაგალითი:

3.98.2. „აგრე კვალ-წმიდად წარხდომა კაცისა, ვითა **დევისა**“.

ბალმ.: „Словно **призрак** увидали, **призрак** был один лишь миг“ (2.93.2).

ნუცუბ.: „Человек не мог исчезнуть, будто **дэв** иль привиденье“ (3.98.2).

ხალვ.: „Исчезновение скрытное! Так с **демонами** лишь бывать“ (3.162.2).

როგორც ვხედავთ, ბალმონტი **დევის** შესატყვისად თვისობრივად განსხვავებულ ეკვივალენტს იყენებს - **призрак** (მოჩვენება), როგორც კონცეპტი, გამოხატავს თვისობრივ რეფერენციას და არა საგნობრივს, რაც მოცემული ლექსემის შემთხვევაში ეკვივალენტურობის ხარისხს ამცირებს. ხალვაში დევის შესატყვისად გვთავაზობს სინონიმურ ეკვივალენტს - **демон** (დემონი), მხოლოდ ნუცუბიძე შეუსატყვისებს **დევს** იმავე **дэв** ფორმას.

ასევე თვისობრივ ეკვივალენტს გვთავაზობს ხალვაში დევის შესატყვისად კიდევ ერთი სტრიქონის (28.655.1) თარგმნისას:

„**დევთა** ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა“.

ხალვ.: „Громкий рев жалких **гигантов** до самых небес достигал“ (26.859.1).

ამ შემთხვევაში **დევის** შესატყვისად **გიგანტია** გამოყენებული, რაც **დევის ფიზიკურ სიდიდეს** - გიგანტურობას უსვამს ხაზს და არ არის მისი საგნობრივი ეკვივალენტი.

სხვა მხრივ თარგმანებში მკვეთრი სხვაობები არ შეინიშნება. თვალსაჩინოებისთვის ვნახოთ თითოეული სტრიქონის შესატყვისი თარგმანები დაპარალელებული ფორმატით:

3.98.2. „აგრე კვალ-წმიდად წარბდომა კაცისა, ვითა **დევისა**“.

ბალმ.: „Словно **призрак** увидали, **призрак** был один лишь миг“ (2.93.2.).

ნუცუბ.: „Человек не мог исчезнуть, будто **дэв** иль привиденье“ (3.98.2.).

ხალვ.: „Исчезновение скрытное! Так с **демонами** лишь бывать“ (3.162.2.).

28.654.1. „ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, **დევთა** შეეკაფნეს“.

ბალმ.: „Ряд пещер, где были **дэвы**“ (17.621.1.).

ნუცუბ.: „Я нашел тогда вот этот - не людей, а **дэвов** грот“ (28.654.1.).

ხალვ.: „Тут пещеры безлюдные – создание **дэвовых** рук“ (26.857.1.).

28.655.1. „**დევთა** ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა“.

ბალმ.: გამოტოვებულია

ნუცუბ.: „Уносились крики **дэвов** в поднебесные высоты“ (28.655.1.).

ხალვ.: „Громкий рев жалких **гигантов** до самых небес достигал“ (26.859.1.).

29.690.1. „ქვაბნი ომითა წაუხმან, სახლად აქვს **დევთა** სახლები“.

ბალმ.: „Там, где **дэвы** обитали, пребывает он в печали“ (18.656.1.).

ნუცუბ.: „Взял он грот, сразивши **дэвов**, в нем себе устроил дом“ (29.690.1.).

ხალვ.: „Пещеры войной захватил, обитель **дэвов** обжит им“ (27.901.1.).

40.998.1. „ქვაბნი წაუხმან **დევთათვის**, სრულად გაჰმესისხლებია“.

ბალმ.: „где кровь без меры изливал он в сумрак серый, Взял и **дэва** он пещеры“ (27.961.1.2.).

ნუცუბ.: „Отобрал он грот у **дэвов**, оросив утесы кровью“ (40.1000.1.).

ხალვ.: „Отнял пещеры у **дэвов**, а самих смерти он предал“. (39.1235.1.)

52.1364.3. „მე ოდეს ქვაბნი წავუხვენ, დავხოცე **დევთა** დასები“.

ბალმ.: „В дни, когда в жестоком гневе здесь избил толпу я **дэвов**“ (41.1324.3.).

ნუცუბ.: „С той поры, как смял я **дэвов**, разорив очаг их весь“ (52.1366.3.).

ხალვ.: „Когда пещеру брал **дэвов**, целиком сразил их мой меч“ (52.1637.3.).

52.1368.3. „თუ ქაჯნი **დევთა** შეეხნენ, იყოს დღე იგი ძნელიო!“

ბალმ.: „Если каджи — рой несметный, сила **дэвов** — гром ответный“ (41.1328.3.).

ნუცუბ.: „Коль пойдут на **дэвов** каджи, будут дни тогда ужасны“ (52.1370.3.).

ხალვ.: „Коль кадж сразится с **дэвом**, тот день превратится ему в ад!“ (52.1641.3.).

როგორც აღმოჩნდა, **დევის** თარგმნისას დედნისადმი ერთგულებას სრულად იწარჩუნებს შ. ნუცუბიძე. ის შვიდივე შემთხვევაში **დევის** ეკვივალენტად ყველაზე

ზუსტ შესატყვისს - იმავე **დღვ** ფორმას იყენებს. კ. ბალმონტი შვიდიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვთავაზობს სინონიმურ ფორმას (**призрак**), ერთი სტრიქონის შესაბამისი სტროფი საერთოდ გამოტოვებული აქვს, ხოლო დარჩენილ ხუთ კონტექსტში შეუსატყვისებს **ღევს** იმავე **დღვ** ფორმას. ეკვივალენტების მრავალფეროვნებით ამ შემთხვევაში გამოირჩევა ა. ხალვაში, რომელმაც 7 კონტექსტში სამი სხვადასხვა ეკვივალენტი გამოიყენა (**ღვ - 5, Демон -1, Гигант - 1**). მთარგმნელი ეკვივალენტებს კონტექსტების მიხედვით ცვლის, კერძოდ, პირველ მაგალითში კონცეპტი **დემონი**, **ემმაკი** გამოიყენა შედარების ფორმულაში (გაქრა, როგორც **დემონი**), ხოლო მესამე მაგალითში **ღევების** ყვირილის სიძლიერის, ინტენსიურობის გადმოსაცემად კონტექსტუალური ეკვივალენტი - **გიგანტი** გამოიყენა. დანარჩენ ხუთ შემთხვევაში კი საგნობრივად **ღევი** იგულისხმება და მთარგმნელიც დენოტაციურ ეკვივალენტს იყენებს შესატყვისად. აღნიშნულს შევაჯამებთ ცხრილის სახით:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
3.98.2. <b>ღევი</b>	Призрак	ღვ	Демон
28.654.1. <b>ღევი</b>	ღვ	ღვ	ღვ
28.655.1. <b>ღევი</b>		ღვ	Гигант
29.690.1. <b>ღევი</b>	ღვ	ღვ	ღვ
40.998.1. <b>ღევი</b>	ღვ	ღვ	ღვ
52.1364.3. <b>ღევი</b>	ღვ	ღვ	ღვ
52.1368.3. <b>ღევი</b>	ღვ	ღვ	ღვ

ცხრილი N11

რუსთველოლოგთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა პოემაში დადასტურებული კონცეპტების - **ქაჯისა და ქაჯეთის** - განმარტებასთან დაკავშირებით. არსებობს **ქაჯი/ქაჯეთის** ფონეტიკურ-ეტიმოლოგიური პარალელების კვლევისა და მისი სიმბოლურ-მხატვრული ფუნქციის გარკვევის ცდები. ვნახოთ „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული მოცემული ტერმინების განმარტებები და რამდენიმე მეცნიერის მოსაზრება ცნების სიმბოლური დატვირთვისა და ეტიმოლოგიის შესახებ.

ციალა კარბელაშვილი მიიჩნევს, რომ რუსთაველისეული „**ქაჯი**“ ეთიკური შინაარსის შემცველი ცნებაა. მეცნიერის მოსაზრებით, რუსთაველის „**კაცი**“ და „**ქაჯი**“

- ორივე ადამიანია, „ადამის მოდგმა“, მაგრამ ისინი დიამეტრულად უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც „კეთილი“ და „ბოროტი“ (კარბელაშვილი, 1985:19-20). ლ. რამიშვილი ქაჯების ბოროტებას ილუზიად მიიჩნევს და ამით სიკეთის ერთადერთობას უსვამს ხაზს პოემაში. მეცნიერის მტკიცებით, ბოროტებასთან ასოცირებული ქაჯის „უხორცობა“ მათ შეუცნობლობასა და გაუგებრობაზე მეტყველებს, რაც ადამიანში უსაფუძვლო შიშს იწვევს, თუმცა ქაჯების არარეალურობა კიდევ ერთხელ ადასტურებს პოემაში ბოროტების არარსებობას (რამიშვილი, 2013:212-13). შ. ჩიჯავაძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ქაჯი და ქაჯეთი არა მხოლოდ ზღაპრული და ფანტასტიკური ცნებებია, არამედ ქაჯნი ნამდვილად არსებული რომელიღაც შავკანიანი ტომია, რომელიც რეალურად არსებულ ქაჯეთში ცხოვრობდა. და რადგანაც რუსთაველი ქაჯეთს ინდოეთის ახლოს მდებარე ქვეყნად ასახელებს, ის შეიძლება იყოს ახლანდელი ინდოეთის ტერიტორიაზე არსებული ქაიჯის პროვინცია ან ოლქი „კაჩი“. ქაჯის სახელწოდებით არსებობს ასევე დასახლებული პუნქტი ირანში, თეირანის სამხრეთით, ხოლო „ქაჯე“ ჰქვია ახლანდელ ნიგერიაში მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს. მკვლევრის ვარაუდით, ცნებებში ქაჯი/ქაჯეთი შესაძლებელია რომელიმე ამათგანი იგულისხმებოდეს (ჩიჯავაძე, 1973:145-147). თინათინ ოჩიაურს მიაჩნია, რომ ფშავ-ხევსურულ თქმულებებში დადასტურებული სიტყვა ქაჯები გულისხმობს ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ქისტეთში ან დიდოეთში მცხოვრებ ტომებს, რომლებიც ქართველი მთიელებისაგან განსხვავდებიან წეს-ჩვეულებით. სწორედ ამ განსხვავების გამო, და არა რომელიმე ეთნიკურობის ნიშნით, უწოდებს მათ რუსთაველი ქაჯებს (ოჩიაური, 1967:87-95). თ. ნატროშვილის ვარაუდით, სავსებით შესაძლებელია, რომ რუსთაველს ქაჯებისა და ქაჯეთის დასახასიათებლად გამოყენებული ჰქონდეს მულიდების საარაკო ამბები (ნატროშვილი, 1978:93-109).

სამეცნიერო ლიტერატურაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ პოემაში დადასტურებული სიტყვები - ქაჯი და ქაჯეთი - არაერთხელ გამხდარა რუსთველოლოგთა ინტერესის საგანი, თუმცა ცალსახა და ერთგვაროვანი შეხედულება მის მომდინარეობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით დღემდე არ



გვაქვს. ამგვარი არაერთგვაროვანი შეფასებები, ცხადია, კიდევ უფრო მეტად ართულებს მოცემულ შემთხვევაში ადეკვატური ეკვივალენტის შერჩევის პროცესს. ვნახოთ როგორ ცდილობენ მთარგმნელები ეთნო-კულტურული ბარიერის გადალახვას და შესაბამისი ეკვივალენტების მოძიებას მიზან-ენაში.

როგორც ცნობილია, სიტყვა **ქაჯი** მომდინარეობს სპარსული სიტყვისგან „**ქაჯ**“, რაც ყალბს ნიშნავს. განმარტებით ლექსიკონში<sup>13</sup> მას სამი მნიშვნელობა აქვს: 1. არსებითი სახელი - ავსული, ეშმაკი; 2. ზედსართავი სახელი - გადატანითი მნიშვნელობით, ეშმაკი, მაცდური ადამიანი; 3. არსებითი სახელი - **ქაჯები** - ჯადოსნური საქმეებითა და საომარი ხერხებით განთქმული ხალხი. „ლექსიკონი ქართულის“<sup>14</sup> მიხედვით **ქაჯს** „მაცდურთა რასმე იტყვიან საეშმაკოთა, ვითარცა მინოათა, ჭიმკათა. ალსა, კორვიანტსა“. როგორც აღმოჩნდა, ლექსიკონებშიც არ გვაქვს ერთგვაროვანი და ზუსტი, ცალსახა განმარტება სიტყვისათვის **ქაჯი**. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, რამდენადაც მრავალფეროვანია სინონიმები ამა თუ იმ სიტყვისათვის, იმდენადვე მოსალოდნელია სინონიმური ეკვივალენტების არსებობა თარგმანებში.

„ვეფხისტყაოსანში“ **ქაჯ** ძირით გვხვდება სიტყვები - **ქაჯი** და **ქაჯეთი**. პოემის ტექსტში **ქაჯი** 24-ჯერ გვხვდება, **ქაჯეთი** კი - 16-ჯერ. ორივე კონცეპტი ერთდროულად გამოყენებულია 7-ჯერ. მთლიანობაში **ქაჯ** ძირით სულ 54 სიტყვა იძებნება დედანში. თარგმანებში **ქაჯს** უმეტესად იგივე **Кадж** ფორმა შეესატყვისება. შ. ნუცუბიძე **ქაჯის** თარგმნისას 24 შემთხვევიდან 19-ჯერ შეუსატყვისებს სიტყვას **Кадж**, ხოლო 5 შემთხვევაში - **ქაჯეთს (Каджети)**, რამდენადაც აღნიშნულ კონტექსტებში **ქაჯების** სამეფო, სამფლობელოა ნახსენები, რაც იგივე **ქაჯეთია** და თავისუფლად ენაცვლება აღწერითი ფორმა ორგანულს. ვნახოთ მაგალითები:

47.1242.1. „**ქაჯთა ქალაქი** აქამდის მტერთაგან უბრძოლველია“.

ნუცუბ.: „До сих пор на град **Каджети** не ходил никто походом“ (47.1244.1.).

57.1429.1. „აწ მე მაქვს **ქაჯთა ქვეყანა** და მათი დანადებია“.

<sup>13</sup>განმარტებითი ლექსიკონი, რეატომეული, მთავარი რედაქტორები - არნოლდ ჩიქობავა, ავთანდილ არაბული, თბილისი, 1950-1964 (<http://www.ena.ge/explanatory-online>).

<sup>14</sup>ლექსიკონი ქართული, შეადგინა სულხან-საბა ორბელიანმა, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991 (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>).

ნუცუბ.: „Я под власть свою поставил и **Каджети** и округу“ (58.1431.1).  
58.1473.4. „ჩემი მზე არცა **ქაჯთა** ჰყავს, არცა სჭირს ლხინ-ნაკლულობა“.  
ნუცუბ.: „Свет души моей любимой не убьет **Каджети** келья“ (59.1475.4).  
58.1474.3. „არცა რა უმძიმს **ქაჯთაგან**, არცა გრძნეულთა გრძნებითა“.  
ნუცუბ.: „Не гнетет ее кудесник, ни **каджетская** темница“ (59.1476.3).  
47.1220.1. „მე ვარო მონა მეფისა მადლისა, **ქაჯთა მფლობლისა**“.  
ნუცუბ.: „Я могучего владыки раб - владельца **Каджети**“ (47.1222.1.).

ა. ხალვაში 24-დან 21 შემთხვევაში **ქაჯს** შეუსატყვისებს იმავე ფორმას - **Кадж**,  
ორჯერ - **Каджети**, ხოლო ერთხელ სიტყვას - **волхвы**, რაც რუსულში განიმარტება,  
როგორც **ჯადოქრები**:

53.1386.4. „თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა“.  
„Коль волхвы придут раньше нас, возможно, примем трудный бой“ (53.1660.4.).

მოცემულ შემთხვევაში მთარგმნელი **ქაჯთა** შესაძლებლობებს უსვამს ხაზს და  
კონცეპტუალურ ეკვივალენტსაც ამავე მიზნის მიხედვით ირჩევს, კერძოდ, ის, რომ  
**ქაჯები** ჯადოქრობის, მოგვობის ძალით აღემატებიან ადამიანთა შესაძლებლობებს,  
მთარგმნელს აფიქრებინებს **ქაჯის** შესატყვისად სწორედ **волхвы** კონცეპტის  
გამოყენებას, რაც კონტექსტუალური ეკვივალენტის შემოთავაზებას საკმაოდ  
ლოგიკურს ხდის.

**ქაჯის** თარგმნისას სინონიმური ეკვივალენტების მრავალფეროვნებით არ  
გამორჩევა კ. ბალმონტისეული თარგმანიც. მთარგმნელს ორ სტრიქონში **ქაჯი** არ აქვს  
თარგმნილი, ერთხელ კი მთლიანად სტროფია გამოტოვებული. 24-დან 18  
შემთხვევაში ბალმონტი სრულ შესატყვისობას გვთავაზობს, ერთხელ შეუსატყვისებს  
**ქაჯს ქაჯეთს**, ხოლო ორ შემთხვევაში **ქაჯის** შესატყვისად იყენებს სიტყვას - **виденье**  
(**ხილვა**):

8.288.3. „ვითა **ქაჯი** დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ“.  
„Царь в погону, но в мгновение ты сокрылся, как **виденье**“ (4.281.3.).

შედარების ფორმულაში მთარგმნელი **ხილვას**, რომელსაც რუსთაველი  
შეუსატყვისებს სიზმრად, „ოცებით“ ნანახს, **ქაჯის** ეკვივალენტად იყენებს.  
თარგმანებში სიტყვა **виденье** ხშირად გამოიყენება **ეშმაკთან** მიმართებით, **ქაჯის**  
შესატყვისად მისი გამოყენება კი კონტექსტითაა განპირობებული, კერძოდ, დამალვის,  
გაუჩინარების სემანტიკის გადმოცემისას მთარგმნელი უპირატესობას ანიჭებს

კონცეპტს **ხილვა, მოჩვენება**, ამდენად კონტექსტუალურ ეკვივალენტს გვთავაზობს, რაც კ. ბალმონტისეულ მთარგმნელობით პრინციპს კიდევ ერთხელ გამოკვეთს.

რაც შეეხება **ქაჯეთს**, 16-დან მხოლოდ ერთხელ ცვლის **ქაჯეთს ქაჯებით** ბალმონტი, ერთხელ კი გამოტოვებს. ნუცუბიძე 13 შემთხვევაში სრულ შესატყვისობას გვთავაზობს, სამჯერ - გამოტოვებს მას. ხოლო ხალვაში **ქაჯეთს** 12-ჯერ შეუსატყვისებს ისევ **ქაჯეთს**, ოთხ შემთხვევაში კი აღწერითად გადააქვს ცნება - **ქაჯეთის** ნაცვლად წერს - **ქაჯების კუთხე, ქვეყანა, ქაჯებთან** (**край каджей, страну каджей, каджской стороной, К кадхам ...**), რაც იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელი დედნისეული ვითარების შენარჩუნებასთან ერთად მიზან ენის ენის ვითარებასაც ითვალისწინებს და ცდილობს მაქსიმალური სიზუსტით გადაიტანოს ტერმინი თარგმანში.

გაცილებით თავისუფალ მიდგომასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა სტრიქონში ერთდროულადაა წარმოდგენილი ორივე ტერმინი - **ქაჯი** და **ქაჯეთი**. ასეთი სულ შვიდი შემთხვევაა და მხოლოდ ორჯერ თარგმნიან ორივე მათგანს მთარგმნელები - ბალმონტი და ხალვაში, ერთხელ - ნუცუბიძე. სხვა შემთხვევებში გამოტოვებულია **ქაჯი** ან **ქაჯეთი**. ეკვივალენტურობის თვალსაზრისით სრული შესატყვისობაა დაცული სამივე თარგმანში. ერთადერთ შემთხვევაში ნუცუბიძეს გადააქვს **ქაჯი** მეტაფორული ეკვივალენტით **волхвы**, რათა ხაზი გაუსვას ქაჯეთის აღების სირთულეს, ქაჯების სიძლიერეს, გონიერებასა და მოხერხებულობას, ხოლო **ქაჯეთი** ამ შემთხვევაშიც გამოტოვებულია კონტექსტში. ვნახოთ შესაბამისი მაგალითები:

47.1245.3.4. „მაგრა საქმე **ქაჯეთისა** გამაგონე უფრო მრთელად, **ქაჯნი** ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“

ბალმ.: „Но скажи мне о **Каджети**. Ведь бесплотны **каджи** эти.

Как же могут здесь на свете представляться нам людьми?“ (36.1208.3.4.).

ნუცუბ.: „Про дела и нравы **каджей** все поведай целиком.

«**Каджи** - тварь без плоти, как же плоть нашли себе потом?“ (47.1247.3.4.).

ხალვ.: „Но о **каджах** расскажи мне все подробно, внятней, ясней:

**Каджи** без тел, телесными как те стали, скажешь ты мне?“ (47.1500.3.4.).

48.1273.2. „ვცნათ ამბავი **ქაჯეთისა**, მოსრულანცა **ქაჯნი** შინა?“

ბალმ.: „Что там нового в **Каджети**? Каджи все пришли домой?“ (37.1236.2.).

ნუცუბ.: „Знать хотим о войске **каджей** - не вернулось ли домой (48.1275.2.) .

ხალვ.: „Хотим узнать о **Каджети**, вернулись ли **каджи** домой?“ (48.1536.2.).

49.1287.2 „**ქაჯთა** მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ **ქაჯნი** ჯერე“.  
 ბალმ.: „Не пришли еще в **Каджети каджи**, нет здесь и царя“ (38.1249.2).  
 ნუცუბ.: „Вдаль уехала царица, да и **каджей** нет покуда“ (49.1289.2).  
 ხალვ.: „Королева **каджей** еще не вернулась, пока не ждать“ (49.1552.2).

51.1320.1. „იგი მზე **ქაჯთა** მეფესა ჰყავს, **ქაჯეთს** პატიმარია“.  
 ბალმ.: „Так. В плену она, в **Каджети**. Взяли солнце каджи эти“ 40.1281.1).  
 ნუცუბ.: „У **волхвов** томится солнце, плененное судьбою“ (51.1322.1).  
 ხალვ.: „Дева у **каджской** царицы, она **каджами** пленена“ (51.1588.1).

53.1387.3. „ჩვენ **ქაჯეთს ქაჯთა** საომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი“.  
 ბალმ.: „**Каджи** бить — до рукоятки меч вонзать в горячей схватке“ (42.1347.4).  
 ნუცუბ.: „Чтоб громить в **Каджети каджей**, укрепим клинки кинжалов“  
 (53.1389.4).

ხალვ.: „Обнажим сабли в **Каджети**, втянув в сражение каджей злых“ (53.1661.4).

56.1406.3. „ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, **ქაჯეთს** გვინდა **ქაჯთა** მზერა“.  
 ბალმ.: „Если б знал, что может стать, будем к каджи мы врываться“ (43.1366.3).  
 ნუცუბ.: „Я дарил тебе, не зная, что в **Каджети** ждет меня“ (56.1408.3).  
 ხალვ.: „Когда дарил, не представлял, что нападём на этот град“ (56.1686.3).

57.1443.3. „აწ რაცა **ქაჯთა** საჭურჭლე **ქაჯეთით** ამიკიდა“.  
 ბალმ.: „Пышность **каджи**, клад до клада, всё твое, тебе для взгляда“ (44.1403.3).  
 ნუცუბ.: „Все дары моей победы над **каджетской** столицей“ (58.1445.3).  
 ხალვ.: „Что из **Каджети** волочу, все тебе хочу я дарить“ (57.1725.3).

როგორც აღმოჩნდა, მთარგმნელები **ქაჯისა** და **ქაჯეთის** შესატყვისად სხვადასხვა სიხშირით იყენებენ სინონიმურ ეკვივალენტებს - **Кадж, Каджети, виденье, волхвы**. თავისუფალი მიდგომით გამოირჩევა ბალმონტი, რომელთანაც სინონიმური მონაცვლეობა და კლება შეინიშნება, ხალვაში კონტექსტუალურად განპირობებულ ეკვივალენტებს გვთავაზობს, ხოლო ნუცუბიძე მაქსიმალური სიზუსტით თარგმნის ორივე ლექსიკურ ერთეულს, რაც საშუალებას აძლევს მთარგმნელს, შექმნას დედანთან დაახლოებული და ადეკვატური თარგმანი.

წარმოგიდგენთ **ქაჯ** ძირით ნაწარმოები სიტყვების ეკვივალენტების ცხრილს სამივე თარგმანში:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
6.192.3. <b>ქაჯი</b>		Каджи	Каджи
8.288.3. <b>ქაჯი</b>	Виденье	Каджи	Каджи

25.575.4. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
25.580.2. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
cap.47. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
47.1220.1. ქაჯი	Каджи	Каджети	Каджи
47.1242.1. ქაჯი	Каджи	Каджети	Каджи
47.1246.2. ქაჯი		Каджи	Каджи
47.1246.4. ქაჯი		Каджи	Каджи
47.1247.1. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
47.1249.1. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
47.1267.4. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
49.1286.2. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
49.1287.2. ქაჯი	Каджети		Каджи
49.1287.2. ქაჯი	Каджи	Каджи	
50.1299.3. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
50.1313.4. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
51.1320.4. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
52.1368.3. ქაჯი	Каджи	Каджи	Каджи
53.1386.4. ქაჯი	Каджи	Каджи	Волхвы
57.1429.1. ქაჯი	Каджи	Каджети	Каджи
57.1430.2. ქაჯი		Каджети	Каджети
58.1473.4. ქაჯი	Каджи	Каджети	Каджети
58.1474.3. ქაჯი	Каджети	Каджети	Волхвы
61.1585.1. ქაჯი	Каджи	Каджи	Чародейкой

ცხრილი N12

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
9.330.3. ქაჯეთი		Каджи	Каджети
47.1221.4. ქაჯეთი	Каджети		Каджети
47.1227.2. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджи
47.1234.2. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджи
47.1238.3. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджети
47.1267.1. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджети
47.1268.4. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджи
48.1277.2. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджети
50.1312.4. ქაჯეთი	Каджи	Каджети	Каджети
52.1351.2. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджи
52.1373.4. ქაჯეთი		Каджети	Каджети
53.1388.1. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджети
53.1390.3. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджети
56.1415.1. ქაჯეთი	Каджети	Каджети	Каджети
56.1427.1. ქაჯეთი	Каджети		Каджети
57.1428.3. ქაჯეთი	Каджети		Каджети
57.1437.2. ქაჯეთი		Каджети	Каджети

ცხრილი N13

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
47.1245.3.4. ქაჯი, ქაჯეთი	Каджи, Каджети	Каджи, Каджи	Каджи, Каджи

48.1273.2. ქაჯი, ქაჯეთი	Каджети	Каджи	Каджи, Каджети
49.1287.2. ქაჯი, ქაჯეთი	Каджи, Каджети	Каджи	Каджи
51.1320.1. ქაჯი, ქაჯეთი	Каджети	Волхвы	Каджи, Каджи
53.1387.3. ქაჯი, ქაჯეთი	Каджи	Каджи, Каджети	Каджети
56.1406.3. ქაჯი, ქაჯეთი		Каджети	
57.1443.3. ქაჯი, ქაჯეთი	Каджи	Каджети	Каджети

ცხრილი N14

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მთარგმნელები უპირატესობას ანიჭებენ ტერმინთა პირდაპირი თარგმანის პრინციპს, თუმცა გვხვდება კონოტაციური ეკვივალენტების გამოყენების შემთხვევებიც, რაც სინონიმების გამოყენებაში გამოიხატება. აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო კონკრეტული შინაარსის გამომხატველია ლექსიკური ერთეული, მით უფრო ნაკლები სინონიმი გამოიყენება თარგმანში შესატყვისების შერჩევისას, რაც კიდევ უფრო მეტად აახლოებს თარგმანს პირველწყაროსთან. დედნისა და თარგმანების დაპარალელებამ შესაძლებლობა მოგვცა რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე განგვეხორციელებინა თვისობრივი ანალიზი, რაც საბოლოოდ თარგმანის ლიტერატურული ხარისხის შეფასების მყარ საფუძველს ქმნის.

## VII თავი. მიჯნურისა და მოყვასის რაოდენობრივი და თვისობრივი

### ანალიზი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის რუსულ თარგმანებში

სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“ ერთ-ერთი ფუნდამენტური თემაა, რომელიც მოიცავს ყოველგვარ ფორმას სიყვარულისა. მოძღვრება „გიყვარდეს მოყვასი შენი“ პოემის პერსონაჟთა მოქმედების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს. ისინი განახორციელებენ პოემის პროლოგშივე ჩამოყალიბებულ კონცეფციას მიჯნურობის შესახებ და წარმოაჩენენ უმაღლესი სათნოების, ამქვეყნიური ბედნიერების მოპოვების ერთადერთ გზას - ყოველგვარ ადამიანურ სიყვარულს, რომელიც თავისი არსით უტოლდება ღვთაებრივს. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ქრისტიანული მოყვასი გულისხმობს რუსთაველის მოყვასსაც, თუმცა არა იმ ფართო გაგებით, როგორც ეს რელიგიური დოგმატიკისთვისაა მისაღები. რუსთაველი მოყვასს უწოდებს მეგობარსა თუ სატრფოს, საყვარელ ადამიანს, მაგრამ არა კაცთმოყვარე ადამიანს, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, განურჩევლად, ყოველი ადამიანის სიყვარულს გულისხმობს (ე. ხინთიბიძე 2015:227-8).

რუსთაველისათვის კაცთმოყვარეობის აშკარა გამოვლინებაა მეგობრობა, რომელიც პერსონაჟთა თავგანწირულობამდე მიდის. გარდა პერსონაჟთა მოქმედების პრინციპისა, პოემაში მეგობრობისა და მიჯნურობის თანაბარმნიშვნელოვნებაზე რუსთაველის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგიაც მეტყველებს. მეცნიერთა მიერ არაერთხელაა შენიშნული, რომ ავტორი პოემაში სიტყვას „**მოყვარე**“ იყენებს როგორც **შეყვარებულის**, ასევე **მეგობრის** მიმართაც, მათ განმაცალკევებელ, განმასხვავებელ ტერმინებად კი შემოაქვს კონცეპტები - **მიჯნური** და **ძმობილი** (ძმად-ნაფიცი, ძმად-ფიცი, ძმად-ნაფიცარი, ძმად-შეფიცული). ჩვენი მიზანია, გავანალიზოთ, როგორ თარგმნიან მთარგმნელები რუსულად აღნიშნულ კონცეპტებს, რომლებიც რუსთაველის იდეურ-თემატური კონცეფციის საფუძველს ქმნიან პოემაში; ასევე, საინტერესოა, რა შეესატყვისება აღმოსავლური კულტურისთვის დამახასიათებელ კონცეპტს **მიჯნური** ჩვენ მიერ შერჩეულ რუსულ თარგმანებში, რა სტრატეგიებს იყენებენ და როგორ ახდენენ მთარგმნელები თითოეული მათგანის კულტურულ ადაპტაციას მიზან-ენაში.

როგორც პოემის პროლოგიდანვე ხდება ცნობილი, **მიჯნური** არაბული ტერმინია (مَجْنُون - majnūn) და შეშლილს, გიჟს, შმაგს ნიშნავს. მისი ორიგინალური ფორმა არის **მაჯნუნი** (ან მეჯნუნი). **მიჯნურ** ძირით პოემაში 63 სიტყვა-ფორმა დასტურდება. პოემაში აღნიშნული სიტყვა 17 სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმით გვხვდება. ყველაზე ხშირად **მიჯნურ** ძირი გვხვდება აბსტრაქტული არსებითი სახელის წარმოებისას (**მიჯნურობა - 15**), შემდეგ ადგილზეა სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის ფორმა (**მიჯნური - 12**). **მიჯნური** დასტურდება მიცემითსა (**მიჯნურსა - 7**) და ნათესაობითში (**მიჯნურისა - 3**), ასევე მხოლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილში (**მიჯნურია - 1**). ნართანიანი მრავლობითით **მიჯნური** სახელობით ბრუნვაში გვხვდება სამჯერ (**მიჯნურნი - 3**), წოდებითით - ერთხელ (**მიჯნურნო - 1**). თანიანი ფორმით **მიჯნური** გვხვდება სულ რვაჯერ, მათგან 6 უთანდებულო, სავრცობიანი ფორმით - **მიჯნურთა**, ერთხელ უსავრცობოდ - **მიჯნურთ**, ასევე ერთხელ თანდებულოთ - **მიჯნურთათვის**. სამ შემთხვევაში გვაქვს **მიჯნურ** ძირით ნაწარმოები დანიშნულების გამომხატველი სახელი - **სამიჯნურო**.

როგორც უკვე ითქვა, **მიჯნურობა** სახელობითი ბრუნვის ფორმით 15-ჯერ დასტურდება (**მიჯნურობა - 15**), მიცემითში იგი გვხვდება ორჯერ (**მიჯნურობასა - 2**), ნათესაობითში - ოთხჯერ (**მიჯნურობისა - 4**), მოქმედებითში - ერთხელ (**მიჯნურობითა - 1**). თითოჯერ გვხვდება საწყისის სახელობითი (**გამიჯნურება - 1**) და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით (**გამიჯნურებისა - 1**), ასევე ერთხელ ზმნური (აორისტის) ფორმით (**გამიჯნურდა - 1**).

ვინაიდან **მიჯნური** კულტურულ-სპეციფიკურ რეალიას წარმოადგენს, კონცეპტის გადატანისას მთარგმნელები სხვადასხვა სტრატეგიებს იყენებენ და **მიჯნურ** ძირით ნაწარმოებ კონცეპტებს შემდეგ ეკვივალენტებს შეუსატყვისებენ რუსულში: *Миджнурство, миджнур, влюбленный, любовный, любимый, милый, любовники, возлюбленные, полюбляя, невеста, люблень, любовь, любить, полюбить, влюбиться*.



როგორც ვხედავთ, ეკვივალენტთა უმრავლესობა სიყვარულთან არის დაკავშირებული და **люб** ძირიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამგვარად ნაწარმოები ეკვივალენტი რეფერენციულობის თვალსაზრისით სრულად ვერ გადმოსცემს მიჯნურის შინაარსს (სიყვარულისაგან გახელებული, ველად გაჭრილი შეყვარებული ადამიანი. შდრ. თავად რუსთაველთან: ის, ვისაც „სიარული, მარტოობა ჰმევენის, გაჭრად დაეთვლებს“ (0.31.3.)), ისინი მაინც დენოტაციურ ეკვივალენტებად უნდა ჩაითვალოს.

მთარგმნელები ასევე იყენებენ კონოტაციურ ეკვივალენტს **милый** და კონტექსტუალურ ეკვივალენტს **невеста**, რომლებიც იშვიათად გამოიყენება (**милый** – 3, **невеста** – 1) თარგმანებში. ვნახოთ შესაბამისი კონტექსტები თარგმანებთან ერთად:

0.10.2. „აჰა, გული **გამიჯნურდა**, მიჰხვდომია ველთა რბენა!“

ბალმ.: „С **милой** быть в минуте каждой. Я безумен. Я погас“.

0.28.3. „არსით აჩნდეს **მიჯნურობა**, არასადა იფერებდეს“.

ბალმ.: „примет с радостью мученья, Всё для **милой**, хоть сожжение“.

47.1253.3. „იტყვის, თუ: "მნახეთ, **მიჯნურნო**, იგი, ვინ ვარდი-ა ვისად“.

ბალმ.: „Мыслит: «С розой был для **милой**. Соловей был с звонкой силой“.

44.1089.4. „რომე მიმიჩს სამიჯნურო, რათ ვამსგავსო მე მას ისი!“

ხალვ.: „У меня же есть **невеста**, она отнюдь ей не ровня!“

გარდა აქ დასახელებული დენოტაციური, კონოტაციური და კონტექსტუალური ეკვივალენტებისა, თარგმანებში მიჯნურ კონცეპტის გადმოსაცემად გამოყენებულია პირდაპირი ლექსიკური ნასესხობა: **миджнур**. საგულისხმოა, რომ **миджнур** ძირით ნაწარმოები ფორმები, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ხალვაშისა და ნუცუბიძის თარგმანებში გვხვდება. **миджнур** ფორმა ბალმონტთან საერთოდ არ დასტურდება. სამაგიეროდ, ეკვივალენტების მრავალფეროვნებით სწორედ ბალმონტისეული თარგმანი გამოირჩევა. მთარგმნელი 63-დან 9 შემთხვევაში არ თარგმნის **მიჯნურს**, ხოლო ერთ შემთხვევაში მთლიანად სტროფი აქვს გამოტოვებული. დანარჩენ შემთხვევებში შემდეგი სახის ეკვივალენტებს გვთავაზობს - *влюбленный* (8), *любимый* (2), *любить* (6), *любленья* (1), *любовники* (1), *любовный* (2), *любовь* (27), *милый* (3), *полюбить* (2), *полюбляя* (1). რამდენადაც კონცეპტი **მიჯნური** მხოლოდ აღმოსავლური კულტურისთვისაა ცნობილი, ბალმონტი

ითვალისწინებს რუსული ენის ბუნებას და ცდილობს მის კულტურულ ადაპტაციას, რაც სინონიმურ მრავალფეროვნებას ქმნის თარგმანში. მთარგმნელი **მიჯნურის** თარგმნისას ფუნქციურ ეკვივალენტს ანიჭებს უპირატესობას, რაც გასაგებია კონცეპტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თუმცა ეკვივალენტის ემოციურობის ხარისხი თარგმანში გაცილებით დაბალია, შესაბამისად, ცვლილებას განიცდის რუსთაველისეული გაგება კონცეპტისა და ეს უკანასკნელი მთარგმნელის მიერ შერჩეული ზოგადი რეფერენციის გადმომცემი ვერსიით - **შეყვარებული** - გადადის თარგმანში.

**მიჯნურის** შესატყვისად **миджнур** ფორმა ყველაზე ხშირად ნუცუბიძეს თარგმანში გვხვდება. მთარგმნელი **მიჯნურ** ძირიდან ნაწარმოები 63 შემთხვევიდან 43-ჯერ იყენებს ტერმინს - **миджнур**, რვა შემთხვევაში კი გამოტოვებს მას. დანარჩენ 10 შემთხვევაში გამოყენებულია კონოტაციური ეკვივალენტები - *влюбленный (1), любимый (1), любить (2), любовь (8)*. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

0.18.2. „ერთი უჩნდეს **სამიჯნურო**, ერთსა ვისმე აშიკობდეს“.

ნუცუბ.: „Хоть **любовь** и одаряет страстью, выпренье парящей“.

0.20.1. „ვთქვა **მიჯნურობა** პირველი და ტომი გვართა ზენათა“.

ნუცუბ.: „О **любви**, об изначальной, в высь к идеям восходящей“.

2.82.3. „აქვს **მიჯნურობა** ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა“.

ნუცუბ.: „Соловей так **любит** розу, как любил свое он чадо“.

29.727.4. „ავად შეჰფერობს **მიჯნურსა მიჯნურობისა** ცხადება!“

ნუცუბ.: „Сохранять **любовь**, как тайну, первый долг **любви**, поверь ты“.

33.810.2. „შენ დაჰზადე **მიჯნურობა**, შენ აწესებ მისსა წესსა“.

ნუცუბ.: „Создал ты законы сердца, породив для нас **любовь**“.

44.1089.4. „რომე მიმიჩს **სამიჯნურო**, რათ ვამსგავსო მე მას ისი!“

ნუცუბ.: „Как сравнить ее с **любимой**? Что ей надо - не пойму!“

**მიჯნურის** ეკვივალენტების ანალიზიდან გამომდინარე, მთარგმნელი, როგორც ჩანს, ცდილობს, მაქსიმალურად შეუნარჩუნოს წყარო-ტექსტის კონცეპტებს ესთეტიურად და ემოციურად ადეკვატური ზემოქმედების ხარისხი თარგმანში. მიუხედავად ამისა, **миджнур** ფორმისა და **люб** ძირით ნაწარმოები სიტყვების გამოყენება **მიჯნურის** ეკვივალენტებად, ავლენს მთარგმნელის არაერთგვაროვან დამოკიდებულებას მთარგმნელობითი პრინციპის მიმართ და კონცეპტ **მიჯნურის** არაერთგვაროვან ადაპტაციას მიზანენაში.

რაც შეეხება ხალვაშისეულ თარგმანს, აქაც უპირატესობა კონცეპტის ლექსიკურ ნასესხობას ენიჭება: **миджнур** ფორმა 39-ჯერ დასტურდება თარგმანში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალვაში უფრო შორს მიდის და **миджнур** ძირზე დაყრდნობით რუსულშივე აწარმოებს სიტყვას **მიჯნურობა**, ქმნის ნეოლოგიზმს - **миджнурство** (9), რაც, მაგალითად, ნუცუბიძის თარგმანში არ დასტურდება:

0.24.1. „**მიჯნურობა** არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი“.

ხალვ.: „**Миджнурство** есть нрав из добрых, трудно его сущность понять“.

0.24.2. „**მიჯნურობა** სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“.

ხალვ.: „**Миджнурство** есть иная вещь, к развращенью не приравнять“.

0.27.1. „არს პირველი **მიჯნურობა** არ-დაჩენა ჭირთა, მალვა“.

ხალვ.: „Есть **миджнурство** отменное, тайна – главный признак его“.

29.727.4. „ავად შეჰფერობს **მიჯნურსა მიჯნურობისა** ცხადება!“

ხალვ.: „Не прилично же **миджнuru** свое **миджнурство** разгласить!“

33.810.2. „შენ დაჰბადე **მიჯნურობა**, შენ აწესებ მისსა წესსა“.

ხალვ.: „Ты **миджнурство** для нас явил, правила нам даешь его“.

37.915.3. „**მიჯნურობა** საჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს“.

ხალვ.: „**Миджнурство** – вещь горестная, приближает к смерти, томит“.

კიდევ ერთი თავისებურება ხალვაშისეული თარგმანისა გახლავთ **სამიჯნუროს** ეკვივალენტი **невеста**, რომელიც ერთადერთხელ დასტურდება შემდეგ კონტექსტში:

44.1089.4. „რომე მიმიჩს **სამიჯნურო**, რათ ვამსგავსო მე მას ისი!“

ხალვ.: „У меня же есть **невеста**, она отнюдь ей не ровня!“

ამ შემთხვევაში მთარგმნელი თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს და თავისუფალი პრინციპით თარგმნის დედნის ამ პასაჟს. თარგმანში ასევე გვაქვს **люб** ძირით ნაწარმოები ფუნქციური ეკვივალენტებიც - **влюбиться** (1), **возлюбленные** (1), **любимая** (1), **влюбленный** (2), **любить** (3), **любовь** (5). გამოტოვების შემთხვევა კი მხოლოდ ერთხელ დასტურდება მთელ პოემაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად გადაიტანოს თარგმანში დედნის ტექსტი, რაც უდავოდ დასაფასებელია.

როგორც ჩვენ მიერ დამუშავებული მასალიდან ჩანს, **მიჯნურის** თარგმნისას ნუცუბიძე და ხალვაში, ესმით რა **მიჯნურის**, როგორც კონცეპტის კულტურულ-სპეციფიკური მნიშვნელობა, უპირატესობას ანიჭებენ ლექსიკურ ნასესხობას. მათგან განსხვავებით, ბალმონტი ზოგადი რეფერენციის გამომხატველ სიტყვას, **люб** ძირით

ნაწარმოებ ფორმებს იყენებს, რაც ასუსტებს კონცეპტ **მიჯნურის** მხატვრულ სახეს მის მიერ შესრულებულ თარგმანში. თავად რუსთაველიც კი, რომელიც „ტკბილქართულის“ ქომაგი და მაქებარია, არაბულ ტერმინს მოიშველიებს პოემაში სწორედ იმიტომ, რომ სურს ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცეს სათქმელი. **მიჯნურ** კონცეპტის ტრანსლაციის ბალმონტისეული ინტერპრეტაციები კი მნიშვნელოვნად უცვლის სახეს მწერლის ჩანაფიქრს, უკარგავს ტერმინს სიმბოლურ დატვირთვას და გარკვეულწილად აკნინებს მის იდეურ და მხატვრულ ღირებულებას, რაც საგრძნობი დანაკარგია „ვეფხისტყაოსნისათვის“.

კონცეპტი **მოყვარე** სულ 59-ჯერ დასტურდება პოემაში 21 განსხვავებული ფორმით. მხოლოდ 5 შემთხვევაში დასტურდება **მოყვასი** სამი ფორმით - სახელობით ბრუნვაში, ნარიანი მრავლობითის ფორმით (**მოყვასნი - 3**), ნათესაობითი ბრუნვაში, თანიანი მრავლობითის ფორმით (**მოყვასთა - 1**) და მოქმედებით ბრუნვაში შეკუმშული, სავრცობიანი ფორმით (**მოყვსითა - 1**). დანარჩენ 54 შემთხვევაში კი **მოყვარე** დასტურდება შემდეგი ფორმებითა და რაოდენობით: მხოლობითი რიცხვი - სახელობითი ბრუნვა (**მოყვარე - 14**), იმავე ფორმით შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილში (**მოყვარეა - 1**), მოთხრობითი (**მოყვარემან - 1**), მიცემითი (**მოყვარესა - 6**), ნათესაობითი (**მოყვარისა - 1**), ნათესაობითი, შეკუმშული ფორმით (**მოყვრისა - 9**), ასევე შეკუმშული ფორმით ნათესაობით ბრუნვაში თანდებულის თანხლებით (**მოყვრისაგან - 2**, **მოყვრისათვის - 3**), ნართანიანი მრავლობითის სახელობით (**მოყვარენი - 2**), მიცემით და ნათესაობით (**მოყვარეთა - 2**) ბრუნვებში. **მოყვარე** ასევე გვხვდება ზმნისა (**თანა-ემოყვრებოდა - 1**) და ზედსართავი სახელის (**უმოყვრესნი - 1**) ფორმებით. **მოყვარესგან** ნაწარმოებია აბსტრაქტული სახელი, რომელიც დასტურდება სახელობითი (**მოყვრობა - 2**) და ნათესაობითი (**მოყვრობისა - 1**) ბრუნვის ფორმებით. **მოყვარე** ძირი გვხვდება მიმღეობაშიც - **მოყვარული**, რომელიც შემდეგი ფორმებითაა წარმოდგენილი - მხოლობითის სახელობითი (**მოყვარული - 1**), მიცემითი (**მოყვარულსა - 1**), ვითარებითი (**მოყვარულად - 1**), ნართანიანი მრავლობითის სახელობითი (**მოყვარულნი - 1**) და მიცემითი (**მოყვარულთა - 3**) ბრუნვის ფორმებით.

რაც შეეხება კონცეპტ **მოყვასის** ეკვივალენტებს თარგმანებში, გამომდინარე იქიდან, რომ **მოყვასი** თანაბრად მიემართება **მიჯნურსა და მეგობარს**, შესატყვისობების მხრივაც მრავალფეროვანი სურათი გვაქვს. ბალმონტი 59 შემთხვევიდან 15 შემთხვევაში გამოტოვებს **მოყვასს**, ერთ შემთხვევაში კი მთლიანად სტროფი აქვს გამოტოვებული. დანარჩენ 43 შემთხვევაში იყენებს შემდეგ შესატყვისობებს: *друг (25), друзья (2), дружба (3), дружной (1); братья (1), товарищ (1); любимый (3), любительница (1), любить (2), любовь (3); милый (1)*.

როგორც ემპირიული მასალის კვლევამ გვიჩვენა, ბალმონტი **მოყვასს**, გამოყენებულს **მეგობრის** მნიშვნელობით, შეუსატყვისებს დენოტაციურ ეკვივალენტებს - **друг** (მეგობარი) და **товарищ** (ამხანაგი), ასევე კონოტაციურ ეკვივალენტს **брат** (ძმა); ხოლო **მიჯნურთან** მიმართებით ისევ **люб** ძირით ნაწარმოები სიტყვები დასტურდება დენოტაციურ ეკვივალენტებად, და ერთადერთი კონოტაციური ეკვივალენტი - **милый**.

ერთადერთ შემთხვევაში ბალმონტი **любимый** ფორმას იყენებს მეგობართან მიმართებითაც:

4.139.4. „ხამს **მოყვრისათვის** სიკვდილი, ესე მე დამიც წესად-რე“.

ბალმ.: „В честь **любимой** сладки муки. Смерть приму — тобой горя“.

სხვა შემთხვევებში მეგობარს ეკვივალენტებად **друг, брат, товарищ** ფორმები შეესატყვისება. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი აღნიშნულის საილუსტრაციოდ:

20.501.3. „ლხინად მიჩს შეყრა **მოყვრისა** მის, შენგან შეუყრელისა“.

ბალმ.: „Для меня одна отрада: в скорби **друга** видеть надо“.

28.668.1. „ამას ზედა შეიფიცნეს **მოყვარენი**, გულ-სადაგნი“.

ბალმ.: „Клялись тут они сердцами, **братья** с мудрыми словами“.

47.1217.1. მოვიდა სითმე ღარიბი მონა **მოყვსითა** სამითა“.

ბალმ.: „Вот приходит раб бродячий. Три **товарища**, как клячи, вместе с ним“.

მოცემულ მასალაზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ ბალმონტი **მოყვარის**, როგორც **მეგობრის** შესატყვისად იყენებს ოთხ სხვადასხვა სიტყვას (**друг, брат, товарищ, любимый**), ხოლო **მოყვასის**, როგორც **მიჯნურის** გამოსახატავად - ორი ფუძისგან (**люб, милый**) ნაწარმოებ სიტყვა-ფორმებს, რაც საკმაოდ მრავალფეროვან სურათს ქმნის შესატყვისობების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, მთარგმნელი

ცდილობს ეკვივალენტების დიფერენცირებული გამოყენებით დაძლიოს ლექსიკური ომონიმია.

ასეთივე ვითარება გვაქვს ნუცუბიდის თარგმანშიც. 59 შემთხვევიდან 19 გამოტოვება და ორმოც შემთხვევაში 13 სინონიმური ეკვივალენტი მნიშვნელოვნად ცვლის ორიგინალი ტექსტის იდეურ-თემატურ და მხატვრულ სახეს. ვნახოთ ეკვივალენტების სტატისტიკა: *друг* (13), *друзья* (4), *дружба* (1), *дружеский* (1); *любимый* (6), *влюбленный* (3), *возлюбленный* (1), *любить* (1), *любовь* (5); *милый* (2), *миджнур* (1), *родной* (1), *побратим* (1).

როგორც ვხედავთ, გარდა ზოგადი რეფერენციის გამომხატველი სიტყვა-ფორმებისა - *друг* და *люб*, მთარგმნელი იყენებს კონოტაციურ ეკვივალენტებს - *ძმობილი* (*побратим* - 1), *საყვარელი* (*милый* - 2), *ახლობელი*, *ძვირფასი* (*родной* - 1) და *მიჯნური* (*миджнур* - 1). ვნახოთ ამ რამდენიმე თავისებური შემთხვევის ამსახველი მაგალითები თარგმანში:

52.1330.1. „რა მოეგონის **მოყვარე**, სდინდიან ცრემლნი მწარენი“.

ნუცუბ.: „Вспоминая **побратима**, проливал он слез потоки“.

0.28.2. „არ ბედიოთად "ჰაჲ-ჰაჲ"-ს ზმიდეს, **მოყვარესა** აყივნებდეს“.

ნუცუბ.: „Не вздыхать при всех, чтоб **милой** не коснулась тень стыда“.

46.1154.2. „არა ბერსა, არა ყმასა, **მოყვარესა**, არცა მტერსა“.

ნუცუბ.: „Ни **родня**, ни враг, ни старец, ни воитель юных лет!“

0.29.4. „რა ჰგავა, თუ **მოყვარესა** კაცმან გული არ ატკივნოს!“

ნუცუბ.: „Долг **миджнура** в том, чтоб девя от любви не знала бед“.

როგორც ჩანს, მთარგმნელი ცდილობს რუსულენოვანი მკითხველისათვის ნათელი გახადოს კონტექსტი და ტერმინოლოგიურად მიჯნავს ერთმანეთისგან *მოყვასს*, როგორც *მეგობარსა* და როგორც *მიჯნურს*. სატრფოსთან მიმართებით *მოყვასის* შესატყვისად ნუცუბიძე იყენებს კონცეპტებს - *მიჯნური* (*миджнур*) და *საყვარელი* (*милый*), მეგობართან მიმართებით - *ძმობილი* (*побратим*), ხოლო საზოგადოდ, *მოყვასის* გამოსახატავად ტერმინს *родной* მოიშველიებს. ამგვარი თავისუფალი მიდგომა იწვევს გარკვეული სემანტიკური და სიმბოლური ნიუანსების დაკარგვას თარგმანში, თუმცა დასაფასებელია ის ფაქტი, რომ მთარგმნელი ცდილობს

მაქსიმალურად გასაგები და, შესაბამისად, შთამბეჭდავი იყოს თარგმანი მკითხველისათვის.

რაც შეეხება ხალვაშისეულ თარგმანს, დაახლოებით იგივე ვითარება გვაქვს, რაც წინა ორი მთარგმნელის შემთხვევაში გვქონდა. ხალვაშიც **მეგობართან** მიმართებით იყენებს სინონიმურ ეკვივალენტებს - *друг (16), подруга (2), друзья (6), дружба (4), дружеской (1); собрата (2); товарищ (1)*, ხოლო **მიჯნურთან** მიმართებით ზოგადი რეფერენციის გამომხატველ კონცეპტებს - *любимый (11), влюбленный (1), любить (1), милый (1)*. ასევე **მეგობართან** მიმართებით მთარგმნელი გვთავაზობს კონოტაციურ ეკვივალენტებს - *ближний (2), родной (1), приятель (1)*, **მოყვარულის** შესატყვისად კი გამოყენებული აქვს ტერმინი *почитатель (1)*. დანარჩენ რვა შემთხვევაში საერთოდ გამოტოვებულია **მოყვასის** შესატყვისები. ვნახოთ მთარგმნელისეული ინტერპრეტირების მაგალითები:

29.706.2. „ხამს გასრულება **მოყვრისა** სიყვარულისა მტკიცისა“.

ხალვ.: „Надо исполнить прочную любовь к **ближнему**, спору нет“.

30.733.4. „ხამს სიყვარული **მოყვრისა** უხვისა, უშურველისა“.

ხალვ.: „Надлежит любить **ближний** люд, который добром наделен“.

41.1039.3. „ვერ დამხსნიან ვერ ციხენი, ვერ **მოყვასნი**, ვერცა ძმანი“.

ხალვ.: „Не помогут мне ни замки, ни **собратья**, ни **родной** люд“.

35.862.4. „სხვა **მოყვარე** თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა“.

ხალვ.: „Так как сердцу моему чужд любой другой **приятель**, друг“.

46.1197.1. „რა ოქრო მისთა **მოყვასთა** აროდეს მისცემს ლხენასა“.

ხალვ.: „Золото **почитателям**, никогда не даст ликовать“.

როგორც მოცემული მასალიდან ჩანს, **მოყვრის**, როგორც მეგობრის ეკვივალენტად გამოყენებულია **ახლობელი**, რომელიც ერთ შემთხვევაში არსებითი სახელის (к **ближнему**) ფუნქციითაა წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი მსაზღვრელია სინტაგმაში - ახლობელი ხალხი/ადამიანი (**ближний** люд), რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეესატყვისება **მოყვარეს**, სრულად ვერ ასახავს მწერლის სათქმელს. ასევე მეგობართან მიმართებითაა გამოყენებული კონოტაციური ეკვივალენტი - **приятель**. რაც შეეხება **родной** ფორმას, მთარგმნელი ზოგადი რეფერენციის გამომხატველი ტერმინით თარგმნის **მოყვასს**, როგორც ასევე ზოგადად **მოყვარის** გამომხატველ სიტყვას. მოცემულ კონტექსტში **მოყვასი** არც **მეგობარს** მიემართება და არც **მიჯნურს**,

ამდენად გასაგებია მთარგმნელის განზრახვაც. ასევე ზოგადი რეფერენციის გამომხატველია მოყვასი ბოლო მაგალითშიც (46.1197.1), სადაც მოყვასში ოქროს მოყვარული იგულისხმება. მის შესატყვისად მთარგმნელი კონტექსტუალურ ეკვივალენტს (почитатель) გვთავაზობს, რომელიც უფრო ზუსტად გადმოსცემს ავტორის სათქმელს და გასაგებს ხდის კონტექსტს ისე, რომ მკვეთრად არ უკარგავს პოემას იდეურ-შინაარსობრივ თუ მხატვრულ მნიშვნელობას.

როგორც წარმოდგენილი ემპირიული მასალის ანალიზიდან ჩანს, პოემის მთარგმნელები - კონსტანტინე ბალმონტი, შალვა ნუცუბიძე და არჩილ ხალვაში განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებენ ჩვენ მიერ არჩეული ორი კონცეპტის - მიჯნურისა და მოყვასის - გადატანისას რუსულ თარგმანებში: შერჩეულ კონცეპტებს შეუთანადებენ ა) დენოტაციურ ეკვივალენტს, ბ) კონოტაციურ ეკვივალენტს, გ) კონტექსტუალურ ეკვივალენტს ან დ) მიმართავენ ლექსიკური ნასესხობის ხერხს. ამასთან, ეკვივალენტების შერჩევისას შედარებით თავისუფლად ეკიდებიან შერჩევის პრინციპს, რის შედეგადაც იკარგება რუსთაველისეული გაგება კონცეპტებისა, როგორც, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეფცია - ერთ სიბრტყეზე დააყენოს მეგობარი და მიჯნური და არ გამიჯნოს ისინი ტერმინოლოგიურად, რაც უხეში დარღვევაა დედნისეული ვითარებისა როგორც ტექსტობრივად, ისე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო ზოგადია რეფერენციის გამომხატველი ტერმინი, მით მეტი სინონიმური ეკვივალენტი ეძებნება მას თარგმანში, რაც კიდევ უფრო მეტად აშორებს თარგმანს წყარო ტექსტთან.

ქვემოთ მოცემულია ცხრილში თვალსაჩინოდაა ნაჩვენები ეკვივალენტების მრავალფეროვნება და გრადაციის ხარისხი კონსტანტინე ბალმონტის, შალვა ნუცუბიძისა და არჩილ ხალვაშის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანებში.

მიჯნურის ეკვივალენტები სამივე თარგმანში:

მიჯნური	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
Миджнур		миджнур	миджнур, миджнурство



влюбленный, возлюбленный	влюбленный	влюбленный	влюбленный, возлюбленный
Любимый	любимый	любимый	
Любовник	любовник		
Милый	милый		
Невеста			невеста

ცხრილი N15.

მოყვასის ეკვივალენტები ბალმონტთან: друг (25), друзья (2), дружба (3), дружной (1), братья (1), товарищ (1), любимый (3), любительница (1), любить (2), любовь (3); милый (1).

მოყვარე/მოყვასი	მეგობარი	მიჯნური
	Брат	любимый,
	друг, дружба	любительница
	Товарищ	Милый
	Милый	

ცხრილი N16.

მოყვასის ეკვივალენტები ნუცუბიძესთან: друг (13), друзья (4), дружба (1), дружеский (1); любимый (6), влюбленный (3), возлюбленный (1), любить (1), любовь (5), милый (2), миджнур (1), родной (1), побратим (1).

მოყვარე/მოყვასი	მეგობარი	მიჯნური
родной	Побратим	миджнур
	друг, друзья, дружба	любимый
	Товарищ	возлюбленный
		милый

ცხრილი N17.

მოყვასის ეკვივალენტები ხალვაშთან: друг (16), подруга (2), друзья (6), дружба (4), дружеской (1); собрата (2); товарищ (1), любимый (11), влюбленный (1), любить (1), милый (1).

მოყვარე/მოყვასი	მეგობარი	მიჯნური
родной	собрата, побратим	возлюбленный
	друг, подруга, друзья, дружба	любимый
	приятель	милый
	Товарищ	
	Ближний	

ცხრილი N18.

ვიდრე მთარგმნელობით პრინციპს შეიმუშავებდეს მთარგმნელი, მნიშვნელოვანია, სიღრმისეულად ჩასწვდეს დედნისეულ ვითარებას და საფუძვლიანად შეისწავლოს, გაიაზროს თითოეული კონცეპტის გადმომცემი ლექსიკური ერთეულის როგორც პირველადი, თავისთავადი მნიშვნელობა, ასევე ავტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე კონტექსტის შესაბამისი ფუნქცია და არსი. ტერმინთა კონტექსტუალური, ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის გარეშე შეუძლებელია ადეკვატური შესატყვისების მოძებნა და მაღალმხატვრული თარგმანის შექმნა, რაც მთარგმნელობითი საქმიანობის მთავარი მოთხოვნაა.

## VIII თავი. „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი

### I და III თავების მიხედვით

წინამდებარე თავის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კრიტიკული და კორპუსლინგვისტური ანალიზი. ემპირიულ მასალად აღებული გვაქვს პირველი და მესამე თავები და შესაბამისი სამი რუსული თარგმანი, შესრულებული კ. ბალმონტის, შ. ნუცუბიძისა და ა. ხალვაშის მიერ. კორპუსლინგვისტური ანალიზის საფუძველზე შევეცდებით წარმოვადგინოთ ურთიერთმიმართებები და მსგავსება-განსხვავებები როგორც თარგმანსა და ორიგინალს, ასევე საკუთრივ თარგმანებს შორის.

პოემის დედნისა და რუსული თარგმანების შედარებამ საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მასალა მოგვცა მთარგმნელობითი პროცესების შესასწავლად და თარგმანებში გამოვლენილი თავისებურებების შესაფასებლად. ვფიქრობთ, კვლევის პროცესში კორპუსლინგვისტური მეთოდების გამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებთან მიმართებით არაერთ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე თარგმანმცოდნეობითი თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული პოეტური თარგმანი რუსულად შეიქმნა 1933 წელს კონსტანტინე ბალმონტის მიერ. ბალმონტისეული თარგმანი იმდენად დამოუკიდებელი და ორიგინალურია, რომ სრულიად ცალკე დგას სხვა თარგმანებს შორის, რაც კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება ნუცუბიძისეულ და ხალვაშისეულ თარგმანებთან შედარებისას. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი პოეტურია და შინაარსობრივად მიჰყვება დედანს, ოდენ პირველი და მესამე თავის ანალიზითაც კი ნათელი ხდება, რომ მთარგმნელი სრულიად თავისუფალ თარგმანს გვთავაზობს, საკუთარი გამომსახველობითი საშუალებით განავრცობს შინაარსს, მაქსიმალური სიმძაფრით აღწერს პერსონაჟების სულიერ მდგომარეობას. ჩვენ მიერ შესწავლილი ორი თავის ფარგლებში შეინიშნება როგორც ინტერპრეტაცია და განვრცობა, ასევე კლების შემთხვევებიც. მთარგმნელი არც თუ იშიათად აკლებს

ფრაზებს, გადაანაცვლებს ინფორმაციულ სტრუქტურებს, სტრიქონებს, სტროფებს, არღვევს საზღვრებს სტრიქონებსა და სტროფებს შორის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბალმონტისეულ თარგმანში იშვიათად გვხვდება სრული შესატყვისობის შემთხვევები. მხოლოდ პირველი თავის მიხედვით დედანთან შედარებით ახლოს დგას შემდეგი სტროფები:

ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;  
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, - ვარ  
საწუთროსა თმობითა,  
ანუ მცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა  
ბურთაობითა;  
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე  
ნაზარდობითა (1.63.).

კვლა უბრძანა: "თავსა ჩემსა, რას იცინი, რად  
დამგმეო?"  
ყმამან ჰკადრა: "მოგახსენებ და ფარმანი  
მიბოძეო,  
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გაპრისხდე, არ  
გასწყერო,  
არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო."

უბრძანა: "რადმცა ვიწყინე თქმა შენგან  
საწყინარისა!"  
ფიცა მზე თინათინისი, მის მზისა მოწუნარისა.  
ავთანდილ იტყვის: "დავიწყო კადრება  
საუბნარისა:  
ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს  
სიტყვისა წყნარისა (1.65.).

მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა  
მშვილდოსანია;  
ნადლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად  
თქვენნივე სპანია;  
მოსპარეზედ ვინ მგავსო? - ცუდნილა  
უკუთქმანია.  
გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და  
მოედანია!" (1.67.).

„Это правда, дочь имею, холил дочь, обласкан  
ею.  
Всё ж я сына не лелею. Не дал бог. И нет уж сил.  
Кто здесь луком отличится? Или в мяч со мной  
сразится?  
Автандил едва сравнится, ибо я его учил“ (1.63.).

Царь спросил: «Чего смеешься? И чего ты робко  
жмешься?  
Ну, зачем не отзовешься? Или я тебе смешон?»  
Юный молвил: «Разрешенье дай сказать мне, в  
оскорбленье  
Не вменяя дерзновенья. Да не буду осужден».

Царь ответил: „Молви слово. Не приму его  
сурово.  
Скрепа клятвы — святость крова, имя светлой  
Тинатин“.  
Автандил сказал: „Так смело молвлю: хвастаться  
не дело.  
Но моя б стрела поспела в цель верней, о  
властелин!“ (1.65.).

Под твоими я ногами прах. Но, мерясь  
стрелами,  
Буду первый — пред полками эту клятву я даю.  
„Кто со мной в стрельбе сравнится?“ — ты сказал.  
Тут что ж судиться.  
Может этот спор решиться лишь с мячом,  
стрелой, в бою“ (1.67.).

როგორც ვხედავთ, მთელი თავისათვის სრული შესატყვისობის შემთხვევა საკმაოდ ცოტაა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თითოეულ

შემთხვევაში საქმე გვაქვს მინიმალურ სიახლოვესთან. ვნახოთ ერთი კონკრეტული მაგალითი ბალმონტის მიერ მაქსიმალურად სრულად შესატყვისებული თარგმანისა:

ავთანდილცა დაჰმორჩილდა, საუბარი  
გარდასწყვიდეს,  
იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და  
კარგად ზმიდეს,  
ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:  
"ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე  
ვლიდეს!" (1.69.)

Автандил повиновался. И на том их спор  
прервался.  
Каждый весел был, смеялся. Чуждым был им  
взгляд косою.  
Был заклад меж них скрепленный: тот, кто будет  
побежденный,  
С головою обнаженной, три он дня ходи такой  
(1.69.).

როგორც ვხედავთ, ავტორი ვერ იკავებს თავს ცვლილებებისგან და ტექსტს განავრცობს მხატვრულად: „*Чуждым был им взгляд косою*“ (გვერდითი მზერა მათთვის უცხო იყო), თუმცა სხვა სტროფებთან შედარებით ბევრად ახლოს დგას დედანთან და ინფორმაციული სტრუქტურები მეტ-ნაკლები სიზუსტით შესატყვისება წყარო-ტექსტს.

იგივე შეიძლება ითქვას მესამე თავის შემთხვევაშიც, სადაც სრული შესატყვისობის სულ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს: ვნახოთ მაგალითები:

მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა  
მფლობელი,  
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-  
მიუთხრობელი.  
გაგზავნე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა  
მცნობელი,  
ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ  
უშობელი" (3.114.).

Вот совет мой, повелитель: над царями ты  
правитель.  
Зри кто хочет,— где тот зритель, чтобы твой  
измерил свет?  
Так пошли людей — пусть ищут, целый мир  
пускай обрыщут,  
Уж они ответ отыщут, смертный это или нет  
(2.109.).

მოსახნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა  
კიდეთა,  
უბრძანეს: "წადით, პატიჟთა თავიმცა რად  
დაჰრიდეთა?  
მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად  
მოიცლიდეთა,  
მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ  
მიხვიდეთა" (3.115.).

Царь зовет гонцов проворных, между лучшими  
отборных,  
Чтобы в поисках дозорных не жалели ни труда,  
Ни стараний, ни усилий, чтобы каждого  
спросили,  
Где тот витязь, гордый в силе, и чтоб шли скорей  
туда (2.110.).

კაცნი წავიდეს, იარეს მართ ერთი წელიწადია,  
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა  
დია,  
ვერცა თუ ნახეს ნახული ღმრთისაგან  
დანაზადია,  
ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა  
ზადია (3.116.).

მონათა ჰკადრეს: "შეფეო, ჩვენ ხმელნი  
მოვიარენით,  
მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა  
გავიხარენით,  
მისსა მნახავსა სულ-დგმულსა კაცსა ვერ  
შევეყარენით,  
ჩვენ ვერას გარგებთ, საქმენი სხვანი რამ  
მოიგვარენით" (3.117.).

Вот гонцы в далекой дали. Целый год они  
блуждали.  
Никого не увидели, кто бы витязя встречал.  
Все напрасны вопрошанья. Бесполезны их  
исканья.  
Были долги их блужданья,— был успех их вовсе  
мал (2.111.).

Пред царем рабы предстали. Преисполнены  
печали,  
Так его оповещали: „Хоть искали мы везде,  
Труд бесплоден был, хоть честен, — нам  
скорбящий лик уместен,  
Никому он неизвестен. Укажи, искать нам где?  
(2.112.).

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი ამ შემთხვევაშიც ვერ არიდებს თავს ინტერპრეტაციებსა და განვრცობებს, თუმცა ინფორმაციული სტრუქტურები სრულად შეესატყვისება დედანს და მხატვრული მხარეც მეტ-ნაკლები სიზუსტით გადააქვს მთარგმნელს, რაც ეკვივალენტობის ხარისხს სხვა სტროფებთან შედარებით აუმჯობესებს.

რაც შეეხება კლების შემთხვევებს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კლების კატეგორიაში არ განვიხილავთ ისეთ შემთხვევას, როდესაც ბალმონტის თარგმანში არ არის წარმოდგენილი მთელი სიუჟეტი პირველი თავიდან - თინათინის დამოძღვრა და დარიგება მამის მიერ (მე-17-24-ე სტროფები). ეს მონაკვეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ მთელ თავში, არამედ მთელ პოემაში, რამდენადაც შეიცავს ფილოსოფიურ და დიდაქტიკურ მოძღვრებებს, ხალხურ და რუსთაველისეულ სიბრძნეს, რაც ძალიან დიდი დანაკარგია თარგმანში. რუსთაველი სწორედ ამგვარი დინამიკური სურათებით, სიტუაციურად უფრო მკაფიოდ და ნათლად ახასიათებს პერსონაჟების მხატვრულ სახეს, ვიდრე საკუთრივ აღწერის გზით. ამ დანაკლისს, ცხადია, ჩვენ ვერ მივაწერთ ბალმონტს, რადგან ხელთ არ გვაქვს მთარგმნელის პირველწყარო, საიდანაც ითარგმნა პოემა. ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი ვრცელი და მნიშვნელოვანი მონაკვეთების უთარგმნელობა საგრძნობლად დააზარალებს „ვეფხისტყაოსანს“.

ვნახოთ ცალკეული ფრაზების კლების შემთხვევები ბალმონტის თარგმანში:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი (1.32.).

მისი სახელი - თინათინ, არს ესე საცოდნარია! რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია. მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია, გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია (1.34.).

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა, საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა, ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა; მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა (1.40.).

Был в Арабии певучей царь от бога, царь могучий, Рати сильного — как тучи, вознесенный Ростеван. Многим витязям бессменный знак и образ несравненный, Птицезоркий, в зыби пенной всё увидит сквозь туман (1.32.).

Кто на это солнце глянет, вдруг ее рабом он станет, Сердце, душу, ум заманит та, чье имя Тинатин. Да навек пребудет славным, среди столетий полноправным. Это имя, солнцеравным, будет имя — властелин(1.34.).

Автандил вождя был сыном. Он в изяществе едином Кипарисом по долинам между стройными блистал. Как хрусталь был знаменитый, звездной шествовал орбитой, С Тинатин мечтою слитый, без нее он увядал (1.40.).

როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, პერსონაჟების დახასიათების დროს ბალმონტი თავისუფლად თარგმნის მათ თვისებებს, განვრცობასთან ერთად გვთავაზობს ინტერპრეტაციებს, რაც იწვევს მნიშვნელოვანი მახასიათებლების კლებას. მისთვის მნიშვნელოვანია შთაბეჭდილების მოხდენა მკითხველზე და ძირითადი სიუჟეტური ნაწილის გადატანა, ინფორმაციული სტრუქტურების ზუსტი შესაბამისობა ნაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს. როგორც ვიცით, რუსთაველისათვის პირველხარისხოვანია დინამიკურად ან შეფარვით, თანმიმდევრულად შემოიყვანოს პერსონაჟები თხრობაში და დაბალანსებულია ემოციური და რეალური ნიუანსები, ბალმონტი ამ მხრივ არღვევს ბალანსს, არ იცავს წონასწორობას, შესაბამისობას, სრულიად თავისუფლად თარგმნის სტროფებს. ამ გზით იკარგება პერსონაჟების მხატვრული სახე, ხდება გადაცდენა მათი ხასიათის წარმოჩენისას, რასაც შეცდომაში

შეჰყავს მკითხველი და შესაძლოა მცდარი წარმოდგენა და განწყობა შეუქმნას პერსონაჟების მიმართ.

ტარიელის დახასიათების დროს თარგმანი შეუსაბამოა მხატვრულობის თვალსაზრისითაც. მესამე თავში წარმოდგენილი სახის მეტაფორა, გადმოცემული ვარდის მეშვეობით, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გადადის ბალმონტისეულ თარგმანში და ისიც სახეცვლილი:

„არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“ (3.89.4.).

„Никакого нет вещанья **розоцветных губ** его“ (2.84.4.).

ვარდი, ამ შემთხვევაში, არა მთლიან პერსონაჟთან, არამედ მის ტუჩთან ასოცირდება, მაგრამ *роза* არა მეტაფორის, არამედ განსაზღვრების სახითაა წარმოდგენილი ფერის შემაღენლობაში და ახასიათებს ტარიელის ტუჩებს - ვარდისფერი ტუჩები, რაც ცვლის პერსონაჟის ვიზუალურ სურათს, რამდენადაც, როგორც წესი, ვარდისფერი ტუჩები ქალის ტუჩებთან იწვევს ასოციაციას და მამაკაცის დახასიათებაში მისი გამოყენება გარკვეულ უხერხულობას ქმნის.

ასევე განსხვავებულადაა წარმოდგენილი როსტევანის მხატვრული სახე თარგმანში. რუსთაველისეული როსტევანი არის მშვიდი, გაწონასწორებული, ბრძენი, ძლიერი, ბალმონტთან კი შედარებით უფრო დინამიკური, პრაგმატული, ემოციური და სუსტია. ამაზე მეტყველებს როსტევანის ემოციური ფრაზები თარგმანში: „არ კაცურად გარდამკოცნა“ (3.110.3.) – „Я без слова был осмеян“ (2.105.3.). მეფის გულისტკივილის მიზეზი დედანში არის ავთანდილის უყურადღებობა და არა შეურაცხყოფა, რომელსაც მთარგმნელი ამატებს თარგმანში. ასეთივე ემოციურია როსტევანი საკუთარ გასაჭირზე საუბრის დროს თარგმანში: „Богу надоел мой покой, впредь я на печаль обречен“ (2.106.4.) („უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული“ (3.111.4.)). მთარგმნელი ექსპლიციტურად გადმოსცემს როსტევანის მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ გამოტოვებს ფრაზას - [ცხოვრება], რომელიც აქამდე მხიარული იყო, რაც სტრატეგიების ცვლილებას უსვამს ხაზს.

რაც შეეხება თინათინს, ავტორი ამ შემთხვევაში მომეტებული მაღალმხატვრულობით ამკობს მას, განადიდებს, განავრცობს მეტაფორებითა და



შედარებებით (ვიხილავთ განვრცობის ნაწილში), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ავტორის სუბიექტურ მიდგომას თარგმნის პროცესში.

რაც შეეხება კლებას, მესამე თავში დაკარგულია ჰიპერბოლა თინათინის დახასიათებისას: „*ჭონდა მზისაცა ცილობა*“. ამის საპირისპიროდ განვრცობილია ისევ თინათინთან დაკავშირებული შედარება: „*უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა*“ – „*как озаренье, Полнолунное виденье перед ним блестит красой*“. ასეთივე განვრცობის მაგალითია: „*ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო*“ – „*Здесь змея являла жало - это был нечистый дух*“. ამ შემთხვევაში მთარგმნელი ეშმაკის ეკვივალენტად *змея* ფორმას იყენებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთარგმნელს ბოროტების სიმბოლოდ *გველის* კონცეპტი შემოაქვს და კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთს ბოროტებას, რომელსაც უმატებს განმარტებას - უწმინდური სული, რითაც *ეშმაკის* კონპენსირებას ცდილობს. ამგვარი თავისუფალი ინტერპრეტაციით თარგმანში იკარგება ის ლაკონიური მხატვრული ფორმები, რომლებიც პოემას საოცრად შთამბეჭდავს ხდის.

ბალმონტი თითქმის მთელი თავის თარგმნისას მიმართავს მატებას, ინტერპრეტაციასა და განვრცობას, იგი, ფაქტობრივად, ქმნის ახალ მხატვრულ ჩარჩოს პირველადი სიუჟეტისათვის. ინტერპრეტაციის თვალსაჩინოდ მთელი თავის მოტანაც კი შეიძლება, თუმცა შევეცდებით ამჯერად იმ რამდენიმე მაგალითზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებშიც ყველაზე მეტად ავლენს ავტორი თავისუფალი თარგმნის პრინციპს:

მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა  
უფრო ძნელია,  
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე  
მქმნელია;  
რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!  
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე  
საწუნელია" (1.36.).

Солнце всходит и садится. Село — смотрим, тьма  
дымится.  
Ночь безлунная клубится. День исчерпан мой  
сполна.  
Потускнела позолота. Старость — груз. Нет  
горше гнета.  
Вот умру — одна забота. И дорога всем — одна  
(1.36.).

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა ხასისა:  
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,  
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;  
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: "უთქმელია ფასისა!" (1.44.).

დღე ერთ გარდახდა პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,  
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.  
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.  
"ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?" - შექმნეს ამისი ცილობა (1.56.).

თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ, მკვრეტაგან მოსანდომია,  
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია;  
ვაზირი ბერი სოგრატი თვით მას თანავე მჯდომია.  
თქვეს, თუ: "რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია?" (1.57.).

თქვეს, თუ: "მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,  
თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა".  
ავთანდილ თქვა: "სოგრატ, ვჰკითხოთ, გვითხრას, რადმცა შეგვეცილა?  
ვჰკადროთ რამე სალალობო, რასათვისმცა გაგვაწილა?" (1.58.).

Все арабы приходили. Знатных блеск умножен в силе.  
Видит крепость в Автандиле многотысячность бойцов.  
Весь порядок воинств явлен. И когда был трон поставлен,  
Всем народом он прославлен: „Свет его превыше слов“ (1.44.).

День прошел. Был пир веселый. Пили, ели — точно пчелы  
На цветах. Один тяжелой думой царь был омрачен.  
С наклоненной головою он сидел перед толпою.  
Шепот шумной шел волною: „Отчего печален он?“ (1.56.).

Крася ликом пир медовый, властный в бой вести суровый  
И как лев скакнуть готовый, солнцеликий Автандил  
Был с Согратом знатным рядом, и его проворным взглядом  
„Почему так чужд отрадам царь?“ — он быстро спросил (1.37.).

„Верно, мысль пришла какая, неприветная и злая.  
Отвечал Сограт, вздыхая, — горя — нет, и весел — час“.  
Автандил сказал: „Так спросим. Слово шуточное бросим.  
Мы без пользы тяжесть носим. Почему стыдит он нас?“ (1.58.).

მთარგმნელს სიტუაციისა თუ პერსონაჟის დახასიათების დროს საკუთარი შეფასებითი და ანალიტიკური ნიუანსები შეაქვს, მხატვრულად გადააქვს არამხატვრული ფორმები, მაგალითად, სტრიქონი - *"ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?" - შექმნეს ამისი ცილობა* (1.56.4.) - მთარგმნელს გადააქვს ფრაზით - *Шепот шумной шел волною: „Отчего печален он?“* (1.56.4.), რაც სრულიად სხვა სურათს იძლევა. ამ შემთხვევაში ტექნიკის ცვლასთან გვაქვს საქმე. რუსთაველი გრადაციით, კითხვის გამეორებით გადმოსცემს სურათს, ამოდის ქვეშევრდომების პერსპექტივიდან, მათი ენით ამბობს სათქმელს, ბალმონტი კი არ იყენებს გამეორებას, ავტორისეული აღწერით ცვლის პერსონაჟებისეულ ერთ-ერთ კითხვას, რაც ასევე დამსწრეთა

ინტერესის გამოხატვას ისახავს მიზნად, თუმცა განსხვავებული ფორმითა და ტექნიკით.

დედნისეული ვითარების განვრცობის შემთხვევები გვაქვს შემდეგ სტროფებშიც:

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო  
ასული,  
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა  
დასული;  
მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და  
სული,  
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად  
ასული (1.33.).

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა  
დამალულად.  
რა მოჰმორდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი  
შექმნის ფერ-ნაკლულად;  
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის  
უფრო წყლულად.  
საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-  
მოკლულად! (1.41.)

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა  
ხასისა:  
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-  
ათასისა,  
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;  
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: "უთქმელია  
ფასისა!" (1.44.)

უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა  
სპათა,  
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს  
სხვაგნით სხვათა,  
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს  
მათთა ხმათა.  
ქალი ტირს და ცრემლთა აფრქვევს, ჰხრის  
ყორნისა ბოლო-ფრთათა (1.46.).

უბრძანა: "რადმცა ვიწყინე თქმა შენგან  
საწყინარისა!"  
ფიცა მზე თინათინისი, მის მზისა მოწუნარისა.  
ავთანდილ იტყვის: "დავიწყო კადრება  
საუბნარისა:  
ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს  
სიტყვისა წყნარისა (1.66.).

Был красивым он и в слове. Дочь имел, дитя  
любви:  
Солнце — очи, ночи — брови, вся — звезда среди  
светил.  
Петь о деве пышнокудрой может разве только  
мудрый,  
Облик девы чернокудрой многих вмиг  
поработил (1.33.).

Как цветок среди тумана, страсть была в нем  
скрытой. Рана,  
Роза страсти, вновь румяна стала, чуть предстал  
пред ней.  
О, любовь есть истязанье. Тот, кто любит, весь —  
терзанье.  
Всё ж он жаждет приказанья углем стать среди  
огней (1.41.).

Все арабы приходили. Знатных блеск умножен в  
силе.  
Видит крепость в Автандиле многотысячность  
бойцов.  
Весь порядок воинств явлен. И когда был трон  
поставлен,  
Всем народом он прославлен: „Свет его превыше  
слов“ (1.44.).

Царь ушел, воздав почтенье. Вознеслись  
благословенья.  
Были молвлены хваленья. Звон кимвалов с  
звуком труб.  
Новый царь с лицом царицы был как в тучке лик  
денницы:  
Цвета ворона — ресницы, пурпур зорь — изгибы  
губ (1.41.).

Царь ответил: «Молви слово. Не приму его  
сурово.  
Скрепа клятвы — святость крова, имя светлой  
Тинатин».  
Автандил сказал: «Так смело молвлю: хвастаться  
не дело.  
Но моя б стрела поспела в цель верней, о  
властели! (1.66.)

როგორც მასალიდან ჩანს, ბალმონტი სიუჟეტებისა და პერსონაჟთა დახასიათების დროს ხშირად ამატებს სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს - მეტაფორებს (Солнце - очи, ночи - брови, вся - звезда среди светил, Знатных блеск умножен в силе), შედარებებს (Новый царь с лицом царицы был как в тучке лик денницы, Как цветок среди тумана), ეპითეტებს (светлой Тинатин, Птицезоркий царь) და სხვ. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთარგმნელის შემოქმედებითი შესაძლებლობების ჭარბ გამოყენებას მთარგმნელობით საქმიანობაში.

რაც შეეხება ცალკეული ლექსიკური ერთეულების კლებას, ბალმონტისეულ თარგმანში, როგორც წესი, აკლდება ისეთი ფორმები, როგორებიცაა: მოდალური ზმნები (მიდით, მოდით), მეშველი ზმნები (არის, იყო), სემანტიკის გასაძლიერებლად გამოყენებული სინონიმური პარალელები: „*მეფე გაწყრა, გაგულისდა*“ (აკლია - გაგულისდა). არ ითარგმნება ლექსიკური ერთეულები - **რული, სადავე, გიშერი, მოლიზდარი...** მიუხედავად კლებისა, როგორც აღმოჩნდა, უთარგმნელი ელემენტები მინიმუმამდეა დაყვანილი და ძირითადად ისეთი სიტყვა-ფორმების კლება გვხვდება, რომელთა ნაკლებობა ტექსტში ბუნდოვანებას არ იწვევს, თუმცა, ცხადია, იკლებს დედნის მხატვრული ღირებულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეტაფორის კლებასთან ან ნეიტრალური ფორმით ჩანაცვლებასთან, დემეტაფორიზაციასთან, გვაქვს საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ ბალმონტი მიჰყვება მხოლოდ დედნის ძირითად სიუჟეტურ ხაზს და ცვლის წყარო-ტექსტის მხატვრულ სახეს, მთარგმნელი მაქსიმალურად ცდილობს, შეიყვანოს მკითხველი იმ სამყაროში, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები იმყოფებიან და შთამბეჭდავად აჩვენოს სიუჟეტის განვითარება.

კიდევ ერთი სრული რუსულენოვანი პოეტური თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ ეკუთვნის შალვა ნუცუბიძეს. მთარგმნელი მაქსიმალურად უნარჩუნებს დედანს როგორც მხატვრულ, ასევე შინარსობრივ ღირებულებებს და მაქსიმალურად ზუსტად შეუსატყვისებს წყარო-ტექსტს. ჩვენ მიერ შესწავლილი ორივე თავის ძირითადი ნაწილი სრულად შეესატყვისება დედანს. პირველი თავის 40 სტროფიდან 30 სტროფი სრული შესატყვისობის ნიმუშია, ხოლო მესამე თავის 36 სტროფიდან 14 სტროფი თითქმის სრულად ასახავს დედნის ვითარებას. ორივე თავის დარჩენილი სტროფები

კი მინიმალური ცვლილებებით გადააქვს მთარგმნელს მიზან-ენაში. ცხადია, სრული შესატყვისობის შემთხვევებშიც დასტურდება მინიმალური სხვაობები, თუმცა ძალიან უმნიშვნელოდ, ისე, რომ მთარგმნელი არ უკარგავს დედანს მხატვრულ ღირებულებას.

ვნახოთ შესატყვისობის რამდენიმე მაგალითი:

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა  
დანაბადია;  
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ  
გვითქვამს კვლა დია;  
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ  
განაცხადია.  
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა  
ხვადია" (1.39).

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად  
მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ  
მოგეწყინების!  
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ  
ების.  
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და  
გაედინების (1.49).

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა,  
რგულია;  
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ  
ორგულია;  
სმა-ჰამა - დიდად შესარგი, დება რა  
სავარგულია?!  
რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!"  
(1.50).

კაცნი წავიდეს, იარეს მართ ერთი წელიწადია,  
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა  
დია,  
ვერცა თუ ნახეს ნახული ღმრთისაგან  
დანაბადია,  
ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა  
ზადია (1.116).

Хоть и дево́й, но ца́рицей породил ее творец.  
Мы не льстим! Мы сами видим: может править,  
как мудрец.  
Дел, ее ж лучам подобных, блещет солнечный  
венец.  
Льва щенки равны друг другу, будь то самка или  
самец" (1.39).

И сорняк, равно как роза, освещается лучами.  
Будь в дареньях неизменна с знатью, как и с  
бедняками.  
Щедрый недруга привяжет, кто привязан - тот уж  
с нами.  
Будь щедр: приток и убыль неразлучны, знай, с  
морями (1.49).

Государей украшает щедрость, как эдем - алоэ.  
Всякий щедрому покорен, если сердце в нем и  
злое.  
Есть и пить всегда полезно, - что копить добро  
мирское?  
Что раздашь - к тебе ж вернется, а что нет - то все  
чужое!" (1.50).

В путь отправились посланцы, проходили  
круглый год,  
Всюду витязя искали, всех спросив наперечет.  
Не встречал никто такого, и людской не видел  
род.  
И с досадою вернулись. В сердце горе от невзгод  
(1.116).

როგორც ვხედავთ, თარგმანში შესატყვისობა საკმაოდ მაღალ დონეზეა წარმოდგენილი. მთარგმნელის საფუძვლიანი ცოდნა როგორც რუსული, ასევე ქართული ენის ბუნებისა, ჩანს ერთი საინტერესო ნიუანსითაც. თუკი ქართველ მეცნიერთა ნაწილი დღემდე მიიჩნევს, რომ „ვარდთა და ნეხვთა“ ოპოზიციაში ნეხვი

პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული და ლექსიკონებშიც კი არ შეაქვთ, ნუცუბიმე მას რუსულში სარეველას (сорняк) შეუსატყვისებს. ქართულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში დასტურდება მოსაზრება **ნეხვას** სწორედ სარეველას სახეობის მცენარედ მიჩნევასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრებას ვხვდებით ვიქტორ ნოზაძის ნაშრომში „გამოგებანი ვეფხისტყაოსნისა“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამგვარი „არაწესიერი“ და „უგემური“ დაპირისპირება რუსთაველისათვის შეუფერებელია, რამდენადაც მწერალს ვარდთან ისევ მცენარე უნდა დაეპირისპირებინა და ასეც იქცევა, რამდენადაც ნეხვა არის მცენარე, რომელსაც მთიულეთში „ნეხვალახას“, ხოლო ქართლში „შავბალახას“ უწოდებენ (ვ. ნოზაძე, 1971:110-121). ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი მსჯელობით გადაწყვიტა შ. ნუცუბიმე აღნიშნული მონაკვეთის თარგმნა, რაც ძალზედ საინტერესო და ყურადსაღები ფაქტია რუსთველოლოგიური კვლევა-ძიებისათვის. ვნახოთ შესაბამისი მაგალითი :

ვარდთა და **ნეხვთა** ვინათგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების! (1.49.1.2.).

«И сорняк, равно как роза, освещается лучами.

«Будь в дареньях неизменна с знатью, как и с бедняками (1.49.1.2.).

რაც შეეხება კლებას, მთელ თავში, ცხადია, თავს იჩენს ისეთი კლების შემთხვევები, როდესაც ფუნქციურ ელემენტებს აკლებენ მთარგმნელები, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი შესწავლის საგანია ლექსიკური ეკვივალენტები, თუმცა ფუნქციურ ეკვივალენტებზე დაკვირვებაც არანაკლებ საინტერესო სურათს მოგვცემდა.

პირველი და მესამე თავის ფარგლებში აკლია ფრაზები - *მისმან თავისა წონამან, ვერვის ძალ-უც განკურნება, ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ადრე ცნობ, მისგან გაუუმეცარდა, მით დავყოვნე ხანი მუნ და, გული უმაგარდა...*

ვნახოთ მაგალითების შესაბამისი რამდენიმე სტროფი:

სხვაგან ქნის მისი გონება, **მისმან თავისა წონამან!**

ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.

არცა დაადლო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,  
არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან (3.89.).

Вдаль он мыслями умчался, в голове их след угас.

Передать дерзнул повторно раб ему царя приказ.

Ничему не внемлет витязь, слезы вновь текут из глаз,

Роза губ не раскрывает, лепестками скрыт алмаз (3.89.).

ბრძანა: "ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,  
ამად მიყო სიმწართა სიამისა დანადვლება,  
სიკვდილამდის დამაწყლულა, **ვერვის ძალ-უც განკურნება.**  
მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება" (3.99.).

ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,  
დამავიწყდეს, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.  
**ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს,** ველარავინ მინეტარნეს,  
სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარამან გამახარნეს!" (3.112.).

Молвит: "Счастья нашей жизни претерпеть не может бог,  
Потому сменил на горечь жизни сладостной поток.  
Мне в беспомощных страданиях смерти видится порог.  
Слава богу, коль желает так судить всевышний рок" (3.99.)

Мне отныне стала горькой сладость божеских даяний,  
Позабыты дни веселья пред лицом моих страданий.  
Чтобы вновь вернуть мне счастье, в мире нет таких созданий.  
Не возрадовать мне сердца до конца земных скитаний!" (3.112.).

შ. ნუცუბიძის თარგმანში საერთოდ ამოღებულია ფრაზა, რომელიც ბალმონტთან ნეგატიური კონოტაციით იყო დატვირთული - „არ კაცურად გარდამკოცნა“. არის შემთხვევები, როცა სიტყვასიტყვითი თარგმანი ვერ ხერხდება, მთარგმნელი კი აღწერით მეთოდს მიმართავს და ამ გზით აღწევს საწადელ მიზანს: ერთხელ ესე თქვა: "ვაჰ მეო", სხვად არას მოუბარია" (3.92.4.) - "Горе мне!" - сказал и смолкнул, равнодушный ко всему (3.92.4.).

რაც შეეხება ვარდის მეტაფორას, ისევ მეტაფორიზებულად გვთავაზობს მას თარგმანში შ. ნუცუბიძე, განსხვავებით კ. ბალმონტისაგან. ვნახოთ მაგალითი:

სხვაგან ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!  
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.  
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,  
არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი **ვარდისა კონამან** (3.89).

Вдаль он мыслями умчался, в голове их след угас.  
Передать дерзнул повторно раб ему царя приказ.  
Ничему не внемлет витязь, слезы вновь текут из глаз,  
**Роза руб** не раскрывает, лепестками скрыт алмаз (3.89).

იგივე დედნისეული სახე აქვს **ვარდს** მომღვენო სტროფშიც, სადაც მეტაფორა კიდევ უფრო დახვეწილია თარგმანში - ცრემლი თარგმნილია თრთვილით, რაც კომპენსაციას უკეთებს დედნისეულ ზმნას და აღწერითად აწარმოებს მას: *დაეთრთვილა - თრთვილით დაფარა.*

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა  
პირსა,  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა  
გმირსა,  
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-  
უნაგირსა.  
**გრემლსა ვარდი დაეთრთვილა**, გულსა  
მდულრად ანატირსა (3.84.).

Видят: некий витязь дивный плачет, сидя над  
рекой.  
С львиным схож героя образ. Не разнудан  
вороной.  
По доспехам, сбруе, латам жемчуг блеск  
рассыпал свой,  
**Розу изморозь** покрыла с сердца брызжущей  
слезой (3.84.).

ასევე გარკვეული ცვლილებებით, მაგრამ დედნისეული ფუნქციითა და  
შინაარსითაა წარმოდგენილი თარგმანში შემდეგი სტრიქონები:

„სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება“ (3.99.).

„Мне в беспомощных страданиях смерти видится порог (3.99.).“

„ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა (3.97.).“

„Иль сквозь землю провалился? Иль вознес его **Перас?**“ (3.97.).

ბოლო სტრიქონში დედნისეული ფორმა არის „ზეცად ანაფრენი“, რომელიც  
ზოგადი რეფერენციის გამომხატველია, მთარგმნელი კი კონკრეტული რეფერენციით  
ცვლის: **პეგასუსი** (მითიური ცხენი, რომელსაც ფრენა შეუძლია), რაც, სავარაუდოდ  
რითმისათვის გამოიყენა მთარგმნელმა, რამდენადაც სტრიქონის ბოლოშია  
წარმოდგენილი. ასევე სტრიქონის ბოლოშია გამოყენებული იგივე ფორმა  
ნუცუბიძესთან კიდევ ერთ კონტექსტში:

59.1525.4 სხვა მისებრი ვერა პოვოს, ცათამდისცა გა-ცა-ფრინდეს!

«Где найдет такого, хоть бы ввысь вознес ее **Перас!** (60.1527.4.)

**პეგასუსის** ამგვარი ფუნქციით გამოყენება თარგმანში უჩვეულოა, რამდენადაც  
ის მერანს უფრო მიემართება, ვიდრე ზოგადი რეფერენციის გამომხატველ ფრაზებს  
(„ზეცად ანაფრენი“, „ცათამდისცა გა-ცა-ფრინდეს“), რაც მთარგმნელის თავისუფალ  
მიდგომაზე მეტყველებს სათარგმნი ტექსტის მიმართ.

დამატების შემთხვევები, კლებისგან განსხვავებით, შედარებით ხშირად  
დასტურდება ნუცუბიძისეულ თარგმანში, თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს მაქსიმალური  
ზომიერება და დაბალანსების ხარისხი. ავტორი იშვიათად უკეთებს  
ინტერპრეტირებას დედანს და განვრცობის შემთხვევებიც ძირითადად  
ინტერპრეტირების დროს გვხვდება, ამიტომ ორივე შემთხვევას - განვრცობასა და  
ინტერპრეტირებას - ერთად განვიხილავთ. მაგალითად, პირველი თავის პირველი



სტროფი განვრცობილია ეპითეტებით და გვთავაზობს თავისებურ ინტერპრეტაციებს

- ლაშქარმრავალი - „*МОЩЬЮ ВОЙСКА ОКРЫЛЕННЫЙ*“, „*КРАСНОРЕЧЬЕМ ОЗАРЕННЫЙ*“.

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან  
სვიანი,  
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი,  
ყმიანი,  
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული,  
განგებანი,  
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი  
(1.32.).

Был в Аравии властитель Ростеван, судьбой  
внесенный,  
Благородный и доступный, **МОЩЬЮ ВОЙСКА  
ОКРЫЛЕННЫЙ,**  
Добрый, щедрый, правосудный, в управленьи  
умудренный.  
Безупречный был он витязь, красноречьем  
озаренный (1.32.).

პერსონაჟის დახასიათების დროს შედარებით თავისუფალია ნუცუბიძეც, ავლენს სუბიექტურ განწყობას და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს უმატებს თარგმანს, ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო  
ასული,  
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა  
დასული;  
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და  
სული,  
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად  
ასული (1.33.).

Не имел Ростан потомства, кроме дочери одной,  
Лучезарной, как светило, солнцу светлому  
родной.  
Кто ни взглянет, потеряет разум, сердце и покой.  
Лишь мудрец велеречивый спел бы гимн красе  
такой (1.33.).

მისი სახელი - თინათინ, არს ესე საცოდნარია!  
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწყნარია.  
მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და  
წყნარია,  
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია  
(1.34.).

Тинатин царевны имя - всем об этом надо знать!  
Как выросла и налилася, ей бы солнце презирать.  
Царь созвал совет. Величья на лице его печать.  
Для торжественной беседы усадил с собою знат  
(1.34.).

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,  
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და  
მთვარისა,  
ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა  
საცნობარისა;  
მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამწამთა  
ჯარისა (1.40).

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა  
დამალულად.  
რა მოჰმორდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი  
შექმნის ფერ-ნაკლულად;  
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის  
უფრო წყლულად.  
საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-  
მოკლულად! (1.41).

დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო,  
ხილობა,  
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი  
შემოყრილობა.  
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა  
დადრეჯილობა.  
"ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?" - შექმნეს ამისი  
ცილობა (1.56).

როგორც ვხედავთ, ავთანდილის შესატყვისად მოცემულ ეპიზოდში **ВИТЯЗЯ** გამოიყენება, რაც გარკვეულ შეუსაბამობას იწვევს, რამდენადაც *მოყმე* ტარიელს მიემართება დედანში და თარგმანშიც სწორედ **ВИТЯЗЯ** ფორმა გამოიყენება მის შესატყვისად, რაც სათაურიდანაც კარგად ჩანს.

გარკვეულ ცვლილებას განიცდის ავთანდილის საროსთან შედარება, რომელშიც აღმატებითი ხარისხის ნაცვლად ნეიტრალური შედარება დასტურდება -

Автандил - спасет над войском, сын амира-  
спасалара  
Солнцу и луне подобен, строен станом, **как  
чинара.**  
Хрусталу в его сияньи нежным обликом он пара.  
Тинатин ресниц лучистых он не выдержал удара  
(1.40).

В сердце **ВИТЯЗЯ** - миджнура пламя тайное  
мерцало,  
А лицо его в разлуке, словно роза, увядало.  
При свиданья снова пламя рану сердца  
разжигало.  
Пожалеть влюбленных надо: страсть для них, как  
смерти жало (1.42).

Ели, пили, день проходит незаметно **в  
наслажденьи,**  
Войск несметное стеченье утопает в угощеньи.  
Но поник главой владыка, на лице сгустились  
тени.  
"Что за горе им владеет?" - был вопрос кипучих  
прений (1.56..).

*საროსა მჯობი, ნაზარდი* - строен станом, как **чинара**, რაც კონცეპტუალურ სხვაობას იძლევა.

მოცემულ ეპიზოდში მთარგმნელი აბრსტრაქტულად, შედარებით ბუნდოვნად გადმოსცემს ლხინის სცენას - *Ели, пили, день проходит незаметно в наслажденьи* (*დღე ერთ გარდახდა პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა*). ამგვარი ცვლილება მნიშვნელოვნად მოქმედებს ეკვივალენტობის ხარისხზე, თუმცა თარგმანი არ კარგავს მხატვრულ ეფექტს და შთამბეჭდაობას.

რაც შეეხება ლექსიკური ერთეულების შესატყვისობებს, როგორც წესი მთარგმნელი ამ შემთხვევაშიც შესაბამისობასა და ზომიერებას იცავს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნუცუბიძე სინონიმურ მრავალფეროვნებას მიმართავს ცალკეული სიტყვების თარგმნისას. ასეთებია: *гма - герой, витязь; მეფე - владыка, царь*. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი თავისებურება, როგორცაა არა უბრალოდ ინფორმაციული სტრუქტურების გადანაცვლება, არამედ მეფისა და ავთანდილის დასახელება საპირისპირო თანმიმდევრობით (*Автандил и царь Ростан*), რაც სრულიად მოულოდნელია მსგავს კონტექსტში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათ გადაადგილებას არანაირი მეტრული წყობის ფაქტორი არ უშლიდა ხელს, რამდენადაც საპირისპირო წყობაც ინარჩუნებს იმავე რიტმულობას. ამგვარი უსაფუძვლო და მექანიკური გადაადგილება სოციალური სტრუქტურების იერარქიულობის დარღვევას იწვევს და მცდარ შეხედულებებს ამკვიდრებს უცხო ენობრივი და კულტურული მატარებლების მქონდე მკითხველში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის მთარგმნელები, რომლებიც ნუცუბიძის თარგმანს იყენებდნენ, იმეორებენ ამ შეცდომას. ვნახოთ მაგალითები გერმანული თარგმანებიდან:

ჰუგო ჰუპერტი: Da bestiegen ihre Rosse **Awthandil und Rostewan**.

მარი პრიტვიცი: Da bestiegen ihre Rosse **Avtandil und Rostevan**,

ჰერმან ბუდენზიგი: **Awtandil und der König** wollten zu Pferde ihn fangen.

იმივე თანმიმდევრობას გვიჩვენებს მარტინეცის ეს ესპანური თარგმანი:

**Avtandil y el rey se lanzan tras el valiente con rapidez.**<sup>15</sup>

სხვა ძირითადი ლექსიკური ერთეულები შ. ნუცუბიძეს სრული შესატყვისობებით გადააქვს თარგმანში, მაგ.: ვარდი - *Poza*, მონა - *Раб*, ქალი/ქალიშვილი - *Дева*, დევი - *дэв*, მერანი - *меран* და სხვ.

როგორც ვხედავთ, შ. ნუცუბიძემ გამოიყენა ყველა რესურსი წყარო- და მიზან-ენისა და შექმნა უდავოდ სანდო წყარო პოემის გასაცნობად, რამდენადაც მასში მაქსიმალურადაა შენარჩუნებული ყველა ის იდეური და მხატვრულ-გამომსახველობითი ღირებულება, რომლითაც მკითხველის გაოცებას იწვევს ნაწარმოები.

გადავიდეთ კიდევ ერთ სრულ პოეტურ თარგმანზე, რომელიც ა. ხალვაშის მიერაა შესრულებული. ჩვენ მიერ შესწავლილი პირველი და მესამე თავების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ა. ხალვაშმა ზედმიწევნითი სიზუსტით, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვით, თარგმნა პოემა. როგორც ვიცით, ხალვაშისეული თარგმანი ეყრდნობა „ხელნაწერთა ვარიანტებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითად ტექსტს ერთვის ინტერპოლატორთა ჩანართები და გაგრძელებები. ჩვენ მიერ აღებულ პირველ თავში ასეთი სულ 25 სტროფია 65 სტროფიდან, ხოლო მესამე თავის 61 სტროფიდან 36 არის ძირითადი, ხოლო 26 სტროფი - ჩანართი ტექსტია თარგმნილი. თარგმანების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის ინტერესებიდან გამომდინარე (რაოდენობრივი მეთოდის გამოყენების მიზნით) ხალვაშის თარგმანის მხოლოდ ის სტროფები გავაანალიზეთ, რომლებიც დედნის აკადემიურ გამოცემაშია შეტანილი.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ სტროფებში მთარგმნელი ცდილობს მაქსიმალური სიზუსტით გადაიტანოს თითოეული ფრაზა, შეინარჩუნოს ინფორმაციული სტრუქტურების თანმიმდევრობა. ფორმალური და შინაარსობრივი სიზუსტის საილუსტრაციოთ ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

---

<sup>15</sup> იხ.მ. თანდაშვილი, დიგიტალური რუსთველოლოგია, (პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები), გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2022 წ. გვ. 144.

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!  
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.  
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების (1.49).

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,  
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;  
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;  
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა (1.51).

უბრძანა, თუ: "წადი, უხმე! უმისობა ვით გავსძლეო?  
მოახსენე: "რად დაჰბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?  
მოდი, ჰმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,  
გიოხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო" (3.105).

თინათინ ადგა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა,  
უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა.  
მამამან გვერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა,  
უბრძანა: "მახლავ რად არა, რად მელო მოყვანებასა?" (3.106).

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს ზედმიწევნითი სიზუსტით გადააქვს მეტაფორები, მხატვრული დახასიათება პერსონაჟებისა, ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს კლების შემთხვევები. თარგმანში შენარჩუნებულია შაირისთვის დამახასიათებელი კეთილხმოვანება. თითქმის ასეთივე ვითარება გვაქვს მთლიანად ორი თავის შემთხვევაში. ხალვაშისეული თარგმანის პირველ თავში სრული შესატყვისობის 40-დან 28-მდე სტროფი დასტურდება, დანარჩენი 12 სტროფის შემთხვევაში გვაქვს კლება-მატების შემთხვევები. ამასთანავე, მინიმალური სახის ცვლილებები დასტურდება შესატყვის სტროფებშიც. დაახლოებით იგივე ვითარება გვაქვს მესამე თავშიც - 36 სტროფიდან სრული შესატყვისობა გვაქვს 24 სტროფში, 12 სტროფში კი ცვლილებები მინიმუმამდეა დაყვანილი.

Солнце на розы и навоз лучи равно же пускает,  
И ты не жалеи, ведь царь всем добра поровну желает!  
Так отвязанных привяжешь, кто привязан, уж пусть стоит.  
Щедро раздавай, ведь с моря вытекает и втекает (1.75.)

Эти отцовы советы мудро слушала дочь подряд,  
Выслушивала, внимала, не оторвав от него взгляд;  
Царь занимался пиршеством, веселился, был очень рад,  
Тинатин солнцу кривилась, солнце старалось ею стать (1.78).

Он приказал: «Пойди, зови, смогу ль ее я дожждаться?  
Зачем ушла радость отца! Осталась бы пообщаться?  
Приди,ними боль и горе. К кому еще обращаться,  
Скажу повод, зачем радость в горе стала превращаться» (3.171.).

Явилась туда Тинатин, любимый отец как хотел,  
Цвет ее лица приятен, как полнолуние, светел, бел,  
Отец, приласкав нежненько, посадил ее, рядом сел:  
„Почему ко мне не пришла, пока я позвать не велел?“ (3.172).

გარკვეულ ცვლილებებს განიცდის როსტევანის მახასიათებლები პირველ სტროფში. ამ შემთხვევაშიც მთარგმნელი ცვლის ეპითეტებს - *მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, კვლა მოუბარი წყლიანი* შესაბამისად შემდეგი ეპითეტებით - **Величественный, упорный, жизнерадостный, оратор красноречивый, задорный**. განსაკუთრებული შეუსაბამობა გვაქვს ეპითეტის - მაღალის - თარგმნისას. როგორც ჩანს, მთარგმნელმა ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინა დედნისეული ვითარება და პირდაპირ თარგმნა მაღალი სიტყვით **высокий**, რაც, ცხადია, შეუსაბამობაა. ვნახოთ შესაბამისი სტროფი:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და **მოწყალე, მორჭმული, განგებიანი**, თვით მეომარი უებრო, **კვლა მოუბარი წყლიანი**. (1.32.).

Был арабский царь Ростеван Богом счастливецом рожденный, Владелец тьмы войск, вассалов, высокий, щедрый, прескромный, **Величественный, упорный, жизнерадостный, праведный**, Отличный воин, **оратор красноречивый, задорный** (1.47.).

თარგმანში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება როგორც მხატვრული, ასევე კონცეპტუალური სხვაობები. პირველ რიგში გავეცნოთ კლების შემთხვევებს:

მისი სახელი - თინათინ, არს ესე საცოდნარია! რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია. მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის **ლალი და წყნარია**, გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია (1.34.).

Имя царевны – Тинатин, это надо нам помнить всем! Когда созрела, солнца уж не признавала та совсем. Царь, созвав своих визирей, уселся с ними рядом с тем, Чтобы обсудить, разобрать одну из весьма важных тем. (1.51.).

უბრძანა: გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა: რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჟნაროსა, იგი წახდების, სხვა მოვა **ტურფასა საბაღნაროსა**; მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭკრეტთ ღამესა ჩვენ უმთვაროსა (1.35.).

И велел: «Решим совместно вопрос насущный мы такой: Как цветок розы завянет, на второй же день он сухой, Разумеется, погибнет, но появится там другой; Уж закатилось солнышко, сидим в темноте мы ночной (1.53.).

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა  
დამალულად.  
რა მოჰპოვდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი  
**შექმნის ფერ-ნაკლულად;**  
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის  
უფრო წყლულად.  
საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-  
მოკლულად! (1.41.).

რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,  
ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჭირს მის  
სოქ-ალისა;  
თქვა: „ზედას-ზედა მომხედების ნახვა მის  
**ბროლ-ფიქალისა,**  
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-  
გამქრქალისა! (1.42.).

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა  
ხასისა:  
ავთანდილ **პირ-მზე,** სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-  
ათასისა,  
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;  
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია  
ფასისა!“ (1.44.).

უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა  
სპათა,  
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს  
სხვაგნით სხვათა,  
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს  
მათთა ხმათა.  
ქალი ტირს და ცრემლთა აფრქვევს, ჰხრის  
**ყორნისა ბოლო-ფრთათა.** (1.46.).

Любовь к ней он в сердце скрывал, не разглашал,  
хранил тайком;  
Отдалившись от любимой, скучал, ходил с  
бледным лицом;  
Увидев, боль нарастала, рана больше жгла злым  
огнем.  
Жалко тех, кто в любви гибнет, слабеет всем  
сердцем, умом (1.62.).

Как царь дочь свою милую ставить царицей  
приказал,  
Автандил вздохнул приятно, всю болезнь с себя  
он согнал;  
«Часто с Тинатин увижусь», – мысленно себе  
отчет дал,  
И обстановку всю эту своим лекарством он назвал  
(1.63.).

Съехались к нему арабы, собралась куча его свит,  
Автандил – глава тьмы бойцов, отличный воин и  
спасет,  
Там визирь Сограт, с ним вместе полный  
визирский кабинет;  
Такой прием был устроен, все говорили: „Цены  
нет!“ (1.66.).

Отступив, все поклонились: и царь, и все  
его войска,  
Поздравив, ей сдали царство, хвала ее часта,  
громка,  
От вдвухных труб и кимвалов полно было там  
голоска.  
Дева плачет и льет слезы, склонила вниз оба  
глазка (1.71.).

როგორც ვხედავთ, თარგმანში გვხვდება მხატვრულ-გამომსახველობითი  
საშუალებების კლების შემთხვეები (აკლია ვარდისა და მზის მეტაფორა ავთანდილთან  
მიმართებით), თუმცა მთარგმნელი დანაკარგის კომპენსირებას განვრცობითა და  
ინტერპრეტირებით ცდილობს, რითაც აბალანსებს თარგმანში კლება-მატების  
შემთხვევებს. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი განვრცობისა და ინტერპრეტაციის  
სანიმუშოდ:

მისი სახელი - თინათინ, არს ესე საცოდნარია!  
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია.  
მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და  
წყნარია,  
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია  
(1.34.).

მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჰირთა  
უფრო ძნელია,  
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე  
მქმნელია;  
რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!  
ჩემი მე დავსვით ხელმწიფედ, ვისგან მზე  
საწუნელია (1.36.).

თინათინ მიჰყავს მამსა ჰირთა მით  
ნათელითა,  
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა  
ხელითა,  
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.  
ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა  
ბრძნად მხედველითა (1.45.).

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა  
ნათურქალსა,  
მას ტაიქსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა;  
რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით  
ნაბუქალსა,  
არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა  
(1.55.).

ყმა მეფისა ბრძანებასა ლაღი წყნარად  
მოისმენდა,  
თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება  
დაუშვენდა,  
თეთრთა კბილთათ გამოძკრთალსა შუქსა  
ველთა მოაფენდა.  
მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რას  
შეგრცხვენდა?“ (1.64.).

რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა  
ცხენსა.  
მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა  
ჩვენსა,  
ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად  
ანაფრენსა;  
ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან  
წანარბენსა (3.97.).

Имя царевны – Тинатин, это надо нам помнить  
всем!  
Когда созрела, солнца уж не признавала та  
совсем.  
Царь, создав своих визирей, уселся с ними рядом  
с тем,  
**Чтобы обсудить, разобрать одну из весьма важных  
тем** (1.51.).

Я отжил свой век, постарел, а старость хуже всех  
невзгод,  
Умру сегодня иль завтра, ведь так устроен весь  
наш род;  
Каков же тот свет, который полон тьмы прочих  
непогод?!На трон дочь мою посадим, кто краше солнца,  
**луны, звезд** (1.55.).

За руку ведет Тинатин с **открытой душой** сам  
отец,  
Посадив, надел девице собственноручно свой  
венец,  
Одел в цареву одежду, вручил жезл, – она  
молодец, –  
Дочь на все смотрит, как солнце. В целом  
выглядит, как мудрец (1.70.).

Расхитили все, что было, беззаботно, словно  
**трофей,**  
Разобрали всех арабских откормленных, тучных  
коней,  
По щедрости походила на метели морозных  
дней;  
Подарками заправила буквально всех девиц,  
парней (1.84.).

Витязь слушал внимательно, запоминал слова  
царя,  
Опустил он голову и улыбнулся, **словно заря,**  
Беленькие его зубы освещали луга, поля.  
Царь витязя спрашивает: „Стесняешься что ли  
меня?“ (1.97.).

Убедившись в том, что он – царь, стегнул коня  
своим кнутом,  
Сразу исчез, больше его не видали на поле том,  
**Казалось, что в воду канул, или же он с луной  
рядком;**  
Поискали, но не нашли ни следов, ни слуху о нем  
(3.160).



ავტორისეულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე ისეთი მხატვრული გამონათქვამების თარგმნის დროს, როგორებიცაა ფრაზეოლოგიზმები ან უბრალოდ ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი სიტყვათშეხამებანი, რომლებიც რუსულ ენაში მთარგმნელს თავისებურად, მიზან-ენისა და კულტურის შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებით გადააქვს. თვალსაჩინოებისთვის ვნახოთ მაგალითები:

„*ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა,*“ (3.97.3).

„*Казалось, что в воду канул, или же он с луной рядком;*“ (3.160.3).

„*გული მეტად შემიდრწუნდა.*“ (3.90.3).

„*всем телом начал дрожать.*“ (3.146.3)

„*ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლის წყალიო*“ (3.104.2).

„*Моя радость и жизнь моя, всей моей страны свет и мощь.*“ (3.170.2).

ამ გზით მთარგმნელს შინაარსი გადააქვს არა სიტყვასიტყვით, არამედ ფუნქციური ეკვივალენტის სახით, რათა შეუნარჩუნოს პოემას შთამბეჭდაობა და, ვფიქრობთ, შესანიშნავად გამოსდის კიდევ. ასევე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მხატვრული საშუალებებით განავრცობს შემდეგ სტრიქონსაც:

„*შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწვევლად*“ (3.96.1).

„*Царь с Автандилом, сев верхом, решили: „Пропасть не дадим!“*“ (3.158.1).

ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განვრცობასთან ერთად შინაარსობრივადც დამორებულია თარგმანი დედანს, რაც როსტევიანის მხატვრული სახის მოდიფიცირებას იწვევს. დედანში როსტევიანს სურს დაეწიოს უცხო მოყმეს, თარგმანში კი უფრო მკაცრადაა გამოკვეთილი პერსონაჟის განწყობა და ხასიათი: Пропасть не дадим (გაუჩინარების საშუალებას არ მივცემთ). ამგვარი მიდგომა სათარგმნი ტექსტის მიმართ კიდევ უფრო აშორებს თარგმანის მკითხველს ორიგინალთან, რადგან იწვევს პერსონაჟის ხასიათის მოდიფიცირებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი კულტურულ ადაპტაციას ახდენს ფიცის ფორმულებთან დაკავშირებით და რუსული ენისათვის დამახასიათებელი იდიომატური გამოთქმებით გადააქვს ისინი, იყენებს ფუნქციურ ეკვივალენტებს, რაც,

ცხადია, მისასალმებელია ასეთ შემთხვევაში. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი: „*მისმან თავისა წონამან*“ - *поклѣяться могу я!*“, „*მასვე მადლი - Славлю Его!*“ შორისდებული - „*ვაჰ მე*“ – „*Горе мне!*“

რაც შეეხება ცალკეული ლექსიკური ერთეულების გადატანას თარგმანში, ამ შემთხვევაში ოდენ პირველი და თავის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ხალვაში ამ მხრივაც გამოირჩევა სიზუსტითა და სიფრთხილით. იგი თითოეულ სიტყვას დენოტაციურ ეკვივალენტს შეუსატყვისებს ან პირდაპირ გადააქვს კონცეპტი თარგმანში. ეკვივალენტების შერჩევასაც ცდილობს ერთგვაროვნების დაცვას, რაზეც სტატისტიკური ანალიზი მეტყველებს - როგორც წესი, *მოყმეს* რუსულ თარგმანებში *ВИТЯЗЬ* შეესაბამება, მესამე თავში *მოყმე* მხოლოდ ერთხელ გვხვდება და ხალვაშისეულ თარგმანშიც მხოლოდ ერთხელ დასტურდება *ВИТЯЗЬ* ფორმა. სინონიმური მრავალფეროვნებით არც *ყმა* გამოირჩევა, რუსულში მას ორი ლექსიკური ერთეული შეესაბამება - *юноша* და *парень* (*ახალგაზრდა კაცი, ბიჭი, ყმაწვილი, ჭაბუკი*). მესამე თავში *ყმა* ათჯერ დასტურდება და შვიდ შემთხვევაში *юноша* ხოლო ერთ შემთხვევაში *парень* ფორმა დასტურდება. ორ შემთხვევაში კი გამოტოვებულია.

უცვლელადაა გადატანილი *მონაც*, რომელიც ასევე ათჯერაა წარმოდგენილი მესამე თავში, ხოლო ხალვაშისეულ თარგმანში თორმეტჯერ გვხვდება, ორჯერ - გავრცობილ ფრაზაში. *მოლარესთან* კი ერთ შემთხვევაში *სლუა* (მონა, მსახური) გამოიყენება, მეორე შემთხვევაში - *Казначь* (ხაზინდარი).

ასეთივე ერთგვაროვნებაა *მეფის* შესატყვისებთანაც. ყველა შემთხვევაში *царь* ფორმა გამოიყენება, შესაძლოა ჩაენაცვლოს საკუთარი სახელიც (*Ростан*). არის ეპითეტთან ერთად პარალელური გამოყენების შემთხვევაც - *повелитель и царь*. მსგავს საშუალებას მხატვრული ეფექტისთვის მიმართავს მთარგმნელი.

იგივე ფორმით განვრცობის შემთხვევა დასტურდება სიტყვასთან *ღმერთი - Бог-творца*. ამ შემთხვევაშიც სიტყვასიტყვით თარგმანს ენიჭება უპირატესობა - *Бог*, მიმართვისას - *Боже*.

მეტნაკლები მრავალფეროვნებით გამოირჩევა სიტყვა *ცხენის* შესატყვისები. ხალვაშის თარგმანში ცხენს *конь* და *жеребец* შეესაბამება, ხოლო შავი ცხენის

შესატყვისად *вороной конь* დასტურდება - *Он – лев точно и богатырь, рядом стоял вороной конь*. როგორც ცნობილია, რუსთაველი მერანს ადარებს უცხო მოყმის ცხენს, იგივე *мерин* ფორმა დასტურდება რუსულშიც, ხოლო დედანში დადასტურებული *ტაიჭი* ფორმა კი იმავე *конь* ფორმითაა წარმოდგენილი თარგმანში - *Конь его похож на мерин*. *Все освещено поле им*.

გარკვეულ სემანტიკურ გადაწვევასთან გვაქვს საქმე რამდენიმე ლექსიკური ერთეულის შესატყვისებთან, რაც კულტურული განსხვავებულობით შეიძლება აიხსნას. ჩვენ მიერ შესწავლილ ორ თავში ამგვარი ფორმებია: *დევი*, რომელსაც *демон* შეესატყვისება - *Так с демонами лишь бывать; ჩაღანა და ჩანგი - кастаньеты, кимвал - замолчали кастаньеты, кимвал; მგოსანი და მოშაითი - акробатов, певцов -Велел, вызвать акробатов, певцов, певиц со всех сторон*. ამ გზით მთარგმნელი ცდილობს რუსულენოვანი მკითხველისათვის გასაგები, ბუნებრივი და შთამბეჭდავი იყოს პოემაში მიმდინარე მოვლენები და, ამავე დროს, მაქსიმალურად ახლოს იყოს დედანთან. თუ პოეტურ რიტმულობასაც გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რამდენად დიდ შრომასთან გვაქვს საქმე.

ხალვაში ხშირად ცვლის აღწერითი და ორგანული ფორმის ზმნებს, რათა არ დაიკარგოს ის სემანტიკა, რომლის გადატანაც სურს თარგმანში. მთარგმნელს მაქსიმალური სიზუსტით გადააქვს ისეთი თავისებური ზმნები, რომელთა სინონიმები და აღწერითი ფორმები თვით ქართულშიც კი ძნელად მოიპოვება. მაგ.: *(გული) უმაგარდა - (сердцу) он слабеет не дал, გამემწარნეს - стали горьки*. საინტერესოა აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის შემთხვევებიც - *ახლოს მივიდა - приблизился*, და პირიქით - *არა ესმის - не стал слушать*. რაც შეეხება ისეთ ზმნებს, რომლებიც ქართულში უფრო ძლიერი ემოციის გამომხატველია, ხოლო თარგმანში ნეიტრალური ფორმებითაა წარმოდგენილი, სულ რამდენიმე გვხვდება: *მოახსენა - сказал, ჰკადრა - передал, сказал, ბრძანა - сказал, ბრძანებს - говорит*. ამის საპირისპირისპიროდ გვხვდება ზუსტი შესატყვისი მაგალითებიც: *შემიტყვია - Узнал, ბრძანა - Велел*. წასვლა საწყისისგან ნაწარმოებ ზმნებს კი ყველაზე ხშირად *отправиться* ფორმა შეესატყვისება.

როგორც ვნახეთ, ა. ხალვაში შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას და მინიმალური დანაკარგით გადააქვს მშობლიური ენის ყველა ნიუანსი, არ უკარგავს პოემას ძირითად ღირებულებებს. მთარგმნელი მუდმივად ცდილობს, შეინარჩუნოს ნეიტრალური, გაწონასწორებული პოზიცია თარგმნის პროცესში და რამდენადაც შესაძლებელია, შექმნას ორიგინალთან მაქსიმალურად დაახლოებული თარგმანი. მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი შესანიშნავად ასრულებს დასახულ მიზანს.

## დასკვნა

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლა ვახტანგ VI-ის „თარგმანით“ იწყება და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს პოემის როგორც კვლევა-ძიების, ასევე პოპულარიზაციის პროცესი. ამ პროცესს განსაკუთრებით შეუწყო ხელი როგორც რუსთველოლოგიურმა ნაშრომებმა, ასევე სხვადასხვა ენაზე შესრულებულმა თარგმანებმა, რომელთა შექმნა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო „ვეფხისტყაოსნის“ რუსულენოვანი სრული პოეტური თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. საკვლევ მასალად აღებული გვექონდა კ. ბალმონტის, შ. ნუცუბიძისა და ა. ხალვაშის მიერ შესრულებული თარგმანები. კვლევის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შევეცადეთ წარმოგვედგინა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეფასებების ემპირიული მასალით დამოწმება და ახალი მოსაზრებების გამოთქმა.

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ თარგმანების მრავალფეროვნებასა და სიხშირეს მთარგმნელთა სუბიექტური და ობიექტური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენება განაპირობებს. ამასთანავე, თარგმნის პროცესში მთარგმნელები ირჩევენ სხვადასხვაგვარ სტრატეგიებს, რომლებსაც რიგ შემთხვევაში ცვლიან სურვილისამებრ და არღვევენ ერთგულებას როგორც მეთოდოლოგიური, ასევე მთარგმნელობითი პრინციპის თვალსაზრისით. ტექსტების დაპარალელებამ და კორპუსლინგვისტურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვევლინა მთარგმნელთა მიერ გამოყენებული მთარგმნელობითი სტრატეგიები და შეგვესწავლა მათ მიერ გამოყენებული ეკვივალენტები, რაც საბოლოოდ თარგმანის ლიტერატურული ხარისხის შეფასების მყარ საფუძველს ქმნის.

კ. ბალმონტისეული თარგმანი არის პოემის პირველი სრული პოეტური თარგმნის ცდა, რომელმაც ძალიან დიდი სამსახური გაუწია „ვეფხისტყაოსანს“ პოპულარიზაციისა და მსოფლიო მასშტაბით აღიარების თვალსაზრისით. მიუხედავად მხატვრული ღირებულებისა, ბალმონტის თარგმანი ხასიათდება მკვეთრი სხვაობებით წყარო-ტექსტთან მიმართებით. ზოგიერ ადგილას თარგმანი

იმდენად სცდება პირველწყაროს, რომ ახალ ტექსტად გვევლინება. მთარგმნელი მიჰყვება მხოლოდ დედნის ძირითად სიუჟეტურ ხაზს და სრულიად თავისუფლად თარგმნის ტექსტს. როგორც ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან ჩანს, ბალმონტი სიუჟეტებისა და პერსონაჟების დახასიათების დროს ხშირად ამატებს სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს - მეტაფორებს, შედარებებს, ეპითეტებს, ჰიპერბოლებს და სხვ. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთარგმნელის შემოქმედებითი შესაძლებლობების ჭარბ გამოყენებას მთარგმნელობით საქმიანობაში. ბალმონტისეულ თარგმანში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება უთარგმნელი ელემენტებიც (მოდალური ზმნები, მეშველი ზმნები, სინონიმური პარალელების შემადგენელი ნაწილები, ფუნქციური ელემენტები...), რომელთა ნაკლებობა ტექსტში ბუნდოვანებას არ იწვევს, თუმცა, ცხადია, იკლებს დედნის მხატვრული ღირებულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეტაფორის კლებასთან ან ნეიტრალური ფორმით ჩანაცვლებასთან, დემეტაფორიზაციასთან, გვაქვს საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ბალმონტი სხვადასხვა გზით ცდილობს დაკარგული მხატვრული საშუალებების კომპენსირებას, რითაც აბალანსებს ტექსტის მხატვრულობის ხარისხს და ცდილობს მიზან-ენაში წყარო-ტექსტის მხატვრულ ადაპტაციას. მიუხედავად ამისა, ამგვარი თავისუფალი მიდგომით მთარგმნელი სცდება დედნისეულ ვითარებას და არღვევს რუსთაველის მიერ შემოთავაზებულ კონცეფციებს. ბალმონტი ხშირად აკლებს თარგმანში ფრაზებს, გადაანაცვლებს ინფორმაციულ სტრუქტურებს, სტრიქონებს, სტროფებს, არღვევს საზღვრებს სტრიქონებსა და სტროფებს შორის, ცალკეული კონცეპტების თარგმნისას ცვლის ეკვივალენტებს, რაც არღვევს რუსთაველისეული ერთგვაროვნების პრინციპს. კ. ბალმონტის მთარგმნელობითი სტრატეგიები, რომლებსაც იგი იყენებს პოემის თარგმნის დროს, ხშირად პერსონაჟთა დახასიათებაზეც აისახება და იწვევს პერსონაჟის პორტრეტის ცვლას. მაგალითად, თარგმანში განსხვავებულადაა წარმოდგენილი როსტევანის მხატვრული სახე. რუსთაველისეული როსტევანი არის მშვიდი, გაწონასწორებული, ბრძენი, ძლიერი, ბალმონტთან კი შედარებით უფრო დინამიკური, პრაგმატული, ემოციური და სუსტია. ამაზე მეტყველებს როსტევანის ემოციური ფრაზები თარგმანში („არ კაცურად

გარდამკოცნა“ – „Я без слова был осмеян“, „უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული“ - „Богу надоел мой покой, впредь я на печаль обречен“) მთარგმნელი ექსპლიციტურად გადმოსცემს როსტევიანის მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ გამოტოვებს ფრაზას - *[ცხოვრება], რომელიც აქამდე მხარული იყო*, რაც მთარგმნელის სტრატეგიების ცვლილებას უსვამს ხაზს. ამ გზით იკარგება პერსონაჟების მხატვრული სახე, ხდება გადაცდენა მათი ხასიათის წარმოჩენისას, რაც მცდარ წარმოდგენასა და განწყობას უქმნის მკითხველს პერსონაჟის მიმართ. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ბალმონტი არ იცავს ერთგულებას არა მხოლოდ სათარგმნი ტექსტის, არამედ მის მიერვე შერჩეული მთარგმნელობითი პრინციპების მიმართ. კონცეპტებისათვის ეკვივალენტების შერჩევისას მონაცვლეობს თავისუფალი და პირდაპირი თარგმანის პრინციპები, ასევე ინტერპრეტაციის შემთხვევაში მთარგმნელი მიმართავს როგორც თავისუფალ, ასევე კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას, ამატებს მხატვრულ ინტერპრეტაციას, რაც საგრძნობლად აშორებს თარგმანს დედანთან და განსხვავებულ ტექსტს სთავაზობს თარგმანის მკითხველს.

წყარო-ტექსტის მიზან-ტექსტად გარდაქმნის განსხვავებულ სტრატეგიებს გვიჩვენებს ნუცუბიძისეული თარგმანიც, რომელიც ეკვივალენტურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მთარგმნელი ცდილობს ზედმიწევნითი სიზუსტით გადაიტანოს როგორც იდეური, ასევე შინაარსობრივი მახასიათებლები თარგმანში. ცალკეული კონცეპტების თარგმნისას ნუცუბიძე გვთავაზობს შესაბამის ეკვივალენტებს, ხოლო კონოტაციური ეკვივალენტების გამოყენების შემთხვევაში არ უკარგავს დედანს მხატვრულ ღირებულებას, პირიქით, ცდილობს კონცეპტების ადაპტაციას მიზან-ტექსტში. მთარგმნელი ითვალისწინებს ქართული ენის ბუნებას და შესაბამისად უძებნის შესატყვისებს თარგმანში. ეს გამოიხატება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელმა ფრაზაში „ვარდთა და **ნეხთა** ვინათგან მზე სწორად მოეფინების...“ ნეხვას შეუსატყვისა **сорняк** ფორმა (სარეველა). მან სამართლიანად მიიჩნია, რომ **ნეხთა** რუსთაველის პოემაში გამოხატავდა მცენარეს, ნეხვბალახას, რამდენადაც ვარდთან მიმართებით ასე ბევრად ბუნებრივი ოპოზიციური წყობა იქმნებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნივთიერებას ვერ ექნება

მრავლობითი ფორმა, მცენარე კი თავისუფლად დაირთავდა ნართანთან მრავლობითს (ნეხვ-თა), ამგვარი გადაწყვეტა მთარგმნელის მხრიდან კიდევ უფრო ლოგიკური აღმოჩნდება.

მიუხედავად იმისა, რომ ნუცუბიძე ცდილობს, უერთგულოს დედანს, თარგმანში შესამჩნევია სხვაობები დედანთან მიმართებით და მთარგმნელობითი პრინციპების მონაცვლეობა. თარგმანში თავისუფალი თარგმნის პრინციპის გამოხატულებაა ისეთი შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი ავთანდილის შესატყვისად **ВИТЯЗЯ** ფორმას იყენებს, რაც გარკვეულ შეუსაბამობას იწვევს, რამდენადაც *მოყმე* ტარიელს მიემართება დედანში და თარგმანშიც დაცული უნდა იყოს ერთგვაროვნება. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი თავისებურება, როდესაც მეფისა და ავთანდილის დასახელება ერთ პასაჟში სოციალური იერარქიისთვის შეუფერებელი თანმიმდევრობით (*Авандил и царь Ростан*) ხდება. მათ გადაადგილებას არანაირი მეტრული წყობის ფაქტორი არ უშლიდა ხელს, რამდენადაც საპირისპირო წყობაც ინარჩუნებს იმავე რიტმულობას. ამგვარი უსაფუძვლო და მექანიკური გადაადგილება სოციალური სტრუქტურების იერარქიულობის დარღვევას იწვევს და მცდარ შეხედულებებს ამკვიდრებს უცხო ენობრივი და კულტურული მატარებლების მქონდე მკითხველში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის მთარგმნელები, რომლებიც ნუცუბიძის თარგმანს იყენებდნენ, იმეორებენ ამ შეცდომას, რაც ნაშრომში ჩვენ მიერ მოხმობილმა მაგალითებმაც ცხადყო (ჰუგო ჰუპერტი, მარი პრიტვიცი, ჰერმან ბუდენზიგი, მარტინეცი).

კიდევ ერთი თავისებურება მთარგმნელის მხრიდან გამოიხატება თარგმანში **პეგასუსის** შემოყვანით. ზოგადი რეფერენციის გამომხატველ ფრაზებში - „ზეცად ანაფრენი“ და „ცათამდისცა გა-ცა-ფრინდეს!“ ნუცუბიძე იყენებს კონკრეტულ რეფერენციას - **პეგასუსს**, რაც სავარაუდოდ რითმისათვის გამოიყენა მთარგმნელმა, რამდენადაც სტრიქონის ბოლოშია წარმოდგენილი და შინაარსობრივად ცხენს, მერანს უფრო უკავშირდება, ვიდრე ამგვარი უარყოფითი კონოტაციის გამომხატველ ფრაზებს.



შ. ნუცუბიძის თარგმანში თავს იჩენს კლების შემთხვევებიც - თარგმანში საერთოდ ამოღებულია ფრაზა, რომელიც ბალმონტთან ნეგატიური კონოტაციით იყო დატვირთული - „არ კაცურად გარდამკოცნა“, ასევე იკარგება ფრაზები: *მისგან გაუუმეცარდა, მით დავყოვნე ხანი მუნ და, მისმან თავისა წონამან, გული უმაგარდა, მისმან თავისა წონამან, ვერვის ძალ-უც განკურნება, არ კაცურად გარდამკოცნა, ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს...* აკლია ცალკეული სიტყვა-ფორმები და ფუნქციური ელემენტები, რომელთა დაკარგვა თარგმანში არ იწვევს ბუნდოვანებას და მნიშვნელოვნად არ ამორებს თარგმანს დედანთან.

განხილული თარგმანებისაგან როგორც თარგმანის სტრატეგიების, ასევე პოემის მოცულობის თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდება ა. ხალვაშის მიერ შესრულებული სრული პოეტური თარგმანი, რომელიც ვრცელ რედაქციას ეყრდნობა და ზედმიწევნითი სიზუსტით ხასიათდება. როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, ხალვაში პირდაპირ თარგმანს ანიჭებს უპირატესობას და ხშირ შემთხვევაში სიტყვასიტყვით თარგმანს გვთავაზობს. მთარგმნელი მუდმივად ცდილობს, შეინარჩუნოს ნეიტრალური, გაწონასწორებული პოზიცია თარგმნის პროცესში და რამდენადაც შესაძლებელია, შექმნას ორიგინალთან მაქსიმალურად დაახლოებული თარგმანი.

მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელს არჩეული აქვს პირდაპირი თარგმანის პრინციპი და ძირითადად დენოტაციური ეკვივალენტებით გადააქვს კონცეპტები თარგმანში, შესამჩნევია კონტექსტუალური ეკვივალენტების გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითად, იდიომატური გამონათქვამების თარგმნისას ხალვაშს შინაარსი გადააქვს არა სიტყვასიტყვით, არამედ ფუნქციური ეკვივალენტების სახით, რათა შეუნარჩუნოს პოემას შთამბეჭდაობა და მოახდინოს სიტყვათა მყარი შეხამებების კულტურული ადაპტაცია მიზან-ენაში. ასეთივე კულტურულ ადაპტაციას ახდენს მთარგმნელი ფიცის ფორმულების თარგმნისას („*მისმან თავისა წონამან*“ - *поклѣсться могу я!*“, „*მასვე მადლი - Славлю Его!*“ შორისდებული - „*ვაჰ მე*“ – „*Горе мне!*..“). მთარგმნელი მათ შესატყვისად იყენებს ფუნქციურ ეკვივალენტებს, რაც, ცხადია, მისასაღმებელია ასეთ შემთხვევებში.

გარკვეულ სემანტიკურ გადაწევასთან გვაქვს საქმე რამდენიმე ლექსიკური ერთეულის შესატყვისებთან, რაც კულტურული განსხვავებულობით შეიძლება აიხსნას (*დევი - демон, ჩაღანა და ჩანგი - кастанъеты, кимвал, მგოსანი და მოშაითი - акробатов, певцов...*). ამ გზით მთარგმნელი ცდილობს რუსულენოვანი მკითხველისათვის გასაგები, ბუნებრივი და შთამბეჭდავი იყოს პოემა და ამავე დროს მაქსიმალურად ახლოს იყოს თარგმანი დედანთან.

მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი ცდილობს ზედმიწევნით ზუსტი თარგმანი შექმნას, თავს იჩენს გარკვეული სხვაობებიც. მაგალითად, ცვლილებებს განიცდის როსტევანის მახასიათებლები პირველ სტროფში, როდესაც **მაღალის** შესატყვისად გამოიყენა სიტყვა **высокий**, რაც ეკვივალენტობის თვალსაზრისით არაზუსტია, ვინაიდან რუსთაველი „მაღალში“ გულისხმობს არა როსტევანის ფიზიკურ სიდიდეს, არამედ მის კეთილშობილებას, მაღალ ღირსებას. ასევე განსხვავებულად, განვრცობილადაა გადატანილი როსტევანის სახე კიდევ ერთ სტრიქონში. მთარგმნელი შთაბეჭდილების გასამლიერებლად მხატვრული საშუალებებით განავრცობს სტრიქონს (*„შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად“ - „Царь с Автандилом, сев верхом, решили: „Пропасть не дадим!“*). ამ შემთხვევაში განვრცობასთან ერთად შინაარსობრივადაც დაშორებულია თარგმანი დედანს, რაც როსტევანის პერსონაჟის მოდიფიცირებას იწვევს.

მთარგმნელობით პრინციპებს შორის სხვაობა განსაკუთრებით შესამჩნევია ცალკეული კონცეპტების თარგმნის შემთხვევებში ეკვივალენტების შერჩევის დროს. ჩვენ მიერ საკვლევად აღებულმა მასალებმა რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინა ეკვივალენტთა გამოყენების ნათელი სურათი. მოკლედ შევაჯამებთ რამდენიმე მათგანს.

თარგმანებში **დევის** შესატყვისად გამოიყენება დენოტაციური ეკვივალენტი - **Дэв**, თუმცა გვაქვს განსხვავებული ეკვივალენტების გამოყენების შემთხვევებიც. ბალმონტი ერთ შემთხვევაში **დევის** შესატყვისად იყენებს სიტყვას **призрак** (მოჩვენება), რომელიც გამოხატავს თვისობრივ რეფერენციას და არა საგნობრივს, რაც უკარგავს ეკვივალენტურობის ხარისხს თარგმანს. ხალვაში დევის შესატყვისად

გვთავაზობს სინინიმურ ეკვივალენტებს - **Демон** (დემონი) და **Гигант** (გიგანტი). მთარგმნელი ეკვივალენტებს კონტექსტების მიხედვით ცვლის, კერძოდ, **დემონი** გამოიყენა შედარების ფორმულაში (გაქრა, როგორც **დემონი**), ხოლო **დევების** ყვირილის სიძლიერის, ინტენსიურობის გადმოსაცემად კონტექსტუალური ეკვივალენტი **გიგანტი** გამოიყენა მთარგმნელმა. დანარჩენ შემთხვევებში კი საგნობრივად **დევი** იგულისხმება და მთარგმნელიც დენოტაციურ ეკვივალენტს იყენებს შესატყვისად.

„ვეფხისტყაოსანში“ **ქაჯ** ძირით გვხვდება სიტყვები - **ქაჯი** და **ქაჯეთი**. თარგმანებში **ქაჯს** უმეტესად იგივე **Кадж** ფორმა შეესატყვისება. ხალვაში გვთავაზობს კონცეპტუალურ ეკვივალენტს **волхвы**, რითაც მთარგმნელი **ქაჯთა** შესაძლებლობებს უსვამს ხაზს. ბალმონტი ორ შემთხვევაში **ქაჯის** შესატყვისად იყენებს სიტყვას - **виденье** (**ხილვა**). მისი გამოყენება კონტექსტითაა განპირობებული, კერძოდ, გაუჩინარების სემანტიკის გადმოცემისას მთარგმნელი უპირატესობას ანიჭებს კონცეპტს **ხილვა**, **მოჩვენება**. **ქაჯეთის** თარგმნისას ნუცუბიძეს ოთხ შემთხვევაში აღწერიტად გადააქვს ცნება - **ქაჯეთის** ნაცვლად წერს - **ქაჯების კუთხე**, **ქვეყანა**, **ქაჯებთან** (**край каджей, страну каджей, каджской стороной, К каджам ...**), რაც იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელი დედნისეული ვითარების შენარჩუნებასთან ერთად მიზან-ენის ვითარებასაც ითვალისწინებს და ცდილობს მაქსიმალური სიზუსტითა და შთამბეჭდაობით გადაიტანოს ტერმინი თარგმანში.

**მიჯნურ** ძირით ნაწარმეობი სიტყვების თარგმნისას ბალმონტი საერთოდ არ იყენებს **миджнур** ფორმას, ამდენად ეკვივალენტების მრავალფეროვნებით სწორედ მისი თარგმანი გამოირჩევა (**влюбленный** (8), **любимый** (2), **любить** (6), **любленья** (1), **любовники** (1), **любовный** (2), **любовь** (27), **милый** (3), **полюбить** (2), **полюбляя** (1)). ყველაზე ხშირად **მიჯნურის** შესატყვისად იმავე **миджнურ** ფორმას ეკვივალენტად იყენებს შ. ნუცუბიძე, თუმცა მასთანაც გვხვდება სინონიმური ეკვივალენტები - **влюбленный** (1), **любимый** (1), **любить** (2), **любовь** (8). **миджნურ** ფორმას ენიჭება უპირატესობა ხალვაშთანაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ხალვაში არა მარტო სესხულობს სიტყვა **მიჯნურს**, არამედ რუსულშივე აწარმოებს სიტყვა

**მიჯნურობას** იმავე ძირით და ქმნის ნეოლოგიზმს - **Миджнурство** (9), რაც სხვა მთარგმნელების შემთხვევაში არ დასტურდება. კიდევ ერთი თავისებურება ხალვაშისეული თარგმანისა გახლავთ **სამიჯნუროს** ეკვივალენტი **невеста**, რომელიც ერთადერთხელ დასტურდება თარგმანში. ხალვაში იყენებს სხვა ეკვივალენტებსაც - **влюбиться (1), возлюбленные (1), любимая (1), влюбленный (2), любить (3), любовь (5)**, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ **მიჯნური** მხოლოდ აღმოსავლური კულტურისთვისაა გასაგები, მაგრამ იმ კულტურებში, რომელთათვისაც ეს ფენომენი უცნობია, ამგვარი კონცეპტის გადატანა სახიფათოა, ვინაიდან ვერ ახდენს გავლენას მკითხველზე სწორედ შინაარსობრივი ბუნდოვანებიდან გამომდინარე.

იმის გამო, რომ **მოყვასი** თანაბრად მიემართება **მიჯნურსა** და **მეგობარს**, შესატყვისობების მხრივაც მრავალფეროვანი სურათი გვაქვს თარგმანებში. კ. ბალმონტი **მოყვასის**, როგორც **მეგობრის** შესატყვისად იყენებს ოთხ სხვადასხვა სიტყვას (друг, братъ, товарищ, любимой), ხოლო **მოყვასის**, როგორც **მიჯნურის** გამოსახატავად - ორი ფუძისგან (люн, милый) ნაწარმოებ სიტყვა-ფორმებს, რაც საკმაოდ მრავალფეროვან სურათს ქმნის შესატყვისობების თვალსაზრისით. ამგვარი თავისუფალი მიდგომით მთარგმნელი აბუნდოვანებს დედნისეულ ვითარებას და არღვევს ერთგვაროვნების პრინციპს, რაც მკაცრადაა დაცული პოემაში. ასევე იკარგება რუსთაველის ფუნდამენტური კონცეფცია - ერთ სიბრტყეზე დააყენოს მეგობარი და მიჯნური და არ გამიჯნოს ისინი ტერმინოლოგიურად, რაც აშორებს მიზან-ტექსტს წყარო-ტექსტთან.

ასეთივე ვითარება გვაქვს შ. ნუცუბიძის თარგმანშიც. გარდა **друг** და **люб** ძირებისა, მთარგმნელი იყენებს კონოტაციურ ეკვივალენტებს - **ძმობილი (побратим - 1)**, **საყვარელი (милый - 2)**, **ახლობელი, ძვირფასი (родной - 1)** და **მიჯნური (миджнур - 1)**. ნუცუბიძე სატრფოსთან მიმართებით **მოყვასის** შესატყვისად იყენებს **მიჯნურსა** და **საყვარელს (миджнур, милый)**, მეგობართან მიმართებით - **ძმობილს (побратим)**, ხოლო საზოგადოდ, **მოყვასის** გამოსახატავად ტერმინს **родной** მოიშველიებს, რაც, მართალია, იწვევს გარკვეული სემანტიკური და სიმბოლური ნიუანსების დაკარგვას თარგმანში,

მაგრამ არ იწვევს ბუნდოვანებას, პირიქით, მთარგმნელი ცდილობს მაქსიმალურად გასაგები და შთამბეჭდავი იყოს კონცეპტები მკითხველისათვის.

ხალვაში მეგობართან მიმართებით იყენებს შესატყვისებს - друг (16), подруга (2), друзья (6), дружба (4), дружеской (1), собрата (2), товарищ (1), ближний (2), родной (1), приятель (1), ხოლო მიჯნურთან მიმართებით ტერმინებს - любимый (11), влюбленный (1), любить (1), милый (1). მოყვარულის შესატყვისად მთარგმნელს გამოყენებული აქვს ტერმინი почитатель (1). როგორც ჩანს, მთარგმნელები ირჩევენ კონტექსტუალურ ეკვივალენტებს, რომლებსაც ცვლიან ასევე კონტექსტის შესაბამისად, რაც არღვევს ერთგვაროვნებას თარგმანში და არასრულად ასახავს დედანს.

ცალკე განხილვის საგანია რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიური წყაროების თარგმნის საკითხი, რამდენადაც სწორედ ეს წყაროები ქმნიან რუსთაველის მსოფლმხედველობის ბაზისს პოემაში. ძირითად წყაროებად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია პლატონის, დიონისე არეოპაგელისა და არისტოტელეს ნაშრომები და ქრისტიანული მოძღვრებები. პოემის თარგმნისას მნიშვნელოვანია რუსთაველის მსოფლმხედველობის ტრანსფერის საკითხის კვლევა, რის ცდასაც წარმოადგენს ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი.

რუსთაველი პოემაში პირდაპირ მხოლოდ დიონისე არეოპაგელსა და პლატონს ასახელებს. ორივე მათგანი სამივე თარგმანში პირდაპირაა დასახელებული (Платон; გრაფიკული სახესხვაობითაა წარმოდგენილი დიონისე - ბალმ., ნუცუბ.: Дивнос, ხალვ.:Дионос), ხოლო მათი მოძღვრებები განსხვავებულად გადააქვთ თითოეულ მათგანს. არეოპაგიტული რეალიების თარგმნისას ბალმონტი მიმართავს ინტერპრეტაციასა და განვრცობას. მთარგმნელს რუსთაველისეული ლაკონური სტრიქონები ორ სტრიქონში აქვს მხატვრული ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი (მაგ.:,თქვეს: "ზოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!" - „Нет у зла существования. Для благаго лишь деянья есть и жизнь, и ликование“). ასევე მხატვრულ ინტერპრეტაციასა და განვრცობას მიმართავს არეოპაგიტული მოძღვრებების თარგმნისას ნუცუბიძეც, ხოლო ხალვაში დედნისგან სრულიად განსხვავებულ ვერსიას ქმნის. როგორც აღმოჩნდა, მთარგმნელებს უმეტესად გადააქვთ

რუსთაველისეული იდეები, მაგრამ არ გადააქვთ ამ იდეების გამომხატველი საშუალებები, თავად ქმნიან მათ, რაც ახალ მხატვრულ ჩარჩოს ქმნის პოემისათვის.

პლატონის მოძღვრების თარგმნისას ბალმონტი ერთ სიბრტყეზე აყენებს სულსა და სხეულს, ხოლო სიცრუეს ორივე მათგანისთვის ერთნაირად საზიანოდ მიიჩნევს, რაც შეუსაბამოა რუსთაველის მიერ პერიფრაზირებული პლატონის მოძღვრებისათვის („სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“). ამ გზით მთარგმნელი უკარგავს პოემას მსოფლმხედველობრივი წყაროების დადგენისა და მათი რეალიზების შესაძლებლობას თარგმანებში. ნუცუბიძესთან დაცულია თანმიმდევრობა ტყუილით სხეულის შემდეგ სულის გახრწნისა („Вслед за плотью тленен духом как двуличный, так и лжец“), შეცვლილია მხოლოდ გამოხატვის ფორმები - დედანში სიცრუე და ორპირობა აბსტრაქტული არსებითი სახელება, ხოლო თარგმანში - ადამიანის მსაზღვრელები. შედარებით უფრო ეკვივალენტურ თარგმანს გვთავაზობს ა. ხალვაში. ამ შემთხვევაში ორი დამოუკიდებელი, თანაბარი ფუნქციის კონცეპტი (სიცრუე და ორპირობა) მინიმალური ცვლილებით გადააქვს მთარგმნელს (Ложь с двуличьем), რაც შინაარსის თვალსაზრისით მკვეთრ ცვლილებას არ იწვევს, მხოლოდ პოზიციებს უცვლის მათ - ორპირობა დაქვემდებარებულია, თანმხლება სიცრუისა. დედნისეული ვითარების ამგვარი მინიმალური ცვლილებით გადატანა შესაძლებლობას უტოვებს თარგმანის მკითხველს, დაინახოს მასში პლატონისეული მოძღვრება და მისი მიმართება რუსთაველის პოემასთან.

მეორე ფილოსოფიური წყარო პოემაში არისტოტელიზმია. იგი გამოიხატება მიჯნურის დახასიათებაში, რომელიც პოემის მეორე სტროფშია მოცემული. არისტოტელედან მომდინარე თვისებათაგან ბალმონტი დენოტაციური ეკვივალენტით თარგმნის მხოლოდ **ბრძენს** (умудренный), „**მძლეოთა მებრძოლთა მძლეობა**“ თარგმნილია ფრაზით - „Быть победным над врагами“, ხოლო გამოტოვებული მახასიათებლების საკომპენსაციოდ ამატებს მეტაფორას (должен зорко видеть сон) და მსაზღვრელს - **სწრაფი** (быстрый), რაც სრულიად განსხვავებულ სურათს გვაძლევს თარგმანში.

შ. ნუცუბიძეს **სიბრძნე (мудрость)** და **სიუხვე (щедрость)** გადააქვს დენოტაციური ეკვივალენტით, ხოლო სიმდიდრეს მეტაფორულად გადმოსცემს (Чей удел довольства жизни). მოცალოების გამოსახატავად იყენებს ფორმას **покой** (სიმშვიდე). **ენასა და გონებას** ნუცუბიძე ერთ კონტექსტში ასახელებს - „Одарен умом и словом“, ასევე მხატვრულად გადმოსცემს ფრაზას - „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“ (мощных мощно кличет в бой) ხოლო არისტოტელესგან მომდინარე თვისება - **დათმობა** - საერთოდ გამოტოვებული აქვს მთარგმნელს.

ა. ხალვაში **სიბრძნეს (мудрость)**, **სიმდიდრეს (богатство)**, **სიყმეს (здравый дух)**, **სიუხვეს (щедрость)** დენოტაციური ეკვივალენტებით თარგმნის, ხოლო **მოცალოებას** თარგმნის სიტყვით - **Досуг**, რაც გულისხმობს როგორც მოცლილობას, ასევე სიმშვიდეს. მთარგმნელი ამატებს **სიმამაცეს** - (мужество), რაც, სავარაუდოდ, „**მძლეთა მებრძოლთა მძლეობას**“ უნდა შეესატყვისებოდეს, რამდენადაც შესაბამის სტრიქონში ამაზე საუბარი აღარ არის, თუმცა ნახსენებია „გამარჯვების რწმენა“ (Веру в победу), რაც ამავე მახასიათებელს მიემართება, ხოლო **დათმობის** თარგმნა კი ზუსტი შესატყვისით - **терпенье** (მოთმინება) - მხოლოდ ხალვაშის თარგმანში დასტურდება.

არისტოტელესგან მომდინარე ფრაზას „**მართალო სამართალი**“ არცერთი მთარგმნელი არ თარგმნის სრულად. ბალმონტი ერთ შემთხვევაში „**თავისუფალ სამართალს**“ შეუსატყვისებს, მეორეში საერთოდ არ ახსენებს მას. ნუცუბიძე ერთ შემთხვევაში **სამართლის** ნაცვლად **სიცოცხლეს** ახსენებს, მეორე შემთხვევაში გამოტოვებულია **სამართალი**. ხალვაშითან ერთ შემთხვევაში **სამართლის** შესატყვისად გამოყენებულია **суд** (სასამართლო) და დენოტაციური ეკვივალენტითაა თარგმნილი მართალი - **Праведный**. მეორე შემთხვევაში ხალვაშთანაც გამოტოვებულია „**მართალი სამართალი**“.

არისტოტელესეული „**კავშირნი**“ არაა ნახსენები ბალმონტთან, ნუცუბიძე და ხალვაში ინტერპრეტირებულად თარგმნიან მას. ასევე მხოლოდ ნუცუბიძე და ხალვაში ახსენებენ **ბუნების საწყისთა ოთხ ელემენტს** (წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა). ხოლო არისტოტელესგან მომდინარე არსებობის მატერიალური მიზეზი „**ნივთი**“ და დანიშნულებითი მიზეზი „**ვალი**“ დენოტაციური ეკვივალენტით თარგმნილი აქვს

მხოლოდ ხალვაშს - **Долг** (ვალი, მოვალეობა) და **сокровище** (განძი). ასევე **განძი** აქვს გამოყენებული მოცემულ კონტექსტში ბალმონტს - **клад сокровищ сокровенный**, ხოლო „ვალი“ გამოტოვებულია.

როგორც აღმოჩნდა, მსოფლმხედველობრივი წყაროების თარგმნის დროს მთარგმნელებს უმეტესად გადააქვთ რუსთაველისეული იდეები, მაგრამ იშვიათად გადააქვთ ამ იდეების გამომხატველი საშუალებები, თავად ქმნიან მათ, რაც ახალ მხატვრულ ჩარჩოს ქმნის პოემისათვის.

რუსთაველის მსოფლმხედველობის მესამე მნიშვნელოვანი წყაროა ქრისტიანული მოძღვრებები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს პოემაში. ბიბლიიდან მომდინარე ცნებებადაა მიჩნეული საღვთო სახელები: **უკვდავი, უცნაური, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი, უხილავი ძალი, ყოფილი, მყოფი, სახიერი, მაღლით მაღალი, უფალი უფლებათა, სავსება, მოწყალე, მფლობელი გულისთქმათა, შემოქმედი, არსთა მხედი**. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან ირკვევა, რომ „უკვდავს“ მხოლოდ ნუცუბიდის თარგმანში მოეპოვება შესატყვისი (**обессмертил**), ბალმონტსა და ხალვაშს გამოტოვებული აქვთ. **უცნაური** სამივე თარგმანში დასტურდება, თუმცა სხვადასხვა შესატყვისობით (ბალმ.:**Непонятный**, ნუცუბ.:**Непостижный**, ხალვ.:**Непознаваем Твой образ**). **უთქმელი** მხოლოდ ბალმონტმა (**неизреченный**) და ნუცუბიდემ (**несказанный**) თარგმნეს, ხალვაშს გამოტოვებული აქვს. ბალმონტმა გამოტოვა ატრიბუტები - **ყოფილი, მყოფი, ყურთაგან მოუსმენელი**. სამივე მათგანს მცირედი სხვაობით თარგმნის შ. ნუცუბიდემ (**Бывший, сущий, непостижный**). ხალვაში მხოლოდ „ყურთაგან შეუსმენელს“ თარგმნის ზოგადი რეფერენციით **неслыханные** (გაუგონარი), „ყოფილისა“ და **მყოფისა**“ ნაცვლად დამატებული აქვს **უხვი წყალობა** (**щедрые милости**).

სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციითაა თარგმნილი ღმერთის ატრიბუტი **უფალი უფლებათა**. მის შესატყვისად ბალმონტი იყენებს ფრაზას - **Царь ты царств** (**სამეფოთა მეფე**), ნუცუბიდემ - **права правого зиждитель**, ხალვაში - **Господин Властей** (**ძალაუფლების უფალი**). **ძალი უხილავი** გამოტოვებული აქვს ბალმონტს, ნუცუბიდემ და ხალვაში კი სხვადასხვა შესატყვისობებით, სინონიმებით, თარგმნიან მას (ნუცუბ.: **незримой силой**, ხალვ.: **силой невидимой**). **სახიერის** შესატყვისად სამივე თარგმანში



ნეიტრალური ფორმა - **ღმერთი** გამოიყენება, თუმცა განსხვავებას ქმნის მსაზღვრელები. ბალმონტი მხოლოდ **ღმერთს** ახსენებს (**Бог**), ნუცუბიძე **ღმერთის მზერას** შეუსატყვისებს (**божий взгляд**), ხოლო ხალვაში უმატებს მსაზღვრელს - **კეთილი** (**Бог благой**). სტროფი, რომელშიც **მაღლით მაღალი** დასტურდება, საერთოდ გამოტოვებულია ბალმონტთან, ხოლო ნუცუბიძის და ხალვაშის თარგმანებში წარმოდგენილია განსხვავებული შესატყვისობები. ნუცუბიძე მხოლოდ **მაღალს** ახსენებს (**вышний**), ხოლო ხალვაში - **უზენაესზე მაღალ წყალობას** (**свыше Всевышний милость**), რაც უფრო ახლოსაა დედანთან, ვიდრე ნუცუბიძისეული შესატყვისი. **არსთა მხედს** ბალმონტი შეუსატყვისებს **ყოვლისმხილველს** (**всезрящий**), ნუცუბიძე - **სამყაროს მომცველს** (**объемлющий весь свет**), ხოლო ა. ხალვაში - **ნებისმიერის დამნახავს** (**зрящим любящих**). მოწყალე თარგმნილია ნუცუბიძესთან სიტყვით **благой** (კეთილი), ხოლო **წყალობა**, როგორც **ძღვენი** (**даянье**) ხალვაში **მოწყალეს** შესატყვისად **შემოქმედს** (**Творец**) იყენებს, **მოწყალე** კი გადააქვს ზუსტი შესატყვისით (**милости**). ბალმონტთან შესაბამისი სტროფი საერთოდ არ არის თარგმნილი. **გულისთქმათა მფლობელი** სამივე თარგმანში განსხვავებული ინტერპრეტაციით გვხვდება. ბალმონტი მის შესატყვისად იყენებს ფრაზას **вождь сердечных всех речей** (ყველა გულითადი სიტყვის წინამძღოლი), ნუცუბიძე - **вождений повелитель** (გულისთქმათა მბრძანებელი), ხალვაში - **владелец страстей, чувств** (ცნებების, გრძნობების მფლობელი).

მეტ-ნაკლები სიზუსტითაა თარგმნილი ცნებები - მზიანი ღამე, ერთარსებისა ერთისა, უჟამო ჟამი. ბალმონტი სრული შესატყვისობით თარგმნის ცნებას კონტექსტთან ერთად „ხატად გთქვეს **მზიანისა ღამისად**“ (**образ солнечной ты ночи**), ხოლო ფრაზის - „**ერთარსებისა ერთისა**“ ნაცვლად იყენებს ფრაზას - **кто средоточий есть единство**, „**უჟამო ჟამს**“ კი შეუსატყვისებს სრულიად განსხვავებულ მეტაფორას - **в бурях тишь**. ნუცუბიძეც განხილულ სამ ცნებათაგან ზუსტი შესატყვისობით თარგმნის „**მზიან ღამეს**“ (**солнечной ты ночи**), „**ერთ-არსება ერთის**“ შესატყვისად იყენებს ფრაზას - „**одного единой мощи**“, ხოლო „**უჟამო ჟამს**“ თარგმნის, როგორც „**Ты вне времени причастно**“. ა. ხალვაშთან „**მზიანი ღამის**“ შესატყვისად იგივე - **солнечно-ночного** გამოიყენება, ხოლო „**ერთარსებისა ერთისა**“ და „**უჟამო ჟამის**“ შესატყვისია „**ერთი და**

მარადიული“ (Единого, и Вечного), დამატებულია მათი თანაარსებობის სიცხადე (Верно Единосущего). სამივე მთარგმნელი სრული შესატყვისობით თარგმნის ცნებას „შვიდგზის“. აღსანიშნავია, რომ ხალვაში წმინდა წიგნსაც ამატებს ნათქვამის დასადასტურებლად და იმპლიკაციურად მიუთითებს მასზე (говорится в книге святой).

როგორც აღმოჩნდა, მთარგმნელები ქრისტიანული რეალიების თარგმნისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ და ცდილობენ მაქსიმალური სიზუსტით გადაიტანონ თარგმანში თითოეული ნიუანსი. კონკრეტული რეფერენციის გამომხატველი კონცეპტები უმეტესად დენოტაციური ეკვივალენტებით გადადის თარგმანებში, ხოლო ღმერთის ატრიბუტებისა და უზენაესის მხატვრული აღწერების თარგმნა გარკვეულ სახეცვლილებებს იწვევს, რაც განპირობებულია კონტექსტის სიღრმისეული გააზრების სირთულით.

პოემაში ბიბლიურია ტერმინები **სატანა** და **ემშაკი**. სამივე მთარგმნელი პირდაპირ თარგმნის სატანას (**Сатана**), მხოლოდ ერთ შემთხვევაში ნუცუბიძე სატანის შესატყვისად იყენებს **ემშაკს (Дьявол)**. **ემშაკის** შესატყვისად ყველაზე ხშირად **Дьявол** ფორმა გამოიყენება, თუმცა არის განსხვავებული შემთხვევებიც. ხალვაში მის ნაცვლად იყენებს სიტყვას **черт**, იშვიათად - **Сатана**. სიზუსტის მხრივ **Дьявол** უფრო ახლოს არის **ემშაკთან**, ვიდრე **черт**, რამდენადაც **черт** ბევრ სხვა მნიშვნელობასაც შეიცავს (ემშაკი, დემონი, ავი სული, ჭინკა, ჯოჯოხეთი, ჯანდაბა) და ბუნდოვანს, არაზუსტს ხდის სათარგმნი ტერმინის მნიშვნელობას.

„ვეფხისტყაოსანში“ ბიბლიურია სამოთხე, რაც გამოიხატება სიტყვებით: **სამოთხე, ედემი, ალვა, ბისონი, ჯეონი, ევფრატი**. **სამოთხე** ერთადერთხელ დასტურდება პოემაში და მის შესატყვისად სამივე თარგმანში გამოყენებულია ფორმა **Рай**. **ედემი** ძირითადად ითარგმნება როგორც **Эдем**, ან ზოგადი რეფერენციით - **სამოთხის ბაღი (Райский сад)**. ბალმონტი ერთ შემთხვევაში **ედემს სამოთხეს (Рай)** შეუსატყვისებს, ასევე ხდება ხალვაშთანაც - ხალვაში **ედემის** შესატყვისად იყენებს **სამოთხეს (Рай)** და **ბაღთა ბაღს (Сад садов)** შ. ნუცუბიძე კი ამ შემთხვევაში სიზუსტეს იცავს და მხოლოდ **Эдем** ფორმას ედემის იყენებს ეკვივალენტად.

ბისონის შესატყვისად ბალმონტი იყენებს ევფრატს (Евфрат), შ. ნუცუბიძე საერთოდ გამოტოვებს მას. ჯეონს გამოტოვებს ბალმონტი, ნუცუბიძე ზოგადი რეფერენციით მოიხსენიებს - სამოთხის მდინარე (Райская Река). ხალვაში ზედმიწევნით ზუსტად, პირდაპირ თარგმნის ორივე მდინარეს - ბისონსა და ჯეონს (Фисон, Джеон). ევფრატი კი სამივე მთარგმნელს დენოტაციური ეკვივალენტით აქვს თარგმნილი (Евфрат).

სიტყვა ალვა უმეტესად ალოეთი (Алоэ) გადააქვთ მთარგმნელებს. ბალმონტი ერთგან მის შესატყვისად იყენებს ზოგადი რეფერენციის გამომხატველ ფორმას - სამოთხის ხე (Райское Древо), ხოლო 5 შემთხვევაში - Тополь ფორმას. ნუცუბიძე უპირატესობას ანიჭებს ფორმას чинара (ჭადარი), ერთხელ იყენებს ფორმას Алоэ, ოთხჯერ - Тополь. ხალვაში - უმეტესად იყენებს ფორმას Тополь, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება - Чинара.

როგორც ჩანს, ცალკეული კონცეპტების თარგმნისას მთარგმნელები ვერ იჩენენ თანმიმდევრულობას, რაც გამოიხატება არაერთგვაროვანი ეკვივალენტების გამოყენებით ერთი და იმავე კონცეპტის მიმართ. ეკვივალენტები იცვლება არა მხოლოდ სხვადასხვა მთარგმნელებთან, არამედ ერთი თარგმანის ფარგლებშიც, რაც არღვევს მთარგმნელთა მიერ შერჩეულ პრინციპებს.

ემპირიულმა მასალამ ცხადყო, რომ დინამიკური, აქტიური სიუჟეტებისა და კონკრეტული, მარტივი კონცეპტების თარგმნა იძლევა ადეკვატური ტრანსფერის შესაძლებლობას თარგმანებში, ხოლო ზოგადი კონცეპტებისა და მათი მხატვრული აღწერების თარგმნა გარკვეულ სახეცვლილებებს იწვევს, რაც განპირობებულია კონტექსტის სიღრმისეული გააზრების სირთულით. აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო ზოგადი შინაარსის გამომხატველია ლექსიკური ერთეული, მით უფრო მეტი სინონიმი გამოიყენება შესატყვისების შერჩევისას, რაც კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას ქმნის თარგმანებში.

ვიდრე მთარგმელი შეიმუშავებს მთარგმნელობით პრინციპებსა და სტრატეგიებს, მნიშვნელოვანია, სიღრმისეულად ჩასწვდეს დედნისეულ ვითარებას და საფუძვლიანად გაიაზროს თითოეული ტერმინის როგორც პირველადი

მნიშვნელობა, ასევე ავტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე კონტექსტის შესაბამისი ფუნქცია და არსი. წყარო-ტექსტში წარმოდგენლ ტერმინთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის გარეშე შეუძლებელია ადეკვატური შესატყვისების მოძებნა მიზან-ენაში და ეკვივალენტური თარგმანის შექმნა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა აირჩიოს მთარგმნელმა პრინციპი, სტრატეგია, რომელსაც ერთგულად დაიცავს მთელი პოემის თარგმნის პროცესში, რათა არ დაირღვეს ერთგვაროვნება წყარო-ტექსტისა. მთარგმნელმა უნდა შეამჩნიოს რუსთაველის მიზანი, რომლის მიხედვითაც თითოეულ სიტყვას აქვს იდეურ-მხატვრული ღირებულება პოემაში და მიემართება კონკრეტულ კონცეპტს. მთარგმნელმაც შესაბამისად უნდა აირჩიოს ეკვივალენტი და სისტემურად გამოიყენოს იმ სიტყვის შესატყვისად, რათა არ გამოიწვიოს ბუნდოვანება თარგმანის მკითხველში. მართალია, მთარგმნელი თავისუფალია თავის არჩევანში სტრატეგიის არჩევისას, მაგრამ მნიშვნელოვანია სწორედ მის მიერ არჩეული სტრატეგიის ერთგულებისა და თანმიმდევრულობის დაცვა თარგმნის პროცესში, რათა თარგმანი სრულად აკმაყოფილებდეს როგორც მეცნიერული კრიტიკის, ასევე მისით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველის მოთხოვნებს.

## ბიბლიოგრაფია

1. ანდლულაძე ლ., ბალმონტი და საქართველო, გვ. 176, თბილისი, 1972.
2. ამირანაშვილი ჯ., შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღისთვის, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, გვ. 22-29, თბილისი, 1960.
3. ბარამიძე ალ., შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 359-383, თბილისი, 1966.
4. ბარამიძე ალ., შოთა რუსთაველი, მესამე შევსებული გამოცემა, გვ. 486, თბილისი, 1975.
5. ბრეგვაძე ბ., პლატონი პარმენიდე, გამომცემლობა „ნეკერი“, გვ. 566, თბილისი, 2002.
6. გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 221, თბილისი, 1984.
7. გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბილისი, 1991.
8. გაფრინდაშვილი ვ., საბჭოთაკავშირის ხალხთა ენებზე, გაზეთი „Правда“, გვ. 4, თბილისი, 1937.
9. გოგიბერიძე მ., რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1961.
10. გოგუა ა., რუსთაველი -ათვისტი, გაზეთი „გამარჯვების დროშა“, გვ. 4, თბილისი, 1965.
11. გორგიშელი ნ., პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი დრამატურგიულ ტექსტში და მისი თარგმანში გადატანის სპეციფიკა, დისერტაცია, თელავი, 2017.
12. ვეფხისტყაოსანი, (რედაქტორები) ბარამიძე ა., კეკელიძე კ., შანიძე ა., აკადემიური გამოცემა, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1957.
13. თანდაშვილი მ., ფურცხვანიძე ზ., კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში. ფრანკფურტის ლინგვისტური წრე, 2014.
14. თანდაშვილი მ., დიგიტალური რუსთაველოლოგია (პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები), თბილისი, 2021.
15. თანდაშვილი მ., ყამარაული მ., შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში, გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი, 2021.
16. თვარაძე რ., არეოპაგელი და რუსთაველი, „ცისკარი“, № 8, გვ. 132-150, თბილისი, 1971.

17. იორდანიშვილი ს., „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ევროპულ ენებზე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი, გვ. 179-197, თბილისი, 1953.
18. იორდანიშვილი ს., „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისმიერი რუსული თარგმანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 72, თბილისი, 1964.
19. კარბელაშვილი მ., პლატონის მაქსიმა „ვეფხისტყაოსანსა“ და „პარციფალში“, რუსთველოლოგია VII, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გვ. 71-78, თბილისი, 2015.
20. კარბელაშვილი მ., ფილოსოფიური ტერმინოლოგიისთვის „ვეფხისტყაოსანში“ „ათენისა“ და „კაცი ვარგის“ სემანტიკა, ტერმინი, ცნება, პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2016.
21. კარბელაშვილი მ., ქალის კონცეპტი „ვეფხისტყაოსანში“ ევროპული კონტექსტით, რუსთველოლოგია VIII, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გვ. 7-31, თბილისი, 2017.
22. კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II ტომი, გვ. 82-155, თბილისი, 1952.
23. ლიტერატურული კვლევები N2, შრომები ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.
24. მეგრელიძე ი., რუსთველოლოგები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979.
25. ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება, გვ. 413, სანტიაგო დე ჩილე, 1957.
26. ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებათმეტყველება, ა. მერებიშვილის გამოცემა, გვ. 312, სანტიაგო დე ჩილე, 1958.
27. ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება, გვ. 766, პარიზი, 1963.
28. ნუცუბიძე შ., შოთა რუსთაველის შემოქმედება. შრომები, გამომცემლობა „მეცნიერება“, VII, თბილისი, 1980.

29. რამიშვილი ლ., დაფარული „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2013.
30. რატიანი პ., წმინდანები ფრესკებიდან ჩამოდიან (შოთა რუსთაველის ვინაობის გარკვევისთვის), გაზეთი „თბილისი“, N34, გვ. 3, თბილისი, 1982.
31. რუსთაველის ბიბლიოგრაფია II, თბილისი, 2002.
32. რუსთაველის ბიბლიოგრაფია III, თბილისი, 2013.
33. რუსთაველოლოგიური ლიტერატურა IV, თბილისი, 2009.
34. რუსთაველოლოგიური ლიტერატურა V, თბილისი, 2012.
35. ტატიშვილი ლ., „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, 288. გვ. თბილისი, 2000.
36. ჩხენკელი მ., თაქთაქიშვილი ლ., „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2015 წწ., გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2016.
37. ცინცაძე კ., „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 64, თბილისი, 1966.
38. ხალვაში ა., ფსევდოპერსონა შოთა რუსთაველი, ჟურნალი „განთიადი“, N1, გვ. 188-192, თბილისი, 1991.
39. ხალვაში რ., „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი (ინტერტექსტული ანალიზი), საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-2“, გვ. 120-125, ბათუმი, 2014.
40. ხალვაში რ., „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქცია და მისი ახალი რუსული თარგმანი, „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციის წინასიტყვაობა, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, გვ. 25-42, თბილისი, 2015.
41. ხიდაშელი შ. - ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV – XIII სს.) გვ. 216-309, თბილისი, 1988.
42. ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო, „ქართველოლოგი“, გვ. 860, თბილისი, 2009.
43. ხინთიბიძე ე., თანამედროვე რუსთაველოლოგიური კვლევები კომენტირებული „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 538, თბილისი, 2015.

44. რუსთაველი, შოთა, Витязь в тигровой шкуре, , Пер. с груз. К. Бальмонта, П. Петренко, Н. Заболоцкого, Вступ. ст., подгот. текста и примеч. А. Барамидзе, С. Цаишвили. Л.: Сов. писатель, 1988.
45. რუსთაველი, შოთა, Витязь в тигровой шкуре, перевод Ш. Нуцубидзе, 1979.
46. რუსთაველი, შოთა, Витязь в тигровой шкуре, перевод А. Халваши, 2015.

### ლექსიკონები:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, მთავარი რედაქტორები - არაბული ა., ჩიქობავა არ., თბილისი, 1950-1964.
2. ლექსიკონი ქართული, შეადგინა სულხან-საბა ორბელიანმა, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991.
3. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, სამტომეული, შეადგინა ალ. ელერდაშვილმა, გამომცემლობა „ფანტაზია“, თბილისი, 2006.

### ელექტრონული რესურსები:

1. რუსული ენის ეროვნული კორპუსი - <https://ruscorpora.ru>
2. ქართული ენის ეროვნული კორპუსი - <http://gnc.gov.ge>
3. ქართული ლექსიკონი - <https://www.ganmarteba.ge/>
4. რა წვლილი შეიტანა სტალინმა ქართულ ლიტერატურაში (მარტი, 2019), მოძიებულია 27:12:2022, <https://for.ge/view/162987/ra-wvlili-Seitana-stalinma-qarTul-literaturaSi.html>
5. რამ შეუნარჩუნა სიცოცხლე შალვა ნუცუბიძეს? (აგვისტო, 2016) მოძიებულია 27:12:2022, <http://genia.ge/?p=31412>
6. სალაღია ეკა (ოქტომბერი, 2015) სტალინის ჩასწორებული „ვეფხისტყაოსანი“, გაზეთი „კვირის პალიტრა“, მოძიებულია 27:12:2022, <http://reportiori.ge/old/?menuid=68&id=78792>
7. შალვა ნუცუბიძე და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები, მოძიებულია 27:12:2022. <http://old.tsas.ge/?p=1963>



დანართი N1

	ქართული		ბალმონტი		ნუცუბიძე		ხალვაში
0	დასაწყისი	0	ВСТУПЛЕНИЕ	0	Вступление	0	Введение
1.	ამბავი როსტევან არაბთა მეფისა	1.	СКАЗ О РОСТЕВАНЕ, ЦАРЕ АРАБСКОМ	1.	Сказ о Ростеване, царе арабов	1.	Сказ об арабском царе Ростеване
2	როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა			2	Ростеван и Автандил на охоте	2	Царь Ростеван и Автандил на охоте
3	ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა	2	СКАЗ О ТОМ, КАК ЦАРЬ АРАБСКИЙ УВИДЕЛ ВИТЯЗЯ, ОДЕТОГО В ТИГРОВУЮ ШКУРУ	3	Встреча царя арабов с витязем в тигровой шкуре	3	Арабский царь встретил витязя в тигровой шкуре
4	თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის სამებრად			4	Тинатин посылает Автандила на поиски витязя в тигровой шкуре		
5	წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა	3	ГРАМОТА АВТАНДИЛА К ЕГО ПРИВЕРЖЕННЫМ	5	Письмо Автандила к его дружинникам	4	Послание Автандила к своим подданным
6	ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასლვა	4	СКАЗ О ТОМ, КАК АВТАНДИЛ ИСКАЛ ТАРИЭЛЯ	6	Отъезд Автандила на поиски витязя в тигровой шкуре	5	Автандил отправляется на поиски Тариела
7	ამბავი ავთანდილისა ასმათს რომ ეუბნების ქვაბს შიგან			7	Беседа Автандила с Асмат в пещере	6	Автандил рассказывает притчу деве Асмат
8	შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა			8	Встреча Тариэля с Автандилом	7	Встреча Тариела с Автандилом
9	ტარიელისაგან თავის ამბვის მბობა ავთანდილთანა	5	СКАЗ ТАРИЭЛЯ О СЕБЕ, КОГДА ОН ВПЕРВЫЕ СКАЗАЛ ЕГО АВТАНДИЛУ	9	Рассказ Тариэля Автандилу о своей судьбе	8	Тариел рассказывает о себе
10	ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა	6	СКАЗ ТАРИЭЛЯ О ТОМ, КАК ОН ПОЛЮБИЛ, КОГДА ВПЕРВЫЕ ОН ПОЛЮБИЛ	10	Повесть о любви Тариэля	9	Сказ о том, как Тариел влюбился впервые
11	წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი	7	ПЕРВОЕ ПОСЛАНИЕ, КОТОРОЕ НЕСТАН-ДАРЕДЖАН НАПИСАЛА СВОЕМУ ВОЗЛЮБЛЕННОМУ	11	Первое письмо Нестан-Дареджан к своему возлюбленному	10	Первое письмо Нестан-Дареджан к своему возлюбленному
12	წიგნი ტარიელისა საყვარელთანა	8	ПЕРВОЕ ПОСЛАНИЕ, КОТОРОЕ НАПИСАЛ ТАРИЭЛЬ СВОЕЙ ВОЗЛЮБЛЕННОЙ	12	Письмо Тариэля к возлюбленной	11	Первое письмо Тариела к своей возлюбленной

13	წიგნი ტარიელისა ხატაელთანა	9	СКАЗ О ТОМ, КАК ТАРИЭЛЬ НАПИСАЛ ПОСЛАНИЕ И ОТПРАВИЛ ЧЕЛОВЕКА К ХАТАВАМ	13	Письмо Тариэля к Хатайцам	12	Послание Тариела к хатайцам
14	ნესტანისაგან ტარიელის ხმოზა			14	Нестан-Дареджан приглашает к себе Тариэля		
15	წიგნი ხატაელთა მეფისა ტარიელის წინაშე მიწერილი პასუხად	10	ПОСЛАНИЕ, НАПИСАННОЕ ХАНОМ КХАТАВОВ В ОТВЕТ ТАРИЭЛЮ	15	Ответное письмо Хатайцев Тариэлю	13	Ответное письмо хатайского царя к Тариелу
16	ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ შეყრა			16	Встреча Тариэля с Нестан-Дареджан	14	Встреча Тариела с Нестан-Дареджан
17	ტარიელისაგან ხატაელს წასლვა და დიდი ომი			17	Поход Тариэля на Хатайцев и большой бой	15	Поход Тариела на Хатай и большая война
18	წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა	11	ПОСЛАНИЕ ТАРИЭЛЯ К ЦАРЮ ИНДИЙСКОМУ, КОГДА ОН ПОБЕДИЛ КХАТАВОВ	18	Письмо Тариэля к индийскому царю и возвращение с победой	16	Послание Тариела к индийскому царю после победы
19	წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა	12	ПОСЛАНИЕ НЕСТАН-ДАРЕДЖАН К ВОЗЛЮБЛЕННОМУ ЕЕ	19	Письмо Нестан-Дареджан к возлюбленному	17	Письмо Нестан-Дареджана к своему возлюбленному
20	ტარიელის ტირილი და დაბნედა			20	Плач Тариэля и его безумие	18	Плач Тариела и падение в обморок
21	ОТВЕТНОЕ ПОСЛАНИЕ ТАРИЭЛЯ К ВОЗЛЮБЛЕННОЙ ЕГО	13	ОТВЕТНОЕ ПОСЛАНИЕ ТАРИЭЛЯ К ВОЗЛЮБЛЕННОЙ ЕГО	21	Ответное письмо Тариэля к возлюбленной	19	Письмо Тариела к своей возлюбленной
22	რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა			22	Совещание о замужестве Нестан-Дареджан	20	Совещание по поводу замужества Нестан-Дареджан
23	ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა			23	Беседа Тариэля с Нестан-Дареджан и их решение	21	Тариел с Нестан-Дареджан принимают решение
24	ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლვა			24	Прибытие в Индию наследника Хваразмшаха и его гибель от руки Тариэля	22	Приезд сына хорезмского царя и убийство его от руки Тариела
25	ამბვის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა	14	СКАЗ О ТОМ, КАК ТАРИЭЛЬ УСЛЫШАЛ ОБ ИСЧЕЗНОВЕНИИ НЕСТАН-ДАРЕДЖАН	25	Тариэль узнает об исчезновении Нестан-Дареджан	23	Тариел узнает об исчезновении Нестан-Дареджан

26	ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელს შეეყარა	15	СКАЗ О ТОМ, КАК ТАРИЭЛЬ ВСТРЕТИЛ НУРАДИНА-ФРИДОНА НА МОРСКОМ БЕРЕГУ	26	Встреча Тариэля с Нурадин-Придоном	24	Сказ о Нурадин-Фридоне, когда он встретился с Тариелом
27	შველა ტარიელისაგან ფრიდონისა	16	СКАЗ О ТОМ, КАК ТАРИЭЛЬ ПОМОГ ФРИДОНУ И КАК ОНИ ВОСТОРЖЕСТВОВАЛИ НАД СВОИМИ ВРАГАМИ	27	Помощь Тариэля Придону	25	Тариел оказывает помощь Фридону
28	ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბვის მბობა	17	СКАЗ О ТОМ, КАК ФРИДОН СООБЩАЕТ ТАРИЭЛЮ ВЕСТИ О НЕСТАН-ДАРЕДЖАН	28	Рассказ Придона о Кестан-Дареджан	26	Фридон рассказывает Тариелу о Нестан-Дареджан
29	ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცვისა	18	СКАЗ О ТОМ, КАК АВАНДИЛ ВОЗВРАТИЛСЯ В АРАБИЮ ПОСЛЕ ТОГО, КАК НАШЕЛ ТАРИЭЛЯ И РАССТАЛСЯ С НИМ	29	Возвращение Авандила в Аравию	27	После встречи с Тариелом Авандил возвращается в Аравию
30	დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა. ვაზირის საუბარი.	19	СКАЗ О ТОМ, КАК АВАНДИЛ ОБРАТИЛСЯ С ПРОСЬБОЙ К ЦАРЮ РОСТЕВАНУ, И О ТОМ, ЧТО СКАЗАЛ ЕМУ ВИЗИРЬ	30	Авандил просит Вазира испросить у Ростевана разрешение на отъезд	28	Вызов Авандила к царю Ростевану и его беседа с визирем
31	ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი	20	СЛОВА АВАНДИЛА К ШЕРМАДИНУ ПРИ ТАЙНОМ ОТБЫТИИ ЕГО	31	Беседа Авандила с Шермадином	29	Беседа Шермадина с Авандилом, совершившим бегство
32	ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე	21	ЗАВЕЩАНИЕ АВАНДИЛА, ПОСЛАННОЕ ЦАРЮ РОСТЕВАНУ ПРИ ТАЙНОМ ОТБЫТИИ ЕГО	32	Завещание Авандила царю Ростевану	30	Завещание Авандила царю Ростевану
33	ლოცვა ავთანდილისა	22	МОЛИТВА АВАНДИЛА И БЕГСТВО ЕГО	33	Молитва Авандила	31	Молитва Авандила и бегство
34	ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა	23	СКАЗ О ТОМ, КАК ЦАРЬ РОСТЕВАН УСЛЫХАЛ ОБ АВАНДИЛЕ И О ТАЙНОМ ОТБЫТИИ ЕГО	34	Ростеван узнает о тайном отъезде Авандила	32	Царь Ростеван узнает о тайном отъезде Авандила
35	წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ	24	СКАЗ О ТОМ, КАК ВТОРИЧНО ВСТРЕТИЛСЯ АВАНДИЛ С ТАРИЭЛЕМ	35	Отъезд Авандила для вторичной встречи с Тариэлем	33	Второй тайный отъезд Авандила и встреча с Тариелом

36	პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა			36	Автандил находит обезумевшего Тариэля	34	Автандил находит потерявшего сознание Тариела
37	მზობა ტარიელისგან ლომ-ვეფხთ დახოცისა			37	Рассказ Тариэля о том как он убил льва и тигра	35	Тариел рассказывает Автандилу об истреблении льва и тигра
38	ტარიელისაგან და ავთანდილისგან ქვაბს მისლვა და ასმათის ნახვა	25	СКАЗ О ТОМ, КАК НАПРАВИЛИСЬ ТАРИЭЛЬ И АВТАНДИЛ К ПЕЩЕРЕ И КАК УВИДЕЛИ ОНИ АСМАТ	38	Прибытие Тариэля и Автандила к пещере и встреча с Асмат	36	Приезд Тариела и Автандила в пещеру и встреча с Асмат
39	წასლვა ავთანდილისგან ფრიდონისასა	26	СКАЗ О ТОМ, КАК ОТПРАВИЛСЯ АВТАНДИЛ К ФРИДОНУ, КОГДА ОН ВСТРЕТИЛ ЕГО В МУЛЫГХАЗАНЗАРИ	39	Отъезд Автандила к Придону	37	Отъезд Автандила к Фридону
						38	Автандил обращается к звездам
40	მისლვა ავთანდილისგან ფრიდონისასა	27	СКАЗ О ТОМ, КАК ПРИБЫЛ АВТАНДИЛ К ФРИДОНУ, КОГДА ОН РАССТАЛСЯ С ТАРИЭЛЕМ	40	Автандил у Придона	39	Приезд Автандила к Фридону после расставания с Тариелом
41	წასლვა ავთანდილისგან ნესტან-დარეჯანის სამეგრად და ქარავანთა შეყრა	28	СКАЗ О ТОМ, КАК ОТБЫЛ АВТАНДИЛ ОТ ФРИДОНА, ДАБЫ ОТЫСКИВАТЬ НЕСТАН-ДАРЕДЖАН	41	Отъезд Автандила на поиски Нестан-Дареджан и встреча с караваном	40	Отъезд Автандила от Фридона на поиски Нестан-Дареджан
42	ამბავი ავთანდილისა გულანშაროს მისლვისა	29	СКАЗ О ТОМ, КАК ПРИБЫЛ АВТАНДИЛ В ГУЛЯНШАРО	42	Прибытие Автандила в Гуланшаро		Приезд Автандила в Гуланшаро
		30	СКАЗ О ТОМ, КАК ПРИБЫЛ АВТАНДИЛ К ФАТЬМЕ, КАК ПРИНЯЛАОНА ЕГО И КАК ВЕЛИКА БЫЛА ЕЕ РАДОСТЬ				
43	ფატმანისგან ავთანდილის გამიჯნურება	31	СКАЗ О ТОМ, КАК ПОЛЮБИЛА ФАТЬМА АВТАНДИЛА И КАК НАПИСАЛА	43	Любовь Фатьмы к Автандилу	42	Фатман влюбилась в Автандила
44	წიგნი ფატმანისა ავთანდილს თანა სამიჯნურო	32	ЛЮБОВНОЕ ПОСЛАНИЕ ФАТЬМЫ К АВТАНДИЛУ	44	Любовное письмо Фатьмы к Автандилу	43	Любовное письмо Фатман к Автандилу

45	წიგნი ავთანდილისა ფატმანს თანა	33	ОТВЕТНОЕ ПОСЛАНИЕ АВТАНДИЛА К ФАТЬМЕ	45	Письмо Автандила к Фатьме	44	Ответное письмо Автандила к Фатман
		34	СКАЗ О ТОМ, КАК УМЕРТВИЛ АВТАНДИЛ ШАХ-НАГИРА И ДВУХ ЕГО СТРАЖЕЙ				
46	ფატმანისგან ნესტან-დარეჯანის ამბვის მბობა	35	СКАЗ ФАТЬМЫ К АВТАНДИЛУ О НЕСТАН-ДАРЕДЖАН	46	Рассказ Фатьмы о судьбе Нестан-Дареджан	45	Фатман рассказывает Автандилу о Нестан-Дареджан
						46	Усен выдал Нестан-Дареджан
47	ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა. ფატმანისგან მბობა ავთანდილს თანა	36	СКАЗ ФАТЬМЫ К АВТАНДИЛУ, КАК ВЗЯЛИ КАДЖИ В ПОЛОН НЕСТАН-ДАРЕДЖАН	47	Рассказ Фатьмы о пленении Нестан-Дареджан Каджами	47	Сказ о пленении Нестан-Дареджан каджами
48	წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანს თანა	37	ПОСЛАНИЕ ФАТЬМЫ К НЕСТАН-ДАРЕДЖАН	48	Письмо Фатьмы к Нестан-Дареджан	48	Письмо Фатман к Нестан-Дареджан
49	წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანს თანა	38	ПОСЛАНИЕ НЕСТАН-ДАРЕДЖАН К ФАТЬМЕ	49	Письмо Нестан-Дареджан к Фатьме	49	Письмо Нестан-Дареджан к Фатман
50	წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა	39	ПОСЛАНИЕ НЕСТАН-ДАРЕДЖАН К ВОЗЛЮБЛЕННОМУ ЕЕ	50	Письмо Нестан-Дареджан к возлюбленному	50	Письмо Нестан-Дареджан к своему возлюбленному
51	წიგნი ავთანდილისა ფრიდონს თანა	40	ПОСЛАНИЕ АВТАНДИЛА К ФРИДОНУ	51	Письмо Автандила к Придону	51	Письмо Автандила к Фридону
52	წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა	41	СКАЗ О ТОМ, КАК ОТБЫЛ АВТАНДИЛ ИЗ ГУЛЯНШАРО И ВСТРЕТИЛСЯ С ТАРИЭЛЕМ	52	Отъезд Автандила из Гуланшаро и встреча его с Тариэлем	52	Отъезд Автандила из Гуланшаро и встреча с Тариелом
53	ტარიელისა და ავთანდილისგან წასლვა ფრიდონისასა	42	СКАЗ О ТОМ, КАК ОТПРАВИЛИСЬ ТАРИЭЛЬ И АВТАНДИЛ К ФРИДОНУ	53	Прибытие Тариэля и Автандила к Придону	53	Отъезд Тариела и Автандила к Фридону
54	თათბირი ნურადინ-ფრიდონისა	43	СКАЗ О ТОМ, КАК СОВЕЩАЛИСЬ ФРИДОН, АВТАНДИЛ И ТАРИЭЛЬ О НАПАДЕНИИ НА ТВЕРДЫНЮ КАДЖЕТИ	54	Совет Нурадин-Придона	54	Совет Нурадин-Фридона
55	თათბირი ავთანდილისა			55	Совет Автандила	55	Совет Автандила
56	თათბირი ტარიელისა			56	Совет Тариэля	56	Совет Тариела
				57	Взятие Каджетской крепости и		

					освобождение Нестан-Дареджан		
57	ტარიელისგან ზღვათა მეფისას მისლვა	44	СКАЗ О ТОМ, КАК ОТПРАВИЛСЯ ТАРИЭЛЬ К ЦАРЮ МОРЕЙ И К ФРИДОНУ	58	Прибытие Тариэля к царю морей	57	Приезд Тариела к царю морей
						58	Приезд всех троих к Фридону вместе с Нестан-Дареджан
58	ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან	45	СКАЗ О ВЕНЧАНИИ ТАРИЭЛЯ И НЕСТАН-ДАРЕДЖАН ФРИДОНОМ	59	Свадьба Тариэля и Нестан-Дареджан во дворце Придона	59	Свадьба Тариела и Нестан-Дареджан, справленная Фридоном
59	სამთავანვე ქვაბსა მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა	46	СКАЗ О ТОМ, КАК СНОВА ИДЕТ ТАРИЭЛЬ К ПЕЩЕРЕ И ВИДИТ СОКРОВИЩА	60	Прибытие трех витязей к пещере и отъезд оттуда в Аравию	60	Приезд Тариела в пещеру и отъезд оттуда в Аравию
60	ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან	47	СКАЗ О СВАДЬБЕ АВТАНДИЛА И ТИНАТИН, ВОЛЕЮ ЦАРЯ АРАБСКОГО	61	Свадьба Тинатин и Автандила у царя арабов	61	Свадьба Автандила и Тинатин у арабского царя
61	ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა			62	Тариэль узнает о смерти индийского царя	62	Тариел узнает о кончине индийского царя
62	ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა და ხატაელთა დამორჩილება			63	Прибытие Тариэля в Индию и покорение хатайцев	63	Прибытие Тариела в Индию и покорение хатайцев
63	ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა			64	Свадьба Тариэля и Нестан-Дареджан	64	Свадьба Тариела и Нестан-Дареджан
						65-75	Продолжения поэмы
64	დასასრული			65	Заключение	76	Заключение